





პროკრედიტ ბანკი  
**ProCredit Bank**



## პროკრედიტ ბანკის სანახევრობა!

უახლესი ჩიპ ტექნოლოგიით  
აღჭრევილი პლასტიკური ბანკოები  
უფრო თანამედროვე, უფრო უსაფრთხო



ტელ: 20 22 22



ტელ: 20 22 22



ტელ: 20 22 22




ტელ: 20 22 22



ტელ: 20 22 22



ჩვენ ვაშენებთ!



ცენტრ სტრუქტური ჯგუფი



პროექტის ავტორი/დამფუძნებელი: ნინო დარასელი  
 არტ-დირექტორი: iC თონა ცინცაძე;  
 დიზაინი: DJ ლევან ასათიანი  
 თემურ(Kohi) მაჭავარიანი; . \*გო სუმბაძე  
 MC ლევან (ლიუ) ნუცუბიძე  
 მთავარი რედაქტორი: გოგი ახალკაცი  
 მთავარი რედაქტორის მოადგილე: ნუცი კირცხალია, გიგი გულედანი  
 ფოტორედაქტორი: გიკა ჭელიძე  
 სპექტროექტების დირექტორი: ირკა კავილაძე  
 მხატვარი: ნინო ქორიძე, რატი ერადე  
 სტილი-ვიზუალი: სალომე ზაქარაია  
 მარკეტინგის მენეჯერი: ლელი მირიჯანაშვილი  
 PR მენეჯერი: ირაკლი ჩხიკვაძე  
 ოფის-მენეჯერი: ეკა ასათიანი  
 პასუხისმგებელი მდივანი: ნინო ჭიჭინაძე  
 კოორდინატორი: ბესო ხაინდრავა  
 სტილისტ- რედაქტორი: რუსუდან ლლონტი

**ნომერზე მუშაობდნენ:**

თინათინ ასათიანი, მარიკა ასათიანი, სანდრო ასათიანი,ზინკა ბარნოვი, ზაზა ბურჭულაძე, ლაშა ბულაძე, დათო ბუხრიკიძე, ეკა გაბაშვილი, სოფო გაგუა, დავით დეფი გოგბედაშვილი, გიორგი დადიანი, სალომე დადუნაშვილი, ნინო დვალა, თიკო დიდავა, გიგა ზედანია, ზოზო, ნინია კაკაბაძე, ნესტან კვინიკაძე, თემო კვიციანი, დათო კოვზირიძე, ნიკა კონაროვი, მაკა კუკულავა, ნოდარ ლადარია, სოფო ლაპიაშვილი, ქეთა ლომიძე, ქეთი მაჭავარიანი, ლევან მაჭარაშვილი, ანა მაყაშვილი, ავთო მოსულიშვილი, თაზო მჭედლიძე, გაგა ნახუცრიშვილი, ლევან რამიშვილი, ნატა სოფრომაძე, გიორგი ხაჩიძე, ნინო ჭოლოშვილი.

**ჟურნალი „ანაბეჭდი“  
 სტუდია „ანაბეჭდი“**

შპს „ტალიმანი“  
 რედაქციის მისამართი:  
 შანიძის ქ. №13  
 თბილისი 0179  
 Tel/Fax: 25 38 38  
 Web: www.anabechdi.ge  
 E-mail: info@anabechdi.ge



სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიჭირდა რედაქტორის სვეტის დაწერა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ რედაქტორი არ ვარ. თუმცა „ანაბეჭდში“ რედაქტორი, დირექტორი, ავტორი და კორექტორი რამ განასხვავა. „ეს მე არ მეხება“, „ეს იმან გააკეთოს“, „მე იმას ვაკეთებ“ – ჩვენს რედაქციაში იშვიათად ისმის. ერთად ვაკეთებთ, ერთად გვწყინს, ერთად გვიხარია და, საერთოდაც, ერთად ვცხოვრობთ. ბარემ სიტყვამ მოიტანა და აქვე ახალ წელს გილოცავთ. ჰოდა, რას ვამბობდი... ყველანი ერთად ვცხოვრობთ-მეთქი. დღეში მინიმუმ 13 საათს შანიძის 13-ში ვატარებთ. ისე, 13 სულაც არ ყოფილა, ჩვენი გამოცდილებით, თარსი რიცხვი. ამ რიცხვის თარსობა, როგორც გაირკვა, ძველი შუმერების ინტრიგების შედეგია. თარსობა კი თურმე იმაში მდგომარეობს, რომ 13, 12-ისგან განსხვავებით, არც 2-ზე იყოფა, არც 3-ზე, არც 4-ზე და არც 6-ზე (ისე, მგონი, ამის ბრალია, შანიძის 13-ში მცხოვრებნი ვერაფრით რომ ვერ ვიყოფით და მხოლოდ ვმრავლდებით). სხვათა შორის, კაზინოში 13-ის მერე ხშირად 31 მოდის. ჩვენც, რაც 13-ში გადმოვვებით, სულ 31-ს ველოდებით, თუმცა არა მარტო ჩვენ. ცხოვრება თბილისში ბოლო ერთი თვეა, 31-მდე და 31-ის მერე იგეგმება. აქვე, ბარემ სიტყვამაც მოიტანა და ისევე ახალ წელს გილოცავთ. ისე, სულ ამ ახალი წლის ბრალია, რედაქტორის სვეტის წერა რომ გამიჭირდა. როგორია კონცენტრირება, როდესაც წინ გოზინაყი გიდევის, ტელევიზორში „С легким паром“ გადის, ხოლო რომელიღაც ტელეარხიდან პრეზიდენტი გილოცავს. ჟურნალის გამოსვლა ისევე რომ დავაგვიანეთ, ამჯერად ესეც ახალი წლის ბრალია. ისე, ჩვენს ჟურნალსა და ახალ წელს შორის მსგავსებას ახლა მივხვდი. სულ ელოდებიან. პრინციპში, რა კარგი იქნებოდა, ახალი წელიც, „ანაბეჭდის“ მსგავსად, როცა გინდა, მაშინ რომ დგებოდეს (თავისი გოზინაყით, „С легким паром“-ითა და პრეზიდენტის მოლოცვით). ახალი წლის რა გითხრათ და ახალი დღე კი ყოველდღე შეიძლება დადგეს თქვენს ცხოვრებაში. ასე რომ, მაინცდამაინც ნუ დაელოდებით ძველით, ახლით და მომავლით ახალ წელს. ახალი დღის აღნიშვნა უკვე ხვალიდანაც შეგიძლიათ დაიწყოთ. ასე რომ, ახალ დღეს გილოცავთ და ახალ წელსაც!

p.s. ზუსტად ერთი წლის წინ, ჩვეულებრივად დაიბადა „არაჩვეულებრივი“ ანაბეჭდი. დაბადების დღეზე აუცილებლად დაგპატივებთ. მოსვლამდე კი მაინც გადახედეთ ჩვენი რედაქციის ფოტოპროექტს - შეიძლება მოსვლა გადაიფიქროთ :)

n i n o d a r a s e l i




[www.iciparis.ge](http://www.iciparis.ge)



**MANGO**  
adorably





000142

000144

000148

000154

000158

000168

000170

000174

000176

000182

000184

000191

000206

000216

000222

000230

000232

000234

000240

000250

000253

000256

000258

000264

000268

000283

000294

000298

000302

000308

000320

000142	უვიცი კაცის ჩანაწერები – გაგა ნახუცრიშვილი
000144	კალენდარი – ანა მაცაშვილი
000148	კინო: ყველაზე დიდი სინამდვილე – ნინია კაკაბაძე
000154	ალუბლები გამყინვარების შემდეგ – დავით ბუხრიკიძე
000158	მუს.მიმოხილვა – ლაშა გაბუნია, თემო კვიციანი
000168	ტენდენციები გლობალურ ქრილში – სალომე დადუნაშვილი
000170	Guns'N'Roses – ნოდარ ლადარია
000174	წლის ფრაზა- გიგი გულედანი
000176	ჰაროლდ პინტერი – ნესტან კვინიკაძე
000182	Tin@Tin – თინა ასათიანი
000184	სპორტლისტი 2005 – გიორგი ხაჩიძე
000191	ანაბეჭდის ფოტოპროექტი
000206	ასტროპროგნოზი - რამაზ გიგაური
000216	სანტა კლავსია უყვარს ქალები – გიგი ჯაფარიძე(Zozo)
000222	საახალწლო მოგზაურობა დედამინის გარშემო – ლევან რამიშვილი
000230	ახალი წელი თბილისში
000232	სამი საშობაო ზღაპარი – დავით-დევი გოგიბედაშვილი
000234	საშობაო ზღაპრები – თაზო მჭედლიძე
000240	ვეშაპები – Precious Thing feat. Dee Dee Bridgewater
000250	სოროკინი: Massive attack – ზაზა ბურჭულაძე
000253	ნიგნების მიმოხილვა-ლაშა ბულაძე
000256	ex libris: ხულიო კორტასარი – გიგა ზედანია
000258	ქართული მოდერნიზმი
000264	რეზინა – გიგი გულედანი
000268	ქალ/აქ/ები – გიგა ზედანია
000283	ბზიკი
000294	mARTemARTics – გოგი ახალკაცი
000298	მორფიანი პაპიროსი – დათო კოვზირიძე
000302	Frank Zappa – ზაზა ბურჭულაძე
000308	(ორ წელიწადში)ერთხელ ფლორენციაში – ქეთი მაჭავარიანი
000320	წლის ID ანკეტები

**+5** მზიანი ამინდები  
lux

**+4** taxi გამოძახებით

**+3** ტელეკომპანია  
“კავკასიის”  
ყოველკვირეული  
ანალიტიკური გადაცემა

**+2** ავოკადო  
“სასარგებლო და თანაც  
გემრიელი”

**+1** კუთხის ბინები  
ცალსახად უკეთესია

**0** “ახალწლები”

**-1** ტელეფონში რობოტის  
ნათქვამი “კომუნალური  
დავალიანება”

**-2** დეესელის წყვეტები

**-3** გადამგდები ავტორები

**-4** ქათმის გრიპი - დაბა  
ვალეს მოსახლეობამ  
ქათმების დახოცვა  
დაიწყო..

**-5** უფიცი და ფამილიარული  
სამთავრობო ესკორტი:  
“თეთრი ჟიგული,  
გადააყენე!”



## g a g a n a x u c r i S v i l i

მაშინ პირველად ვნახე ცოცხალი თოვლის პაპა, ნაძვის ხის ზეიმზე. სრულიად პატარა ვიყავი. თოვლის პაპამ გამიღიმა, შოკოლადი მაჩუქა და ხელი ჩამომართვა. თბილი ხელი ჰქონდა. განვცვიფრდი. მინდოდა მეკითხა, რატომ ჰქონდა ასეთი თბილი ხელი. მომერიდა.

### გავიდა წლები.

პირველი იანვრის დილა თენდებოდა. მე და ჩემი მეგობარი მამა დავითზე აღმოვჩნდით. უკვე გაფხიზლებულები გადავყურებდით თბილისს, რომელიც ბუნდოვნად მოჩანდა.

- გახსოვს, აქ როგორ ამოვედით? — ვკითხე
- არა... ბუნდოვნად...
- მეც. ეგ არაფერი.... იცი, ყოველ ახალ წელს სასწაულს ველოდები, ბავშვობიდან....
- სასწაულს? მე უფრო დედამინის მიზიდულობის ძალის მჯერა.
- ეეე, შენ სულ ლადაობ....
- არ ვლადაობ... და კიდევ არქიმედესიც.
- რატომ მაინცდამაინც არქიმედესი?
- არ ვიცი, ამოვიჩემე... მამაჩემზე მეტად არქიმედეს კანონის მჯერა... და შენი!
- ნუ “მეპადახალიმები”, მაინც ვეტყვი მამაშენს.
- არა, ნაღდად გეუბნები, - მხარზე ხელი გადამხვია და მაგრად შემანჯღრია.

ორივენი გავჩუმდით. თბილისის ხედს მივაშტერდით. მომეჩვენა, რომ ჯერ არასოდეს არ მინახავს ასეთი თბილისი, იდუმალი, მშვიდი და მყუდრო. გამახსენდა გოგო, რომელიც ლიბავაში შემეყვარდა; გამახსენდა ბაბუაჩემის ვეებერთელა გლობუსი, რომელსაც ჩემი გამოგონილი კუნძული მივახატე, ...და თოვლის პაპის თბილი ხელი.

მაშინ ნამდვილად ვირწმუნე სასწაული. იქნებ თქვენც დაიჯეროთ... ვინ იცის.

**გილოცავთ ახალ წელს!**




CINDY CRAWFORD  
waterfalls

THE **NEW** FRAGRANCE



kal endar i



ana mayaSvili

ალბათ თქვენც შეამჩნევდით, რომ ბოლო ხანს დრო ძალიან სწრაფად გადის. რისი ბრალია, არ ვიცი – დროის აღქმა დაგვერღვა, თუ ბიგ ბენის საათის ისრებმა აჩქარებულ ტემპში დაიწყეს მოძრაობა, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ ხშირად, წელიწადში ერთხელ მაინც, ვცვლით კალენდრებს, რომლებსაც ზედ სულ უფრო და უფრო არანორმალური ოთხნიშნა რიცხვები აწერიათ.

**კულტმასობრივი ღონისძიებები**

გასული წლის დედაქალაქურ კალენდარზე სოციალურ-კულტურული თავყრილობების მთელი ორომტრიალი იყო. ამ ყველაფერზე, როგორც კერძო პირები, ისე სახელმწიფო ჰიპერაქტიურად ზრუნავდა. ყოველივე შარშანდელი ლაზერშოუებიანი ახალი წლით დაიწყო, გაგრძელდა განათლების, შენობების ფერების, ტრანსპორტის რეფორმირებით, მიჰყვა პარკების გაშენებას, ჯორჯ დაბლიუ ბუშის ღირსეულ მასპინძლობას, შადრევნების შექმნას, კვირა დღის სახალხო სეირნობის შემოღებას, ძეგლების გადაადგილებ-გადმოადგილებას, რეკლუციის ორი წლისთავის აღნიშვნას და ახლა თანდათან საახალწლო შოუში გადადის (რომელიც თითქოს უფრო გემოვნებიანი უნდა იყოს, რაც გულისხმობს ნაკლები ფულის დახარჯვას, ნაძვის ხის პარლამენტის წინ დადგმას და ყინულის საციგურაო მოედნის მოწყობას 60-იანი წლების მუსიკისა და ჯაზის ფონზე). სახელმწიფოს ასეთი აქტივობის შედეგად მივიღეთ: ფერად-ფერადი სახლები, გაუქმებული „მარშრუტები“, ყვითელი ავტობუსები, კარგა ხანს კვირაობით მანქანებისთვის აკრძალული და ხალხისთვის ღია რუსთაველი და სამშობლოში ერთი-ორი დღით ჩამოსული ბრიტანული მუსიკალური ჩარტების ერთ-ერთი ლიდერი, ქეთი მელუა.

„ისტერნ ფრომოუშენმა“ აპრილში თავისი ავსტრიელი რჩეული ჯო ზავინული აგერ უკვე მეორედ ჩამოიყვანა თბილისის ოპერაში და შემდეგ, ივნისში, ჯაზის ოთხდღიანი მე-9 საერთაშორისო ფესტივალი მოაწყო, ანუ ჩამოიყვანა დევიდ სენბორნი და „ოლ სთარ ბენდი“, ჯონ სქოფილდის კვარტეტი და ჯორჯ ბენსონი. არც „ბრიტიშ პეტროლიუმს“ დაუჯდებოდა იაფი „სიმფლი რედის“ უფასო კონ-

ცერტის გამართვა, არც იმათ, ვინც ხანში შესული სეზარია ევორა მოიწვია ჩვენს დედაქალაქში.

არ შეიძლება, ამ მოვლენებთან ერთად თავისი ულტრასაერთაშორისო მნიშვნელობის გამო არ აღვნიშნო მათში ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობა. თუმცა მე მილიონჯერ მერჩია, ჯაზფესტივალის ნაცვლად „რედ ჰოთ ჩილი პეპერსი“ ან „ოაზისი“ და მისი უდიდებულესობა ელიზაბეტ II ჩამოსულიყვნენ (ან ბუშის ნაცვლად – ემინემი).

**ფესტივალები**

გასულ წელს თბილისში რამდენიმე ისეთი ფესტივალი ჩატარდა, რომელიც თურმე ასევე საერთაშორისო ყოფილა; მაგალითად: კინოთეატრ „ამირანში“ მოწყობილი მე-5 საერთაშორისო კინო-ფესტივალი „სესილი“, რომლის ნომინანტები 16 ქვეყნის მოკლემეტრაჟიანი ფილმები იყვნენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან. საერთაშორისო სტატუსი ჰქონია კლასიკური მუსიკის ბორჯომის საზაფხულო ფესტივალსაც, სადაც „ხელოვნებამ იზეიმა“. საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი „საჩუქარიც“, რომელიც ივლისში გაიმართა და ქართულთან ერთად მაყურებელს, მგონი, რუსული და უკრაინული სპექტაკლები შესთავაზა.

ორგანიზატორებიან-მაყურებლიანად ყველაზე მასიური და „ჯიგურულ-ტუსოვკური“ „მზიურის“ მე-5 თბილისური ფესტივალი იყო. „ქალაქის ნამყვანმა არტ-ჟურნალმა“ (ЧИТАЙ `А-Н-а-н-э-ч-Д-И~) თითქმის მთელი მეხუთე ნომერი ამ ფესტივალს მიუძღვნა. „ვედსტოკის“ რა მოგახსენოთ, მაგრამ „მზიური“, რომელიც წელს ივნისის სამ დღეს გაგრძელდა, ძალიან მომწონს ხალხმრავლობის გამო – ყველა იმ ადამიანს შეიძლება ნააწყდე, ვისაც იცნობ. ცოცხალი მუსიკის გამო – შემსრულებელთაგან დავიმახსოვრე ახალგაზრდა ჯგუფი „ლიმონათი“, ბაკურ ბურდული, „სტრინგი“, „იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ“, Небо СССР და სხვა ნაცნობი და ძველი, და ახალი და უცნობი შემსრულებლები. მომწონს ცოტათი იმის გამოც, რომ პოეტები ლექსებს კითხულობენ, მწერლები – პროზას,



აჩვენებენ ფილმებს, ფენენ ფოტოებს. და კიდევ იმიტომ, რომ, წინა „მზიურებისგან“ განსხვავებით, ნელს გვირაბში 60-70-იანი წლების მოდების ჩვენება მოეწყო, რომლისთვისაც გამოიყენეს ბევრი ტანსაცმელი ჩემი გარდერობიდან და მისი ბრწყინვალეობა მე.

ივნისის მეორე არასაერთაშორისო ფესტივალი „არტ-გენი“ იყო – ახალბედა ნაციონალური ფესტივალი ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე უკვე მეორედ გაიმართა. მასში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი მონაწილეობს. არის სუფთა ჰაერი, თონეები, სადაც პური ცხვება, ეროვნული სუვენირები, ნიაზ დისამიძე, ზუმბა და ა.შ.

ერთი მუსიკალური ფესტივალი სუფთა ჰაერზე კიდევ ვიცი: ის აგვისტოში კვარიათში გაიმართა, „ანაბეჭდი ზღვაზე“ ერქვა (ესეც ჩვენ ვქენით) და მზიურისეულ „არტ-ტუსოვკურ“ ხასიათს ატარებდა და თავისი შემადგენლობიდან, ადგილმდებარეობიდან და ზოგადი განწყობიდან გამომდინარე. მონაწილეობდნენ: დიჯეი მიშო, „სოფთ იჯექთი“, „იანგ ჯორჯიან ლოლიტაზ“, „მწვანე ოთახი“, ბაკურ ბურდული და ის ახალგაზრდა კინორეჟისორები, რომელთა ფილმების ჩვენება იქვე, დამონტაჟებულ ეკრანზე მიმდინარეობდა. ყველა იყო მთვრალი და ყველა იყო ერთად.

**კინო**

მერე ჩამოვედით თბილისში. აქ საინტერესო ბევრი არაფერი დაგვხვდა, გარდა იმისა, რომ კინოთეატრ „ამირანში“ შედგა ლევან თუთბერიძის ფილმის – „გასეირნება ყარაბაღში“ – პრემიერა. როგორც აღმოჩნდა, ფილმი წარმატებულია, რაც დაადასტურა მისმა გამარჯვებამ ანაპის, დსთს-სა და ბალტიის ქვეყნების მე-15 ფესტივალზე. ამავე კონკურსში გაიმარჯვა ლევან ზაქარეიშვილის ფილმმაც – „თბილისი-თბილისი“, რომელიც დაჯილდოვდა საუკეთესო რეჟისურისთვის, ხოლო რაც შეეხება „ყარაბაღს“, მან გრანპრი – ოქროს ლერწამი – მოიპოვა, ამასთან, გაუჩნდა საუკეთესო ევროპული ფილმის ნომინაციაზე მოხვედრის შანსი: ფილმმა ევროპის კინოაკადემიის შესარჩევი ეტაპი გაიარა და ოცეულში მოხვდა ისეთი რეჟისორების ნამუშევრებთან ერთად, როგორც თუნდაც ვიმ ვენდერსია.

**ფოტო**

კანის ჟიურისა არ იყოს, ეგზოტიკა ჩვენც გვიყვარს და ოქტომბერში „N გალერეაში“ „ანაბეჭდმა“ ირანელი ფოტოგრაფების გამოფენა „თეირანის ბალების ფერადი ჩიტები“ მოაწყო.

ფოტოგრაფებზე გამახსენდა ფოტოკონკურსი „ქოლგა“, რომელიც უკვე სისტემატურად ტარდება თბილისში და მასში ყველა ახალგაზრდა ქართველი ფოტოგრაფი მონაწილეობს. ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ფოტოს შერჩევა უწევს ჟიურის?! ალბათ ტონობით.

**როკერები და, უბრალოდ, გიტარიანები**

ფოტოგრაფია აღმავლობას ადგას თბილისში, რასაც ვერ ვიტყვით ეროვნულ როკ-მუსიკაზე. ამ სფეროში წლის მოვლენებს რაც შეეხება:

- ირაკლი ჩარკვიანი მეფე გახდა.
- „იანგ ჯორჯიან ლოლიტაზს“ „ლემონ ჯუსად“ გადაქცევის მცდელობა ჰქონდა, რაც მხოლოდ მათი ალბომის, Lemonjuice-ის, გამოშვებისას განხორციელდა. მეორე, ივლისში გამოსული ალბომის, Radiolive-ის, დროს ისინი ისევ ძველებური სახელით წარმოგვიდგნენ.
- „33ა“ ისევ „33აა“ და ახალი ალბომი C'est la vie ჩანერა, რომლიდანაც ყველა თქვენგანს ერთი სიმღერა მაინც ექნება მოსმენილი – „გალაკტიონი“.
- ამას წინათ ჯგუფმა Небо СССР-მაც შემატა ქართულ როკ-კულტურას თავისი მეორე ალბომი Самолёты.

ამას წინათ კიდევ ორი როკ-ენ-როლური მოვლენის დამსწრე გავხდით: ერთი, სახელად, „როკი საზღვრებს გარეშე“, მდეკემბერს თბილისის მერიის განათლებისა და კულტურის საქალაქო სამსახურმა, „სოფთ იჯექთის“ წევრებით დაკომპლექტებულმა ენ-ჯე-ო „ანტენამ“ და „სთეფ რექორდსმა“ მოაწყვეს გრიბოდოვის თეატრში. ოდნავ ენჯეოშნიკურ-ინტერნაციონალური იყო, რაც გულისხმობდა ქა-

რთველი (ბაკურ ბურდუ-ლი, „გრინ მამა“), სომეხი („ბამბორ“) და აზერბაი-ჯანელი („ფერუმ“) შემ-სრულებლების გამოსვ-ლას სცენაზე და ერქვა – ხოლო место встречи – Тбилиси (თითო რუსუ-ლი ასოს მოძებნა კლა-ვიატურაზე სამ წუთს მართმევს, მაგრამ ეს ენა კავკასიელებს იმ დღე-საც აკავშირებდათ, იმის მიუხედავად, რომ ფეს-ტივალზე რუსის ჭაჭა-ნება არ ყოფილა).



მეორე როკ-ამბავი „ბითლზ კლავში“ მოხ-და 6 დეკემბერს და ამ-ჯერად სცენა ჯგუფებს – ჯერ „ლიმონათს“ და მერე „სტრინგს“ – ეკა-ვით. კლუბში ტევა არ იყო (მიუხედავად იმისა, რომ ბილეთი ხუთი ლარი ღირდა).

**КЛАССИКИ И СОВРЕМЕННОИ**

ხელოვნების კლასიკურ ნაწილს რაც შეეხება, აქ ინფორმაციის სიმ-ცირე მაქვს. ერთი ის მახსოვს, რომ იანვარში „აიდას“ პრემიერა იყო ოპერაში. ახლა კი რუსთაველის თეატრი გაიხსნა და „მუსკომედია“ და „მარჯანიშვილიც“ იმავს აპირებენ.

თანამედროვე მუსიკის, ტექნოს, მოკლედ, თბილისის კლუბის-მუსიკის მოყვარულებს თავშესაქცევებიც შეემატათ. ერთ-ერთი ასეთი მძლავრი დაწესებულება ბოტანიკური ბაღის გვირაბია, რომელმაც საოცარი ტრანსფორმაციები განიცადა (ვინც ერთი წლის წინ მაინც იყო გვირაბში, ალბათ დამეთანხმება), მაღალი დონის კლუბად შეირაცხა, უცხოელი დიჯეები მიიპატიჟა და ამ ყველაფრით თბილისელები მიიზიდა. სამაგიეროდ, წლის თითქმის ყველაზე „კრუტი“ კლუბად მიჩნეული „ბერლინი“ დაიხურა, თუმ-ცა, ჩემი აზრით, საბოლოოდ ეს ფორმალობა აღმოჩნდა, რადგან ამ კლუბმა, ფაქტობრივად, გადაინაცვლა კინოსტუდიის პავილიონში გაკეთებულ ტერიტორიაზე, რომელსაც „ფლაი“ ჰქვია, ანუ იმის თქმა მინდა, რომ „ბერლინის“ ერთგული სტუმრები ახლა „ფლაიში“ სიამოვნებით აფარებენ თავს.

**სნობსკოპი**

2005 წელს გახსნილ თავშესაქცევ დაწესებულებათა რიცხვშია რუსთაველზე განთავსებული „ფეშენ ბარიც“, სადაც შესვლის უფლებას ყველაზე აქტიური სნობებიც კი იშვიათად აძლევენ თავს, თუმცა ერთხელ ალბათ ღირს გარისკვა. ამ წლის მონაპოვარია ასევე კეკელიძეზე არსებული კაფე, სადაც ან ისე უნდა შეხვიდე, მისი დასახლება რომ არ იცოდე, ან თუ იცი – უნდა დაიკიდო; მოკლედ, კაფე პაულო კოელიოს სახელობისაა.

ასევე წინიერთა თავშესაფარს მიეკუთვნება ბარნოვზე განლაგე-ბული „პრესკაფეც“. საერთოდ, ლიტ- და პრესკაფეებზე, ეტყობა, საზოგადოებაში დიდი მოთხოვნილებაა – ლიტკაფეში, მაგალი-



თად, სალამოს ექვსი საათიდან ადგილს ვერ იპოვი, ალბათ იქ შესულები სულ წინგებისა და გაზეთების კითხვაში არი-ან. სხვათა შორის, სწორედ ლიტკაფეში ორი გოგონას საუბრიდან ერთხელ ძა-ლიან დახვეწილ სლენგზე გამოთქმულ ფრაზას მოვკარი ყური: “Fucking-ით Pleasure-ს ველარ ვიღებ”-ო. ფრაზა წლის ფრაზად აღიარებას იმსახურებს.



**სხვა ცოტა რამ Best Of**

- ▶ წლის ტელეგადაცემა: „შაბათის შოუ“ და სუპერგადაცემები, იგივე რეალითი შოუები – „ამტანი“ და, განსაკუთრებით, „ჯეო-ბარი“, რომ-ლებიც ლათინოამერიკული ტელე-სერიალების (და არა მარტო მათი) მოხდენილი შემცვლელები აღ-მოჩნდნენ და რომლის მონაწილეებს თანხის მოგების თუ არა, სულ ცოტა, ერთთვისანი პოპულარობის გარანტია მიეცათ.
- ▶ წლის კინოსტუდია: „სანგუკო“, რომელმაც ბევრ მონდომე-ბულ ახალგაზრდასა და საინტერესო პროექტს გაუწია მნიშ-ვნელოვანი დახმარება.
- ▶ წლის კინოთეატრი, მგონი, „კინოს სახლია“ ლარიანი ბილეთები-სა და ძველი, განთქმული რეჟისორების დაბალხარისხიანი რეტ-როსპექტივების წყალობით.
- ▶ წლის ყველაზე დახვეწილი და პროფესიონალი რადიო ალბათ „უცნობია“.
- ▶ წლის ქუჩა კი – შარდენი, ერეკლე მეორე და მათი მიმდებარე ტერიტორიები...



მე კი, მგონი, მოვრჩი. აქ ვწყვეტ ამ “ბესთ ოფ” ნაკადს და, მოკლედ, გილოცავთ ახალ წელს!

www.iciparis.ge

*Live*  
jennifer lopez

new  
new



www.jenniferlopezbeauty.com

# ki no yvel az e di di si namdvi l e wl i s qar Tul i da evr opul i ki no

ni ni a kakabaZe

რა შეიძლება გავაკეთო მაშინ, როდესაც რედაქციაში მოკრძალებულად გთხოვენ: – წლის ბოლოა, ყველა ფესტივალზე იყავი, არც ქართული პრემიერები გაგიცდენია, დაგვინერე დასკვნითი სტატია კინოს შესახებო. რა უნდა ქნა, ალბათ უნდა დანერო. უზუნო ჩვევა, რომელიც ერთხელ დანერილ მასალასთან დაბრუნებას აპროტესტებს, უნდა მოიცილო და საახალწლოდ გული არ გაუტეხო გოგის (მთავარ რედაქტორს). ვიცი, დარდი არ მოკლავს, მაგრამ ვიფიქრებ, რომ ჩემს სტატიას ასე გულშემატკივრობს და ასე წუხს. მოკლედ, ასეა თუ ისე, უნდა შევაჯამო გასული წლის კინონიმუშები. როგორ შევაჯამო და რა უნდა ვქნა, ზუსტად არ ვიცი, მაგრამ გზადაგზა მოვიფიქრებ.

2005 წლის ქართული კინოს ისტორიაში ორი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კინოპრემიერის სახით. ორივე მათგანზე სხვა ბეჭდური მედიის საშუალებით ჩემი მოკრძალებული მოსაზრება გამოვთქვი. ახლა შევაჯამებ, თუ შევაჯავრებ. ფილმზე – „**მოგზაურობა ყარაბაღში**“ – რომ დავნერე, ერთ-ერთმა ყოფილმა კრიმინალმა ტყვია კინალამ დამახალა. ახლა იმავეს მეორეჯერ თუ გავიმეორებ, მგონი, ის ტყვია ნამდვილად აღარ ამცდება. მაგრამ, ისევე როგორც ექსპერიმენტი, რისკიც დიდად დასაფასებელი თვისებაა და არც ამაზე ვიტყვი უარს. თანაც ეს უკანასკნელი ფაქტი ძალიან ნიშანდობლივია ფილმის შეფასებისას.

აკა მორჩილაძის რომანში ომი, როგორც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი აბსურდი, „დაკარგული თაობა“, დაკარგული სიყვარული, შიში, აგრესია, უსამართლობა, სიკვდილი და კიდევ სხვა საინტერესო ნიუანსებია მოცემული. „როცა აგრესიაა, ყველაფერი იღლაბნება და ყველაფერს ერთ ფერში ხედავ. ამ დროს კი ყველაფერი ერთნაირი არ არის. როგორც ერთ ძველ ფილმში იტყვიან, არჩევა ყოველთვის შეგვიძლია. ეგ არის, რომ ვერ ბედავ და მერე სხვაზე ბრაზობ. მგონი, ეს წიგნიც ამაზეა“, – წერს აკა მორჩილაძე წიგნის მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში, რომელიც პირველი გამოცემიდან 12 წლის შემდეგ, შარშან,

ხელმეორედ გამოვიდა. დაგროვებული აგრესიის შედეგად მიღებული ომი, ეთნიკური კონფლიქტი, სადაც კვდები, სადაც გეშინია – ძალიან მოკლედ ასეა წიგნი და თითქოს ასეა ფილმშიც. ფილმის რეჟისორი, პატარა მონტაჟური გადანაცვლებებისა და რამდენიმე ჩამატებული დეტალის გარდა, თითქოს მიჰყვება წიგნის სიუჟეტს, მაგრამ იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომელიც წიგნში მინიმალურადაც არ არის მოცემული იმის გამო, რომ სურათი და გმირი ზედმეტად რომანტიზირებულია, იგრძნობა აშკარა ნოსტალგია იმ ეპოქის მიმართ. სამხედრო ფორმა, ავტომატი, განუკითხაობა, რაც ყველა რიგითს მეთაურად აქცევდა. იმ დროს ხომ ყველა გრძნობდა საკუთარ ძლევაგამოსილებას. იმის გამო, რომ ფილმი 13 წლის შემდეგ არის შექმნილი, იგრძნობა არა პირდაპირი და სწორხაზოვანი ნატვრა იმ პერიოდისა, არამედ წარსულის იდეალიზება, რომელიც, ძირითადად, მთავარი გმირის სახეში იკვეთება. სიმპათიური ახალგაზრდა ბიჭი, რომლის ნაციონალობასაც ახალგაზრდა ჟურნალისტი გოგონა „ზურგის ტვინით“ გრძნობს. მისი სახე არ არის ზუსტად რომელიმე „მებრძოლის“ მოდელი, ის უფრო დახვეწილია, თითქოს ისეთი, როგორც მაშინდელ „მებრძოლებს“ უნდოდათ, რომ ყოფილიყვნენ. გიომ (ფილმის მთავარი გმირი — მსახიობი ლევან დობოროჯვინიძე) იცის, რომ ნარკოტიკი ცუდია; გიოს უყვარს ქალი, ვის სიყვარულსაც მისი მეშხანური მიკროგარემო უკრძალავს; გიოს არ უნდა, იცოდეს – როგორია ადამიანის მოკვლა; გიოს არ სურს, რომ რუსი ბოზი ქალი მოსწონდეს და უნდოდეს; გიოს უყვარდა და დღესაც უყვარს ჯაზი. ეს და კიდევ რამდენიმე დეტალი აკლდათ იმდროინდელ გიოებს, დღევანდელი გიოები კი ისურვებდნენ, რომ 13 წლის წინ სწორედ ასეთები ყოფილიყვნენ. ფილმში ქართველი „მებრძოლების“ წარსული გაცილებით დახვეწილი და სიმპათიურია, ვიდრე სინამდვილეში იყო. სწორედ ეს მნიშვნელოვანი დეტალია, რაც ფილმის საბოლოო სახეს განსაზღვრავს. რადგან ლევან თუთბერიძის ნამუშევარი უკანასკნელი 12 წლის ქართული კინოს ისტორიის შემდეგ დასრულებულ კინემატოგრაფიულ ნაწარმოებად შეგვიძლია ჩავთვალოთ, ყურადღებას მის მხატვრულ მიღწევებსა



გასეირნება ყარაბალში

თუ ხარვეზებზე აღარ შევაჩერებთ. მნიშვნელოვანი ტენდენციებია. კინოვერსიის პირველწყაროში აგრესია და ომი, მხოლოდ ნეგატიური მხრით, არასწორხაზოვნად არის გადმოცემული. ფილმში ფარული ნოსტალგია იპარება გასული, ქაოსური ეპოქის მიმართ. ხელოვნება, როგორც ჩვენი არსებობის სარკე, თუნდაც უნებლიედ, წინა პლანზე სწორედ იმ ტენდენციებს წამოსწევს, რომლებიც ყველაზე პრობლემატური თუ მნიშვნელოვანია. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ ჩემი მოკრძალებული რეცენზიის შემდეგ ჯაზზე შეყვარებულმა ერთ-ერთმა „მებრძოლმა“ აგრესია ვერ დაფარა და ისიც, რომ კონფლიქტების თემისადმი მიძღვნილი ტელედებატების დროს შემოსულ სმს-ებში (რომლებიც ეკრანის ქვემოთ დარბიან) მოსახლეობა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას ისევ ბრძოლით, ომით, აგრესიული საშუალებებით ითხოვს.

კონფლიქტის, აგრესიისა და ომის შედეგად მიღებულ სურათს წარმოგიდგინს ლევან ზაქარეიშვილი 2005 წლის ქართული კინოპრემიერების ყველაზე პოპულარულ ფილმში – „თბილისი-თბილისი“. ზაქარეიშვილის ნამუშევარში რამდენიმე პატარა ფილმია, რომლებიც საბოლოო ჯამში იკვრება და ერთიანდება. პატარა ამბები თბილისის ცენტრალური ბაზრობის ტერიტორიაზე – შიმშილი, ქურდობა, გასაჭირი, სიკვდილი... ყოველივე ეს პატარა ქალაქის პატარა ტერიტორიაზე ხდება და ყველაფერს ვიდეოკამერით იღებს მთავარი გმირი, რომელიც ასევე პატარა ქალაქში ცხოვრობს. ერთი სიტყვით ფილმის მხატვრული ღირსებების შესახებ. აქ ორი გამოკვეთილი ნიშანია – ფილმის ტექსტუალური მხარე საშინლად პათეტიკური და ყალბია, გამოსახულება, ძირითადად, მეტად დამაჯერებელია და ბუნებრივი. ამიტომაც

ფილმის შეფასებისას მაყურებლის დამოკიდებულება ორად გაიყო: ერთნი, ვინც ვერ დაივიწყა ეკრანიდან წამოსული თითოეული გამონოვლი ყალბი ფრაზები და ისინი, ვინც ვერ ივიწყებს ეკრანზე გამოსახულ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ნამდვილ ისტორიებს, ურთიერთობებს, ემოციებს... დასამახსოვრებელი მაინც ეს პატარა ნეორეალისტური კინოსტორიებია, სადაც რამდენიმე მათგანი სწორედ იმ შედეგს გვისახავს, რასაც ქართველი „მებრძოლები“ მისტირიან და საქართველოს მოსახლეობა ითხოვს. ომისა და განუკითხაობის შედეგი, სადაც ლალატი, მკვლელობა, შიში, კაცთმოძულეობა ცხოვრების კანონზომიერებად იქცევა – ეს ადამიანთა ჩვეული სახეა და ყველაფერი, ისევე როგორც იტალიურ ნეორეალიზმში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საქართველოშიც სწორედ ომის შედეგია. ომის შემდეგ განსაკუთრებულად ზემოთ იწევს, ზედაპირზე ამოდის ჩვენი ადამიანური სისუსტეები, რაც ლევან ზაქარეიშვილმა საკუთარ ფილმში, ავად თუ კარგად, ვფიქრობ, რომ დროულად გამოიტანა.

2005 წელს საქართველოში ორი ყველაზე პოპულარული და აქტუალური ფილმი – „მოგზაურობა ყარაბალში“ და „თბილისი-თბილისი“ – საკუთარი თავის შესაცნობად, საკუთარი თავის ეკრანზე დასანახად შესანიშნავი საშუალებაა. კინო, როგორც ყველაზე ნამდვილი ხელოვნება, ყველაზე ნათლად და წარმატებულად ახერხებს, ჩვენი საკუთარი თავი დავინახოთ და სხვასაც ვანახოთ. ჩვენ, ვინც ომი გაიარა, ვინც მისი შედეგები დაინახა, ისევ ვითხოვთ ომს, ისევ ვკლავთ ერთმანეთს, ისევ ვიპარავთ და ა.შ. ჩვენი არაცნობიერი არსებობა თუ მსოფლმხედველობა ჩვენსავე, თუნდაც მხატვრული თვალსაზრისით ნაკლებად დამაკმაყოფილებელ, არასრულყოფილ კინონაწარმოებებშიც კარგად ჩანს.



Hidden

სადა, ნამდვილი და, რაც მთავარია, ცნობიერი კინონიმუში შექმნა მიხაელ ჰანეკემ, რომელიც 2005 წლის ევროპული კინოს ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად, საუკეთესო მხატვრულ ფილმად ევროპულმა კინოაკადემიამ აღიარა. ვინაიდან ვენეციისა და კანის კინოფესტივალებს დავესწარი და საუკეთესო ფილმები სწორედ იქ იყო წარმოდგენილი, გავკადნიერდები და ევროპული კინოაკადემიის გადანიშნულებას სრულად დავეთანხმები. ეს უკანასკნელი ნამუშევარი **“Hidden”** ჰანეკეს კანში ჰქონდა ჩამოტანილი.

„ოღონდ პოლიტიკურ ჭრილში ნუ განიხილავთ ჩემს ფილმს და სხვაგვარად, როგორც გენებოთ“, – თქვა ფილმის ჩვენების შემდეგ რეჟისორმა პრესკონფერენციაზე. მიუხედავად ამისა, ძალიან რთულია, ფილმის გაანალიზებისას პოლიტიკური სარჩული მთლიანად გამოვრიცხოთ. დენიელ ოტეის მთავარი გმირი ნიგნებში ჩაფლული ინტელექტუალია. მის მიერ ბავშვობაში დაჩაგრული ლიბანელი მსახურის პატარა ბიჭი ზრდასრულობაში ახსენებს თავს და ფილმის ფინალში მის თვალწინ ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით. ეთნიკური კონფლიქტი, რომელიც არა ომის, მაგრამ ინფანტილური აგრესიის სახით ვლინდება. მის დავინყებას ერუდიტი ევროპელი მთელი ცხოვრება ცდილობს. საგულისხმოა ფილმის ფინალური, უკანასკნელი ეპიზოდი – ლიბანელი კაცის თვითმკვლელობის შემდეგ ოტეის გმირი სახლში მიდის, საძინებელში შედის, ოთახს მთლიანად აბნელებს, ძილის ტაბლეტებს იღებს და იძინებს. „ინტელექტუალებსაც აქვთ ცოდვები და ისინიც ცდილობენ მათ დავინყებას“, — ამბობს მიხაელ ჰანეკე. მისი ინტელექტუალი გმირი თითქოს ლიბერალური, დახვეწილი, ერუდიტული ევროპის სახეა, რომელიც აშკარა ომს არ აწარმოებს ნაციონალურ უმცირესობებთან, მაგრამ მისი ზედაპირული, არაგულისხმიერი დამოკიდებულება თავისთავად ჩაგრულის მიმართ ხშირად არანაკლებ ფატალურ შედეგს იწვევს, ვიდრე ომი და ომში დაღუპული უდანაშაულო ადამიანები.

და აი, შეჯამების დროც მოვიდა. ორი ყველაზე პოპულარული ქართული ფილმი და მესამე – ევროპული კინოაკადემიის მიერ აღიარებული საუკეთესო ნამუშევარი. ყოველი მათგანი, ბუნებრივია, მეტად თუ ნაკლებად, მაგრამ იძლევა განსჯა-ანალიზის საშუალებას, ყოველი მათგანი იმას ასახავს, რაც, რიგ შემთხვევაში, ხილული, რიგ შემთხვევაში კი, ლიბერალური ნიღბის მიღმა იმალება. მიხაელ ჰანეკე ევროპულ, შენიღბულ ტოლერანტობას გაცილებით მაღალმხატვრულ კინონაწარმოებში ამხელს, ვიდრე ამას ქართველი რეჟისორები გვთავაზობენ. მაგრამ ქართველებიც 15-წლიანი კინოკრიზისის შემდეგ იმ თემებზე იწყებენ საუბარს, რაც აქამდე, სამწუხაროდ, მიუწვდომელი იყო. ხელოვნება და, განსაკუთრებით, კინოხელოვნება კი იმ ტენდენციებს ასახავს, რომლებიც, შესაძლებელია, ხშირ შემთხვევაში ჯერ კიდევ გაუაზრებელი და გაუცნობიერებელია. მაგალითად, თუკი დღეს ისევ განუკითხაობისა და ომის ნოსტალგია, როგორც საკუთარი წარმატებულობის ერთ-ერთი გარანტი, ისევ იგრძნობა, ეს იმას ნიშნავს, რომ ყველა ის კონფლიქტი, რაც ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ისტორიაში მოხდა, ისევ ჩვენ მიერ იყო ინსპირირებული – მიუხედავად იმისა, რომ ზაქარეიშვილის ფილმის მაგალითზე მისი შედეგებიც ნათლად დავინახეთ.

მთავარი დასკვნა, რომელიც სტატიის დასასრულს შემიძლია გავაკეთო, რომელსაც ბატონი გოგი რედაქტორი ითხოვს, ის გახლავთ, რომ კინოხელოვნება ყველაზე მეტად ასახავს სინამდვილეს და მას არც ერთი სიყალბე თუ ტყუილი არ ეპარება. თუკი უკანასკნელი 10 წლის ნამუშევრები სრულიად გამოფიტული, ცარიელი და არაფრის მთქმელი იყო, ესეც ჩვენი რეალური სახე გახლდათ იმ დროისთვის, ისევე როგორც თანამედროვე ფილმები. და ისიც ვიცი, რომ ბატონი რედაქტორი არც ამაში დამეთანხმება და აქაც კამათს დამიწყებს, მაგრამ ჩვენთან დემოკრატიაა და ჩვენ ჩვენს მოსაზრებებს თავისუფლად გამოვთქვამთ. ესეც, ჩვენი ქვეყნის თუ არა, რედაქციის რეალური სახეა.



# GAULTIER<sup>2</sup>

ორის ძალა

ორი წარმოდგენს პირველი ადამიანის გაყოფას. Zahlen und Gütter-ში (რიცხვები და ღმერთები) ერნსტ იუნგერი აცხადებს, რომ “მითები და პრიმიტიული დოკუმენტები გვიამბობენ თუ როგორ დაიწყო ახლის შექმნა ერთის გაყოფით. თავდაპირველმა ერთმა წარმოშვა მისივე კოპია საკუთარი თავის გარეთ. ამგვარად მან შექმნა ტოლფასი, მაგრამ სხვა, დუბლიკატი”.

გოტიე2 - გოტიე ხარისხად ორი

აღმაშფოთებელი, სკანდალური იდეები, მახვილგონივრული კომბინაციები და ჭკვიანური ოპტიკური ილუზიები, ტანსაცმლის მოდელების ელეგენტურობის ფონზე — ყოველივე ეს განასახიერებს ჟან პოლ გოტიეს — აგერ უკვე ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში მოდის სამყაროს პროვოკატორისა და მოსაწყენი პირობითობების დამანგრეველის — სტილს.

და რატომაც არა?! ჟან პოლ გოტიეს ფართოდ გაღებულ სამყაროში, ყოველივე რისი წარმოდგენაც შესაძლებელია, განხორციელებადი-ცაა.

ნუ იმსჯელებთ გარეგნული იერით. ეს სუფთა გოტიეა. გოტიე ხარისხად ორი.



ფლაკონი

პირველი შეხედვისას, ფლაკონი უდიდესი პარფიუმერული ტრადიციების შესაბამისადაა შესრულებული. მკაცრი ხაზები, გრაფიკული გეომეტრია. არც მამრობითი და არც მდედრობითი.

უეცრად ერთის ნაცვლად ორი ფლაკონი აღმოჩნდება ‘მოთამაშე’ მაგნიტური ‘საკეტი’!

სპილოს ძვლისფერი და შავი ლაკირებული კოლოფებიც კი თამაშის ნაწილს წარმოადგენენ — თითოეული მათგანი მეორე ნახევრის ძიებაშია.



სუნამო

# GAULTIER<sup>2</sup>

GAULTIER PARFUMS DE FRANCE PARIS



ჟან პოლ გოტიესათვის სუნამო ყოველთვის იქნება სამოსი, რომელსაც ჩვენ ყველაზე ახლოს ვატარებთ კანთან.

ამბრის საიდუმლო, გათავისუფლებული ყველაფრისგან გარდა მისი არსებითი ელემენტებისა, იძენს მასხივებელ გამჭვირვალობას, რაც წარმოაჩენს ორსახოვან, ამბივალენტურ გრძნობადობას, რომელიც სუნამოს უმთავრეს მახასიათებელს წარმოადგენს.

მუსკუსის გრძნობად აქცენტებს კანზე შემოაქვთ ახალი, ნაზად ეროგენული, თითქმის ცხოველური გრძნობადობა.

ვანილის ტკბილი, გამაერთიანებელი სალტე... ნაზი, ტკბილი და მათრობელი.

“მე მიყვარს (ვანილის) კანის (მუსკუსის) გამოცანა,” აცხადებს პარფიუმერი ფრანსის კურკჯიანი.





# რუსთაველის თეატრი

6, 13  
თეატრი

უილიამ შექსპირი

რომოს ბენეზოთ ანუ შოგის მეთოქმეცა ლამე

7, 14,  
22, 29  
თეატრი

ლესა ბუღაძე

ჭარისკაცი, სიყვარული, დაცვის პიჭი და...  
პრაზილიანები

8  
თეატრი

სამუელ შამთია

ბოლოს ბოლოდინები

15, 26  
28  
თეატრი

ილია ჭავჭავაძე

კაცია აღამიანი?!

27  
თეატრი


მის ყანელი

სტიქსი

დასაწყისი 19:00

მასე

რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა



# al ubl ebi gamyi nvar ebi s Semdeg anu gaape mkvdar i mdi nar i s t al Rebi

di di remontis Teatrebis  
Sedar ebi Ti daxasi aTeba

daTo buxr i ki Ze

„ბავშვები არ დარდობენ სახლზე, ისინი დარდობენ „სახლობანაზე“, რადგან გაიზრდებიან და მერე ველარასოდეს ითამაშებენ“ – ცნობილი აბსურდისტი მწერლის შეგონება ზოგადად ადამიანურია, თითქმის უკვდავი და როგორც ყველაფერი ნამდვილი, მწარე და უსიამოვნო მოსასმენი. მორიგი გაპარტახებული თეატრით (ვთქვათ, საგარეჯოს სახალხო) დაწყებული, ახლადგარემონტებული რუსთაველით დამთავრებული, ნამდვილი თეატრალური მოვლენა, გულწრფელი და ბავშვური „სახლობანა“ ურიცხვი მითების მიუხედავად, სანატრელი გახდა!

დაახლოებით ათწლიანი „დიდი თეატრალური გამყინვარება“ საქართველოში, რომელმაც საშიში ტირანოზავრები და უწყინარი ბალახისმჭამელები ერთნაირი შეუბრალებლობით მოინელა, შეიძლება ითქვას, რომ ერთმა უცნაურმა „ჯიდაიმ“ გააღწია. მართალია ამ ადამიანის სახელსა და გვარს გველნაკბენივით გაურბიან დიდი თუმცრო ხელისუფალნი და ხელოვანთა მეწინავენიც მის ხსენებაზე, რატომღაც მორცხვობენ ხოლმე, მაგრამ ალბათ, ყველაზე ურცხვ დროს უფრო ხმამაღლა შეიძლება გაიმეორო – დღევანდელი ქართული თეატრი ბიძინა ივანიშვილის გადარჩენილია! თუმცა როგორც წესი, ამის შესახებ მხოლოდ კადრსმილმა, ან ჩურჩულით ამჯობინებენ ლაპარაკს. ვისთვისაც უკვე გაცნობიერებულია რა ათწლეული გამოიარა „ბერიკებისა“ და „ტაკიმასხარების“ კლასმა, ვინც საკუთარ ტყავზე გამოსცადა ახალი თეატრის მშენებლობა და რუსთაველის, მარჯანიშვილის, თუმანიშვილის თეატრების მრავალწლიანი რემონტი, მისთვის ალბათ ახალი წელთაღრიცხვა დაიწყო. ამჯერად „დიდი რემონტის“ ეპოქის დასასრულის დასაწყისის შევეხებით.

„ალუბლის ბაღის“ პრემიერა მიხეილ თუმანიშვილის სახელობის თეატრში სწორედ დროისა და კონკრეტულად ამ თეატრის განახლების კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. რეჟისორ გიორგი მარგველაშვილისა და მხატვარ შოთა გლურჯიძის მიერ უბრალო, ყავისფერ ფიცარნაგზე გაშენებული „ბაღი“, შესაძლოა არ არის სტრუქტურის, ბრუკისა თუ შტაინის „ბაღზე“ უკეთესი. არც მხატვარ ეციო ფრიჯერიოს შექმნილი ლეგენდარული, სიფრიფანა და გამჭვირვალე დეკორაცია გაგახსენდებათ, არც შტაინის ჰიპერრეალისტური ატმოსფერო (ცხადია, გენიალური იუტა ლამპეს ჩათვლით რანევსკაის როლში) არც პიტერ ბრუკის უხილავი უბრალოებით შექმნილი მაგიური ატმოსფერო, არც ლუბიმოვის უკვე გაცვეთილი ქარიზმატულობა, მაგრამ სპექტაკლში ზუსტად არის

მოძებნილი მოქმედების აღმძრავი კამერტონი, რასაც ამ თეატრის ჰიპოთეტურად ახლობელი ადამიანი, სტანისლავსკი „გამჭოლ მოქმედებას“ უწოდებს. ეს არის დაშლილი ძველი ხის იატაკი, ანუ უსარგებლო თუ უვარგისი მამულის ნაშთები, რომელიც ყოველი მოქმედების ფინალში ნაწილ-ნაწილ მიემართება ზეცაში.

ლოპახინის (გია როინიშვილი) მხიარული, მაგრამ მუქარანარევი უშუალოებით ნათქვამი „გამჭოლი ფრაზა“ — „ყველაფერს ვიყიდის“, თუმანიშვილის შემდეგ ცოტა ცინიკურად, მაგრამ თვითგანაყოფიერების აუცილებელი შეგრძნებით უღერს. რანევსკაიას (ნინელი ქანკვეტაძე) მამული სხვაგვარად უბრალოდ, ვერც გადარჩებოდა. ვინ იცის, იქნებ ისტორიისთვის კარგიც იყო, რომ ამგვარი ლოპახინები არსებობდნენ; დაკომპლექსებული ვაჭრები და დახვეწილობის გზაზე შემდგარი ბურჟუები, რომელმაც მთელი ეს თავადაზნაურული თამაშები, ირონია, მომხიბვლელობა თუ იპოქონდრია ცუდად, მაგრამ ცოტა ხნით მაინც შეინარჩუნეს... თუმცა, პოეტისა არ იყოს, „ამაო იყო ყოველი...“ – ძალიან მალე არისტოკრატისაც და ბურჟუაზიასაც ბოლშევიკები არა შამპანურის სმითა და ზრდილობიანი ფორმით, არამედ პირდაპირი დამიზნებით გაანადგურებენ. და ეს იქნება უახლესი დროის (ტროფიმოვი, ეპიხოდოვი, აიაშა) შურისძიება არა გაკოტრებულ და პარიზში გაქცეული რანევსკაიას, არამედ „ალუბლის ბაღის“ ახალი, ჭკვიანი და საქმიანი მფლობელის, ლოპახინის მიმართ. პიესის დაწერიდან სულ რაღაც ათ წელიწადში რუსეთის ენციკლოპედიაში შეტანილი „მამული“, კიდევ ერთხელ შეიცვლის პატრონს; რანევსკაიას მოწყობილ საღამოებსა და ებრაულ ორკესტრს კი რევოლუციური სიმღერები და უხამსი „ჩასტუშკები“ შეცვლის.

როცა უყურებ გრძელ, მოსაბერებელ, ოთხსაათიან, და დეტალეზით დახუნძლულ სპექტაკლს, კონტექსტის გათვალისწინებით – ვის უნდა დაედგა თავის დროზე, ვინ ააშენა თეატრი გუშინდინ, ან ვინ გაარემონტა ფაქტობრივად, გუშინ – გასაგები ხდება რეჟისორის კონცეფციაც და გია როინიშვილის მიერ ნათამაშები ლოპახინის როლის მნიშვნელობაც. მაყურებელთა დიდ ნაწილს გაცნობიერებული აქვს, რომ გიორგი მარგველაშვილის „ალუბლის ბაღი“, მისი პედაგოგის ყველაზე დიდი, ფინალური ოცნება იყო და ამის შესახებ მიხეილ თუმანიშვილს ბრწყინვალე ესსეც აქვს დაწერილი. მაგრამ დღევანდელი გათვალისწინებით, წარმოდგენა სრულიად მოულოდნელ სოციალურ და ესთეტიკურ დატვირთვას იძენს. თითქოს ამ ოთხ საათში თეატრის განვლილი



ათნლეულები დაგუბდა და სწორედ მაშინ გადმოიღვარა, როცა „კაშხალი“ ჯერ კიდევ სავსე არ იყო; ან პირიქით, როცა უკვე ძალიან სავსე იყო. თუმცა ყველაზე სრულფასოვანი რეჟისურაც ვერ უძლებს დროის დრამატიზმსა და ლეგენდარული სპექტაკლებიც მხოლოდ მითების ამარა რჩებიან.

„ალუბლის ბაღი“ ათი წლის წინ რომ დაედგათ, ვერ იქნებოდა ისეთი და იმის შესახებ, რაზეც ახლა ითქვა. მიხელ თუმანიშვილის კონცეფცია სრულიად განსხვავებული, უფრო დახვეწილი და გარკვეული თვალსაზრისით, უფრო სენტიმენტალური იყო. მასთან მთავარი გმირები რანევსკაია და გაევი უნდა ყოფილიყვნენ, ახალ დროში და ახალ სპექტაკლში – მთავარი გმირი ლოპახინი აღმოჩნდა. გიორგი მარგველაშვილის რეჟისურაში და მსახიობთა თამაშში (წინელი ჭანკვეტაძე, გია როინიშვილი, გიორგი ბარათაშვილი, გია აბესალაშვილი, რუსუდან ბოლქვაძე, ზაზა მიქაშავიძე და ა.შ.) ნატანჯი სტუდიური მიზანსცენები, თუმანიშვილის დიდი და ლალი „მუშტრა“ და გარდასული იმპროვიზაციული ელვარება მაინც იგრძნობა. ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მაყურებლის აღქმაზეც. ამავე დროს, სწორედ წარსულის ცოდნა და ესთეტიკური გამოცდილება აგრძნობინებს მას, რომ ყველაფრის მიუხედავად, უკვე სხვა თეატრშია და სხვა რეჟისორთან და ამის არშემჩნევა უბრალოდ, ესთეტიკური სიბრმავე იქნებოდა.

მითი, რომ ჩეხოვი ქართველებისთვის წარუმატებელი ავტორია, უფრო მოსალოდნელი მარცხისაგან თავის დასაზღვევად მოგონილი. სინამდვილეში, თეატრალურ სამყაროში ჩეხოვი ისეთივე „ბრენდია“, როგორც სოფოკლე, შექსპირი ან ბეკეტი. მას საინტერესოდაც დგამენ, უფერულადაც, ფორმალისტურად და ეგზისტენციურ შრეებსაც უძებნიან. ამდენად, ჩეხოვის „ალუ-

ბლის ბაღის“ დადგმა თუმანიშვილის თეატრში, უკვე გათვალისწინებული თეატრალური წინაისტორიისა და შედეგის მიუხედავად, მნიშვნელოვანი მოვლენაა. უფრო ზუსტად, ეს არის წლების განმავლობაში „უმათოდ“ დარჩენილი თეატრის შესაძლებლობათა ერთგვარი ტესტი. მითუმეტეს, ჩეხოვით ტესტების ჩაბარება რეჟისორისთვისაც და მსახიობებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს. სხვა საქმეა როგორ მოახერხებს „ალუბლის ბაღის“ რეჟისორი ერთდროულად თეატრალური ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, თუმანიშვილის თეატრის მთავარ რეჟისორობასა და საკუთარი სამსახიობო ჯგუფის განვრთნას? ამ ყველაფრის შეთავსებას მინიმუმ 2,5 კაცი მაინც ჭირდება, მარგველაშვილი კი ერთია! რეჟორები თეატრალურ სფეროში ისეთ ტემპსა და კვალიფიკაციას ითვალისწინებს, რომ საუკეთესო გამოსავალი პედაგოგთა და რეჟისორთა კლონირებაა.

რაც შეეხება მეორე და, უფრო გიგანტურ სარემონტო „სუბიექტს“ — რუსთაველის თეატრს: აქ ყველაფერი უფრო გამოზომილი ტემპებით, მაგრამ გიგანტური მასშტაბებით მიმდინარეობდა. დიადი და არაკოსმეტიკური გარდაქმნების შემდეგ, თეატრი შეიცვალა და როგორც სპეციალისტები ამბობენ, ასეთი ლამაზი და ტექნიკურად სრულყოფილი არასდროს ყოფილა. ორგანიზების თვალსაზრისით არაფერი შეცვლილა, არც დირექტორი გაუთავისუფლებიათ სხვა თეატრების მსგავსად და სამხატვრო ხელმძღვანელიც ადგილზეა – რობერტ სტურუა ისევ ბევრს მუშაობს და ისევ ექსპერიმენტებს მიმართავს ახალგაზრდებთან. ახალი სეზონი ნოემბერში გაიხსნა, თუმცა მითოლოგიური „კავკასიური ცარცის წრე“ პუბლიკამ რამაზ ჩხიკვაძის ავადმყოფობის გამო მაინც ვერ ნახა. სამაგიეროდ, განახლებულ თეატრში ზედიზედ ორი პრემიერა - „სტიქსი“ და „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“ გაიმართა.



გარდა ამისა, რეპერტუარში აღდგენილია ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“ და შექსპირის „მეთორმეტე ლამე“.

...გია ყანჩელის რეჟიჟი – „სტიქსი“ ჩვენი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ალტისტი იური ბაშმეტს მიეძღვნა. იგი ალტის, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისთვის რამდენიმე წლის წინ დაინერა და მალე მსოფლიოს საუკეთესო ჩანაწერებს შორის მოხვდა. ამსტერდამში ამ ნაწარმოების პირველი შესრულების შესახებ მიტები და რეალობა ერთმანეთშია გადახლართული. სტურუამ წარმოუდგენელ ავანტიურასა თუ ექსპერიმენტს მიმართა – ყანჩელის რეჟიჟიზმზე ააცეკვა, უფრო ზუსტად, მუსიკაზე „აამეტყველა“ მსახიობთა სხეულები. 2003 წლის ნოემბერში, როცა ქუჩებში მიტინგები, დრამატული ტაშ-ფანდური და „მიშა, მიშა!“ ერთმანეთს ცვლიდა, რუსთაველის თეატრის სარეპეტიციო დარბაზში, მეექვსე სართულზე რეჟისორმა დაასრულა საშობი, წინასწარმეტყველური, პირქუში, მაგრამ ულამაზესი, 70-წუთიანი პლასტიკური ოპუსი უსიტყვო სხეულების ამაო, მაგრამ მნიშვნელოვან მღელვარებაზე.... ყანჩელის ლამის „მდუმარე“, მინიმალისტურ მუსიკაში (რეჟიჟიზმის ტექსტში ჩამოთვლილია კომპოზიტორის გარდაცვლილი მეგობრების სახელები) სტურუამ ერთი შეხედვით შეუთავსებელი ისტორიული, პოლიტიკური და არქექტიპული ამბები დააკავშირა და როგორც ჩვევია, წინასწარმეტყველებად აქცია.

თითქმის სტერილურ სითეთრესა და ქათქათა კოსტუმებს შორის, მხატვარი თემო ნინუა მოულოდნელად გაცვეთილ გაზქურასაც მოაქცევს, რომელიც მოგვიანებით ყოფითი სცენიური რეკვიზიტებიდან ტრაგიკულ სიმბოლოდ იქცევა. გინდ დაიჯერეთ გინდ არა, ეპიზოდი, როდესაც ზაზა პაპუაშვილის პერსონაჟი თავს

სახალხოდ, ყველას თვალწინ გაზით ინამლავს, პრემიერ ჟვანიას გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრეა დადგმული და უკვე განახლებულ, მოოქროვილ დარბაზში, პრემიერაზე აღიქმება, როგორც ირაციონალური და აბსურდული წინასწარმეტყველება. „სტიქსი“ მხოლოდ ნაწილობრივ ჩამოჰგავს ევროპაში ძალიან მოდური „ფიზიკური თეატრის“ ჟანრის სპექტაკლებს, თუმცა მისი ენა ერთობ განსხვავდება ვთქვათ, კრისტოფ მარტალერის, საშავალციის, ლუკ პერსევალისა თუ იოჰან კრესნიკის წარმოდგენებისგან. როგორც წესი, დასავლეთში „ფიზიკური თეატრი“ უკვე ათვისებულ Contemporary dance-ს ქორეოგრაფიულ ტრადიციას ეყრდნობა, სტურუა კი მსახიობთა დახვეწილი მოძრაობის უნარს „დრამატული შინაარსით“ და „ფიზიკური ზემოქმედებით“ აღვიძებს და არა წმინდა ქორეოგრაფიული საწყისით, რაც განსაკუთრებული გაუცხოების ეფექტს ქმნის. თითქოს „ცუდად“ წარმოდგენილ ქორეოგრაფიულ სანახაობას ესწრებით. სინამდვილეში ესეც გაუცხოების ერთგვარი ფორმაა, რაღაც საშუალო მუნჯ კინოსა და ქორეოდრამას შორის.

„სტიქსი“ არ ყოფილა სტურუას პირველი და განსაკუთრებული რევოლუციური გამოხდომა. დაახლოებით ათი წლის წინ მან სულ რამდენიმეჯერ წარმოადგინა მიმოდრამის მსგავსი „იაკობის სახარება“, რომელიც მთლიანად იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენას“ ეყრდნობოდა. თითქმის ექსპერიმენტულ და ცოტათი პროვოკაციულ სანახაობაში რეჟისორის კონცეფცია არამკვეთრად იკითხებოდა. ხოლო იმის მიხედვით, თუ რა ვიტალური შეგრძნებებით მოძრაობდნენ ზომიერად ნაკვები მამაკაცები, ან რა ტემპორიტით დასრიალებდნენ სიფრიფანა ქალები, გაუგებარი რჩებოდა „მესიჯი“ — რას თამაშობდნენ მსახიობები და რას ეძღვნებოდა

ეს „უცნაური“ სანახაობა? სამწუხაროდ, მაშინ, 90-იან წლებში ეს გაუგებარ ექსპერიმენტად მოინათლა, არადა თანამედროვე უღიმღამო და ფორმალისტურ-თეატრალურ სანახაობებს ის ნამდვილად ჯობდა.

ესთეტიკური თვალაზრისით სრული ჩავარდნა კარგად რეკლამირებული პრემიერა „ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და პრეზიდენტი“, რომელიც ლაშა ბულაძის პატარა პიესებს ეყრდნობა. სტურუასა და ბულაძის თანამშრომლობაზე თითქმის ხუთი წელია მითები ვრცელდება. ჯერ არსებობდა „პოლიტიკური კაბარეს“ ვერსია. შემდეგ ალაპარაკდნენ ახალ სახელწოდებაზე „პ.25. პ“ — ანუ „პატარა 25 პიესა“, თუმცა მიზეზები, რატომ დავიდა 25 პიესა ორ ვოდევილზე, დღემდე უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ამან ნორჩი დრამატურგის რისხვა გამოიწვია. სიმართლე ვთქვათ, ბულაძის ბიოგრაფიისთვის ეს სპექტაკლი ნამდვილად არ იქნება ზედმეტი, მაგრამ ისიც გაუგებარია, რა მოსაზრებით დატოვა პიესებიდან რეჟისორმა მხოლოდ „რქები და ჩლიქები“? ან რატომ მოამზადა მისგან ისეთი ცხარე, იაფი და იმპროვიზებული „კარნავალური ხაში“ რომ თვით თაყვანისმცემლებიც კი გაოცდნენ. არა მგონია თავად რეჟისორი ვერ ხვდებოდეს მსგავსი ნაძალადევი, „შაბათის შოუს“ ესთეტიკის სპექტაკლების „მავნებლობას“, მაგრამ ჩანს, გარკვეული თვალსაზრისით მიზანი სწორედ მძაფრი პოლიტიკური გროტესკი იყო და არა „წმინდა თეატრის კრიტიკა“.


სტურუას საოცარი, ლამის ინსტიქტური უნარი ნებისმიერ ტექსტში, შექსპირიდან ბულაძემდე, აღმოაჩინოს თანამედროვე საზოგადოებისათვის აუცილებელი, დროული და განზოგადებული სათქმელი, სამწუხაროდ მიუწვდომელია ახალგაზრდა რეჟისორებისთვის. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ უკანასკნელნი უფრო სამთავრობო ტაშ-ფანდურის ორგანიზებით, ქუჩის კონცერტებითა და დიდი და მომცრო აღლუმებით არიან დაკავებული და საკუთრივ თეატრისთვის ნაკლებად იცლიან. ისე კი, ყველაზე უცნაური და საშიში თეატრალური ექსპერიმენტებითაც ახალგაზრდები უნდა იყვნენ დაკავებულები და არა ღვანღმოსილები. თუმცა ეს უკვე სხვა ოპერედანაა... ოპერაზე გამახსენდა. „სუყოს“ შეპირებულ რეფორმებს ოპერაში და მის გადაღმაც ჯერ კიდევ ელიან. ისევე როგორც „დოის“ სადღაც, უმოტივოდ გახარჯულ პოეტურ ენერგეტიკას და „ჭოლას“ ჯერ მიულწეველ, ფაქიზ კარნავალს.

რუსთაველის თეატრის გიგანტურ სცენას სიღრმიდან სტალინი დაჰყურებს, რომელიც ერთდროულად მადამ ტუსოს მუზეუმიდან დროებით გამოთხოვილ ექსპონატსა და კომანდორის ქანდაკებას ჰგავს. მისი ფიგურა დრო და დრო ავბედიტი წითელი ფერით ნათდება. თითქოს ამ გამაფრთხილებელი შეფერილობით ჩვენი პოლიტიკური ელიტა – ხვანჯარჩახსნილი პრეზიდენტით დაწყებული, სახელმწიფო მნიშვნელობის ატროკებული

ქალებითა და დაცვის ბიჭი ენრიკოთი დამთავრებული, ადამიანის უფლებათა მთავარი „დამცველის“ შენიშვნას იღებდეს. ანგელოსთა მცდელობის მიუხედავად, ჯარისკაცი ვალიკო უხამს ანგედოტს ბოლომდე მაინც არ უსმენს. არც პრეზიდენტი უგდებს ყურს ჭკვიანურ რჩევებს და კანცელარიაში მრავალსერიანი სამბა-რუმბა აქვს გამართული.

მიუხედავად, იმისა, რომ სტურუა არასოდეს არის მორალისტი, იგი თავს ნებას აძლევს ბახის პასიონის პათეტიკის ფონზე, დახვრეტილი სტომატოლოგის სახელით შეგვახსენოს, რომ 30-იანი წლები და დასმენები მოჩვენება არ ყოფილა. გვამებით მოფენილი კანცელარია ფინალში შეიძლება აღიქვას როგორც პაროდია ელსინორის სასახლეზე, ან როგორც ცუდი სიზმრის ტრანსფორმაცია შექსპირის ან კელდერონის პიესაში. მითუმეტეს, რომ ანგელოსიც გვამცნობს, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო! საერთოდ, სჯობს, რომ სტურუას წინასწარმეტყველური ხუმრობა არ ახდეს და თავი პაკის სიტყვებით დავიმშვიდოთ „ზაფხულის ღამის სიზმრიდან“: „და რაც აქ ნახეთ სიზმარი იყო“.

„მესამე სარემონტო სუბიექტს“ — მარჯანიშვილის თეატრს ჯერ კიდევ ხარაჩოები მოსავს და მთლიანად „ცხოვრებისეულ ჟანრზეა“ (ასე აწერია ხოლმე გაქირავებაში გარკვეულ ვიდეოკასეტებს) გადართული. მშენებლობა, თანხები, დანიშვნები, რეპეტიციები. როცა თეატრისთვის ბოლომდე მოიცლიან, ყველაფერი დასრულდება და წარმოდგენებიც გაიმართება, ვრცელ ოპუსსაც მივუძღვნივით. ისევე როგორც რემონტს მიღმა დარჩენილებს — სარდაფს, თავისუფალ თეატრს, სამეფო უბნისა თუ ათონელზე მდებარე თეატრებს. სხვათა შორის, სწორედ სამეფო უბნის თეატრში დაიდგა პუბლიცისტური ჟანრის საინტერესო სპექტაკლი „ზღვა, რომელიც შორია“, რომელიც აფხაზეთის თემას ეძღვნება და რომელიც სანქტ-პეტერბურგიდან დაბრუნებულმა თემურ ჩხეიძემ დადგა. ათონელზე კი ევროპაში გადახვენილ ქართველ „ემიგრანტებზე“ გულს ემიგრანტი რეჟისორი ირაკლი აფაქიძე აგიჩუყებთ. მითუმეტეს, რომ ორი შესანიშნავი მსახიობი — ზურა ყიფშიძე და გოგა პიპინაშვილი ლამის ჰიპერრეალისტური მანერით წარმოადგენენ შორეულ ჰოლანდიაში, რომელიც მეგაპოლისის „ფსკერზე“ დაშვებული ქართველი კაცების ფსიქოდრამას.



# 2005 w l i s m o k l e m u s i k a l u r i m i m o x i l v a

l a S a g a b u n i a



**R**olling Stones  
**A**Bigger Bang



**N**eil Young  
**P**rairie Wind

თითქოს რაღას უნდა ელოდო იმ ჯგუფისგან, რომლის არსებობის ასაკმა უკვე კარგა ხანია, 40 წელს გადააბიჯა. თუმცა ამ ალბომმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა და გამოსვლისთანავე მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მუსიკალური ჩარტების სათავეებში მოექცა. ჯგუფის წევრებმა კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) დაამტკიცეს, რომ მათი, როგორც მუსიკოსების, „ჩამონერა“ ძალიან ადრეა და ახალგაზრდული შემართება ოდნავადაც არ განელებიათ. ლეგენდარული როლინგების ახალი ალბომი ახლაც დიდი რაოდენობით იყიდება.

60 წლის იუბილესთვის მშვენიერი და მელოდიური სოლო ალბომი გამოსცა ლეგენდარულმა კანადელმა ბარდმა ნილ იანგმა. ბევრი ახალგაზრდისთვის ნილ იანგი უფრო კინომუსიკითაა ცნობილი, რომელიც დაწერა და დაუკრა ჯიმ ჯარმუშის ფილმისთვის – Deadman. თუმცა მისი ძველი სიმღერა Harvest Moone დღემდე პოპულარულია. მან დაიწყო კვარტეტში – Crosby, Stills, Nash & Young, შემდეგ გააგრძელა Buffalo Springfield-ში, 1969 წლიდან კი სოლო კარიერას მისდევს. 2000 წლის შემდეგ ოფიციალური ალბომი არ გამოუციათ.



**V**an Der Graaf  
**G**enerator  
**P**resent



**P**aul McCartney  
**C**haos And Creation In  
The Backyard

27-წლიანი პაუზის შემდეგ ეს ძველი ბრიტანული პროგრესივ-ჯგუფი უძლიერესი ორდისკიანი ალბომით – Present – დაბრუნდა. კომპოზიციები სუფთა „ვანდერგრაფული“ ძველი ხელნერით ზედმეტად უზადოდაა შესრულებული. რომანტიკულ-დრამატული ჰემილის ვოკალი გასული საუკუნის 70-იანი წლების ელექტრო-ორღანისა და სასულე ინსტრუმენტების ხმების ფონზე ჟღერს. მეორე ფირფიტა უფრო რთული, ხანგრძლივი იმპროვიზაციული მუსიკითაა გაჯერებული, რომელშიც ერთმანეთშია შერწყმული: არტი, ჯაზი, ბლიუზი და, გარკვეულწილად, ავანგარდიც.

პოლ მაკარტნის ახალი ალბომი მის ტრადიციულ ხასიათშია. გამოსვლისთანავე დისკი მოხვდა 14 ქვეყნის, მათ შორის, ამერიკისა და ინგლისის ჰიტ-პარადების 20 საუკეთესო ალბომს შორის. ერთ-ერთ სინგლში Jenny Wren სომხური დუდუკიცი კი ჟღერს. პოლის განმარტებით, სიმღერა Friends To Go მას შემდეგ დაიწერა, რაც სიზმრად გარდაცვლილი ექს-ბითლზი ჯორჯ ჰარისონი გამოეცხადა და მელოდიის მოტივი უკარნახა, რომელიც მაკარტნიმ გამოლვიძებისთანავე ქალაქზე ჩაიწერა. სიმღერა მართლაც ჰარისონის სტილშია ნამღერი. საბოლოო ჯამში, ალბომი ძალიან შინაურული და მელოდიური გამოვიდა.





**Depeche Mode**  
Playing The Angel

რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ 80-იანი წლების უთვალსაჩინოესი ბრიტანული კოლექტივი „დეპეშ მოდი“ ახალი ალბომით კვლავ ყურადღების ცენტრშია. გამოსვლის პირველ დღეებში **Playing The Angel** საოცარი რაოდენობით გაიყიდა და მაშინვე საუკეთესო ალბომების სიებში მოხვდა. არსებობის 25 წლის მანძილზე ჯგუფს თითქოს უკვე უნდა მოეზრებოდა ყოველგვარი ექსპერიმენტი ხმაზე, მაგრამ ეს ასე არ მოხდა და უკვე მერამდენე თაობაა, „დეპეშები“ სულ უფრო მეტ თაყვანისმცემელს იძენენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით.



**Coldplay**  
X & Y

შეიძლება თამამად ითქვას, რომ „ქოლდფლეის“ ახალი ალბომი ალბათ 2005 წელს გამოსულ საუკეთესო ალბომებს შორის დასახელდება. ნომინანტად მაინც წარადგინენ სერიოზულ მუსიკალურ დაჯილდოებებზე. **Coldplay** მსოფლიოს იმ იშვიათ ჯგუფთაგანია, რომელმაც პირველ ალბომშივე გამოკვეთილი საკუთარი ხელწერით მიიპყრო ყურადღება. ალბომი **X & Y** 18 თვის განმავლობაში 8 სტუდიაში იწერებოდა და დღის სინათლე 6 ივნისს იხილა. ის ძალიან შთამბეჭდავი და მუსიკალურად მდიდარი გამოვიდა. მისი ცალკეული სიმღერები დღესაც ჩარტების სათავეებშია.



**Nick Cave**  
The Proposition

ნიკ ქეივმა 2004 წლის მიწურულის ორდისკიანი (**Abattoir Blues / The Lyre Of Orpheus**) წარმატება არ იკმარა და წელს მისავე მევიოლინესთან ერთად გამოუშვა შესანიშნავი საუნდტრეკი. მუსიკა დანერვილია ფილმისთვის – **The Proposition**, რომლის სცენარისტიც თავად ნიკ ქეივია, რეჟისორი კი – ჯონ ჰილკოუტი. მოქმედება ავსტრალიაში ხდება. დისკზე დასული მუსიკა ფოლკლორულია და ამავე დროს ემბიენტურიც. ქეივი მასში ცოტას მღერის და ბევრს უკრავს.



**Nine Inch Nails**  
With Teeth

რელიზიდან პირველსავე კვირაში ამერიკული ინდასტრიალ-მუსიკის ლიდერებმა 274 000 კომპაქტი გაყიდეს. მსგავს წარმატებას **NIN**-ის მხოლოდ 1999 წლის ალბომმა **Fragile** მიაღწია. „ბილბორდის“ გამოკითხვების მიხედვით, დეკემბრის დასაწყისში გაყიდული დისკების რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა. ამ ალბომს ტრენტ რეზნონისა და ჯგუფის თაყვანისმცემლები 6 წელს ელოდნენ. მუსიკალურმა კრიტიკოსებმა ალბომი უმაღლესი ქულებით დააჯილდოვეს. ხუმრობით რომ ვთქვათ, 2005 წლის დადგომა მუსიკის სამყაროში თუნდაც ამ დისკის გამოშვებისთვის ღირდა.

# მუსიკა

თავი კვირკველია



რა მოხდა საინტერესო გასული წლის განმავლობაში ელექტრონულ სცენაზე? 2005 წელს არც რეივი აფეთქებულა და არც "ACID JAZZ"-ის ბუმს მოუტავს მთელი ევროპა. ეს ყველაფერი ერთხელ უკვე მოხდა. მოკლედ, გასული წელი მაინცდამაინც დიდი ნოვაციებით არ გამოირჩეოდა, ძირითადად პროგრესივი (რატომ ქვია პროგრესივი მე მაინც ვერ გავიგე) ზეობდა და საკმაოდ დიდ ხანს გასტანა მოდამ მასზე, ალბათ ისევ თავისი სინთეზურობის გამო! წლის ბოლოს პოზიციები, თუ არ ვცდები, მინიმალ-ტექნომ გაიმყარა.







როც მუსიკისგან განსხვავებით, სადაც გასული წლები ჯგუფების გამოცდილებას და რეპუტაციას ამყარებს, ელექტრონულ მუსიკაში, რომლის დიდი ნაწილი საცეკვაოდ და კლუბებში "დასატრიალებლად" იქმნება, კადრების ინტენსიურ როტაციას მოითხოვს, თუმცა მაინც არიან ერთეულები, რომლებიც ათწლეულებს უძლებენ და მათი ყოველი ახალი ალბომი თუ საკონცერტო ჩანაწერი გარკვეული სიახლის მატარებელია და არ აკლია ინტერესი აუდიტორიის მხრიდან.

დიდი ნოვაციები არ არის, მაგრამ გამოსული ახალი ალბომებით არც ისე უინტერესო იყო ეს წელი. ყველა სიახლეს, რა თქმა უნდა, არ და ვერც შევხებები, უბრალოდ კარგ, "წონიან" ალბომებზე და იმ რელი-

ზებზე მოვახდენ რეაგირებას, რომლებიც ცნობილ სახელებს უკავშირდება.

რახან პროგრესულ ახალგაზრდობას "პროგრესივი" ართობდა თითქმის მთელი წელი, ჯერ მისი "საჩუქრები" მიმოვიხილოთ. მართალია, დღეს უკვე ეს მუსიკა სხვა მიმართულებით "უბერავს", მაგრამ გააჩნია რა უნდა მსმენელს. სმენელი შეიძლება გაჯიუტდეს — მე მიყვარს ჩემი ღრმა, ემოციური და ტკბილი ჰაუსი(რამდენადაც შეიძლება ჰაუსი ასეთი იყოს)! მორჩა და გათავდა - ვეღარ აუხსნი, რომ დღეს თავმოყვარე ადამიანი მინიმალის მარტივი რითმით და ორიოდვე სპეცეფექტით უნდა იყოს მოხიბლული, თან იძახდეს - აუ მაგარია(მეტს მინიმალზე მართლა ვერაფერს იტყვი რაც არ უნდა კარგი იყოს, სპეციფიკა აქვს ასეთი)!





შეიძლება პროგრესივი პოზიციებს თმობს, მაგრამ არა კრის ფორტიე (Chris Fortier). ის ცდილობს ამ მუსიკას კიდევ ერთხელ უბიძგოს წინ ალბომით Balance 007". ხმამაღლაა ნათქვამი, მაგრამ სამართლიანად.





“Hernán Cattáneo” არგენტინელი დიჯეია. პოლ ოკენფოლდის პროტექტორობამ ხელი შეუწყო მას მსოფლიოს გაეცნო, თორემ ნიჭიერ ხალხს არგენტინაში რა გამოლევს. კატანეო, ძირითა-

დად, ორგანულ, ღრმა, სექსუალურ ჰაუსზე (აი ზემოთ რომ ვთქვი ისეთზე) მუშაობს. წლის დასაწყისში გამოუშვა ალბომი “Renaissance: The Master Series, Vol. 2” ეს არის წმინდა ნყლის “პროგრესივი”, სადაც ბევრი “მასტერის” რემიქსია შესული. ალბომს ხურავს “Underworld”-ის კლასიკად ქცეული “Mo Move”-ს კატანეოსეული რემიქსი.

“Sasha” - მუსიკოსია, პროდიუსერი, დიჯეი და კიდევ კაბელების და სინთეზატორების არატრადიციული შეერთებით რაღაც ახალ ეფექტებს იგონებს. მის ბოლო რელიზსაც ეტყობა “ცელქი” გონების მიერ დაღვრილი ოფლის წვეთები. ამას იმიტომ ვამბობ, რომ “Fundacion NYC” არ არის უბრალოდ ფულის გასაკეთებელი ალბომი, დაიხარჯა ბიჭი!

რა ისმის საინტერესო ტექნოს ბანაკიდან? ვგულისხმობ და ყურადღებას შევაჩერებ მინიმალ-ტექნოზე, მის მოძმე მეტა-სტილებთან აშკარა პრიორიტეტის გამო. აქ, ძირითადად, ისევ ძველი სახელებია საინტერესო. Richie Hawtin, Stewart Walker, Thomas Brinkmann, Jeff Mills.

Richie Hawtin (ცნობილი ასევე როგორც Plastikman), კლუბებში 17 წლის ასაკიდან “ტრიალებს” და ბევრს მუშაობს სადიჯეო ტექნოლოგიების გაუმჯობესობაზე. 2005წლის ალბომი უფრო პროფესიონალებისთვის უნდა იყოს საინტერესო, ვინაიდან ალბომი “transition” დიჯეებისთვის განკუთვნილი სემპლებია. სანერვიულო არაფერია, ამით “transition” სახლის პირობებში მოსასმენად ნაკლებ საინტერესო სულაც არ არის. თუ უსმენ Plastikman —ს, შენ ჯერ კიდევ შეგიძლია თქვა, რომ უსმენ მუსიკას, მაგრამ თუ Stewart Walker



– საც უსმენ - შენ არ უსმენ მუსიკას, შენ უბრალოდ უსმენ! მსგავსი ტიპის სიამოვნების გასაფართოვებლად იქონიეთ უოკერის 2005 წლის "Grounded in Existence"

გერმანელი ექსპერიმენტატორი მუსიკოსი, საკუთარი ლეიბლების (Max Erns, Suppose) მფლობელი თომას ბრინკმანი (Thomas Brinkmann) თავის დროზე არორდინალური აზროვნების გამო დიუსელდორფის აკადემიიდან დაითხოვეს. სტანდარტებისგან შორს დგას არა მხოლოდ მისი მუსიკა, არამედ მისი შესრულების მანერაც. ვინილზე ორი ნემსით მუშაობა ამ ტექნო ნოვატორის ხელწერაა. ეს იყო 90 იანებში, 2005 წელს კი თომასმა მეცამეტე LP ალბომით გაგვახარა - "Lucky Hands" ეს არის ჭკვიანი Dub - Techno მორისეის (Mossey) და ნატალი ბერიდის (ასევე ცნობილი როგორც ტუსია, TBA) ვოკალით. იქნებ ისიც ტუსიას დამსახურებაა რომ მეორე თრეკის დასაწყისში რითმი ხორუმს წაგავს რალაციით.

ტუსიას შემოქმედებითი მოღვაწეობა გასული წლისთვის მხოლოდ თომას ბრინკმანთან ვოკალური თანამშრომლობით არ შემოიფარგლება. რიგით მეორე ალბომს "Annule" ტუსია სწორედ ბრინკმანის ლეიბლზე (Max Ernst) უშვებს. ძნელია ამ მუსიკისთვის სახ-

ელის დარქმევა, ექსცენტრული დაუნტემპო, სასიამოვნო, ზოგჯერ მელოდიური ვოკალით, მინიმალ ტექნოს რითმები და დაჩეხილი კლავიშები. ალბომის ლირიკა პოლიტიკით არის გაჯერებული, რაც ძალიან უცხოა ელექტრონიკისთვის.

Jeff Mills უფრო "Detroit Techno" — ს წარმომადგენელია, თუმცა ამერიკული ტექნოს ლეგენდას სტილისტური სახეცვლილებები ხშირად ახასიათებს. ალბომ-კომპილაციაში "Purpose Maker Compilation" ადრეული 90 იანების დეტროიტულ ტექნოსაც მოისმენთ და რალაც ახალსაც.



საინტერესო შენამატია ნიუ-ჯაზის (ელექტრონული ჯაზი, თუ გინდათ ასე დავარქვათ) რიგებშიც. "Jazzanova"-ამ ბერლინიდან, გამოუშვა რემიქსების კომპილაცია The Remixes 2002-2005". ეს არის სხვა ცნობილი მუსიკოსების (Roy Ayers, Nu Spirit Helsinki, Shawn Ecoffery) თემები, ძირითადად ბოსა-ნოვას რითმულ წყობაზე აგებული.

დეუეტი "Tosca", 2003 წლის საკმაოდ ავანგარდული და ჰალუციანაციური ალბომის "Dehli9"-ის შემდეგ, ბევრად უფრო ადამიანური

jeff mills



Autechre untitled




სიტბოთი გაჟღენთილ "J.A.C"-ს გვთავაზობს.

მოკლედ, "Jazzanova"-ს და "Tosca"-ს შემდეგ რითმი 120 bpm ის ქვემოთ მკვეთრად დავარდა. "გაჩილაუთების" მოყვარულთათვის აღსანიშნავია "Lemon Jelly" ის "64-'95". ალბომი საინტერესოა იმით, რომ მასში ძირითადად გამოყენებულია სემპლები 1964 დან 1995 წლამდე არსებული პოპულარული მუსიკალური სტილებიდან და ოი საოცრებაჲ! მუსიკა, მაინც ერთ მთლიან ალბომად არის შეკრული.

"ჩილაუთ" და "დაუნტემპო" კომპილაციებზე ისევ დიდია მოთხოვნა პრივატული მოხმარებისთვის. კიდევ უფრო თუ დავეშვებით დაბლა, არ ვგულისხმობ მხოლოდ დარტყმებს წუთში, ამ წლის Café del Mar -ის სერიაშიც ვიპოვით ერთი-ორ ღირსეულ კომპოზიციას.

მსუბუქი მუსიკა კარგია, მაგრამ რა ვქნათ თუ ჩვენი გარყვნილი სმენა ვერ ისვენებს თუ სულ უფრო არ გაირთულა ცხოვრება? მე პირადად მიზიდავს, ო როგორ მიზიდავს! ის მუსიკა, რომელსაც პირველი მოსმენის დროს ვერ ვგებულობ, არ მომწონს კი არა, ვერ ვგებულობ. სამაგიეროდ რამოდენიმე ჯიუტი მცდელობის შემდეგ ყველაფერი გასაგები და ორმაგად სასიამოვნო ხდება. რა საზრდო მივიღეთ

გონებისთვის IDM —ისგან ამ წლის განმავლობაში? მიუხედავად იმისა რომ IDM აბრევიატურის შინაარსიდან გამომდინარე (Intelligent Dance Music) საცეკვაო მუსიკა უნდა იყოს, მე ვერასდროს ვიცეკვებ მასზე. ვინ შეიძლება გაგახსენდეს ამ გაურკვეველობის დროს თუ არა "Autechre". დუეტის მეთოდი ცნობილია — სინთეზატორების, სემპლერების, დრამ მანქანების ხროვა იმისათვის რომ შეიქმნას მოკლე ხშირად განმეორებადი ფრაზები, რაც გარკვეულ



რიტმულ ნახატს ქმნის. რიტმის ტრადიციული გაგების გარეშე, აქ ბგერის ტექსტურა ან მელოდია შეიძლება იქცეს რიტმად! აი ასეთებიც ხდება ამ პოლირიტმულ ანდროიდებთან. ახალ ალბომს რაც შეეხება “Untilted” აქ არც სახელია საჭირო და არც განსაკუთრებული რეკომენდაციის განევა. უნდა მოუსმინო თუ მაინცდამაინც ცეკვა არ გინდა. (მე განსაკუთრებით მეოთხე თრეკი მომეწონა “Augmatic Disport” 10 წუთიანი მოგზაურობა სადღაც საეჭვო ასოციაციების თანხლებით, არადა სრულიად ფხიზელი ვუსმენდი)

შედარებით მსუბუქი IDM ით “Erast” (Nikakoi, ნიკა მაჩაიძე) “გვირთულებს” ცხოვრებას. ალბომი “Cyberpunk” თამაშია. თუ ინტრომ არ შეგაშინათ თამაში დაწყებულია და 16 საინტერესო ეტაპს გაივლით. თამაშის წესებს ხმოვანი ლაბირინთები ქმნიან. ეს მართლა საინტერესოა!

ვერც დიდი კინო გადაურჩა ამ ნელს ელექტრონულ სუსსს და ბიორკის მახინჯ ფანტაზიებს, თუმცა ლარს ფონ ტრიერის მაგალითზე უნდა ვიცოდეთ, რომ როგორი მუსიკოსიც ხარ, რეჟისორიც ისეთი შეგხვდება. ამჯერად ბიორკი არანაკლებ Freaky რეჟისორს - მეთიუ ბარნის გადაეყარა და ჩაწერა ალბომი-საუნდტრეკი “The Music




Drawing Restraint 9”, მთელი თავისი უცნაურობებით და მოსალოდნელი საშინელებებით. რა თქმა უნდა, მოსმენად ღირს.

და აი, ის სახელებიც, დიდი სახელები! დრო რომ ვერაფერს დააკლებს?! ჩვენ, ყველა შემთხვევაში, 10 წლის შემდეგაც გაგახსენდება, კიდევ თუ რამეს ინამუსებენ, და ალბათ ვიტყვით — აბა, როგორ არ რცხვენიათ, რა დროს ესენი არიან?

ჩემი დაკვირვებით, ავტორიტეტები, ძირითადად, დაზღვეულ თამაშს თამაშობენ - ყოველი ახალი ალბომი უნდა ინარჩუნებდეს იმ საფირმო ნიშას, რის გამოც დიადები გახდნენ და ამავე დროს არ უნდა ჩამორჩნენ დროს.

რა თქმა უნდა, ორბიტალის (Orbital) ახალ კომპილაციას, რაც არ უნდა პლატინის იყოს, გენიალურს დღეს ვეღარ ვუნოდებთ, მაგრამ ის, რომ ორბიტალმა თავის დროზე ჩვენი სმენა სხვა ორბიტაზე გაიყვანა - გვახსოვს და თუნდაც ამის გამო შეიძლება დავინტერესდეთ მისი ახალი რელიზით: “Halcyon: The Platinum Collection”.

ჯგუფი კრაფტვერკი (Kraftwerk) იგივეა ელექტრონიკის-



ვის, რაც ელვისის ბარძაყები როკენროლისთვის! გერმანელმა ვეტერანებმა ც(სხვა საბრძოლო ფრონტიდან), გაიმეტეს ერთი საკონცერტო ალბომი "Minimum Maximum", რომელშიც ხარისხიანი თუ არა, საკმაოდ დიდი მასალა მაინც არის შესული!

"The Chemical Brothers" ალბომით "Push the Button", ჩარტებში ლიდერობით და MTV-ის ჯილდოებით უკვე პოპის ფენომენია და ამაში არაფერია ცუდი!

მობი (Moby) ველარ იმეორებს "PLAY"-ის წარმატებას, მაგრამ "Hotel"-ში საინტერესო მაინც ბევრი რამ არის - ელექტრო დისკო, მობისთვის ჩვეული ბალადები და უჩვეულო ემბიენტ კომპოზიციები. აღსანიშნავია "მობიზირებული" New Order -ის "Temptation".

თუ დაილაღეთ ყველაფერი დახვეწილისგან, რიჩარდ ჯეიმსი, იგივე "Aphex Twin" ხომ გახსოვთ, აი, ვინ გჭირდებათ თქვენ! აიღეთ მისი ალბომი "Hangable Auto Bulb" და ხმამაღლა მოუსმინეთ. ეს არის გაურკვეველი ექსპერიმენტები რეივის ენერჯით და შიზო-ჯანგლი. რამ გადარია ეს ბიჭი?

კიდევ ერთი ქართული შენამატი მსოფლიო ელექტრონულ აურზაურში.

მადლობა ღმერთს (ციფრულს თუ ტრადიციულს)! ქართული, ამ შემთხვევაში, არ ნიშნავს იმას, რომ კომპოზიციის დასაწყისში ან შუაში მაინც ჩაკრულოს, ლილეოს და ხასანბეგურას მოვისმენთ შეპარულად, მოდურ რითმებზე ლამაზად მორგებულს. არა, არაფერი მსგავსი! ქართული ჩანანერი, თურმე, შეიძლება ნიშნავდეს ამათუ იამ ჟანრის ტრადიციების დაცვას პრეტენზიული ქართული ეთნიკური მინარევების გარეშე. ჟორჯიკას ალბომი "01" კარგ დასაწყისს უნდა ნიშნავდეს(მას ალბათ მოყვება "02" "03" და ა.შ.). საერთოდ, მინიმალიზმი, რა ჟანრშიც არ უნდა ვლინდებოდეს ის, "გახალტურების" დიდ შანსს იძლევა და ყველაფერი ადვილად შეიძლება შემოქმედის რთულ ამოცანას მიენეროს. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ეს "01"-ს არ ეხება. მუშაობს ყველაფერი - სასიამოვნო ხმოვანება და "ამყვანი" რითმები.

აი, მეცხრე თრეკმა კი ნამდვილად ნევროზი დამმართა, მოუსმინეთ - გამიგებთ!

this war is going to be controlled by the navies of the United States and Britain. Nothing else, no treaties, no agreements will do it. We must make our own peace and keep it."

where smaller Diesel drive generators that produce the current for the vast and intricate electrical system which controls the operation of the ship.

#### View of Operative

Most dramatic feature of yesterday's test run was the... of the ship... will come day... the ship was... light... task... That tank... the big... the open... steel deck... plates, brings the... of the Ohio.

Every ship that leaves the American Bridge Company's dock is completely equipped... from the quarters of... in the refrigerators... and surgeons' instruments... tiny hospital.

Proceeding of the trial... the 282, a sister ship, the... launched from the ways... transfer area of the yards... of the launching was Mrs. Ethel Loserman, a welder... navy plate yard at Ambridge... smoked the traditional bottle of champagne on the 284's bows... she slid into the Ohio. Mrs. Loserman's husband is a soldier with the American Army in Europe. Her brother is in the navy. The 282 was a fellow welder, Mr. Wanda Oketa, and both of them demonstrated that even a welder...

## Motorists Slow in Filing For "A" Gas Rations

### Flood of East Liberty Applications Files Up; Autoists Urged to Act Quick

The filing of new basic ration books yesterday... developing into a complex... for the OPA... who... and... received them... based... had 35... processing... cut... board... 4,000... 5,000... behind... official... new applic... arrived... yesterday... processed... at num... applic... and repre... only about... of the total number of motorists under the board's jurisdiction eligible for new "A" rations.

The district OPA office said the Northside, Downtown and McKeesport branches reported yesterday that they had mailed out new ration books for all applications re-


## Soldier Is Held On Theft Charge

Private Charles Knoble, 35, of 388 McKinley avenue, McKeesport was held for court by Peter... Cliff Carlson yesterday... of grocery in connection with... theft from the Eleventh Ward... club, Military police also... that he be detained on... charge.

McKeesport police... Knoble was being held, as a... service men returning home... club and that after his departure... was discovered that a glass... of change, had, as the... contributions toward a fund... entertainment of services... was missing. He was arrested... afterwards and military... He was held... been AWOL from Camp... since early this month.

## Don't Eat Rationing Get Your Goat—Just Eat It

Meat is as Tasty as Lamb, Enthusiast Asserts; on Menu Tonight  
By Vincent Johnson  
Post-Gazette Staff Writer  
In any rationing system the... goats. But, he insisted, you don't have to educate goats on how to handle people.





# Motorists Slow in Filing For "A" Gas Rations

## Head of East Liberty Applications

### Urged to Act Quickly

District Commissioner... yesterday... the DPA... for new books... and have... The Board... been very... from a... between... time he... said they... in the... of the... ship... from the... areas of the... launching... and... a... cracked the traditional... of... on the 2-4's... he did into the... Mrs. Lee... 1939... is a... as... the American... in... Her brother... in... navy... wife... was a... welder... Mr. Wanda... and both... demonstrated that even a welder...

# Soldier Is Held On Theft Charge

Private Charles... 35, of 3500 McKinley... McKeen... was held for... by Dallas... on the... of... on the... also... McKeen... and... were... of... it was... of... for... for... was... by... of... were... this week...

# SIDE

# Don't Let Your Goal Just Eat It

## Meat Is as Tasty as Lamb, Enthusiast Asserts on Menu Tonight

By Vincent Johnson

But, he insists, you don't have to create goals at hard-to-handle people.

has an... to be... by the... of the... and... Nothing... will do it. We must... a... of...

### Here... here

CO... NAME... at... C. Morris... of... have... work... private... Judge... Mc... year... property in... cooling...

GETS... AWARDED - The... &... Co... has been... the... Secretary... Medal for... Don... Committee... awarded... and... the war... deduction...

ARMISTICE... PLANS - Representatives of all... will... for... a... of the... of War Veterans...

# tendenci ebi global ur Wr i l Si

salome dadunaSvili

ალექსანდრ მაქევიჩიმა პოდიუმი ჭადრაკის დაფად გადააქცია და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მის ფანტაზიასა და ნიჭს საზღვარი არ აქვს.

მოდა უფრო მრავალფეროვანი გახდა. საბალეტო ნაზი ფეხსაცმელები, მაღალი ტანგეტკა და ბოტფორტები ერთად იკავებს ადგილს ჩვენს გარდერობში. მარგალიტები და ვიწრო ნაცრისფერი ქვედაბოლოები კი სამოპვენებით მეგობრობენ ბრიჯებთან და მრავალფეროვან კაბებთან.

წელს მაღალი მოდა და სპორტული ტანსაცმელი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს “ადიდასის” ლაბორატორიებში, სადაც იოჯი იამამოტომ ესტაფეტა სტელა მაკკარტნის გადაულოცა. მის მიერ შექმნილ ახალ კოლექციაში ვარჯიში თუ არა, სუფთა ჰაერზე გასეირნება ნამდვილად მოგინდება.

## H & M - i s g a f e t i S e b a

ყველაფერი შეუძლია კარლ ლაგერფელდს: შეუძლია, მოდის 3 სახლს ერთდროულად უხელმძღვანელოს, ტყავზეც იმუშაოს და სპორტულ სამოსზეც და, თქვენ წარმოიდგინეთ, H M-ისთვისაც კი შექმნას კოლექცია, მაგრამ არასოდეს მოსთხოვთ მას დიდი ზომის ტანსაცმლის შეკერვა.

სწორედ ეს შეცდომა დაუშვა H M-მა და მიიღო კიდევ პასუხი: არასოდეს! მოდა მხოლოდ გამხდარი და ახალგაზრდა ადამიანებისთვისაა!

ასე რომ, H M-ს ნაკლებად პრეტენზიული დიზაინერის მოძებნა მოუხდა და არც გასჭირვებია.

მხსნელის სახით მათ მოველინათ სტელა მაკკარტნი, რომელმაც გვერდზე გადადო “ადიდასის” ოქროსფერი ბოტასი და ცნობილ, ნითლად დაწერილ ასოებს – H M – ქვევით საკუთარი სახელი მი-

ანერა.

## a x l a q o r w i l e b i

წელს თავისუფალ ცხოვრებას უკვე მესამედ გამოეთხოვა დონალდ ტრამპი და მშვენიერი მოდელი, მელანია კნაუსი მოიყვანა ცოლად. მათი ქორნილის დასაგეგმად ქვეყანა შეიძრა და ბოლოს პატარძალი კრისტიან დიორის თეთრ კაბაში გამოაწყვეს, რომლის შესაქმნელადაც 90 მეტრი ატლასი და 550 საათი ხელის შრომა დაიხარჯა. მალე ტრამპი მამა გახდება.

წელს ელტონ ჯონმა და მისმა მეგობარმა გადაწყვიტეს, ოფიციალური სახე მიეცათ თავიანთი ურთიერთობისთვის. თუმცა, ტრამპებისგან განსხვავებით, მათი ქორნილი ვიწრო წრეში ჩაივლის. სიძისა თუ პატარძლის, მოკლედ, ელტონ ჯონის მეგობრის მშობლებს არ უყვართ თურმე ხმაური.

## a x l a g a y r e b i

ნიკ ლეშე და ჯესიკა სიმპსონი: ნუთუ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მშვენიერი, მაგრამ უნიკალურად ბრიყვი ჯესიკას “სიბრძნეებს” აღარ მოვისმენთ MTV-ზე? ეს უკვე ძნელი წარმოსადგენია, რადგანაც შოუ “ახალდაქორწინებულები” ყველა რეიტინგს ხსნიდა, ჯესიკას ფრთიანი ფრაზები კი ქარიშხალ კატრინასავით ვრცელდებოდა ამერიკის კონტინენტზე.

ციტატას ნუ მომთხოვთ!

თუმცა ბოროტი ენები იმასაც ამტკიცებენ, რომ ეს მხოლოდ ახალი სერიების რეკლამაა და ისინი სულაც არ შორდებიან.

ამ ფრონტზე თავი გამოიჩინეს ფილიპ კირკოროვმა და ალა პუგაჩოვამაც.

beibi bumi

ბრიტნი სპირსი: რა სჯობს ბავშვის გაჩენას, თუ შენ მიერ ნაშოვნ მილიონებს შენი შვილიშვილებიც ვერ დახარჯავენ. ალბათ სწორედ ასე ფიქრობდა პანანინა ბრიტნი, როცა თავისი მცირე ასლის გაჩენა დაგეგმა, ახლა კი თურმე ძალიან სწყინს, როცა მისი ქმარი დისკოთეკაზე მის გარეშე მიდის. ასეა: "Любишь кататься, люби и санки возить".

wlis religia



კაბალა: არა, რა თქმა უნდა, მადონა რომ არა, კაბალის შესახებ ბევრი ვერ გაიგებდა. განსაკუთრებით კი, ბრიტნი, რომელიც, ეჭვი მაქვს, საერთოდ არ კითხულობს, რელიგიურ-ფილოსოფიურ ტექსტებზე რომ არაფერი ვთქვათ. მაგრამ ასეა თუ ისე, მან სიხარულით შეიბა ხელზე ნითელი ძაფი. გაიგო დემი მურმაც და კიდევ არა ერთმა ვარსკვლავმა და ახლა კითხვამ მათთვის სრულიად სხვა დატვირთვა შეიძინა.

wlis sporti

იოგა და ისევ მადონა. რა კარგია, რომ მადონა ბოროტი ადამიანი არ არის, თორემ მავნე საქმისთვის რომ მოეკიდა ხელი, ხომ დაილუპებოდა მსოფლიო.

musikaluri stili

მარტოხელა გვენ სტეფანი: მას შემდეგ, რაც გვენ სტეფანი განმარტოვდა, სოლო კარიერას მიჰყო ხელი და გვერდზე 6 მცირე ზომის იაპონელი მოცეკვავე ამოიყენა, მისი საქმე აშკარად კარგად მიდის. გარდა ამისა, მისი მეგობრობა კრისტიან დიორის სახლთან, რომელიც კარგად ჩანს მის ვიდეოკლიპებში, სტილის ახალი ვარსკვლავის დაბადებას გვაუწყებს. გვენი კი წარმატებით ყიდის თავისი მარკის, L.A.M.B.-ის, ტანსაცმელს.

ჯეი ლოს ზომები: როგორ შეიძლებოდა, მუსიკის გამოდურებას საყვარელი ჯენიფერ ლოპესი ჩამორჩენოდა. ქალი, რომელიც ახერხებს თავისი (მომიტევონ თავყანისმცემლებმა) აშკარად უნიჭო მუსიკის მხოლოდ სხეულის ნაწილების განსაკუთრებული ზომების მეშვეობით გაყიდვას, ამისთანა შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებდა. ახლა მასაც აქვს ტანსაცმლის საკუთარი ხაზი. სხვათა შორის, არ არის ძვირი.



ახალი მადონა. დისკოვერსია: ვინ არის ყველაზე ლამაზი, ვიინ არის ყველაზე ჭკვიანი, ვინ წერს ყველაზე კარგ საბავშვო წიგნებს, ვიინ არის დედის სიხარული?! მოკლედ, მადონა ისევ დაბრუნდა, თანაც ისეთი ძალით, რომ...

musika da medicina

ვერ მოასწრო მომღერალმა ანასთეიშამ გამოჯანმრთელება და მკერდის კიბოს დამარცხება, რომ ანალოგიურ სიტუაციაში კაილი მინოუგი აღმოჩნდა. მან დაგეგმილი მსოფლიო ტურნე მოხსნა და ახლა

Joanna Grodecki BRANDCROSS

სხვა ფრონტზე იბრძვის.

moda skandalebi

ნაომი ქემბელმა თავისი მეგობარი სუპერმოდელი გალახა. თუმცა ეს უკვე არავის სწყენია და გაჰკვირვებია. ალბათ ხშირად სცემს ხოლმე.

keit mosi da heroini

"არა, ჩვენ ხომ სულ ვამბობდით..." – ასე იწყებოდა თითქმის ყველა სტატია კეით მოსის ჰერონის სკანდალის შემდეგ. სუპერმოდელთან რამდენიმე კომპანიამ უკვე განყვიტა კონტრაქტი. ის, რომ კეითი ნარკოტიკებს ჰყვარობდა, ყველამ მშვენივრად იცოდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს აშკარა გახდა, თავისი სახელების ჰერონის შიკთან გაიგივებას ყველამ აარიდა თავი. ახლა კი კეითი არიდებს თავს პუბლიკას და საუკეთესო მეგობრის, სტელა მაკკარტის, მალაზიის საახალწლო ილუმინაციის გახსნაზეც კი არ მივიდა.

yvelaze momabez reblad kaSkaSa varskvlavi

პარის ჰილტონი, რა თქმა უნდა. ეს მილიარდერი გოგო უკვე აუტანელია. პარისი ყველგანაა – კინოში, პოდიუმზე, ნითელი ხალიჩიდან ხომ არ ჩამოდის და, რაც ყველაზე შემაშინებელია, ახლა წიგნების წერაც კი დაიწყო, სადაც სიხარულით იძლევა ჭკვიანურ რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იაზროვნო მილიონერით. საქმიანობის დაუოკებელი ჟინისგან ის ახლად გაჩენილმა საქმრომ, აგრეთვე პარისმაც კი ვერ იხსნა. თუმცა ბერძნული მილიონების მემკვიდრე მკაცრი ყოფილა და იქნებ გვიშველოს რამე.

# GUNS 'N' ROSES

nodar ladar ia

ვისაც ბავშვობაში ალექსანდრე დიუმას „სამი მუშკეტერი“ წაუკითხავს, ალბათ ემახსოვრება დ'არტანიანის პირველი დღე მუშკეტერთა შორის: რამდენიმე წუთის განმავლობაში სამი კონფლიქტი და სამი გამონვება დუელზე! ილბალი არ გინდა?! მაგრამ ამჯერად ამ დავიდარაბის მხოლოდ ერთი მესამედი გვაინტერესებს, ანუ ის, რატომ წაეჩხუბა ახალგაზრდა გასკონელი პორტოსს.

გავიხსენოთ, რომ პორტოსად წოდებული კაი მჭამელი და კაი დამრტყმელი გოლიათი იმ ღირსშესანიშნავ დღეს განსაკუთრებით იწონებდა თავს მდიდრული სარტყლით – კაცმა რომ თქვას, ეს სულაც არ იყო სარტყელი. მუშკეტერის ამ აქსესუარს უფრო ქართული სიტყვა „ყანიმი“ მოუხდებოდა, რაც ხმლის დასაკიდ სამხარილლიე ღვედს ნიშნავს, მაგრამ ნამდვილად არ მინდა, მკითხველს „შავლეგოს“ ასოციაცია გაუჩნდეს, მით უმეტეს, რომ ჩვენი ინტერესის საგანი საკმაოდ აბსტრაქტულია და შეგვიძლია, სარტყელით დავკმაყოფილდეთ, საქმის არსი ამით არ შეიცვლება. ერთი სიტყვით, მთელს ამ ისტორიაში მნიშვნელოვანი ისაა, რომ იმ დაწყვეტილი სარტყლის მხოლოდ წინა ნახევარი იყო ოქრო-ვერცხლით განწყობილი, ზურგის მხარეს კი, სადაც სარტყელს მოსასხამი ფარავდა, კამეჩის ტყავის უხეშ და ბანალურ ფაქტურას არაფერი ალამაზებდა. ჰოდა, როცა ყმანვილი გასკონელი თავქუდმოგლეჯილი მისდევდა თავის მოსისხლე მტერს, უცაბედად დაეჯახა პორტოსს, მოსასხამი აუფრიალა და ქვეყნის დასანახად გამოაჩინა ოქროთი მხოლოდ სანახევროდ შემკული ღვედი. ამაზე კი განრისხდა გოლიათი და მაშინვე დუელში გამოიწვია უნებურად გათავხედებული პროვინციელი...

ერთი მხრივ, თითქოს უქმი ადამიანის ახირებას წავანყდით: განა შეიძლება სასიკვდილოდ გაიმეტო ვინმე იმის გამო, რომ შენი სამოსის თუ სამკაულის ნაკლოვანება გამოიტანა სააშკარაოზე, თანაც ყოველგვარი ბოროტი განზრახვის გარეშე? არ შეიძლება, ნამდვილად არ შეიძლება, – იტყვიან ინტელექტუალები და მართლები იქნებიან. თუმცა ეს სიმართლე ოდნავ ზედაპირულია. აბა ჩვენი გმირების თანამედროვე ინტელექტუალს მოვუსმინოთ, რომლის სახელი, სხვათა შორის, სკოლის მერხიდან ვიცით...

ბატონი ბლევ პასკალი თავის „აზრებში“ ამბობს: „კობტაობა არც-

თუ ბრიყვული და ამაო საქმეა; ის ამტკიცებს, რომ შენთვის ადამიანთა დიდი სიმრავლე მუშაობს. ეს ნიშნავს, რომ თმის ვარცხნილობით, მაქმანით, ოქრომკედით ამტკიცებ, რომ გყავს კამერდინერი, პარფიუმერი და ა. შ. მრავალი მსახურის ყოლა კი სულაც არაა უბრალოდ გარეგნული საფარველი ან ლამაზი ლაბადა. რაც უფრო მეტი მსახური ჰყავს კაცს, მით უფრო ძლიერია. სამოსი ძლიერების მტკიცებაა“.

აი აქ კი მივუახლოვდით ნამდვილ სათქმელს: სამოსი და ძალაუფლება ერთმანეთს უკავშირდება. სხვა სიტყვებით კი, ძალაუფლებას შეფუთვა სჭირდება. როგორც ეტყობა, ამასაც ორმაგი მიზანი აქვს: ჯერ ერთი, შესაფუთი მასალა, ანუ, როგორც ოდესღაც იტყოდნენ, „ტარა“ მასზე აღბეჭდილი ნიშნით თან იმას გვიჩვენებს, რომ საქმე ძალასთან გვაქვს, თანაც ხელს გვიშლის, საკუთარი თვალითა და ხელით შევამოწმოთ ამ ნიშნის სიმართლე: აბა ვის არ დაეზარება შეკვრის გახსნა იმის შესამოწმებლად, ამისთვის მართლაც მიიღებს კარგა გვარიან ალიყურს, თუ არა? მეორე მიზანი კი, ასე ვთქვათ, უფრო კეთილია: შეფუთული ძალაუფლება ჩვენთვის უფრო ასატანს ხდის მასთან უშუალო შეხვედრას, ფერადად მოხატული ნიღბის საშუალებით გვარიდებს თავისი მახინჯი სახის ხილვას.

მაინც რა არის ეს ნიღბი თუ შეფუთვა? რა თქმა უნდა, ალღუმები და ფეიერვერკები, საგანგებოდ დადგმული საზეიმო მსვლელობები, სადაც მონაწილეობა და მაცურებლობა ერთიანდება, საზეიმო დაკრძალვები და ინაუგურაციები, საჯარო დასჯები და დაჯილდოებები, ერთი სიტყვით, ათასი ჯურის ცერემონია და რიტუალი. რაც უფრო მდიდრული და ფერადოვანია სანახაობა, მით უფრო იფარება ძალაუფლების ნაკლოვანება, მით უფრო ტკბება იგი საკუთარი თავით და ამ ტკბობაში ერთგვარად უწყინარი ხდება კიდევ. თუმცა ეს მხოლოდ დროებით...

ძალაუფლების მქონე ყოველთვის როდია დარწმუნებული საკუთარ თავში და იმაში, რომ მართლაც შეძლებს მრავალთათვის ღირსეული თუ არა, უბრალოდ, ასატანი ცხოვრების უზრუნველყოფას. და რაც უფრო მცირეა საკუთარ შესაძლებლობათა მიმართ ნდობა, მით უფრო მრავალფეროვანი და ფართოა სანახაობათა სპექტრი, მით უფრო რთულია სახელისუფლებო ეტიკეტი. თვალსაჩინო





ღონისძიებები ხელისუფლებისთვის ერთდროულად არის საკუთარი თავის დემონსტრირებისა და სხვებზე ბატონობის იარაღი. აბა კიდევ ერთ სანდო კაცს მოვუსმინოთ: “სასტიკად ცდება ის, ვინც ფიქრობს, რომ ეს მხოლოდ ცერემონიული საკითხია. ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ვმართავთ, მოკლებულნი არიან მოვლენათა ჭეშმარიტი სიღრმის გაცნობიერების უნარს, რადგან თავიანთ ზედაპირულ განსჯას ისე აგებენ, რომ მხოლოდ ნანახს ეყრდნობიან და მაინცდამაინც შორს ვერ აღწევენ საგნის სიღრმეში.

ყველაზე ხშირად ეს მჟღავნდება სასახლის ცერემონიალში, რომლის დროსაც მათ შეუძლიათ მეფისადმი პატივისცემისა და მორჩილების გამოხატვა. რადგან ხალხისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მმართველი ერთი იყოს, მისთვის ისიც აუცილებელია, რომ ის, ვინც ამ დანიშნულებას ასრულებს, ისეთ სიმაღლეზე იმყოფებოდეს, სადაც იგი ვერავისში აგერევა და მას ვერავის შეადარებ. შეუძლებელია, მმართველს მისი უპირატესობის რაიმე ნიშანი წაართვა ისე, რომ ამით ზიანი არ მიაყენო მთელ სახელმწიფოს”.

ესეც ასე: სანახაობას იმიტომ მართავენ, იმიტომ ხარჯავენ ლაზერ-შოუებისა და თეატრალიზებული წარმოდგენების, მოედნებზე ტაშ-ფანდურისა და ყურძნის ჭყლეტის მონყობაზე ამხელა თანხებს, რომ მკვეთრად განსხვავდებოდეს მთელი ამ აურზაურის მომწყობი ყველა დანარჩენი ადამიანისგან. მაგრამ რატომ უნდა დავუფეროთ ახლახან მოყვანილი ციტატის ავტორს? საიდან გამომდინარეობს, რომ მან ეს საკითხი იმდენად იცის, რომ აზრის გამოთქმა ასეთი კატეგორიული ტონით შეუძლია? იმიტომ, ბატონებო, რომ ამ სიტყვების დამწერი სანახაობებისა და ცერემონიების უბადლო შემკვეთი და გამომგონებელი, ფეიერვერკებისა და მომღერალი შადრევნების მოტრფიალე და მესვეური, საფრანგეთის მეფე-მზე ლუი მეოთხემეტაა.

ახლა კი წამით შეისვენეთ და გადახარშეთ ეს შთაბეჭდილება – სულ მალე დაგჭირდებათ სალი გონება მის სიტყვებში ჩამალული ერთი ასპექტის გასააზრებლად. ამის გამოვრება ნამდვილად ღირს: ადამიანები, რომლებსაც ჩვენ ვმართავთ, მოკლებულნი არიან მოვლენათა ჭეშმარიტი სიღრმის გაცნობიერების უნარს, რადგან თავიანთ ზედაპირულ განსჯას ისე აგებენ, რომ მხოლოდ ნანახს ეყრდნობიან და მაინცდამაინც შორს ვერ აღწევენ საგნის სიღრმეში. აი, სად ყოფილა ძაღლის თავი დამარხული! მერწმუნეთ, ბატონებო, არავინ დახარჯავდა ასეულობით ათასებს, რომ არ სწამდეს: ქვეშევრდომები შინაგანად საკმარისად ბნელები და უბირები არიან იმისათვის, რომ ლაზერის ფერად-ფერადმა და ლალად მოთამაშე სხივებმა ჭეშმარიტების ნათელი დაუბინდოს, თავისუფლების წყურვილი დაუოკოს.

განა იმაზე გაბრაზდება ჩვენი პორტოსი – ენერგიითა და მადით აღსავსე მომლიმარი გოლიათი – თუ ვინმე მიუთითებს, რომ შემოქმედის შეურაცხყოფაა, როცა პიანისტ ვალერი შიუკაშვილს აიძულებს, შოპენის ფონოგრამის მიხედვით ასხმარტალოს თითები ზევით-ქვევით დამუნჯებულ კლავიატურაზე; რომ მსმენელის შეურაცხყოფა და იაფი ყალთაბანდობაა, როცა ბ-ნი



მემანიშვილი ხელებს, ორკესტრანტები ხემებს, გუნდის მომღერლები კი ყბებს უხმოდ და უქმად აქნევენ, სინამდვილეში კი ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას დაუდგენელი უცხოური ორკესტრი ასრულებს, ასევე დაუდგენელი უცხოელის დირიჟორობით. ამაზე ჩვენი პორტოსი მხოლოდ ცალკეად ნაიბუზღუნებს რომელიმე საჯარო გამოსვლისას და მაშინვე დაავინყდება.

ჭეშმარიტი რისხვა სულ სხვა რამეს შეიძლება მოჰყვეს: თუ ვიტყვით, რომ ბრჭყვიალა ყანმის მეორე მხარე ფონოგრამებით თაღლითობა კი არაა, არამედ მას გაცილებით უფრო საზიზლარი ბუნება აქვს, რომელიც ქართველთა აზროვნების უნარისა და გემოვნებისადმი უნდობლობაში მდგომარეობს. რუსლანას თბილისში მხოლოდ ის მოინვევდა, ვინც გულის სიღრმეში დარწმუნებულია, რომ სწორედ ესაა ჩვენი წარმოდგენებისა და მისწრაფებების მწვერვალი, რომ სწორედ ასე უნდა მოგვექცნენ, რამე მაინც რომ შევიდეს ურჩობითა და უფიცობით ჩაბეტონებულ ჩვენს ტვინებში. „ხალხს ეს მოსწონს“, ნუთუ არ გაგიგონიათ ეს კადნიერი წინადადება? ჰოდა, გვახვევენ თავს ათასგვარ დამთხვევას: ედუარდ-გიორგი თურმე გიორგობაზე გადააყენეს, მიხეილი კი მიქაელ მთავარანგელოზის ხსენების დღეს წარადგინეს პრეზიდენტობაზე! განა შეიძლება, ეს არ მოეწონოს ხალხს, რომელსაც ქრისტეს სჯული “მარშრუტკებში” პირფერის წერა და სამარხვო ტორტებით მუცლის ამოყორვა ჰგონია?



ახია ჩვენზე, ბატონებო, ჩვენ თვითონ ვასწავლეთ ჩვენს პიროტექნიკოსებს, შოუმენებს, კაპელდინერებს, ასტროლოგებსა და ჰიდრაველიკოსებს, ერთი სიტყვით, ჩვენი თვალისა და ყურის მუდმივ დარწყულება-დაამებაზე მზრუნველ ხელისუფლებას ასე ფიქრი: განა როდისმე შეგვისმენია გონების ან სინდისის ხმა, როცა ყოფით საუბარშიც კი ადვილად და როყოოდ ვლაპარაკობთ ხოლმე მთელი ერის სახელით?

არ სჯერა ჩვენს პორტოსს, რომ ქართველი ერი რაღაც უკეთესის ღირსია და ეს ურწმუნობაა მისი სარტყელის მახინჯი ნახევარი. ამ სიმახინჯეს ფარავს იგი სანახაობათა მოსასხამით და თუ ავუფრიალებთ მოსასხამს, მაშინ ვიკითხოთ მისი განრისხება!

და მაინც, განა უნდა მოვერიდოთ ამ ნაბიჯს? დაეუბრუნდეთ ალექსანდრე დიუმას ნაცნობ და ბავშვობაში მრავალჯერ გადაკითხულ ფურცლებს: რომ არა დ'არტანიანის უნებლიე უტაქტობა, რომ არა პორტოსის წყენა, რომ არა დუელზე გამოწვევა, არ დაიბადებოდა ის სანიმუშო და გმირული მეგობრობა, რომელიც დღესაც ადევნებს და მიბაძვის სურვილით აძგერებს ყმანვილთა გულებს დედამიწის ყველა კუთხეში.

ასე რომ, ნუ მოვერიდებით, ვამხილოთ პორტოსის სარტყლის საიდუმლო და დავამტკიცოთ, რომ მარტო ის ხუთასი კაცი კი არა, რომელთაც 2005 წლის 23 ნოემბერს წილად ხვდათ შოპენისა და ბეთჰოვენის ფონოგრამათა მოსასმენი მოსაწვევები, არამედ ჩვენ



# w l i s f r a z a

# M - მ

g i g i g u l e d a n i

ინტერნეტს აქვს ძალა ნებისმიერ კითხვაზე პასუხის გასაცემად. ეს, ზოგადად, განპირობებულია ამ სისტემის ანარქიული ხასიათითა და თავისუფლებით. ინტერნეტში შეუძლებელია მთელი სივრცის გავლენის ზონებად დანაწილება, ამიტომ ყოველთვის რჩება ადგილი უკონტროლო ტერიტორიებისათვის.

ფრაზა „რას ფიქრობს ხალხი“ წლის ყველაზე რეიტინგულ გამოთქმებს შორისაა. ინტერნეტის ქართული ფორუმები ამ კითხვაზე ყველაზე ამომწურავ, პირდაპირ და უცენზურო პასუხს იძლევა.

## CHELO'S GEORGIAN FORUM

(გრძელი ლინკი: <http://forums.delphiforums.com/chelo/messages>)

ფუნქციონირებს 1998 წლიდან. 1998-2000 წლებში იყო ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ფორუმი, მეტწილად საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისათვის. ფორუმის ვეტერანი წევრების ცხოვრებაში ბოლო შვიდი წლის მანძილზე (1998-2005) ბევრი შეიცვალა: ზოგი დაქორწინდა, ზოგი შვილი გაუჩნდა, ზოგი თბილისიდან პარიზში წავიდა, ზოგიც ამერიკიდან ისევ თბილისში დაბრუნდა.

ფორუმის ლოგი:  
*2005 წლის შემოდგომა, თბილისი (სტილი დაცულია)*

+++

კი, დილომშიც შენდება.

ასე რომ, ჩემო ვასილი, სულ სხვა თბილისში დაბრუნდები როცა იქნება, თუ უკვე აქ არ ხარ. აეროპორტიდან მონორელსი წავა ცენტრისკენ.

„ძინ-ძინ, თავისუფლების მოედანი. გთხოვთ, შეიხსნათ უსაფრთხოების ღვედები. დიდი მადლობა თბილისის მონორელსით მგზავრობისთვის. მომავალ შეხვედრამდე“.

+++

ჰელო! მიხარია, რომ ვხედავ ნაცნობ სახეებს, სახელებს, უფრო სწორად:).

+++

ლოლ! :))

+++

ესე იგი რა ხალხი, რა ხალხი :). ესე იგი ყველას გამარჯობა და ყველას როგორა ხარ:).

კინალამ ძველი დრო გამახსენდა, ისეთი დისკუსიაა გამართული :).

ჰოდა, მე მგონი, არაა, ბიძებო, ცუდი თბილისში... მე ვაპირებდი გადახვეწას აქედან შორს, მაგრამ ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდი, რომ აქაური, ქართული, ნაცნობი ნაგავი მირჩევნია იქაურ ნაგავს, ანუ, მოკლედ რომ ვთქვა, მიჩვეული ჭირი მირჩევნია მიუჩვეველს.

შესადარებლად რევოლუციის მომენტს თუ ავიღებთ ათვლის წერტილად, პირადად მე ჩემს თავზე სამი რამ ვიგრძენი:

პირველი ის, რომ თუნდაც შარშანდინ ამ პერიოდში დენის მოწოდება უკვე ვეღარ იყო მოწოდების სიმალლეზე, ანუ გვიწევდა სანთლის შუქზე ჯდომა (ყოველ შემთხვევაში, ჩემს უბანში), ხოლო წელს დენი, ფაქტობრივად, არ წასულა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ავარიას, რომლებიც, მაგალითად, თეირანში უფრო მეტი ხდება, ვიდრე თბილისში.

მეორე არის ის, რომ გაიშნიკი აღარ მაჩერებს და ნერვებს არ მიშლის 2 ლარის თხოვნით.

და მესამე, რასაც ყოველდღიურად ვგრძნობ ყველაზე მეტად: 2-3 წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, რომ ჩემი სახლიდან სამსახურამდე „იამკა“ არ იქნებოდა, მაგრამ ფაქტია!

ესე იგი, დანებებული იქიდან, რომ ნახევარ დროში მოვდივარ სამსახურში, გაგრძელებული იმით, რომ აღარ ვიღებდი რულის იქით-აქეთ ტრიალით და ყოველ 10 მეტრში გაჩერება-დაძვრით, დამთავრებული იმით, რომ მანქანა ნაკლებად მიფუჭდება, ბენზინი ნაკლები იხარჯება და ნერვები ნაკლებად მეშლება. მოკლედ, კაი პონტია :).

არ მინდა, გაზვიადებული პოსტი გამომივიდეს, მაგრამ პირადად ჩემთვის ბევრი რამ გაუმჯობესდა.

რა თქმა უნდა, ცუდიც ბევრია, მაგრამ 2-3 წლის წინ რაც იყო, იმ სიტუაციას ბევრად სჯობია დღევანდელი.

რაც შეეხება კულტურულ „მეორეპრიაციებსა“ და გართობას, ეს ალბათ უფრო ინდივიდუალურია, ზოგი რითი ერთობა და ზოგიც – რით.

მე, პირადად, მაშინაც კარგად ვერთობოდი და ახლაც კარგად ვერთობი, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეული ზოგადი წინსვლები ნამდვილად არის.

აქვე ვიტყვი, რომ ინტერნეტის მკვეთრმა გაიაფებამ ხელი შეუწყო იმას, რომ იგი უკვე მასიურად ვრცელდება მოსახლეობის საშუალო და დაბალ ფენაში, სხვათა შორის, როგორც თბილისში, ისევე რეგიონალურ ცენტრებში, რაც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია და ხელს შეუწყობს აზიური მენტალიტეტის შესუსტებასა და ადამიანების გათანამედროვებას.



N - ნ

H - ჰ

ვოტ:) ხომ გამოვაცხვე ნანსკლა პოსტი?:(

+++

მართალი ხარ და მე კიდევ ერთ პროგრესს დავუმატებდი: ამერიკიდან საქართველოში ჩასულ ადამიანებს მებაჟეები წერვებს ალარ უშლიან 20 დოლარის თხოვნით. თითქოს წვრილმანია, მაგრამ დიდი წვრილმანი :).

+++

ერთ წვრილმანს მეც დავამატებდი. მართალია, ძალიან უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც :).

ბოლო დროს რამდენჯერმე მომიხდა განათლების სამინისტროში დარეკვა და ყოველი დარეკვის წინ ვფიქრობდი, რომ ან სულ დაკავება იქნებოდა, ან წესიერად არ მიპასუხებდნენ. მაგრამ, ჩემდა გასაკვირად, კოველ დარეკვაზე ძალიან ზრდილობიანი და ამომწურავი პასუხი მივიღე ყველა კითხვაზე. სასიამოვნოდ გაკვირვებული დავრჩი. წესით, ასეთი რამ არ უნდა იყოს გასაკვირი და უნდა იგულისხმებოდეს, რომ ასეც უნდა იყოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრ დაწესებულებაში ან საერთოდ ვერ დარეკავ(დი), ან უხემ პასუხს მოგიგებ(დნ)ენ და ყურმილს დაგიხეთქებ(დნ)ენ.

ისე, რა სასაცილოა, რეები გვიხარია :).

+++

შორენა

მასე რომ წავიდე, უკვე სახალხო ბანკში შეგიძლია გადაიხადო კომუნალური და სატელეფონო გადასახადები (გარკვეულ კომპანიებზე), ანუ ადრე რომ იყო საჭირო სირბილი თბილ გაზში, aes თელასში და რიგში დგომა, ახლა შეგიძლია, ბანკში შეხვიდე და გადარიცხო. ამავე დროს, ავტომატური bill pay უკვე დაინერგა tbc ბანკში. საბანკო სექტორი, სხვათა შორის, საკმაოდ განვითარებულია, თუმცა...

არის ძალიან მაგარი იდიოტობები: საკრედიტო ხაზებს გამოყოფენ მხოლოდ მამრობით სქესზე (ტელევიზიით მოვუსმინე და, როგორც ჩანს, მართალია). ეს სქესი თუ არ გაქვს, საკრედიტო ხაზს ბანკი არ განდობს... არადა, ყველა ამბობს, რომ სესხები გაიცემა მეტწილად ვაჭრობის სფეროში, სადაც უმრავლესობას ამ სქესის არმქონე ადამიანები წარმოადგენენ, ანუ არის აღმაშფოთებელი გადახრები... მაგრამ რა ვქნათ, გულუბრყვილო ერი ვართ ამ მიმართულებით.

თუმცა, საბანკო სექტორი მე ცოტა ჩახლართულად მეჩვენება მაინც, რადგან ცალკე აქვთ Debit Card-ის ანგარიში, ცალკე - კრედიტ კარდის, ცალკე - ჩეკის და ათასი ასეთი სისულელე... კარტები კიდევ მილიონნაირი აკვთ: ვიზა ელექტრონი, ვიზა არაელექტრონი, ვიზა მაცსტრო,

ვიზა კლასიკი...

დასავლეთში ნაცხოვრებს გააბრუებენ, იმდენნაირ რალაცას ეტყვიან. ვიფიქრე, ავიღებ კრედიტკას-მეთქი, მაგრამ თავი დავანებე. თან კრედიტკაზე თანხას რომ მოხსნი, მარტო 3 დღე არ ერიცხება ფული. 3 დღის მერე ერიცხება და არ გეგონოს პატარა პროცენტი.

:)) შეადარე ახლა ეს ამერიკას, სადაც ერთ თვეს გაცლიან პროცენტის დარიცხვამდე.

მაგრამ მაინც... ამკარად შედის საქართველო მსოფლიო რეალობაში და სერიოზული ძვრები აქვს საზოგადოებასაც.

კაი ჯერჯერობით ეს იყო. სხვათა შორის, გრიპმა შემიტია ეს 2 კვირაა და ამიტომ კომპიუტერს ჩავუშვებოდა.

+++

ანა, გახსოვს იმბეცილები? :) ჰოდა, მართლაც საბოლოოდ დაამტკიცეს თავიანთი იმბეცილობა. გუშინ პასპორტი გადავშალე და ჩემი სახელის spelling-ში შეცდომა იყო, კერძოდ, N-ის ნაცვლად H ეწერა. ჯერ წერვები მომეშალა, მერე შენ გამახსენდი და მაგრად ვიმხიარულე.

+++

მართლა?! ეტყობა, M,N და H ერევათ ერთმანეთში.

LOL!



# har old pi nter i

nest an kvi ni kaZe

შვედურმა აკადემიამ 2005 წლის ნობელის პრემია ლიტერატურაში 1930 წელს დაბადებულ, ცნობილ ინგლისელ მწერალს, ჰაროლდ პინტერს, გადასცა. ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, ნობელიანტი ჰაროლდ პინტერი პომპეზურ ცერემონიაზე არ დასწრებია, ამიტომ ტრადიციული ლექცია, რომელსაც ლაურეატები დაჯილდოების ცერემონიაზე კითხულობენ, ჰაროლდ პინტერის შემთხვევაში, 7 დეკემბერს სტოკჰოლმში საზოგადოებას ვიდეოვერსით წარუდგინეს.

ჰაროლდ პინტერი — ნობელის ლექცია

“ხელოვნება, სიმართლე და პოლიტიკა”

1958 წელს მე დავწერე შემდეგი:

“რეალურსა და არარეალურს შორის დიდი განსხვავება არ არსებობს, არც სიმართლესა და ტყუილს შორის. აუცილებელი არაა, მოვლენა მართალი ან ტყუილი იყოს. შეიძლება, ერთდროულად მართალიც იყოს და ტყუილიც”.

მჯერა, რომ ეს მტკიცებულება ჯერ კიდევ ქმნის აზრს და ხელოვნებაში რეალობის აღქმას ეხება. ასე რომ, როგორც მწერალი, ვეთანხმები, მაგრამ, როგორც მოქალაქე — არა. მე, როგორც მოქალაქემ, უნდა დავსვა კითხვა: რა არის სიმართლე? რა არის ტყუილი?

დრამაში სიმართლე მუდამ მოუხელთებელია. ვერასოდეს პოულობ, მაგრამ ძებნა სავალდებულოა. ქვეშარტი სიმართლე ისაა, რომ დრამატულ ხელოვნებაში ერთი სიმართლე აღმოაჩინო. მაგრამ ასეთი ბევრია. სიმართლეები ერთმანეთს ეჯახება, განიზიდება ერთმანეთისგან, ირეკლავს ერთმანეთს, აბათილებს, აღიზიანებს და აბრმავებს. ზოგჯერ გრძნობ, რომ რაღაც მომენტში ხელში სიმართლე გიჭირავს, შემდეგ ის თითებიდან გისხლტება და იკარგება.

ხშირად მეკითხებოდნენ, თუ როგორ იქმნებოდა ჩემი ნაწარმოებები. ვერ გეტყვით. ვერასოდეს შევძლებ ჩემი ნაწარმოებების შეჯამებას, ვიტყვი მხოლოდ, რომ ესაა, რაც მოხდა, ესაა, რასაც ისინი ამბობენ და აკეთებენ.

უცნაური პროცესია, როცა ქმნი გმირებს, რომლებიც ამ დრომდე არ არსებობდნენ. უცნაურია ავტორის პოზიციაც. მას გმირები არ ხვდებიან კარგად, ეწინააღმდეგებიან, ეძნელებათ მასთან ცხოვრება. შეუძლებელია ამის განსაზღვრა. მათთან ერთად თამაშობ დაუსრულებელ თამაშს, კატათაგობანას, თვალახვევობანას და დამალობანას. მაგრამ საბოლოოდ აღმოაჩენ, რომ გყავს ხორციული ადამიანები, სურვილებითა და პირადი გრძნობებით, და არ შეგიძლია მათი შეცვლა, მანიპულაცია თუ დამახინჯება.

ასე რომ, ენა ხელოვნებაში რჩება მაღალ, ორაზროვან საქმედ, ფხვიერ მიწად, ტრამპლინად, გაყინულ აუზად, რომელმაც შესაძლოა,

გზა გაგიკვალთ. ყოველ შემთხვევაში, ავტორისთვის ეს ასეა.

პოლიტიკური თეატრი წარმოადგენს პრობლემების სხვადასხვა ნაკრებს. თავიდან უნდა ავიცილოთ ქადაგება. ეს აუცილებელია. გმირებს უნდა ჰქონდეთ უფლება, ისუნთქონ. ავტორს არ შეუძლია, შეზღუდოს და შეამციროს ისინი საკუთარი გემოვნების, განწყობილების ან ცრურწმენის დასაკმაყოფილებლად. ის უნდა მოემზადოს მათთან მისაახლოვებლად, მიიღოს ისინი სიურპრიზად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მიანიჭოს მათ თავისუფლება, რათა იარონ სასურველი გზით. ეს ყოველთვის არ ამართლებს და, პოლიტიკური სატირა, რა თქმა უნდა, არ მისდევს ამ წესებს, ფაქტობრივად, მისი პირდაპირი დანიშნულების სანინააღმდეგოს აკეთებს.

პოლიტიკური ენა, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ, ამ ტერიტორიაზე არ გამოიყენება, სანამ პოლიტიკოსების უმრავლესობა ძალაში და ამ ძალის მიღწევაშია დაინტერესებული და არა სიმართლეში. ამ ძალის მისაღწევად საჭიროა, ხალხი უმეცრებაში დარჩეს. მათ უნდა იცხოვრონ სიმართლის უმეცრებაში, საკუთარი ცხოვრების სიმართლეში. რაც ჩვენ გარშემოა, არის ტყუილის თვალუწვდენელი გობელენი, რითაც ვიკვებებით.

თითოეულმა ადამიანმა იცის – ერაყის ხელყოფის გამართლება ის იყო, რომ სადამ ჰუსეინი ამზადებდა მასობრივი განადგურების იარაღს, რომელთაგან ზოგიერთი 45 წუთის განმავლობაში იწვის. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ეს სიმართლეა. ეს არ იყო სიმართლე. გვითხრეს, რომ ერაყს ურთიერთობა ჰქონდა ალ ქაიდასთან და პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ნიუ-იორკში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტზე. დაგვარწმუნეს, რომ ეს სიმართლე იყო. ეს არ იყო სიმართლე. ჩვენ გვითხრეს, რომ ერაყი ემუქრებოდა მსოფლიო უსაფრთხოებას. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ეს სიმართლე იყო, მაგრამ ეს არ იყო სიმართლე.

სიმართლე სინამდვილეში სულ სხვაა. სიმართლე ისაა, თუ როგორ აცნობიერებს შეერთებული შტატები საკუთარ როლს მსოფლიოში და თუ რა გზას ირჩევს მის განსახორციელებლად.

მაგრამ ვიდრე აწმყოს დავუბრუნდები, ვისურვებდი, თვალი გადამევლო უახლესი წარსულისათვის – ვგულისხმობ შეერთებული შტატების უცხოურ პოლიტიკას მეორე მსოფლიო ომის დასასრულამდე. მჯერა, რომ სავალდებულოა, ეს პერიოდი დაექვემდებაროს სულ მცირე, შეზღუდულ, კრიტიკულ განხილვას, რომელიც იმ დროისთვის ნებადართული იყო.

ყველამ იცის, თუ რა მოხდა ომის წინა პერიოდში საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში: სისტემატური სისასტიკე, ტერაქტები და დამოუკიდებელ აზროვნებაზე შეუბრალებელი ზეწოლა. ეს ყველაფერი დოკუმენტირებული და დამტკიცებულია.

**მაგრამ ჩემი კამათის საგანი არის ის, რომ შეერთებული**



## შტატების დანაშაული იმავე პერიოდში ზედაპირულად გადმოიცემოდა, ცალსახად იყო დოკუმენტირებული.

სუვერენული სახელმწიფოს პირდაპირი ხელყოფა არასოდეს ყოფილა ამერიკის აღიარებული მეთოდი. ძირითადად, მოქმედება აღინერებოდა, როგორც „დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი“. დაბალი ინტენსივობის კონფლიქტი ნიშნავს, როცა ათასობით ადამიანი კვდება, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე ბომბის ჩამოგდებისას. ეს ნიშნავს, რომ თქვენ აავადებთ ქვეყნის გულს, ავთვისებიან განგრენას გაზრდის საშუალებას აძლევთ. როდესაც უბრალო ხალხი დამორჩილებულია ან სიკვდილამდე ნაცემი — რაც ერთი და იგივეა — და თქვენი საკუთარი მეგობრები, სამხედრო და უდიდესი კორპორაციები კომფორტულად სხედან ხელისუფლებაში, მიდხართ კამერასთან და აცხადებთ, რომ დემოკრატია ბატონობს. ეს იმ წლებში ბანალობა იყო შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაში.

ნიკარაგუას ტრაგედია ძალიან მნიშვნელოვანი შემთხვევაა. ეს გახ-



ლდათ პოტენციური მაგალითი იმისა, თუ როგორ უყურებს ამერიკა საკუთარ როლს მსოფლიოში, მაშინაც და ახლაც.

1980 წელს ლონდონში, შეერთებული შტატების საელჩოში, შეხვედრას ვესწრებოდი.

მე გახლდით იმ დელეგაციის წევრი, რომელიც ნიკარაგუას პოზიციას იცავდა. დელეგაციის ყველაზე მნიშვნელოვანი წევრი მამა ჯონ მეტკალფი იყო, შეერთებული შტატების ლიდერი კი — რაიმონდ სეიცი (მოგვიანებით ელჩი). მამა ჯონ მეტკალფმა განაცხადა: “ბატონებო, მე ვარ ჩემი მრევლის სამსახურში ჩრდილოეთ ნიკარაგუაში. ჩემმა მრევლმა ააგო სკოლები, ჯანმრთელობისა და კულტურული ცენტრები. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ მშვიდობიან ქვეყანაში. რამდენიმე თვის წინ „კონტრას“ შეიარაღებულმა ძალებმა ყველაფერი გაანადგურეს: სკოლა, სამედიცინო და კულტურული ცენტრი. გააუპატიურეს მედეები და მასწავლებლები, განსაკუთრებული სისასტიკით დახოცეს ექიმები. ისინი ველურებით იქცეოდნენ. გთხოვთ მოითხოვეთ, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ ასეთი შოკის მომგვრელი ტერორისტული ქმედების შედეგად მხარდაჭერა დაკარგოს”.

რაიმონდ სეიცი კარგი რეპუტაცია ჰქონდა, როგორც გონიერ, გამოცდილ კაცს. დიპლომატიურ წრეებში დიდ პატივს სცემდნენ. სეიციმა მოისმინა, შემდეგ გაჩერდა და საუბარი გრაციოზულობით დაიწყო: “მამაო, — თქვა მან, — ნება მომეცით, რაღაც გითხრათ. ომში უდანაშაულო ხალხი ყოველთვის იტანჯება”. დუმილი ჩამოვარდა. ჩვენ დაჟინებით მივამტერდით სეიცი. ის არც შერხეულა.

უდანაშაულო ხალხი, სხვათა შორის, ყოველთვის იტანჯება.

საბოლოოდ ვილაცამ თქვა: “მაგრამ ამ შემთხვევაში უდანაშაულო ხალხი” ჩვენი მთავრობის მიერ სუბსიდირებული საზარელი ტერაქტის მსხვერპლია”. თუ კონგრესი „კონტრას“ უფრო მეტ ფულს მისცემს, მეტი ტერაქტი მოხდება. არის თუ არა დამნაშავე მთავრობა, რომელიც მხარს უჭერს მკვლელობასა და დესტრუქციულ ქმედებებს სუვერენული სახელმწიფოს მოქალაქეებზე?”

სეიცი მშვიდად იყო. “მე არ ვეთანხმები თქვენ მიერ წარმოდგენილ ფაქტებს”, — თქვა მან.

როდესაც შეერთებული შტატების საელჩოს ვტოვებდით, ადიუტანტმა მითხრა — მას ძალიან მოსწონს თქვენი ნაწარმოებებიო. მე არაფერი ვუპასუხე.

შეერთებული შტატები 40 წელი უჭერდა მხარს სომოზას სასტიკ დიქტატს ნიკარაგუაში. ნიკარაგუელმა ხალხმა, რომელთაც სათავეში სანდინისტასი ედგა, 1979 წელს განსაცვიფრებელი რევოლუციით დაამხო ეს რეჟიმი.

1989 წელს სან-სალვადორში ამერიკის ცენტრალურ უნივერსიტეტში მსოფლიოს ექვს ყველაზე გამორჩეული იეზუიტი მოკლეს. მოკლეს მამაცი არქიეპისკოპოსი რომეროც. მოკლულია 75000 ადამიანი. რატომ მოკლეს ისინი? მათ სჯეროდათ, რომ უკეთესად ცხოვრება შესაძლებელი იყო. ამ რწმენამ ისინი კომუნისტებად მონათლა.

შეერთებულმა შტატებმა საბოლოოდ დაამხო სანდინისტას მთავრობა. ამას რამდენიმე წელი დასჭირდა და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობებიც შეხვდა, მაგრამ ულმობელმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ და 30000-მა მიცვალებულმა საბოლოოდ სულიერად გაანადგურა ნიკარაგუელი ხალხი. ისინი კვლავ დაუძღვრდნენ და გალატაკდნენ. უფასო ჯანმრთელობა და განათლება დამთავრდა. დიდი ბიზნესი შურისძიებით დაბრუნდა. “დემოკრატია” გაიმარჯვა.

შეერთებული შტატები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მემარჯვენე სამხედრო დიქტატურის მხარდაჭერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ვგულისხმობ ინდონეზიას, საბერძნეთს, ურუგვაის, ბრაზილიას, პარაგვაის, ჰაიტს, თურქეთს, ფილიპინებს, გვატემალას, ელ-სალვადორსა და, რა თქმა უნდა, ჩილეს. 1973 წელს შეერთებულმა შტატებმა თავზარი დასცა ჩილეს.

ამ ქვეყნებში ასი ათასობით ადამიანი მოკლეს. ასე იყო? და ყველა შემთხვევაში ეს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკას ახლავს თან? პასუხი დადებითია და მას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. მაგრამ ეს თქვენ არ იცით.

ეს არასოდეს მომხდარა. არაფერი მომხდარა. ის ყველაფერი, ერთდროულად ხდებოდა და, არც ხდებოდა. არავის აინტერესებდა. შეერთებული შტატების დანაშაული სისტემატური, ავი და ულმობელი გახდა, მაგრამ ამის შესახებ ძალიან ცოტა თუ საუბრობდა. პირდაპირ უნდა ითქვას — ამერიკა, ძალით მანიპულირების ხარჯზე,

სამყაროს სიკეთისათვის მებრძოლად შეინიღბა. ეს ჰიპნოზის შესანიშნავი, გონიერი და დიდად წარმატებული აქტია.

შეერთებულმა შტატებმა უდიდესი შოუ დადგა – სასტიკი, ინდიფერენტული, დამცინავი და ულმობელი, ამავე დროს – ჭკვიანური. ის გამარჯვებულია. მოუსმინეთ ამერიკის ყველა პრეზიდენტის სატელევიზიო გამოსვლას – “ამერიკელი ხალხი” ყველა წინადადებაშია: “მე მივმართავ ამერიკელ ხალხს, რომ დროა, ვილოცოთ და დავიცვათ ამერიკელი ხალხის უფლებები და ვთხოვ მათ, ენდონ თავიანთ პრეზიდენტს, ის აუცილებლად ამერიკელი ხალხის სასარგებლოდ იმოქმედებს”.

შეერთებული შტატები მეტად აღარ ნუსხს დაბალი ინტენსივობის კონფლიქტზე. იგი კარტს ყოველგვარი შიშის გარეშე შლის. უბრალოდ, არ იმჩნევს საერთაშორისო სამართალსა და კრიტიკას, რომელიც მისთვის შეუფერებელია. მას ჰყავს უკან გამოდევნებული პატარა ბატკანი და ეს, პათეტიკური და უმოქმედო დიდი ბრიტანეთია.

რა დაემართა ჩვენს მორალს? გვექონდა კი ოდესმე? რას ნიშნავს ეს სიტყვები? იქნებ სინდისს? სინდისი არა მარტო ჩვენს ქმედებაში უნდა ჩანდეს, არამედ სხვათა საქციელშიც. ნუთუ ეს ყველაფერი ჩაკვდა? შეხედეთ გვანტანამოს ყურეს. იქ ასობით ადამიანი გამოამწყვდიეს. ეს ტოტალურად არალეგიტიმური სტრუქტურა უენევის კონვენციის თანახმად მიიღწევა. დასაფიქრებელია, რას ვუნოდებთ “საერთაშორისო საზოგადოებას”. ეს კრიმინალური კანონდარღვევა ჩაიდინა ქვეყანამ, რომელიც თავს “თავისუფალი მსოფლიოს ლიდერად” აცხადებს. ვფიქრობთ ჩვენ გვანტანამოს ყურის მცხოვრებლებზე? რას ამბობს მედია მათ შესახებ? იშვიათად იხსენებენ — პატარა ნაწყვეტი მეექვსე გვერდზე. ეს ხალხი ისეთ მინაზე აღმოჩნდა, საიდანაც ვერასოდეს დაბრუნდება. ამჟამად ბევრი მათგანი შიმშილობს, ბრიტანელი მოქალაქეების ჩათვლით. ეს ნამებაა. რა თქვა ამის შესახებ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა? არაფერი. ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა? არაფერი. რატომ? რადგან შეერთებულმა შტატებმა განაცხადა: “ნუ გააკრიტიკებთ ჩვენს ქცევას გვანტანამოს ყურეში. თქვენ ან ჩვენს მხარეზე ხართ, ან წინააღმდეგ”. ასე რომ, ბლერი ჩუმდება.

ერაყის ხელყოფა ბანდიტური ქმედება იყო, სახელმწიფოს აშკარა ტერორისტული აქტი, რომელიც საერთაშორისო კანონის აბსოლუტურ დემონსტრირებას ახდენს. ხელყოფა თვითნებური სამხედრო ქმედება გახლდათ, ტყუილების სერიებით, მედიისა და საზოგადოების მანიპულირებით. ამერიკის სამხედრო და ეკონომიკური კონტროლის კონსოლიდაციისკენ მიმართული ქმედება შუა აღმოსავლეთში შენიღბულია. თავისუფლებამ კრახი განიცადა.


ჩვენ მოვიტანეთ ნამება, ბომბების გროვა, დაცლილი ურანი, შემთხვევითი მკვლელობების უთვალავი შემთხვევა, უბედურება, ერაყელი ხალხის დეგრადაცია და სიკვდილი. ამას უწოდებენ “თავისუფლები-სა და დემოკრატიის მოსვლას შუა აღმოსავლეთში”.

რამდენი ადამიანი უნდა მოკლა, ვიდრე მასობრივი მკვლელისა და სამხედრო დამნაშავეს დაგარქმევენ? ასი ათასი? უფრო მეტი, ვიდრე ვიფიქრებდი? სწორედ ესაა, რაშიც ბრალი დასდეს ბუშსა და ბლერს საერთაშორისო სასამართლოს წინაშე. მაგრამ ბუში ჭკვიანი აღმოჩნდა – მან ხელი არ მოაწერა საერთაშორისო სასამართლოს უწყებას. ტონი ბლერმა მოაწერა. ჩვენ შეგვიძლია, ნება დავართოთ სასამართლოს, ჰქონდეთ მისი მისამართი: ლონდონი, დაუნინგ სტრიტი №10.

სიკვდილი ამ კონტექსტში უადგილოა. ორივე – ბუშიც და ბლერიც –

სიკვდილს უკანა პლანზე წევს. სულ მცირე, 100000 ერაყელი დაიღუპა ამერიკული ბომბებითა და ჭურვებით. ეს ხალხი აღარ არსებობს. მათი სიკვდილიც აღარ არსებობს. ისინი დამარცხებულნი არიან. მათზე, როგორც მკვდრებზეც კი არ არსებობს ჩანაწერები. “ჩვენ არ ვითვლით გვამებს”, – განაცხადა ამერიკის გენერალმა ტომი ფრენკსმა.

ამ ხელყოფის დროს ბრიტანული გაზეთის პირველ გვერდზე გამოქვეყნდა ფოტო, რომელშიც ტონი ბლერი ლოყაზე კოცნის პატარა ერაყელ ბიჭუნას. “დიდებული ბავშვია”, – თქვა კაპიტანმა. რამდენიმე დღის შემდეგ გამოქვეყნდა სტატია და სურათი შიდა ფურცელზე, სადაც გამოსახული იყო ოთხი წლის უმკლავებო ბიჭუნა. მისი ოჯახი ჭურვზე აფეთქდა. ის გადარჩა. “როდის დამიბრუნდება ჩემი მკლავები?” – კითხულობდა იგი. აქ სტატია წყდება. ტონი ბლერს ხელში არ ის აუყვანია და არც სხვა რომელიმე დამახინჯებული ბავშვი. არც სისხლიანი სხეული. სისხლი ჭუჭყია. ტელევიზიით გამოსვლისას პერანგსა და ჰალსტუხზე ლაქები დაგემჩნევათ.



2000 დაღუპული ამერიკელის ნეშტი დაიკარგა. ისინი სიბნელეში გადაიტანეს. საფლავებში ჩასვენება დაუბრკოლებლად ჩატარდა. დაშავებული სხეულები საწოლში დარჩნენ, ზოგიერთი მათგანი – სამუდამოდ. ასე რომ, მკვდრებიც და დაშავებულებიც სხვადასხვა სახის სამარეში აღმოჩნდნენ.

ეს არის ნაწყვეტი პაბლო ნერუდას ლექსიდან – “I’m Explaining a Few Things”:

“And one morning all that was burning,  
 one morning the bonfires  
 leapt out of the earth  
 devouring human beings  
 and from then on fire,  
 gunpowder from then on,  
 and from then on blood.  
 Bandits with planes and Moors,  
 bandits with finger-rings and duchesses,  
 bandits with black friars spattering blessings  
 came through the sky to kill children



and the blood of children ran through the streets  
without fuss, like children's blood.

Jackals that the jackals would despise  
stones that the dry thistle would bite on and spit out,  
vipers that the vipers would abominate.

Face to face with you I have seen the blood  
of Spain tower like a tide  
to drown you in one wave  
of pride and knives.

Treacherous  
generals:  
see my dead house,  
look at broken Spain:  
from every house burning metal flows  
instead of flowers  
from every socket of Spain  
Spain emerges  
and from every dead child a rifle with eyes  
and from every crime bullets are born  
which will one day find  
the bull's eye of your hearts.

And you will ask: why doesn't his poetry  
speak of dreams and leaves  
and the great volcanoes of his native land.

Come and see the blood in the streets.  
Come and see  
the blood in the streets.  
Come and see the blood  
in the streets!\*

ნება მომეცით, დავაზუსტო, რომ ნერუდას ციტირებით მე არც ერთი  
წამით არ ვადარებ ერთმანეთს რესპუბლიკურ ესპანეთსა და ჰუსეინ-  
ნის ერაყს. უბრალოდ, თანამედროვე პოეზიაში არსად წამიკითხავს  
მოსახლეობის დაბომბვის ასეთი მძაფრი აღწერა.

ამჟამად შეერთებული შტატები ფლობს 702 სამხედრო ნაწილს  
მსოფლიოს 132 ქვეყანაში, შედეგის გამოკლებით, რა თქმა უნდა.  
ჩვენ არ ვიცით, თუ როგორ მოხვდნენ ისინი იქ, მაგრამ ეს ასეა.

შეერთებული შტატები ფლობს 8000 ერთეულ ბირთვულ იარაღს.  
ორი ათასი მათგანი განგაშიდან 15 წუთში მზადყოფნაშია. შტატები  
ქმნის ბირთვული ძალის ახალ სისტემას. ბრიტანელები აპირებენ,  
საკუთარი ბირთვული ჭურვები, ტრიდენტი ჩაანაცვლონ. საინ-  
ტერესოა, ვის იღებენ მიზანში. ოსამა ბინ ლადენს? თქვენ? მე? ჯო  
დოუკს? ჩინეთს? პარიზს? ვინ იცის? ერთადერთი, რაც ვიცით, ისაა,  
რომ ბირთვული იარაღის ფლობა და გამოყენება არის ამჟამინდელი  
ამერიკული პოლიტიკის ფილოსოფიის გული. უნდა გვახსოვდეს,  
რომ შეერთებული შტატები ეყრდნობა სამხედრო წყობას და არც  
აპირებს მის შეცვლას.

შეერთებულ შტატებში ათასობით თუ მილიონობით ადამიანს  
რცხვენია და გაბრაზებულია მთავრობის ქმედებით. გაბრაზება,  
გაურკვევლობა და შიში, რომელსაც ვხედავთ, დღითი დღე იზრდე-  
ბა.

ვიცი, რომ პრეზიდენტ ბუშს ჰყავს მოხსენების ბევრი კომპეტენტუ-  
რი დამწერი, მაგრამ ამ საქმეს მე თვითონ გავუძღვები. გთავაზობთ  
იმ მცირე სიტყვას, რომელიც ერისადმი ტელევიზიით მიმართვისას  
შეუძლია გამოიყენოს. ის აკურათულად დავარცხნილი, გამარჯვე-  
ბული, გულწრფელი, მოლიმარი და მომხიბვლელი კაცია.

“ღმერთი კარგია. ღმერთი დიადია. ღმერთი კარგია. ბინ ლადენის  
ღმერთი ცუდია. ის ცუდი ღმერთია. სადამ ჰუსეინის ღმერთი იყო  
ცუდი. ის ბარბაროსი იყო. ჩვენ არ ვართ ბარბაროსები. ჩვენ არ  
ვაჭრით ხალხს თავებს. ჩვენ გვჯერა თავისუფლების, ასევე ღმერ-  
თსაც. მე ბარბაროსი არა ვარ. მე დემოკრატიული გზით არჩეული  
ლიდერი ვარ. ჩვენ ვართ გულშემატკივარი საზოგადოება. ჩვენ  
დიდებული ერი ვართ. მე არა ვარ დიქტატორი. მე არა ვარ ბარბარო-  
სი. ის არის. და ისიც არის. ყველანი. მე ვიცავ მორალურ ძალაუფლე-  
ბას. ხედავთ ამ მუშტს? ესაა ჩემი მორალური ძალა და არ დაგავი-  
წყდეთ”.

მწერლის ცხოვრება ძალიან მტკივნეული, თითქმის შიშველი ქმედე-  
ბაა. ჩვენ არ უნდა ვიტიროთ ამის გამო. მწერალი აკეთებს თავის  
არჩევანს და იცავს მას. თქვენ საკუთარ თავს არ ეკუთვნით. ვერ  
პოულობთ თავშესაფარს, დაცვას, ვიდრე არ მოიტყუებით. ამ შემ-  
თხვევაში თქვენ თხზავთ თქვენებურ დაცვას და პოლიტიკოსი ხდებ-  
ით.

როდესაც სარკეში ვიხედებით, ვფიქრობთ, რომ სახე, რომელიც  
გვიყურებს, ზუსტია. მაგრამ გადაიხარეთ ერთი მილიმეტრით და  
გამოსახულებაც შეიცვლება. ჩვენ ვუყურებთ დაუსრულებელ გამო-  
სახულებათა რიგს. მაგრამ ზოგჯერ მწერალმა უნდა დაამსხვრიოს  
სარკე, რადგან ის სარკის მეორე მხარესაა და სიმართლე დაჟინებით  
გვიცქერს.

მჯერა, რომ არსებული უამრავი უცნაურობის მიუხედავად, ჩვენი  
ცხოვრების ჭეშმარიტ სინამდვილეს მტკიცე, ურყევი, მკაცრი ინ-  
ტელექტუალური განსაზღვრება განმარტავს და ჩვენი საზოგადოე-  
ბა არის გადამწყვეტი ვალდებულება, რომელიც ყველა ჩვენგანზე  
ვრცელდება. ეს, ფაქტობრივად, სავალდებულოა.

თუ ეს განსაზღვრება არ ჯდება ჩვენს პოლიტიკურ ხედვაში, მაშინ  
არ გვაქვს იმის განახლების იმედი, რაც ცოტა ხნის წინ დავკარგეთ  
— ადამიანის ღირსების!



# TELIANI VALLEY



სახიამოვნო ახმატის მქონე  
 ყუიძნის ახაყი დამზადებულია  
 ჩქანთონის ჯიშის ყუიძნისაგან.  
 იგი ნახმოადგენს ქახთული  
 ტხადოციული დისტილაციის  
 მესხანიშნავ ნიმუშს.  
 მიიხთვიოთ გაცეიებული 6-8° C.

**“თქანიანი ჰქანი” ზიხოტხიანი ახანი რქანი დანი  
 ზომილ გრქანიშნავ დანიანიშნავნი!**



Compose

Send

Save Draft

Discard

- Inbox
- Starred
- Sent Mail
- Drafts
- All Mail
- Spam
- Trash

Contacts

Labels

Edit labels

From: Tina asatiani

Add Cc | Add Bcc

Subject: RE: Tin@Tin@

Attach a file

Rich formatting »

Check spelling

tamuna ra kargia mand rom xar. redakciashi daschirdat sascraftod meili germaniidan da aba shen ici...

დიდი ხნის ფიქრის შემდეგ, გადავწყვიტე სახალწლო ნომრისთვის ორიგინალური email-ი გამომექვეყნებინა. „ანაბეჭდი“ უკვე მათე თვეა მკითხველს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველებს აცნობს Tin@Tin-is საშუალებით. ვინაიდან, რუბრიკის სტუმრები თავისი ორიგინალობით ხშირად გამოირჩეოდნენ, ამჯერად მათი წერილის ადრესატზე შევაჩერე ყურადღება, რომლის ვინაობაც აქამდე ყოველთვის ზედაპირული იყო. ადრესატი მე – თინათინ ასათიანი ვარ. ვცხოვრობ პეკინის ქუჩაზე ქმართან და 4 წლის ეკატერინესთან ერთად. ვარ 28 წლის, დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი ურნალისტიკის ფაკულტეტი, უფრო სწორად, ტელენამყვანის, მანამდე ჩავაბარე უნივერსიტეტში, გადავედი კერძო ტელე-რადიო ინსტიტუტში, მაგისტრის წოდება საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში მივიღე, მოკლედ, საბოლოო ჯამში ერთ უგზო-უკვლოდ განათლებულ მოქალაქედ ჩამოვყალიბდი. ჩამოყალიბების პროცესში ჩემი მეგობრების ძირითადი ნაწილი საზღვარგარეთ ემიგრაციაში წავიდა (90-იანების შუა წლები), ამიტომ ეს პერიოდი მეგობრებთან გაუთავებელ მიმონერაში გავატარე (მაშინ ინტერნეტით სარგებლობის ფუფუნება სად იყო). მერე მეც მომიწია ერთი წლით მანჩესტერის აკადემიაში სასწავლებლად გამგზავრება. ამ პერიოდში საკმარისად ვიგრძენი უცხო ქვეყანაში ცხოვრების სიმძიმე და ნოსტალგიაც კარგად გამოვცადე. ვსწავლობდი და თან ესპანურ

რესტორანში La Tasca ოფიციალტად ვმუშაობდი. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისში სამუშაოებს მეგობართან ერთად ვიყავი, ერთ წელზე მეტხანს მაინც ვერ გავძელი, თბილისში დავბრუნდი და საქართველოში ჩემი ყოფნის გამყარებას შევუდექი. გავთხოვდი, შვილი გავაჩინე და ბებია-პაპის სახლკარისთვის იმ მნიშვნელობის გაღრმავება დავიწყე, რაც ფასეულობათა გადაფასების შემდეგ შევიძინე... რაც უფრო მეტი საყვარელი ადამიანი ჩემს გარშემო, მით უფრო საინტერესო, მხიარული და სიყვარულით სავსეა ჩემი ცხოვრება. ახალ წელსაც ამ გარემოცვაში, სახლში, ბუხართან, ოჯახის წევრებთან და ბევრ, ბევრ მეგობართან ერთად შევხვდი. ტრადიციას მხოლოდ მენიუთი ვუღალატე (რამაც, სხვათაშორის გაამართლა) და ახლა შობისთვის, მერე ძველით ახალი წლისთვის, თინაობისთვის (?), ნინოობისთვის და ა.შ. ვემზადებით. იმის მოლოდინში, რომ დადგება დრო, როდესაც ჩემი რუბრიკის ყველა გმირი ერთად საქართველოში ბედნიერ და მრავალ ახალ წელს შევხვდებით.

ყველა ძალიან მიყვარხართ,  
გელოდებით  
მუდამ თქვენი  
თინა

Send

Save Draft

Discard



Search Mail

# 2005 w l i s t r i u m f a t o r e b i

xaCi k

foto gi ko dadi ani

„ლივერპული“ – ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე წარმოდგენილი ფინალი მოიგო.  
 ლანს არმსტრონგი – ტურ დე ფრანსი მეშვიდედ მოიგო.  
 როჟე ფედერერი – 2005 წელს 11 ტურნირი მოიგო.  
 ფერნანდო ალონსო – F1 ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა (24 წლის) და პირველი ესპანელი ჩემპიონი გახდა.  
 უკრაინის საფეხბურთო ნაკრები – არსებობის მანძილზე მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე პირველად და პირველი გავიდა.  
 სან-ანტონიო “Spurs” – 3 სეზონში მეორედ გახდა NBA-ის ჩემპიონი.  
 გუუს ჰიდინგი – ზედიზედ სამი სხვადასხვა ნაკრები გაიყვანა მსოფლიო ჩემპიონატზე, 2005 წელს – ავსტრალია.  
 ტიერი ანრი – „არსენალის“ ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. მოხსნა იან რაიტის რეკორდი – 185 გოლი.  
 ასაფა პაუელი – 100 მეტრზე სირბილში დაამყარა ახალი რეკორდი – 9.77 წამი.  
 ვალენტინო როსი – Moto Gp - ის მსოფლიო ჩემპიონატი ზედიზედ მეხუთედ მოიგო.


2005 წელს არ გაუმართლათ „მილანი“ — ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჩაისვარა“. იან ულრიხი — ტურ დე ფრანსზე არმსტრონგს კიდევ ერთხელ ვერ დაენია.  
 ივან ლიუბიჩიჩი – 2005 წელს 6 ფინალი წააგო.  
 საქართველოს ნაკრები – უკომენტაროდ. გაიოზ დარსაძე – „რეპუტაცია შეელახა!“  
 • თურქეთის საფეხბურთო ნაკრები – 4:2 მოიგო, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატზე მაინც ვერ გავიდა.  
 “L.A. Lakers” – 10 სეზონის მანძილზე პირველად ვერ გავიდა ფლეი-ოფში.  
 ურუგვაის საფეხბურთო ნაკრები – პირველად ვერ გავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე.  
 ვიტალი კლიჩკო – ტრავმის გამო კრივიდან წავიდა.  
 როი კინი – „მანჩესტერიდან“ გააგდეს (ვითომ თავისი ნებით წავიდა).  
 2005 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები მარადონა და პელე შერიგდნენ.  
 ლონდონმა 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის უფლება მოიპოვა.



საქართველოში 13-კაცა რაგბის ნაკრები შეიქმნა და პირველი ოფიციალური მატჩი გაიმართა.  
 ომის შემდეგ პირველად გაიმართა სერბეთისა და ბოსნიის საფეხბურთო ნაკრებების შეხვედრა.  
 მიუნხენში ახალი, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთის სტადიონი აშენდა – “Alianz Arena”.

## 2005 w l i s y v e l a z e S e m o s a v l i a n i s p o r t s m e n e b i

1. თაიგერ ვუდსი – 80 მლნ \$
2. მიხაელ შუმახერი – 80 მლნ \$
3. პეიტონ მენინგი – 42 მლნ \$
4. მაიკლ ჯორდანი – 35 მლნ \$
5. შაკილ ონილი – 32 მლნ \$
6. კევინ გარნეტი – 30 მლნ \$
7. ანდრე აგასი – 28 მლნ \$
8. დევიდ ბექჰემი – 28 მლნ \$
9. ალექს როდრიგესი – 26 მლნ \$
10. კობი ბრაიანტი – 26 მლნ \$





# wl i s gamoki Txva - 2005

	ანა მაცაშვილი	გიგი გულედანი	ნინია კაკაბაძე	ირაკლი ჩხიკვაძე	ლევან ნუცუბიძე
წლის ფილმი	“გასეირნება ყარა-ბაღში”	“დაგვიანებული ქორ-ნილი” რეჟ. დოვერ კომაშვილი	“13 ცამეტი”	King-Kong	«Полеты во сне и наяву»
წლის მსახიობი	?	ყველა, ფილმში “იმ-ერული ხატაპური 2”	მიშა მესხი	ნათია ფარ-ჯანაძე	დავით ბუხრიკიძე
წლის მომღერალი	ლექსენი	ენრიკო ჯანელიძე	სალომე კორკოტაშვილი	ნიკა კაჩაროვი	ანრი ჯოხაძე, mor-rissey
წლის სიმღერა	თოხიცი	Donna Summer - I feel love	33ა, “გალაკტიონი”	He бери себе в голову Земфира, не бери	Transparent, do-lia varavskaia, army dreamers, gay robot
წლის ალბომი	-	Gonzales – Solo Piano	“მუსიკა”	იგივე	cyberpunk, jorjick 01
წლის გადაცემა	“შაბათის შოუ”/ “ამტანი”/ “ჯეობარი”	“კავკასიაზე” როა ანალიტიკური გადაცემა :)	“რეაქცია”	“ჯეობარი”	TV sucks!
წლის ტელენამყვანი	მამუკა ლლონტი	მაგ გადაცემის ნამყვანი :)	ინგა გრიგოლია	დუტა	TV sucks!
წლის ბექდური გამოსცემა	:)	:)	:)	:)	სიტყვა და საქმე
წლის ავტორი	ლამა ბულაძე	ანა მაცაშვილი		გიგი გულედანი	გიგიგუ ანა მაცაშვილი
წლის წიგნი	“ბოლო ზარი”	ედუარდ კოუ «ДОМ СНА»	“მამა”	“მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”	“კამფეტები, ანანასი”
წლის ფოტოგრაფი	მაკა კუკუ	ზაზა ბურჭულაძე	“კუკულავები”	გოგა დევდარიანი	ზაზა ბურჭულაძის მამა
წლის ფოტო	?	სალომე დადუნაშვილი ირანში	“დედა”	“ცეკვა მგლებთან ერთად”	ბუხრიკა
წლის დიზაინერი	თოფურია ნიკა	თეოშა ცინცაძე	სალომე ზაქარაია	ცინცაძე თეონა	dj ლევან ასათიანი
წლის მოდელი	მე	ნესტან კვინიკაძე	სალომე მაჩაიძე	ნათია მაქაცარია (ჰა-ჰა)	სალომე ხელაშვილი
წლის კონცერტი		არ გვყავს	Young Georgian Lolitaz	-	გოსლაბი ლაიპციგში
წლის კლუბი	“ბერლინი”	არ იყო	FLY	FLY	ნეთუ!
წლის კაფე	ლიტ-კაფე	მზადებაშია	ლიტ-კაფე	შარდენი	under construction
წლის კულტურული მოვლენა	“ანაბექტი”	“ცხელი შოკოლადის” ტუსა, 25 მაისი, 2005	“მზიური”	“ანაბექტი”	ბალერონის დაპატიმრება
წლის ბრენდი		022	“ანაბექტის” მაგარი სასტავი:)	AWORD	nesquik, რელანიუმი
Best fuck		whatever	2005 წლის სექტემბერი	12 ივლისი	ერ


ნიკა კანაროვი	დავით ბუხრიკიძე	გიორგი მასხულია	ზაზა ბურჭულაძე	ანონიმი	სალომე ზაქარაია
“Hatuna Meuharet” (დოვერ კომპოზიტი)	“13” — რეჟ. გელა ბაბლუანი	“ზორო”	N9 “ანაბექდის” სარეკლამო რგოლი	“მოგზაურობა ყარაბალში”	“ამარკორდი”
ნოდარ ცერცვაძე	გიორგი ყიფშიძე	სერგო ზაქარაიაძე	ბახალა	ყარაბახის ბიჭები	მონიკა ბელუჩი
Jeff Buckley	“ბასტი-ბუბუს” ბავშვები (ყველანი)	თამუნა ამონაშვილი	გოგი ძოძუაშვილი	კანაროვი	ფრენკ სინატრა
Sighn – Snoop feat. harel feat Justin	საქართველოს ძველი ჰიმნი (კოტე ფოცხვერაშვილის მუსიკა)	“ავტომობილიმოიგე ჩორნიე გლაზა”	Magazin	“ვარსკვლავები”	“გალაკტიონი”, ნიაზისი
Borat Show	“შენტიმენტალი” (ნიკა მაჩაიძე)	-	Cyberpunk	ნიაზის	რამე ვეშჩი “მიფრინავენ ულვაშების”
	“Arte” (შაბათობით)	“გვაროვნული წყობილება” იმედზე	“დილოგი”	“ამტანები”	«До и после»
	სალომე დადუნაშვილი	ალეკო ლეჟავა (ევრიკა, “მსოფლიო სპორტი”)	დავით აქუბარდია		T. Виденева
:)	:)	:)	:)	:)	:)
	ზაზა ბურჭულაძე	გოჩა მანველიძე	გიგი გულედანი	გიგა ზედანია,თაზო მჭედლიძე	ნენე+ზაზა ბურჭულაძე
“კამფეტები ანანასი”	“9.5”	“სარანგი”	“კამფეტები, ანანასი”	Herself	-
ზაზა ბურჭულაძე	ვალერი ოდიკაძე	ზღვაზე გადავიღე კარგი ფოტოები ტელეფონით	მესხი in da hauz	ნატა , ქეთა, მაკა. ბესო უზნაძე.	ლაპიაშვილი, ლაპიაშვილი და ლაპიაშვილი
მესხი (nevermind)	“წმინდა ჟაკის ქუჩა პარიზში”	მზის ჩასვლა	დიმადიანი & იკო მინდაძე - “ჭადრაკი არყებით”	“ძალა ერთობაშია:)”	ლურჯი ხაზი
	თათია ჩომახაშვილი	დიზაინერებს არ ვიცნობ	გიო სუმბაძე, ლევან ნუცუბიძე	დიმა გვასალია, თათანაკა	-
	ნინო ქორიძე	“ჯეობარის” ნატა	მაია სუმბაძე	ანანო კეკელია	ნინო ქორიძე
Lolitaz (electro live)	სეზარია ევორა (ფილარმონიაში)	ლადო ბურდულის ივნიის ჩანაწერი	YGL in FLY		მიფრინავენ ულვაშები (აუხდენელი ოცნება)
	“ბერლინი”	“ბერლინი”	FLY	FLY	FLY
	“ფემენ კაფე” რუსთაველზე	ლალძე	შარდენი	შარდენი 12	“ანაბექდი”
	რუსთაველის თეატრის გახსნა	გედების ტბა	ჩარკვიანის მეფედ ფურთხება	ელვა	4-საათიანი ტუსოვკა მიმოს კლიპამდე
Stop Records	ბუში აბანოთუბანში	ლანჩხუთის მოსაწევი	სუბო	ანაბექდი	ჩხიკვა
	???	გაიოზ დარსაძე	ქათმის გრიბი	ჩიყვი	ლელიკო

# С новым годом! С новым счастьем!

ოდელსაც, დიდი ხნის წინ, ადამიანებმა არ იცოდნენ, რომ დრო უწყვეტი ნაკადია, წარსულს აწმყო მოსდევს, აწმყოს კი მომავალი. სამეცნიერო ენაზე ამას „მითოლოგიური აზროვნება“ ეწოდება, რადგან ეს რწმენა დაახლოებით იმავე პერიოდს ეკუთვნის, როდესაც ადამიანები გარემო რეალობის აღსაწერად მითებს თხზავდნენ. „მითოლოგიური აზროვნების“ ადამიანისთვის ცნებები „წარსული“ ან „მომავალი“ უბრალოდ არ არსებობდა. არსებობდა მხოლოდ აწმყო. ძველი ელინისთვის რთული გასაგები იქნებოდა, რომ ოდისეუსი თავის გამირობებს დიდი ხნის წინ, მის დაბადებამდე ბევრად ადრე ჩადიოდა. ჰომეროსისთვის დრო გაჩერებულია, ყველაფერი „ახლა“ ხდება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა თხრობა „ახლამდელ“ მოვლენებს ეხება, ჩვენს წინაშე უბრალოდ „წინა ახლა“ ცოცხლდება. შესაბამისად, დრო პრაქტიკულად არ მიდის, ყველა მოვლენა ერთ სიბრტყეში მიმდინარეობს. დრო შესაძლოა გაიჭიმოს, ან პირიქით, შეიკუმშოს. ღმერთებს ყველაფერი შეუძლიათ.

დრო მაინც გავიდა. თავისით. ღმერთებიც კი უძლურნი აღმოჩნდნენ – ისინი შეამცირეს. დროსთან ერთად შეიცვალა ადამიანის წარმოდგენაც თვით დროზე. „მითოლოგიური აზროვნება“ წარსულში დარჩა, აწმყოში ადამიანის მთავარ საზრუნავად მომავალი იქცა. მაგრამ არსებობს დღე, როდესაც ადამიანებს თითქოს კვლავ ავიწყდებათ, რომ დრო უწყვეტი ნაკადია, „მითოლოგიურ აზროვნებას“ უბრუნდებიან და თვითონ ხდებიან მითიური რიტუალის მონაწილენი – ახალ წელს ეგებებიან. არქაული აზროვნებისთვის უცხოა ეტაპობრივი განვითარების იდეა, ასეთი მსოფლმხედველობისთვის რაიმე ახლის დაბადება ძველის სიკვდილის ტოლფასია. და მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე ქრისტეშობიდან 2006 წელია და არა ქრისტეშობამდე 850, ჩვენც გვჯერა, რომ წარსულის დარდები ახალ წელს აღარ გამოგყვება და ახალი წელი (ახლადწარმოქმნილი სამყარო) მხოლოდ სიხარულს მოგვიტანს.


„ანაბეჭდი“ ისედაც მითოლოგიური წარმონაქმნია – თანამშრომელთა უმეტესობა იმდენი ხანია ერთად არის, რომ უკვე ყველა თვლის – ყველაფერი ყოველთვის ზუსტად ასე იყო – სამყარო ჩაკეტილი და მუდმივია. დროის დინება ოფისში მხოლოდ მორიგი ნომრის გამოშვების წინ შეიმჩნევა. თუმცა არიან ისეთებიც, ვისთვისაც დრო საერთოდ გაჩერებულია. ამიტომ ლოგიკურია, რომ მითოლოგიის საუკეთესო ტრადიციების თანახმად, ჩვენი დარდები გასულ, უკვე მკვდარ სამყაროს დავუტოვოთ და განახლებულ, ახლადდაბადებულ სამყაროში მომავალი სიხარულის იმედით შევიდეთ. ჩვენი დარდები, მათი ის ნაწილი მაინც, რომელსაც ჟურნალში ვაქვეყნებთ არცისე სერიოზულია, რომ ზოგადსაკაცობრიო, ან თუნდაც საქართველოს დარდებთან შედარებას გაუძლოს. და ეს ძალიან კარგია – ჩვენ მშობლებს ნამდვილად გაუხარდებათ, რომ მათი შვილები ბევრზე უკეთ გრძნობენ თავს. არც ჩვენი იმედებია იმ მასშტაბის, რომ ახალი წლის ბოლოს საქართველოს მოსახლეობას უგემოვნო ბუკლეტები დავუყაროთ სადარბაზოებში – არიქა, შემოგვხედეთ, რას მივალწიეთო. არც ეს არის ცუდი – ჩვენ არავის დავპირებივართ, რომ ქვეყანას ავაშენებდით. უბრალოდ, იმ ჟურნალს ვაკეთებთ, რომელსაც ახლა თქვენ კითხულობთ. ბოლოსდაბოლოს დარდიცა და სიხარულიც ინდივიდუალური ამბავია და მათ შესახებ ირონიის გარეშე საუბარი ცოტა უხერხული და სასაცილოა. ირონია ძველი ელინების მოგონილია




www.anabechdi.ge is still under construction. kakadu (თქვე თემო, თქვე კოხი) წინა ბადურაშვილის ვებ-საიტით ერთობა. სიკვდილი ჰაკერებს!



თეოშას ნალოლიავები ლეპტოპის (Power Book G4) ქურდობა (საძინებელი ოთახიდან) წლის სამაგალითო დანაშაულია ჰოლივუდის საუკეთესო ტრადიციებით: დევნითა და სროლით, მაგრამ Unhappy end-ით (თეოშასთვის). მადლობა პატრულს.



სამი თვის განმავლობაში ოფისის ყველა კუთხეში მიმოხეული „სვეტსკი“ ჟურნალები (საიდანაც იღებებს ვიპარავთ) „სიტყვა და საქმის“ გვერდით დაიჩრდილა. ლელიკო და ლევანიკო ბინებს ეძებდნენ. საბოლოოდ, სამართალმა პური ჭამა, სახარებისეული „ვინც ეძებოს ჰპოვოს“ დამტკიცდა, ოფისი ჩვეულ „ვიდზე“ დადგა. მაკლერები ისვენებენ.



Handwritten passenger list with columns for flight number, cabin class, and passenger details.

№ рейса	Класс	Имя	Фамилия	Возраст	Стать
KL 001	Y	...	...	...	...
KL 002	Y	...	...	...	...
KL 003	Y	...	...	...	...

ჭიქის დიაგნოზმა მთელი რედაქცია აღაფრთოვანა. ყველანი (პაციენტის გარდა) ვამაყობთ, რომ მთელ საქართველოში მარტო ჩვენ გვყავს მეგობარი, რომელსაც „ვესტიბულარული აპარატის“ პრობლემები ანუხებს. თუ გშურთ, დაგვიკავშირდით – შედეგი გარანტირებულია!

სატელეფონო გადასახადით თუ ვიმსჯელებთ რედაქციის ერთი ნაწილი დღის ნათელი დროის განმავლობაში MAGTI-სა და GEOCELL-ის ფინანსურ კეთილდღეობაზე ზრუნავს, მეორე ნაწილი კი, დაბნელებისთანავე ევროპაზე გადის. შტორლიცისთვის რომ ამდენი საშუალება მიეცათ სამამულო ომში გამარჯვებას 23 ივნისს ვიზიემბდით. Be connected!



KLM E-ticket confirmation for MRS NESTAN KVIVKADZE. The document includes flight details for routes Tbilisi-Atlanta-New York-Tbilisi and Tbilisi-Atlanta-Tbilisi. It also contains a payment summary and the KLM logo.

Date	Time	Flight	Depart	Arrive	Class	Status	Bag		
29NOV	04:05	KL 0432	TBILISI	AMS	V	OK	3PC		
29NOV	14:10	KL 0641	AMSTERDAM	NEW YORK	JFK	V	OK	2PC	
14DEC	23:20	KL 0644	NEW YORK	JFK	AMSTERDAM	AMS	V	OK	2PC
15DEC	19:25	KL 0431	AMSTERDAM	AMS	TBILISI	TBS	V	OK	2PC

ნენემ და თინამ დეკემბერი ნიუ იორკის ნაცვლად თბილისში გაატარეს (საკონსულომ ვიზა არ ჩაურტყათ). Untrustworthy ყურნალისტების აღმფრთვებულ სატელეფონო ზარებს ამერიკის საკონსულო საქართველოში თავიდან ოლიმპიური სიმშვიდით პასუხობდა. თუმცა თინამ და ნენემ თავი არ შეირცხვინეს (ზღარბსაც გამოიყვანენ წყობილებიდან) და დაადგინეს – „ამერიკის კონსულის ნება საქართველოში უზენაესია და გასაჩივრებას არ ექვემდებარება“.

# bal er i nebi

salome dadunaSvili

აღბათ ყველა პატარა გოგონა ბალერინობაზე ოცნებობს. თუ ბალერინობაზე არა, იმ კაბაზე მაინც, რომელიც ბალერინებს აცვიათ. ჰოდა, მეც, პატარა, კუბატივით ჩასუქებული სალომე, გულის სიღრმეში მხოლოდ ბალერინობაზე ვოცნებობდი.

ოცნება თავიდან აშკარა იყო, საყოველთაოდ განცხადებული, სანამ საკუთარი თავის აღქმა და საზოგადოების აზრი ერთმანეთს არ დაეჯახა.

ჩემს თხოვნაზე ცეკვაზე სიარულის შესახებ ყოველთვის უარს ვიღებდი. ბუნებრივია, დედაჩემს არ სურდა, მისი ფუნჩულა ბავშვისთვის მისაღებ კომისიას უარით გაეტეხა გული.

დედაჩემის უარის მიზეზი ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. მე ხომ ისევე, როგორც ყველა ბავშვი, საკუთარ მსუქან ტანს სრულიად ბუნებრივად აღვიქვამდი. თანაც მშვენივრად მახსოვდა, როგორი სიამოვნებითა და “გრაციოზულობით” ვუვლიდი დავლურს საახალწლო ნაძვის ხეს ბაღში და ისიც მახსოვს, რომ ტაშსაც მიკრავდნენ და ახლა რა მოხდა? რატომ არ შეიძლება?

მაგრამ დადგა ის ნუთი, როდესაც მე საკუთარი თავი საზოგადოების თვალით უნდა დამენახა.

კითხვა ადრე ვისწავლე და სკოლაში გამოკრული განცხადება ცეკვის წრეზე მიღების შესახებ კარგად დავიზეპირე. დედაჩემს ულტიმატუმით მივმართე. მეტი გზა არ იყო.

მახსოვს სკოლის ცუდად განათებული ფოიე, სადაც მაგიდასთან უცხო დეიდები ისხდნენ. მახსოვს, როგორი გულის ფანცქალით მივუახლოვდი ამ საოცნებო ჯგუფს.

მერე ის მახსოვს, რომ სახლში მოვდიოდით და მე მაინც არაფრით არ მესმოდა,

რატომ მითხრეს უარი, რატომ არ მიმიღეს. ესე იგი ცუდი ვარ?

ასე დამაჯილდოვა საზოგადოებამ პირველი იარლიყით.

აი ასეა ყოველთვის. ჩვენ ერთნი ვართ, საზოგადოება კი სხვას მოითხოვს ჩვენგან და, რაც მთავარია, ეს ბუნებრივად უნდა აღვიქვათ, მორჩილად მივიღოთ ის რეცეპტი, რომელსაც გამოგვინერნ.

ლამაზი და სულელი, მახინჯი და ჭკვიანი, ექსცენტრული გენიოსი... მეც მალე ვისწავლე ამ რეცეპტების გამონერა. ადვილია და იმიტომ.

ჰოდა, წელს საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამის კეთება არ მსურს.

არც მე მსურს იმ თარგით ცხოვრება, რომელიც სადღაც ჩემთვის გამოჭრეს იმიტომ, „რომ მიხდება“ და არც სხვას ვუსურვებ.

დრო გადის და ვხვდები, რამხელა ტვირთად გვანებს სხვისი აზრი. რამხელა უფსკრულია საკუთარი თავის იმ ჩვენს, ბავშვურ, ბუნებრივ აღქმასა და გარემოს მიერ მონიჭებულ არქეტის შორის.

ჰოდა, ვცდილობ, ისევე ისე დავინახო საკუთარი თავი, როგორც ამას ბავშვობაში ვაკეთებდი.

დღეს ბალერინა ვარ, ხვალ კოსმონავტი და ზეგ, კაცმა არ იცის, რას გადავწყვეტ. როცა გადავწყვეტ, შეგატყობინებთ.





gener al ur i r e p e t i c i a “anabeWdi s” f o t o p r o e q t i





сван со знаком качества









coming soon



на западном фронте без перемен



forget it.









карнавала не будет, все утонет в слезах.







CAFE 55260921



UNDER CONSTRUCTION



# wl i s hor oskopi


r amaz gi gaur i

“სკეპტიკებსა და დილეტანტებს” შორის გავრცელებულია მოსაზრება, რომ ჰოროსკოპი უბრალოდ უწყინარი გართობაა, რომელიც სერიოზულად არ უნდა აღიქვას. მათ შორის ყველაზე პოპულარული არგუმენტია, თითქოს ჰოროსკოპის ნებისმიერი ნიშნის დახასიათების წაკითხვისას, ნებისმიერ ადამიანს თავისი თავის ამოცნობა შეუძლია. ანუ, “სკეპტიკებისა და დილეტანტების” აზრით, ჰოროსკოპი, ზოგადი ლექსიკის წყალობით, საკუთარ თავს უნივერსალურად, ყველა ადამიანს ერგებენ.

ასტროლოგ რამაზ გიგაურის მომზადებულ წლის ასტროლოგიურ პროგნოზთან ერთად, თქვენ პატარა ექსპერიმენტის ჩატარებაც შეგიძლიათ: მოძებნეთ თქვენი ზოდიაქოს ნიშანი და წაკითხეთ რა გელოდებათ მომავალი ძალის წლის განმავლობაში. შემდეგ დაფიქრდით, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს დადებითი და უარყოფითი დღეები თქვენს ცხოვრებაში? რამდენად დიდია იმის შანსი, რომ თქვენ ეს ციფრები თავიდან დღესვე ამოგივარდებათ? თქვენია თუ არა ეს პროგნოზი?

ამ ექსპერიმენტის ჩასატარებლად, “ანაბეჭდის” ასტროპროგნოზი სპეციალურად არეულია. ასტროლოგ რამაზ გიგაურის მოწოდებული ჰოროსკოპის ნამდვილ ვარიანტში არსებული სწორი განლაგების გაგებას კი თქვენ პროგნოზის ბოლოში მოცემული თავდაყირა პასუხებიდან შეძლებთ.







**1. ვერძი** – 2006 წელი თქვენთვის ორ ნაწილად გაიყოფა. პირველი ნაწილი მეორისგან მკვეთრად განსხვავებული იქნება. პირველ ნახევარში თქვენი ფიქრები და საქმიანობა მეტწილად საკუთარ სახლსა და ოჯახს დაუკავშირდება. ამ დროს მოსალოდნელია მატერიალური „ჩავარდნებიც“, რაც მთლიანობაში არცთუ ისე სახარბიელო სახეს მიიღებს. წლის დასაწყისიდანვე დაგროვილი პრობლემების გადაჭრას შეუდგებით (სხვათა შორის, ამ პროცესს წარმატებულად გაართმევთ თავს). ამ პერიოდში საჭიროა, არ აპყვეთ ემოციებს. თებერვალი და მარტის პირველი და მესამე დეკადა მეტ-ნაკლებად მძიმე იქნება, თავს მეტისმეტად შეზღუდულად იგრძნობთ, მაგრამ მელანქოლია ნუ დაგეუფლებათ. დახმარებას უახლოესი მეგობრები გაგიწევენ, სწორედ მათი შემწეობით აარიდებთ პრობლემებს თავს. თქვენთვის ძირითადი მოვლენები მარტის დასაწყისიდან განვითარდება. ამ დროს უნდა დაიწყეთ ყველა ის საქმე, რომლის განხორციელებასაც წელს გეგმავთ. შეეცადეთ, საკუთარი გონების მობილიზება კონკრეტულ ფაქტებსა და მოვლენებზე შეძლოთ. თუ ამას მოახერხებთ, მაშინ წარმატებებიც არ დააყოვნებს. 17-30 აპრილი და 19 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით კარმული ვალების გასტუმრების დრო იქნება (ამ პერიოდში შესაძლებელია გრძელვადიანი პროექტების ამუშავება, თუმცა მანამდე მოსალოდნელია, დანაკარგებიც გქონდეთ. ეს კი, ძირითადად, გრძნობებთან და ემოციებთან იქნება დაკავშირებული). უფრო მნიშვნელოვანი კი წლის მეორე ნახევარი აღმოჩნდება. ამ დროს მოგიწევთ აქტიური საზოგადოებრივი და შესაძლოა, პოლიტიკური საქმიანობაც კი. ეს მოგიტანთ როგორც მორალურ თუ მატერიალურ ანაზღაურებას, ისე პოპულარობასაც და მოგიხვებათ ავტორიტეტს. 12-31 აგვისტოს შუალედში გარკვეული რეგრესია მოსალოდნელია, ამიტომ ეს დრო დასვენებასა და ძალების აღდგენას დაუთმეთ. შემოდგომაზე კი იმ შემთხვევაში გაგიმართლებთ, თუ თქვენ რაიმე კუთხით ხელოვნებას ემსახურებით. აგიმალღებთ შემოქმედებითი პოტენციალი და სასიცოცხლო ტონუსი. წლის ბოლოს ბრწყინვალე დრო იქნება დაოჯახებისთვის.



**2. კურო** – მერწყულთა უმრავლესობისთვის ეს წელი შესაძლოა, საკმაოდ წინააღმდეგობრივი აღმოჩნდეს და მათ ცხოვრებაში მრავალი ცვლილება (როგორც დადებითი, ისე უარყოფითი) შეიტანოს. წლის დაწყება ემთხვევა თქვენთვის 3-წლიანი ციკლის დასრულებას, ამიტომ შეეცადეთ, ახალი ციკლი მეტად დინამიკურად და შემოქმედებითად დაიწყეთ. ამასთანავე, საჭიროა იყოთ თავშეკავებული. იანვარსა და თებერვლის პირველ ნახევარში თქვენთვის წარმატებები არ იქნება იოლად მისაღწევი, განსაკუთრებით, თუ ოჯახის წევრთა და მეგობართა რჩევებს უგულვებელყოფთ. თებერვალსა და მარტის პირველ დეკადაში შედარებით გაძნელებულია წინსვლა, ამიტომ საქმიანობაში მეტად ჯიუტი და შეუპოვარი უნდა იყოთ. რაც შეეხება გაზაფხულის დასასრულს, კონკრეტულად, მაისის თვეს, ამ დროს მოსალოდნელია, მოულოდნელი შემოთავაზებები მიიღოთ. ამიტომ საჭიროა, საკუთარი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოთ. თუ ამას შეძლებთ, კარიერაში მნიშვნელოვნად წაინცხვით წინ. ასევე მოსალოდნელია, დაამყაროთ ხანგრძლივი საქმიანი კავშირები და თქვენი იდეები მრავალი ადამიანისთვის მოსაწონი

გახდეს. შესაძლოა, ამ დროს რომანტიკულმა გრძნობებმაც „შემოგიტოთ“. გაფრთხილდით, რადგან შეიძლება, ამ რომანტიკულმა ურთიერთობებმა თან გარკვეული პრობლემებიც მოგიტანოთ (ეს დაკავშირებული იქნება მაცდუნებელ გარემოებებთან). ზაფხულში არაა გამორიცხული, გაჩნდეს მოგზაურობის შესაძლებლობა. არც ერთ შემთხვევაში უარი არ თქვათ, რადგან უმეტესწილად ამ მოგზაურობაში საჭირო შენაძენები გექნებათ. შემოდგომაზე შეეცადეთ, ყოველდღიური საქმიანობით შემოიფარგლოთ. ამ პერიოდში დასახვეთ მომავალი გეგმებიც. ნოემბრის მეორე ნახევრიდან თქვენთვის მეტად პერსპექტიული პერიოდი დაიწყება. დაგეხმარებათ ორგანიზატორული ნიჭი და ორიგინალური იდეები და საზოგადოების ყურადღების ცენტრშიც კი მოექცევით. დეკემბერში გირჩევთ, განვლილი გზა გააანალიზოთ და მომავლის დაგეგმვაზეც იზრუნოთ.



**3. ტყუპები** – ეს წელი თქვენ პროფესიულ ზრდას მოგიტანთ და დასახული მიზნების მიღწევაშიც დაგეხმარებათ. ამ პერიოდში გელით მშფოთვარე და დინამიკური, მაგრამ საკმაოდ საინტერესო ცხოვრება. მოგეცემათ მოგზაურობის საშუალება, შეხვდებით საინტერესო ადამიანებს, შეიძენთ ახალ მეგობრებსაც. მოსალოდნელია, თქვენს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდეს, ეს კი დაკავშირებული იქნება თქვენს სამსახურთან, ოჯახთან და ჰობთან, ამიტომ ჩანაფიქრების განხორციელებას წლის პირველ ნახევარში გირჩევთ, კონკრეტულად, იანვარში, თებერვალსა და მარტის პირველ დეკადაში. რაც შეეხება მეორე ნახევარს, ის ძალზე დინამიკური და ნაკლებად კონტროლირებადი იქნება, თუმცა ეს მონაკვეთი ფინანსური ბაზის გასამტკიცებლად და დაწყებული საქმეების დასრულებისთვის მეტ-ნაკლებად ნორმალური პერიოდი აღმოჩნდება. აპრილი თქვენგან ყურადღებასა და სიფრთხილეს ითხოვს. ამ პერიოდში მოსალოდნელია კონფლიქტები და სკანდალური სიტუაციები როგორც ოჯახის წევრებთან, ისე მეგობრებთან და საქმიან პარტნიორებთან. არამდგრადი იქნება თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობაც. მაისში შეგისუსტდებათ ინტუიცია და შესაძლოა, ამ პერიოდში გარკვეული შეცდომებიც დაუშვათ. მომავალში მათი გამოსწორება მეტად გაგიჭირდებათ. ამ დროს ნუ იქნებით გულუბრყვილო და ადვილად მიმნდობი. ყოველივე ამას მოსალოდნელია, თქვენი მხრიდან „არსებული მდგომარეობის მსხვერვა“ მოჰყვეს, ეს კი, უპირველესად, თქვენს გრძნობებთან იქნება დაკავშირებული. არ არის გამორიცხული, რომ მშფოთვარე განწყობა სექტემბრის შუა რიცხვებამდეც გაგყვით. შემოდგომა – სექტემბრის მეორე ნახევარი, ოქტომბერი, ნოემბრის პირველი დეკადა – ახალ სიახლეებს შემოგთავაზებთ და თუ წინა პერიოდებს უშეცდომოდ გაივლით, მაშინ დიდი ალბათობა იქნება იმისა, რომ ზუსტად ამ დროს განახორციელოთ წლის ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტები. წლის ბოლოსთვის გარკვეულწილად იარსებებს დეპრესიის ალბათობა, ამიტომ შეინარჩუნეთ სულის მხნეობა და ოპტიმიზმი.



**4. კირჩხიბი** – თქვენ ძალის წელი „სიმაღლეების დაპყრობაში“ დაგეხმარებათ, რადგან მთავრდება 4-წლიანი კარმული პერიოდი, ამიტომ თქვენი ძირითადი მიზანი ამ წელს ადრე დაწყებული საქმეების დასრულება და დასახული მიზნების აღსრულება იქნება. პოზიტიური აღმოჩნდება იანვრის პირველი-მეორე დეკადა და თებერვლის დასაწყისი. ამ დროს წამოწყებული საქმეების უმრავლესობა (სარის-

კოც კი) წარმატებით დაგვირგვინდება. გამონაკლისს 6-10 თებერვალის წარმოადგენს. ამ პერიოდში გირჩევთ, თავი შეიკავოთ სარისკო მოქმედებებისა და ნაჩქარევი გადაწყვეტილებებისაგან. მარტში შესაძლოა, დაასრულოთ იმ საქმეთა უმრავლესობა, რომელთა დასრულება დიდი ხნის მანძილზე ეჭვქვეშ იდგა. ამ პერიოდში დაწყებულ საქმეთა უმრავლესობას უკვე აპრილის თვეში დაასრულებთ წარმატებით. თუმცა ეს ნუ გაგათამამებთ – აპრილის ბოლოს შესაძლოა, უმნიშვნელო პრობლემები შეგექმნათ, არ არის გამორიცხული მეგობრების მხრიდან ლალატიც იწვინოთ (ეს მოსალოდნელია როგორც პირად, ისე საქმიან ურთიერთობებში). თუ სიტუაცია ძალიან გამძაფრდება, ურიგო არ იქნება, თუკი სამსახურს შეიცვლით. თუ ეს გადაწყვიტეთ, მაშინ ამისთვის აპრილის ბოლო და მაისი გამოიყენეთ. ივნისსა და ივლისში საინტერესო შეხვედრები გელით, ეს კი, ძირითადად, დაკავშირებული იქნება თქვენს მომავალთან (კონკრეტულად, სწავლის გაგრძელებასა და კვალიფიკაციის ამაღლებასთან). აქ დიდ დახმარებას ელოდეთ პარტნიორებისგან და კოლეგებისგან. 25 ივლისი-9 აგვისტოს შუალედში გამოიჩინეთ გადაჭარბებული სიფრთხილე. ამ დროს გაიზრდება ფარული მტრების მოქმედების (ჭორების, ინტრიგების, შანტაჟების) ალბათობა. შემოდგომის მოსვლას მრავალი პერსპექტივა და სარფიანი წინადადებები მოჰყვება. ამას თქვენი შემოქმედებითი და ენერგეტიკული ტონუსის აღმასვლაც განაპირობებს. რაც შეეხება წლის ბოლოს, ეს შედარებით რთული პერიოდი იქნება, კონკრეტულად, 5-28 ოქტომბერი, 24-30 ნოემბერი და დეკემბრის დასაწყისი. ამ დროს ნუ ჩაერთვებით კონფლიქტურ სიტუაციებში და ნურავის დაუპირისპირდებით. გირჩევთ, მოერიდოთ საეჭვო გარიგებებში მონაწილეობასაც. ამ პერიოდში ფინანსურ მხარდაჭერას მხოლოდ ახლობელი ადამიანები გაგიწევენ, სწორედ მათი დახმარებით შეძლებთ მრავალი პრობლემის გადაჭრასა და ჩაფიქრებული იდეების ხორცშესხმას.



**5. ლომი** – ახალი წლის პირველ ნახევარში გაგრძელდება ის პოზიტიური მოვლენები, რომლებიც 2004-05 წლებში დაიწყო. ამ წლიდან თქვენთვის 2-წლიანი კარმული პერიოდი იწყება. ასე რომ, თქვენი მომავალი თქვენს ხელთაა – როგორც გაივლით წლის პირველ ნახევარს, ისე გააგრძელებთ მომავალ ორწლიან პერიოდსაც. 7 იანვარი – 7 თებერვლის მონაკვეთი ახალი პერსპექტივების მომტანი იქნება. იგრძნობთ ენერჯის მოზღვავებას და შესაძლოა, ლიდერობის უნარიც გამოავლინოთ. საკმაოდ პოზიტიური იქნება მარტი და აპრილის პირველი ნახევარიც. ამ დროს წამოწყებული საქმეების უმეტესობა თქვენდა სასიკეთოდ დაგვირგვინდება. შესაძლოა, ამ პერიოდში გაბმულმა ნაცნობობამ აპრილისა და მაისის თვეებში უფრო სერიოზული სახე მიიღოს. მოსალოდნელია სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობების დაწყება და არ არის გამორიცხული, საკუთარი ოჯახიც კი შექმნათ. ეს ამაღლებული განწყობა და სულიერი აღმაფრენა ივნისის ბოლომდე შეინარჩუნდებთ და თუ პატარ-პატარა პრობლემებს არ ჩავთვლით, წლის პირველი ნახევარი პოზიტიური იქნება. ივლისის მესამე დეკადა და აგვისტო დაფიქრებისა და საკუთარი ნამოქმედარის გააზრების ეტაპად უნდა იქცეს, ვინაიდან ამ პერიოდში საშუალება მოგეცემათ, გამოასწოროთ დაშვებული შეცდომები და საკუთარ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი კორექტირებაც შეიტანოთ. სექტემბრის მეორე ნახევრიდან სასიკეთო წინსვლება მოსალოდნელი ბიზნესსა და კარიერაში. აქედან გამომდინარე, სჯობს ეს დრო ფუჭად არ დახარჯოთ და პერსპექტივების თქვენთვის სასიკეთოდ განხორციელება შეძლოთ. 15-25 ოქტომბრის მონაკვეთი პატარ-პატარა პრობლემებითა და გაუგებრობებით იქნება დატვირთული. ამ ყოველივემ მწყობრიდან არ უნდა გამოიყვანოთ. თუ ვინმემ განწყენინათ, ნუ იფიქრებთ

მისთვის სამაგიეროს გადახდაზე და შურისძიებაზე. წლის ბოლოს დადგომისთანავე ფორტუნა გაგიღიმებთ და შესაძლოა, დიდი ხნის ოცნებაც აისრულოთ.



**6. ქალწული** – მთლიანობაში ძაღლის წლის დასაწყისი დინამიკური და „მოძრავი“ იქნება. ეს ტენდენცია არც თქვენთვის აღმოჩნდება გამონაკლისი. გირჩევთ, არც ერთი ნუთი არ დაკარგოთ და მთელი ძაღლებით შეუდგეთ საქმიანობას. გახსოვდეთ, ამ წელს რაც შეიძლება მეტი უნდა იმოძრაოთ და იმოქმედოთ (ეს განსაკუთრებით თებერვალსა და მარტში განახორციელოთ). რაც უფრო მეტად იქნებით აქტიური და მოძრავი, მით „მეტე წყალს დაასხამთ თქვენს წისქვილზე“. თუ ამ წელს ცხოვრებაში რადიკალურ ცვლილებებს გეგმავთ, მაშინ ეს მარტში განახორციელოთ (ეს პერიოდი სერიოზული ცვლილებებისთვის მეტად მომგებიანია). ამ დროს ასევე შეგეძლება, შეცვალოთ დამოკიდებულებები კოლეგებთან, მოახდინოთ საქმის რეორგანიზაცია, იმოვოთ ახალი სამსახური, ანუ უფრო აქტიურად გამოიყენოთ თქვენი შემოქმედებითი შესაძლებლობები. ასევე წარმატებული პერიოდი იქნება 12-27 მაისის შუალედი. ივნისის პირველი და მეორე დეკადა თქვენში რომანტიკული გრძნობების „გაღვიძებას“ გამოიწვევს, მოსალოდნელია, ამ დროს დაქორწინდეთ კიდევ (რა თქმა უნდა, თუ თქვენი გული თავისუფალია). ამის წყალობით ეს პერიოდი ყველაზე შთამბეჭდავი და დასამახსოვრებელი იქნება მთელი წლის განმავლობაში. ივლისი და აგვისტო სჯობს, დასასვენებლად არ გამოიყენოთ, პირიქით, რაც შეიძლება მეტად დასაქმდით. ამ დროისთვის დაგეგმეთ საქმიანი შეხვედრები და ახალი პროექტების რეალიზება. 24 აგვისტო – 10 სექტემბრის შუალედი პრობლემატური და დაძაბული იქნება. ნუ გამოიჩინებთ აგრესიას. თუ კომპრომისზე წასვლასა და თვითკონტროლს შეძლებთ, მაშინ ადვილად მოახერხებთ ცხოვრების კურსის შეცვლას და ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით – ეს მოხდება სექტემბრის მეორე ნახევრამდე. სექტემბრის ბოლო გახდება თქვენი შემოქმედების მწვერვალი, შეინარჩუნებთ სიმშვიდესა და წონასწორობას. ეს განწყობა მთელი შემოდგომა გაყვებათ. მოსალოდნელია, 2-10 ოქტომბერს გულმავიწყობა „დაგჩემდეთ“ და შეცდომებიც დაუშვათ. შეეცადეთ, ამ დროს ყურადღების მობილიზება შეძლოთ, რათა თავი აარიდოთ დაძაბულ საუბრებსა და კონფლიქტებს. ზოგადად, დადებითი იქნება ნოემბერ-დეკემბერი, თუ არ ჩავთვლით მცირე პრობლემებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. ეს ყველაფერი კულმინაციას მიაღწევს 24-29 დეკემბერს, ამიტომ წლის ბოლოს ყურადღების მობილიზება გამართებთ.



**7. სასწორი** – თქვენთვის დამდეგი წელი შესაძლოა, გაორებული და არაორდინალური იყოს. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი წლის პირველი მესამედი იქნება. აქტიურობა მეგობრებთან, პარტნიორებთან და სხვადასხვა სოციალურ თუ პოლიტიკურ ჯგუფებთან პოზიტიური განწყობის შემქმნელი აღმოჩნდება. წლის პირველი ნახევარი დადებითი იქნება შემოსავლების ახალი გზების ძიებისთვის, მსხვილი შენაძენებისთვის, ოჯახში დადებითი ცვლილებების განხორციელებისთვის. თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ახლობლებთან კომპრომისზე წასვლა მოგიწიოთ. მთლიანობაში პოზიტიური პერიოდებია: იანვარი, თებერვალი,

მაისი და ივნისის პირველი ნახევარი. ამ დროს ფორტუნის ბორბალი თქვენდა სასიკეთოდ დატრიალდება. რაც შეეხება აპრილს, ამ პერიოდში შესაძლოა, მელანქოლია მოგეძალოთ, გაგიჩნდეთ აპათია, ასევე მოსალოდნელია მცირე უთანხმოებები უახლოეს გარემოცვასთან. მცირე უსიამოვნებები და სირთულეებია მოსალოდნელი ივნისის ბოლოსა და ივლისის პირველ ნახევარშიც. ამ დროს შესაძლოა, გაძნელდეს წინსვლა და წარმატების მიღწევაც საკმაოდ გაჭირდეს. აგვისტოსა და სექტემბრის პირველ ნახევარში კი გაიზრდება თქვენი მოტყუების, გაქურდვისა და გაძარცვის ალბათობა, ამიტომ გაფრთხილდით, ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს, შეეცადეთ, არ გაებათ ფინანსურ მაქინაციებში, რათა გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ. ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარება სჯობს, სექტემბრის ბოლოსთვის გადადოთ. 7-25 ოქტომბრის შუალედს შესაძლოა, ყველაზე მძიმე ეწოდოს. ამ დროს მოსალოდნელია, შეგექმნათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები. ეს ყოველივე 10 ნოემბრის შემდეგ გამოსწორდება და წლის ბოლოსთვის ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება. არ არის გამორიცხული, ამ დროისთვის განახორციელოთ მეტად სერიოზული ცვლილება, რომელიც თქვენს ცხოვრებასა და მსოფლმხედველობასაც კი რადიკალურად შეცვლის.



**8. მორიელი** – თქვენთვის ძალის წელი პოზიტიური იქნება (ეს განსაკუთრებით წლის მეორე ნახევარში გახდება საგრძნობი). ახალი წლის პირველსავე თვეებში თქვენ წინა წლიდან გადმოსულ პრობლემებს გაუმკლავდებით, ამიტომაც ეს წელიწადი დიდი ჩანაფიქრებისა და იმედების წლად იქცევა. ორგანიზატორული ნიჭი, მიზანდასახულობა და აქტიურობა კარიერაში წარმატების მისაღწევი „გასაღები“ იქნება. გამარჯვების შანსი განსაკუთრებით იანვარ-თებერვალში მოგეცემათ. ეს პერიოდი სასიკეთოდ იქნება ახალი წამოწყებებისთვისაც. თამამად შეგიძლიათ, შეიცვალოთ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილი, დასახოთ გრანდიოზული გეგმები და მათ შესრულებასაც მიჰყოთ ხელი. 21 მარტიდან 12 აპრილამდე თქვენი სასიცოცხლო ტონუსი შედარებით დასუსტდება. ამის გამო შესაძლოა, ჯანმრთელობის გაუარესებამ, დეპრესიამ და უკვე დავიწყებულმა პრობლემატურმა სიტუაციებმა თქვენი მდგომარეობიდან გამოყვანა მოახერხონ. თუმცა გულს ნუ გაიტეხთ, 16 აპრილის შემდეგ ივლისის ბოლომდე მეტად პოზიტიური პერიოდი გელით. გირჩევთ, ეს დრო ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანების დაძლევისთვის გამოიყენოთ. ივლისის ბოლოსა და აგვისტოს დასაწყისში შესაძლოა, მცირე მატერიალურ პრობლემებს შეეჯახოთ და მეგობრებთან ურთიერთობები დაგეძაბოთ, ამიტომ ამ ყველაფრის გასაწინააღმდეგოდ მთელი ძალისხმევა დაგჭირდებათ. ზაფხულის ბოლოდან თქვენი ცხოვრება შედარებით მშვიდი რიტმით წარიმართება, თუმცა იგი ნაკლებ საინტერესო იქნება, სამსახურშიც და ოჯახშიც თქვენგან მეტ ყურადღებას მოითხოვენ. ამ პერიოდში ფინანსური, სულიერი თუ შემოქმედებითი ზრდისთვის მეტი შრომა მოგიწევთ. 5 ოქტომბრიდან მოყოლებული 6 ნოემბრამდე სერიოზულ ცვლილებებს ელოდეთ, როგორც პარტნიორებთან, ისე ახლობელ ადამიანებთან მიმართებაში. მეტოქეებთან ურთიერთობისას უნდა გახსოვდეთ, რომ ამ პერიოდში დაშვებული შეცდომები სერიოზულ პრობლემებს მოგიტანთ. ნოემბრის მეორე ნახევრიდან მოხდება თქვენი მატერიალური თუ ფიზიკური დანახარჯების აღდგენა. ამ დროს შედარებით გაგიოლდებათ თქვენი ჩანაფიქრების მატერიალიზება.



**9. მშვილდოსანი** – ეს წელი თქვენთვის მრავალი ცვლილებების მომტანი იქნება. წლის პირველ ნახევარში კარიერაში წინსვლაა მოსალოდნელი და ამას კოლეგებისა და ახლობლების დახმარებით მიაღწევთ. თქვენ ეს წელი „მოსავლის მომკის“ პერიოდად უნდა აქციოთ – უნდა მოიპოვოთ ის, რაც წინა წელს „დათესეთ“. ამისთვის აკურატულობას, სიზუსტეს, თავშეკავებულობასა და ანალიტიკურობას უნდა მოუხმოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დასუსტებულმა ინტუიციამ და თავშეუკავებლობამ შესაძლოა, ნებისმიერ საქმიანობაში დაგხიოთ უკან. მეტი ყურადღების გამოჩენა 6-12 თებერვალსა და 1-17 მარტს გმართებთ. ამ დროს გაიზრდება შეცდომების დაშვების ალბათობა. 23 მარტიდან 11 აპრილამდე გაიზრდება ტრავმების ალბათობაც, ამიტომ მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს. დადებითი იქნება 12 აპრილიდან 3 მაისის პერიოდები. ამ დროს წარმატებას ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე მიაღწევთ. ხოლო თუ რაიმე პრობლემა განუხებთ, გირჩევთ, მისი გადაჭრა სწორედ ამ დროს დაგეგმოთ. ივლისის ბოლო თქვენთვის წინააღმდეგობრივი პერიოდი იქნება. ამ დროს საჭიროა, არ დათმოთ საკუთარი პოზიციები, დაიმკვიდროთ ავტორიტეტი და გამოიჩინოთ ნებისყოფა. აგვისტოდან განახლება დადებითი პერსპექტივები და მოსალოდნელია რომანტიკული ნაცნობობის დაწყება, ამიტომ ეს პერიოდი სასიკეთოდ იქნება დაოჯახებისათვის, ასევე გრძელვადიანი პარტნიორული პროექტების დასაწყებად და კარმული ვალების გასასტუმრებლად. 19 სექტემბრის შემდეგ თქვენთვის ძალზე საინტერესო პერიოდი დაიწყება. ამ დროს მოსალოდნელია, თქვენთვის ბევრ საჭირო პროექტსა თუ იდეას შეასხათ ხორცი, თუმცა ეს თავბრუს ნუ დაგხვევთ, თორემ შეცდომებს დაუშვებთ. წლის ბოლოს ნეგატიური პერიოდები იქნება 7-25 ოქტომბერი და 2-12 ნოემბერი. ამ დროს გაძლიერდებიან თქვენი მონიწილადმდეგეები და გარკვეულ პრობლემებსაც შეგიქმნიან, თუმცა წლის ბოლოს ფორტუნა კვლავ თქვენსკენ შემობრუნდება და მატერიალური პრობლემები მოგიწესრიგდებათ, ხოლო თქვენს გულს შესაძლოა, დიდი გრძნობა ეწვიოს.



**10. თხის რქა** – დამდეგი წელი თქვენთვის საკმაოდ დაძაბული და მშფოთვარე იქნება. ამ წლიდან იწყებთ ახალ 3-წლიან ციკლს. შეეცადეთ, ნებისმიერ საქმეში ახალი „საძირკველი ჩაყაროთ“. ყურადღება ურთიერთდამოკიდებულებებსა და სულიერ ტრანსფორმაციებს უნდა დაუთმოთ. ახალი პარტნიორები აქტიურ დახმარებას გაგიწევენ, დაგეხმარებიან ფიზიკურ თუ სულიერ ზრდაში. ამ წელს სერიოზული მოვლენების განვითარება უკვე იანვრის თვიდანვეა მოსალოდნელი. მიუხედავად ზოგადი პოზიტიური გავლენისა, 5-14 თებერვლისა და 2-7 მარტის შუალედში შესაძლოა, ენერჯის ნაკლებობა იგრძნოთ. დაგიკვეითდებათ სასიცოცხლო ტონუსიც, ცხადია, ეს აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე, ასევე იმოქმედებს ნერვულ სისტემაზეც. თებერვლის ბოლოსა და მარტის შუა ნაწილში თამამად მოქმედების სურვილი დაგეუფლებათ. ამ დროს იმ სფეროებში იმოქმედეთ, სადაც ყველაზე უკეთ შეგიძლიათ საკუთარი თავის წარმოჩენა და წარმატების მიღწევა. არ გამოირიცხება, რომ ყველა გეგმის შესასრულებლად გარკვეული ფინანსური თანხების მობილიზება გახდეს საჭირო. ამ პერიოდში დაგჭირდებათ ჭკვიანი პარტნიორების მოძიებაც. აპრი-

ლის ბოლოდან დიდი აღმასვლის პერიოდი დაგეგმვათ, ამიტომ ეს დრო მაქსიმალურად გამოიყენეთ. შესაძლოა, ახალ-ახალმა წარმატებებმა ფრთები შეგასხათ და თავბრუს დაგახვიოთ, ეს კი ილუზიების ალბათობას გაზრდის. ამიტომ მაისში გაიზრდება ცდუნებისა და მოტყუების ალბათობა. თქვენთვის მეტად მნიშვნელოვანი ივლისის პირველი და მეორე დეკადები იქნება. ამ პერიოდში მოხდება თქვენი ნამოქმედარის ანაზღაურება. ამის გარდა, ეს დრო მეტად ემოციური და დასამახსოვრებელი იქნება. 22 აგვისტო – 12 სექტემბერი თქვენთვის პრობლემატური აღმოჩნდება, ამიტომ გირჩევთ, საქმეები და ახალი პროექტების დაწყება მეორე პლანზე გადადოთ და დასვენებას მეტი ყურადღება დაუთმოთ. 12 სექტემბრიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე წარმატების პერიოდი დადგება. ნოემბრის თვისთვის კი ყველა თქვენი წყენა და ნეგატიური მოვლენა წარსულს ჩაბარდება და მორალურ თუ მატერიალურ კომპენსაციას მიიღებთ. წლის ბოლო, კერძოდ, ნოემბერ-დეკემბერი მეტად ნაყოფიერი იქნება. ამ დროს მოწესრიგდება და დასტაბილურდება თქვენი პირადი ცხოვრება.



**11. მერწყული** – თქვენთვის ეს წელი, ძირითადად, ფინანსური პრობლემების მოგვარებასა და საქმიან აქტივობასთან იქნება დაკავშირებული. ფულის ბრუნვა და სარფიანი დაბანდება წლის პირველ ნახევარში თქვენთვის მეტად აქტივალური გახდება (არ არის გამორიცხული, უძრავი ქონება შეიძინოთ). წარმატების მისაღწევად ყურადღების მობილიზება და აკურატულობა დაგჭირდებათ. დიდი მონდომების მიუხედავად, შესაძლოა, მცირე პრობლემები და გაუგებრობებიც მოგიმრავლდეთ. ასე რომ, მოსალოდნელია, თავი დაუცველად იგრძნოთ და საკუთარი ძალების რწმენაც დაკარგოთ. ეს შეგრძნებები მალევე გაივლის და მარტის დადგომისთანავე ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებით. აპრილი არაჰარმონიული იქნება. შეეცადეთ, დიდი ყურადღება ჯანმრთელობის გამყარებასა და დასახული გეგმების შესრულებას დაუთმოთ. აპრილის ბოლო თვითდაკვირვებისა და დასკვნების გამოტანისთვის მეტად პერსპექტიული პერიოდი იქნება. ეს დრო ასევე ხელს შეუწყობს თქვენი სულიერი თუ მატერიალური მდგომარეობის ამაღლებას. მაისი და ივნისი თქვენს ცხოვრებაში დადებით ცვლილებებს შემოიტანენ – წარმატებული იქნება ყველა ფინანსური ოპერაცია. 21 ივნისიდან 10 აგვისტომდე გირჩევთ, სიფრთხილე გამოიჩინოთ. შესაძლოა, ოპონენტებმა თქვენ წინააღმდეგ გარკვეული კომპრომატების შეგროვება შეძლონ და უსიამოვნებაში თქვენს გახვევასაც შეეცადონ. თუ ამ გაუგებრობებს არ აპყვებით, მრავალ უსიამოვნებას აირიდებთ თავიდან. ზაფხულის ბოლო და შემოდგომა მაქსიმალურად გამოიყენეთ – ამ დროს ძალების მოზღვავებას იგრძნობთ. 2-10 ნოემბერს ნუ გამოიჩინებთ სიჯიუტესა და სწორხაზოვნებას, პირიქით, თუ რბილი და ლოიალური იქნებით, მაშინ ყველა პრობლემის გადაწყვეტას შეძლებთ. საბოლოო ჯამში, ეს წელი თქვენთვის არცთუ ისე ურიგო აღმოჩნდება.





**12. თევზები** – ახალი 2006 წელი თქვენთვის გარკვეულწილად ცვლილებების მომტანი იქნება. პლანეტა სატურნის უარყოფითმა გავლენამ შესაძლოა, უმნიშვნელო დისკომფორტი შეგიქმნათ. თუმცა, თუ სერიოზული და მობილიზებული იქნებით, ასევე


„ღრუბლებში ფრენას“ მოეშვებით, მაშინ პრობლემებსაც იოლად დაძლევეთ. უნდა ითქვას, რომ ეს წელი (განსაკუთრებით, მეორე ნახევარი) თქვენთვის კარმული ვალების გასტუმრების წელიწადია. წლის პირველ ნახევარში კი თქვენთვის უმთავრესი ახალი ნაცნობობა და მომავალი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის შეგროვება იქნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიოდი 11-22 იანვარი გახდება. ამ დეკადაში წარმატების მიღწევა არ გაგიჭირდებათ (განსაკუთრებით კარგი იქნება საქმიანი თუ პირადი ნაცნობობის დამყარება), ამიტომ იაქტიურეთ და ეს დრო აუცილებლად გამოიყენეთ. ასევე წარმატებული პერიოდები გელით 22 თებერვლიდან 20 მარტამდე და 19 აპრილიდან 1 მაისამდე. მიუხედავად პლანეტების კეთილგანწყობისა, თქვენ მაინც აქტიურად უნდა იმოქმედოთ, რადგან უშრომელად მიზნის მიღწევა გაძნელდება. 18 მაისიდან ივნისის ბოლომდე წარმატების მიღწევა მთლიანად თქვენზე იქნება დამოკიდებული, უფრო სწორად კი, იმაზე, თუ როგორ გაართმევთ თავს მოძალებულ პრობლემებს. მოსალოდნელია, ამ დროს ამოქმედდნენ თქვენი ფარული მტრებიც, ამიტომ მოერიდეთ მკვეთრ გამოთქმებს, ვინმესთან დაპირისპირებასა და ზედმეტ ლაპარაკს. თუ გონივრულად იმოქმედებთ, გარწმუნებთ, ამ პერიოდს უსაფრთხოდ გაივლით. აგვისტო თქვენგან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. თუ გსურთ, ოჯახში კონფლიქტურ სიტუაციებს აარიდოთ თავი და სამსახურშიც პრობლემები არ შეგექმნათ, შეეცადეთ, ყველანაირად მოთოკოთ ნერვები და მეტი მოთმინებაც გამოიჩინოთ. ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი და სულსწრაფი. მოსალოდნელია, ამ წელს შეიცვალოთ სამსახური (განსაკუთრებით, თუ მასმედიაში საქმიანობთ), შეიძინოთ ახალი მეგობრები, გააბათ ახალი პარტნიორული თუ რომანტიკული ნაცნობობა – ეს განსაკუთრებით 1-22 ოქტომბრის შუალედშია მოსალოდნელი. წლის ბოლოს გამორიცხული არ არის, შეხვდეთ მრავალ საინტერესო ადამიანს, რომლებიც მატერიალურ დახმარებას გაგიწევენ.

სრულს · 71 აწყნ · 11 სცნცნრფ  
· 01 სდყყყა · 6 სცნა · 8 სანცნა · 7 სყყყყა · 9 სანსყყა  
· 5 სცნა · 6 სანცნა · 7 სყყყყა · 8 სანსყყა · 9 სცნცნრფ





Thomas Ruff Stars (set of 8) Edition of 40 granolithograph 89 x 64,5 cm 1990



**With new key**

**ახალი გუსაღებით**



ახალი წელი

New Year



# gansxvavebul i Rame anu santa kl aussac unda qal ebi

Z O Z O

ცხვირიდან თმების ამოღება უმტკივნეულოდ, ზღარბების ტრეფიკინ-გის შემსწავლელი კომისია, ყუყუნას დაბადების დღეების ცენტრი... და ასე შემდეგ. ვინც არ ჩამოსულა 2006 წლის თბილისში, იმან არ იცოდა, რომ ეს ყველაფერი მალაზიებისა და ძველი სადარბაზოების კარებზე ეწერა.

ერთი ჩვეულებრივი სანტა კლაუსის თვალები ამ აბრებს ათვალეირებდა. ლამის შეიგინა, ეს სად მოვხვდით, მაგრამ სამუშაო სამუშაოა. პირველად იყო თბილისში.

ქუჩაზე აივლ-ჩაივლიდნენ ნაირ-ნაირი ქალები. კლაუსიც გახედავდა და, როგორც ასაკში შესულ ადამიანს შეეფერება, პირის ცმაცუნით გააყოლებდა მათ თვალს. ეჰ, სადღაა ის ახალგაზრდობა... ჩრდილოეთ პოლუსზე ქალები თითქმის არ იყო... მაგრამ იყო. ერთხელ პინგვინთან ურთიერთობაც დააბრალებს... ნუ, რას იზამ... გაუგია, საქართველოში ერთი კუთხე არის, კახეთი, იქ ვირებთან ხდება იგივე.

ბავშვების სია ხელთ ჰქონდა: ლიკა, ნიკა, მაკა, მეკო, მიკო, მიკა, მზიკა, პაპუნა, ლაგუნა, შმაგუნა, ბრაგუნა... ყველაფერი თავში იყო ათქვეფილი, ვითარცა დედიკოს დამზადებული გოგლიმოგლი. მოგეხსენებათ, ზოგი ცუდად აკეთებს გოგლიმოგლს – კარგად არ თქვეფს. აი მე ყოველთვის მიყვარდა თეთრ კონდიციამდე მიყვანილი გოგლიმოგლი. ჰოდა, წარმოიდგინეთ, რომ ეგეთ დღეში იყო ახლა ჩვენი ბაბუა.

ჩაუარა ერთ-ერთი მალაზიის ვიტრინას, რომელზეც სარეცხ საშუალებებთან და ერთჯერად სუპებთან ერთად ვიბრატორების კოლექცია იყო გამოფენილი...

“რომელი შევიძინო აქედან ჩემთვის?”

რალაც დაავინყდა...

სტოპ, სტოპ... ყველაფერი უნდა მოვანესრიგო. ეს ნაგლეჯი უნდა გადავათეთრო.

ქალაქი გუშინ გარეცხა დედამისმა შარვალთან ერთად... ქალაქთან ერთად გაირეცხა წინა საუკუნის დროინდელი პრეზერვატივი. სანტამ ინანა... პრეზერვატივაც.

ამ 31 დეკემბრის საღამოს სად უნდა ეშოვა ბლოკნოტი? ბევრი იარა თუ ცოტა იარა, მოიძია – ერთ-ერთი მეტროს სადგურთან ბებია ყიდდა ოკულ დეფტერის სახეობის რვეულებს. სანტამ შეიძინა ერთი, რომელზეც შაკირა ილრიჯებოდა და თეძოებს არხევდა აქეთ-იქით.

დაჯდა კაფეში და გადაათეთრა სია.

მოვიდა გოგონა, ალბათ ასე, 6-7 წლის იქნებოდა.

– ბაბუა, შეიძინეთ ყვავილები.

მას ხელოვნური ვარდები ჰქონდა თან.

სანტა დაფიქრდა... შემდეგ ხელი ჯიბეში ჩაიყო და ჩუმად ხუთლარიანი ჩაუდო გოგონას, მეორე ხელით კი ორლარიანი მიაწოდა, აჰა, ეს აიღეო. თან იფიქრა, ჩემგან მაგარი „კარმანშიკი“ გამოვიდოდაო. გოგონამ მიაწოდა ყვავილი, სანტამ კი – არა, ყვავილი არ მინდა, ისე გქონდესო.

.....

სანტა კლაუსიც არის ხოლმე კეთილი.

.....

მოხუცი გავიდა კაფედან.

კუთხეში ბიჭები გამოჩნდნენ.

– ბიძია, სიგარეტი არ გექნება?

– ღრმად ჩამიყავი შარვალში ხელი და მოქაჩე!

იმდენი სცემეს, იმდენი ეძებეს, მაინც ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთი კაპიკი მის ცარიელ ჯიბეებში.

ამასობაში გამოჩნდა პატრული, რომელიც ბიჭებს მივარდა, პარალელურად, „რუსთავი 2“ მოვიდა გადასაღები კამერებით, მაგრამ ბაბუა გაქრა.

სამუშაოს დროც მოახლოვდა. საათზე მ იყო. პირველი სახლი... ავედით! მაიცა... „ტრუბა“ სადღაა??? ჰმ... „ტრუბა“ არ ყოფილა... „ხარაშო“... ამოვიღეთ თოკი და ნელ-ნელა ჩავედით...

ვერ ჩააღწია მეექვსე სართულამდე – პატრული მოვიდა და აიყვანა.

1 საათი იზოლაციაში. 10-ის წუთები იყო.

რა ვქნა, რა ვქნა...

შოთა დეიდას სიმღერა „ჯინგლ კვერცხს“ უფროსის რადიომიმღებში ჟღერდა. სანტამ ვერ აიტანა და იფიქრა, ეჰ, ნერვები სად მაქვს ამისიო.

ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ახლა ბრუს ლის იღეთების ჩატარების იდეალური დრო იყო, მაგრამ ვაი, რომ დაავინყდა... ბრუს ლიც, ჯეკი ჩა-

ნიც... პიანი მასტერს უნდა ჩაეუფდე ამ დღეებში. ვინმეს ექნება.

ასე რომ, „რეჟოტკის“ თავის ჩატეხვას მოცდა ამჯობინა...

ამასობაში 10-ც გახდა.

– უფროსო, მეჩქარება და ეგებ გამიშვა... სანტა კლაუსი რომ ვარ, მაგის მოწმობა კი არსად მაქვს, მაგრამ უნდა დამიჯერო.

– ამ წამს გადავრეკეთ სანტა კლაუსების ყველა სააგენტოში და არსად არის დარეგისტრირებული სანტა სანტას ძე კლაუსი. ასე რომ, ელოდე ხვალინდელ დღეს...

– და ახალი წელი, ბლიად?

– ახალი წელი, რა? არაყს მოიტანს აგერ გივი და შენც მოგართმევთ, ნუ ღელავ... მეტი რა გინდა?

ამ დროს განყოფილებაში შემოვიდა გივი, რომელსაც მოჰქონდა... არა, არაყი არა... უბრალოდ, კლაუსის ნითელი ტომარა მოჰქონდა სათამაშოებით.

– აგერ, უფროსო, ეს აღმოვაჩინეთ მეზობლის ბალკონზე... ამ ტიპს დარჩენია. მე მგონია, ფაიზალი ძედ მაროზია.

5 წუთში ის უკვე მორბოდა ქუჩაში.

უსაქმურებმა ესროლეს ერთი-ორი „ხლაპუშკა“... ორივე აუფეთქდა ფეხქვეშ... მაგრამ აღარაფერი ახსოვდა... ბავშვები იყო მთავარი. თუმცა დონ ჟუანიც ამაზე ფიქრობდა, როდესაც ქალებში დაძრწოდა... შთამომავლობაზე ზრუნვა ნებისმიერი ადამიანის საზრუნავია.

ტაკ-ტაკ... ამ კორპუსში უნდა იყოს.

ავიდა მე-7-ზე ფეხით. ლიფტი, რა თქმა უნდა, არ მუშაობდა.

კარი ვილაც ქალმა გააღო.

– აააა, ნუციკო, აი თოვლის პაპაც მოსულააააა!

– გილოცავთ ახალ წელს, გილოცავთ!

პატარა ნუციკომ გამოიხედა ოთახიდან, შეათვალიერა სანტა-კლაუსი, შემდეგ ამ ყველაფერს დაემატა:

– დღეს პაატამ მითხრა, რომ სანტა-კლაუსი არ არსებობს... ეს ვინაა, დედა?

სანტა დაფიქრდა... იქნებ მე მართლაც არ ვარსებობ... იქნებ ოდესღაც სუიციდის შედეგად ავორთქლდი და გარდავისახე?





რატის ნაძვის ხის ქვეშ დაანყო ერთი-ორი ყუთი. ოთახში ხმაური გა-  
ისმა. სანტამ მიიხედა. კარში პატარა ბიჭუნა იდგა.

– მე ვიცი, ვინც ხარ. ჩვენი ბალის დამლაგებელს ჰგავხარ. ეგ ხარ ალ-  
ბათ.

აი ასე. არავინ არაფერს გიფასებს ამ მოსაწყენ ქვეყანაში.

12 საათი იყო. ტომარა მაინც იყო სავსე.

ის მარტო იჯდა ქალაქის შუაგულში. სადღაც ახლომახლო ლაზერ-  
შოუ ტარდებოდა... მერამდენედ, ღმერთმა უწყის. როდესაც ყველა  
ზეიმობდა, კლაუსი ალბათ ერთადერთი კლაუსი იყო დედამიწაზე, რო-  
მელიც მონყენილი იჯდა.

უეცრად ვილაცის შეხება იგრძნო. თვალები ასწია და მის წინ მდგომი  
ბიჭუნა დაინახა.

– ბაბუა, რაღაც დაგეკარგათ, ნელან ვნახე, რომ ჯიბიდან გადმოგი-  
ვარდათ.

მან მიაწოდა ქალაქის ბავშვების სახელებით.

კლაუსმა გაუღიმა, გამოართვა ქალაქი და კანფეტი მიაწოდა. ბიჭმა  
თავი გააქნია და ხელში რომ სიგარეტი ეჭირა, ის აჩვენა. კლაუსმა ჩაი-

ქნია ხელი... შემდეგ კი ერთი ეშმაკურად შეხედა სიგარეტს... რომელიც  
უმაღ კანფეტად გარდაიქმნა.

ბიჭმა ხელი წაიღო პირისკენ... კანფეტი მის ბაგეში ქრებოდა...

ბიჭი შეკრთა. მერე კი გაახსენდა კანფეტის გემო. ბოლოს სამი წლის  
წინ ჭამა...

ნელ-ნელა სანტას სხვა ბავშვებიც მიუახლოვდნენ – უსაქმური,  
უსახლკარო, უდემამო.

კლაუსმა გადმოიღო ტომრიდან სათამაშოები და ტკბილეულობა და  
ყველას დაურიგა.

სახე კი გაბადრული ჰქონდა.

აი ასეთი იყო ის ღამე. მთელი ღამე მანანალები ხუმრობდნენ,  
იციოდნენ, დახტოდნენ... სანტა კი შეჰყურებდა. ახლა უკვე მშვიდად  
იყო. ყველაფერი წესრიგში იყო. ძილიც შეიძლებოდა.

სანტა კმაყოფილი იყო...

.....

ამჯერად უკვე უვიბრატოროდ... :)



საქართველოს მუზეუმი

# SAMSUNG

მოხილური და მძლავრი  
სამსუბვის ნოუთბუქები,  
პარტნიორი წარმატების გზაზე!



მოდელი X1



მოდელი Q30



მოდელი R50

შეიძინეთ სამსუბვის ნოუთბუქი  
კომპიუტერულ კომპანია ალტაში  
და ჩვენთან **საახალწლო სარეკლამო**  
მიიღეთ ჯორჯია ონლაინის  
სამთვინანი უფასო **ADSL**



სამსუბი - იყავი ლიდერი!



კომპიუტერული კომპანია

საბურთალოს ქ. 35

ტელ.: 38 00 38

[www.alta.ge](http://www.alta.ge)

# saaxal wl o mogz aur oba dedami wi s gar Semo

l e v a n r a m i S v i l i



დედამინაზე პირველები ახალ წელს, თბილისის დროით 14:00 საათზე, შობის კუნძულებზე კირიტიმატის მკვიდრნი ხვდებიან. წყნარი ოკეანის შუაგულში საახალწლო განწყობას ერთ ხელში პინა-კოლადით, მეორეში კი მაშველი რგოლით იქმნიან. კოქტილს გასამხნეველად სვამენ, მაშველი რგოლით კი ნერვებს იმშვიდებენ – ეკოლოგების ვარაუდით ხომ გლობალური დათბობის გამო, პირველი განთიადის მინას“ 2045 წელს ოკეანე დაფარავს.

მსოფლიოში არსად აღნიშნავენ ახალ წელს ისე ხშირად, როგორც ინდონეზიის კუნძულ ბალიზე. ერთი წლის ხანგრძლივობა კუნძულზე 210 დღეა. დღესასწაულის მთავარი ატრიბუტი სხვადასხვა შეფერილობის ბრინჯია, რისგანაც გრძელ ფირფიტებს აცხობენ. ზოგჯერ მათი სიგრძე 2 მეტრსაც აღწევს.

15 წუთის შემდეგ 2006 წელი კუნძულ ჩატემზე შეაბიჯებს. მის მობრძანებას ქოქოსის რძითა და ბანანით აღნიშნავენ. კუნძულზე ყველა მძღოლს აფრთხილებენ, რომ მანქანა ქოქოსის პალმის ქვეშ არ დააყენონ.

თბილისის დროით 15 საათზე ახალ წელს ტონგას სამეფოს დედაქალაქის, ნუკუალოფას მოქალაქენი, ახალი ზელანდიის მოსახლეობა და სამხრეთ პოლუსის ბინადარნი ხვდებიან. ახალ ზელანდიაში საშობაო დღესასწაულის ტრადიციები სათავეს ინგლისში იღებს. საშობაო სადილის ძირითადი კერძი არის შემწვარი ინდაური ბოსტნეულითა და სოუსით, დესერტი კი ხილის პუდინგი ბრენდით, ხორციანი ღვეზელი და ცუკატებია.

ანტარქტიდაზე პინგვინები ახალ წელს ერთნაირ ფორმაში გამოწყობილები ხვდებიან.

ჩვენი დროით 16 საათზე ახალ წელს რუსეთის აღმოსავლეთ ნაწილში, ანადირსა და კამჩატკაზე, ფიჯისა და წყნარი ოკეანის სხვა კუნძულებზე ხვდებიან. ფიჯის კუნძულებზე აუცილებლად კოკოდათი — ახალი თევზის მარინადით, ლიმნის წვენითა და ქოქოსის რძით გაგემასპინძლდებიან.

ნახევარი საათის შემდეგ ახალი წელი ავსტრალიაში, ნორფოლკში დგება.

ჩვენი დროით 17 საათზე კი ახალ წელს ავსტრალიის სხვა ქალაქებში – სიდნეიში, მელბურნსა და კანბერაში, ასევე წყნარი ოკეანის კუნძულებზე: ვანუატუზე, მიკრონეზიაზე, სოლომონის კუნძულებსა და ა.შ. აღნიშნავენ.

ავსტრალიის მოსახლეობა სულაც არ განიცდის იმას, რომ კონ-

ტინენტზე ამ დროს არც თოვლია, არც ნაძვის ხე, არც ირმები და არც სხვა სადღესასწაულო ატრიბუტი. თოვლის ბაბუა ახალი წლის მოახლოებას ავსტრალიელებს სიდნეის პლაჟზე სერფინგით გამოჩენით ამცნობს. ძველი ტრადიციისამებრ მას თეთრი წვერი აქვს და წითელი, პომპონიანი ქუდი ახურავს, გარუჯულ ტანზე კი საცურაო კოსტიუმი აცვია. ახალი წლის საღამოს მხიარულ ავსტრალიელებს დედაქალაქის ცენტრში მდებარე პარკ „ვიქტორიაში“ უყვართ თავშეყრა, სადაც ინტერნაციონალური ხუმრობები ისმის და ევროპულ-აზიურ-ამერიკული კერძების გემრიელი სურნელი ტრიალებს.

19:00 საათზე ახალი წელი იაპონიასა და კორეაში შეაბიჯებს.


იაპონელები საახალწლოდ ერთმანეთს საჩუქრებს, სუვენირებსა და ახალი წლის შესაბამისი ცხოველის სურათებს ჩუქნიან. ისინი სახლებს კადომაცუთი რთავენ. ამით იაპონელები საახალწლო დღესასწაულის ღვთაების პატივისცემას გამოხატავენ. კადომაცუს ფიჭვის (დღეგრძელობისთვის), ბამბუკის (ბავშვები რომ სწრაფად გაიზარდონ) ან ქლიავის (ოჯახს რომ ძლიერი დამხმარე ჰყავდეს) ტოტებისაგან ამზადებენ. ის სახლს ავი სულელებისგან იცავს. ბრინჯისგან დამზადებულ ფირფიტებს საპატიო ადგილს მიუჩენენ და ზედ მანდარინს აწყობენ, რაც ბედნიერების, ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სიმბოლოა. იაპონიაში ევროპულ ნაძვის ხეს კუნძულების ეგზოტიკური მცენარეებით რთავენ. იაპონელები ახალ წელს სიცილით ხვდებიან. მათ სჯერათ, რომ სიცილი ახალ წელს წარმატებას მოუტანთ. ბავშვები კი აუცილებლად ახალ ტანსაცმელს იცვამენ.

ახალი წლის ღამეს იაპონელები ტაძარში მიდიან, სადაც ზარს 108-ჯერ ჩამოკრავენ. ისინი თვლიან, რომ ადამიანს ექვსი ნაკლი აქვს: გაუმაძღრობა, ბოროტება, სიბრიყვე, დაუფიქრებლობა, გაუბედაობა და სიხარბე; თითოეულ მათგანს კი – თვრამეტი ელფერი. ზარის ხმაზე ხდება თითოეული ნაკლისგან განწმენდა. ზარის რეკვა რომ დასრულდება, იაპონელები გარეთ გამოდიან და ამომავალ მზეს ეგებებიან.

კორეაში, ისევე როგორც აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში, ახალი წლის აუცილებელი აქსესუარი ნავის ნიჩაბია. კორეელები თვლიან, რომ ახალ წელს სწორედ მისი გამოყენებით მოიხვეჭენ ბედნიერებას. ბამბუკისგან დამზადებული ნიჩბის — კუმადეს ზომა 10სმ-იდან 1,5მ-მდეა. მას ნახატებით, ძვირფასეულობითა და თილისმებით რთავენ. ახალი წლის ღამეს კორეელები სასეირნოდ გამოდიან, გოგონები ერთმანეთს სიმალლეში ხტომაში ეჯიბრებიან.

20:00 საათზე ახალი წელი ჩინეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა





და ავსტრალიის დანარჩენ ტერიტორიაზე დგება.

ჩინეთში ახალი წლის დღესასწაული ძალიან ლამაზია. მთელი ქვეყანა დიდ მანათობელ ბურთს ემსგავსება. ახალ წელს რომ „გზა გაუნათონ“, ჩინეთის ქალაქების მკვიდრნი ქუჩებში უამრავ ანთებულ ფარანს კიდებენ; გარდა ამისა, ხეებს ყვავილებითა და გირლანდებით რთავენ. ჩინელები თვლიან, რომ ახალ წელს ავი სულები და ბოროტი ძალები ახლავს, რომელთაც მაშხალებითა და ფეიერვერკებით აფრთხობენ.

ჩინეთში ბუდას დაბანის საახალწლო ტრადიცია აქვთ. ამ დღეს ტაძრებში ბუდას ყველა ქანდაკებას წყაროს წყლით ბანენ, ხალხი კი საახალწლო მილოცვის მოსმენისას წყალს თავზე ისხამს. ამ დღეს ქუჩაში ყველა სველი ტანსაცმლით დადის. ძველი ჩინური კალენდრის მიხედვით ჩინელები 48-ე საუკუნეს აღნიშნავენ. წელს ამ ქვეყანაში 4702 წელი დადგა. ახალი წლის თარიღი 21 იანვრიდან 20 თებერვლამდე მერყეობს. გრიგორიანულ წელთაღრიცხვაზე ჩინეთი 1912 წელს გადავიდა.

ქრისტიანი ჩინელები სახლებსაც ლამაზად რთავენ. ჩინელი ბავშვები ახალი წლის წინ კედლებზე გრძელ წინდებს ჰკიდებენ, სადაც დუნ ჩე ლაო რენიმ (შობის პაპამ) საშობაო საჩუქრები უნდა ჩააწყოს.

21:00 საათზე ახალი წელი ინდონეზიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ

აზიის სხვა ქვეყნებში დგება, თუმცა ინდონეზიელები ახალ წელს ოქტომბერში აღნიშნავენ. ამ დროს მოსახლეობა ლამაზად ირთვება და გასულ წელს მიყენებული წყენისთვის ერთმანეთს პატიებას სთხოვს.

მონღოლეთში ახალი წელი მესაქონლეობის დღესასწაულს ემთხვევა. სწორედ ამიტომ თოვლის პაპა ბავშვებთან მწყემსის ფორმაში გამოწყობილი მიდის, ხელში მას შოლტი უჭირავს, გვერდზე კი კვეცი, აბედი და სათუთუნე ჰკიდია. მონღოლები თვლიან, რომ რაც უფრო მეტი სტუმარი ეწვევათ საახალწლო სუფრაზე, მით უფრო ბედნიერი იქნება წელი დაუდგებათ.

ვიეტნამში დღესასწაულის თარიღი ყოველწლიურად 21 იანვრიდან 19 თებერვლამდე იცვლება. ეს ნამდვილი მეგობრობის დღესასწაულია. ვიეტნამელები ახალ წელს კოცონთან ხვდებიან და ბრინჯისგან უგემრიელეს კერძებს ამზადებენ, ახალი წლის მეორე დღეს კი ოჯახში ატარებენ. ვიეტნამელები ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, თუ ვინ იქნება მეკვლე. ძველად ვიეტნამელები თვლიდნენ, რომ ღმერთი ჭანარზე ამხედრებული დაცურავს, დღესდღეობით კი ისინი ცოცხალ ჭანარს ყიდულობენ და მდინარეში ან ტბაში უშვებენ. ახალი წლის პირველ სამ დღეს ვიეტნამელები იატაკს არ გვიან, რომ შემთხვევით ბედნიერება და ბარაქა სახლიდან არ გახვეტონ.

22:00 საათზე ახალი წელი ბანგლადეშში, შრი-ლანკასა და რუსეთში — ნოვოსიბირსკსა და ომსკში დგება.

ახალ წელს ბანგლადეშშიც ძველი ტრადიციის მიხედვით აღნიშნავენ. ფახელა ბაიშაკხი უძველესი ბენგალიური დღესასწაულია, რომელსაც ბანგლადეშში 14 (15) აპრილს აღნიშნავენ. ამ დღეს საუზმეზე აუცილებლად მიირთმევენ სირას — ბრინჯის ფირფიტებს, გურსა და იოგურტს. მერე კი ბაზრისაკენ მიემზადებიან, რომელიც ყოველწლიურად ერთსა და იმავე ადგილას იმართება. ყველაზე პოპულარული ღონისძიება რამნა ბატამულია, რომლის მონაწილეები, ძირითადად, ქალები არიან. მათ წითელკანტიანი სარი აცვიათ და თავორისა და ნაზრულ ისლამის სიმღერებს ასრულებენ. დღესასწაული ერთ კვირას გრძელდება.

დასავლური ახალი წელი შრი-ლანკაზე, ოფიციალურად, დასვენების დღეა. კუნძულის ქრისტიანი მოსახლეობა მას, წესისამებრ, 1 იანვარს აღნიშნავს. სადღეგრძელოებს არაკუთი სვამენ. არაკუ ქოქოსის არაყია. ბუდისტები და სინტოისტები კი თავიანთ ახალ წელს გაზაფხულზე ხვდებიან. 13 (14) აპრილს აქ გრანდიოზული დღესასწაული — აურუდუ — იწყება, რომელსაც ერთი კვირის განმავლობაში აღნიშნავენ.

22:15 საათზე ახალი წელი ნეპალში, კატმანდუში დგება. დასავლური ახალი წელი, 1 იანვარი, ნეპალელთათვის ეროვნულ დღესასწაულად დღემდე ვერ იქცა, მაგრამ აქ სტუმრებს ყოველთვის სიხარულით ხვდებიან.

ნეპალში ახალ წელს მზის ამოსვლისას ეგებებიან. ღამით, როცა სავსე მთვარეა, ნეპალელები დიდ კოცონს ანთებენ და შიგ უვარგის ნივთებს ყრიან. მეორე დღეს კი ფერების დღესასწაული იწყება. ნეპალელები სახეზე, ხელებზე და მკერდზე უცნაურ ფიგურებს იხატავენ, მერე კი ქუჩაში გამოდიან და მღერავენ და ცეკვავენ.

22:30 საათზე ახალი წელი ინდოეთში შეაბიჯებს. ამ ქვეყანაში ახალი წლის აღსანიშნავად რვა თარიღია. მაგალითად, არის ასეთი დღე — გუდი პავდვა. ამ დღეს აუცილებლად უნდა მიირთვან ნიმ-ნიმის ხის საშინლად მწარე ფოთლები. ინდოელებს მიაჩნიათ, რომ ეს ფოთლები ადამიანს დაავადებებისა და უბედურებისგან იცავს და მის კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ჰინდუები ახალ წელს სიმდიდრის ქალღმერთ ლაკშმის ახსენებენ.

საკმაოდ რთული გასარკვევია, თუ რომელი წელი დგება ინდოეთში. აქ ოთხ ერას აღნიშნავენ: სალივასას, ვიკრამდიტიას, ჯაინასა და ბუდას.

სამხრეთ ინდოეთში ახალ წელს მარტში ხვდებიან, ჩრდილოეთ ინდოეთში — აპრილში, დასავლეთში — ოქტომბრის ბოლოს, ქერალის შტატში კი — ხან ივლისში, ხანაც აგვისტოში. შემოდგომის დადგომისთანავე დასავლეთ ინდოეთში სიმდიდრის ქალღმერთ ლაკშმის პატივსაცემად დივალის — ცეცხლის დღესასწაულს ზეიმობენ. სახლების სახურავებზე და ფანჯრების რაფებზე ათასობით მანათობელს დგამენ, რითაც დღესასწაულის ღამეს ანთებენ. ქალღმერთს ხომ სიბნელე არ უყვარს. ზოგან ქალღმერთის სიმბოლოდ კატას თვლიან, ამიტომ მას ტკბილეულით უმასპინძლებიან. ბავშვები მარილს ყიდნიან. ინდოელებს მიაჩნიათ, რომ ამ დღეს მარილის ყიდვა სიკეთის მომტანია. გოგონები წყალში სანთლებიან პატარა ნავებს უშვებენ.

ზაფხულის დასაწყისში ლორის დღესასწაულისთვის ბავშვები სახლის წინ წინასწარ ხმელ ტოტებს, ჩალასა და ძველ ნივთებს აგროვენ

ბენ, სალამოს კი დიდ კოცონს ანთებენ და მის გარშემო მღერიან და ცეკვავენ. ინდოეთის ჩრდილოეთ ნაწილში მოსახლეობა ვარდისფერი, წითელი, იისფერი ან თეთრი ტანსაცმლით ირთვება. ინდოეთის სამხრეთ ნაწილში კი დედები ტკბილეულს, ყვავილებსა და საჩუქრებს ლანგარზე აწყობენ, დილით კი თვალდახუჭული ინდოელი ბავშვები მოუთმენლად ელიან, თუ როდის მიიყვანენ ლანგართან საჩუქრების მისაღებად.

ინდოეთის ცენტრალურ ნაწილში ახალ წელს შენობებზე ნარინჯისფერ დროშებს კიდებენ.

23:00 საათზე ახალი წელი პაკისტანში, უზბეკეთში, თურქმენეთში, ყირგიზეთსა და რუსეთის ზოგიერთ ნაწილში დგება.

პაკისტანის მთავრობის წევრები არამუსულმანური დღესასწაულის — ახალი წლის აღნიშვნას კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. მართალია, ქვეყანაში „მშრალი კანონი“ მოქმედებს, მაგრამ არამუსულმან უცხოელებს რამდენიმე ბოთლი ღვინის ყიდვას არაფერ უშლის.

უზბეკეთში ახალ წელს ორჯერ აღნიშნავენ: 1 იანვარს ევროპული ტრადიციით და 21 მარტს ძველი წესით. თოვლის ბაბუას უზბეკურად ქორბობო ჰქვია. ახალ წელს ქორბობო ბავშვებისთვის საჩუქრებს ვირზე ამხედრებული არიგებს. მას ზოლიანი ხალათი აცვია და თავზე ტუბიტეკა ახურავს. მასთან ერთადაა თოვლის გოგონა — ქორგიზი.

თურქმენეთში მუსულმანური ახალი წლის გარდა საერთაშორისო დღესასწაულად ქცეულ 1 იანვარსაც აღნიშნავენ. თუმცა ახალი წლის სიმბოლო აქ აქლემზე ამხედრებული თურქმენი ბიჭია მხარზე გადებული ნაძვის ხით.

23:30 საათზე ახალი წელი ავღანეთში დგება.

ავღანური ახალი წელი — ნავრუზი 21 მარტს უწევს. ამ დროს სავლეთ-სამეურნეო სამუშაოები იწყება. სადღესასწაულო სუფრაზე სპირტიანი სასმელები აკრძალულია, სამაგიეროდ ბევრ ტკბილეულს მიირთმევენ. ქალებისა და კაცებისთვის სუფრა ცალცალკე იშლება.

00:00 საათზე ახალი წელი საქართველოში, აზერბაიჯანში, სომხეთსა და ინდოეთის ოკეანის ზოგიერთ კუნძულზე დგება.

საქართველოში ახალ წელს ოჯახებში ან რიყზე, თოფისა და მამხალების სროლით ხვდებიან, შემდეგ კი ან სახლში რჩებიან, ტელევიზორს უყურებენ და იძინებენ, ან სტუმრად დადიან, ერთმანეთს ტკბილეულს ჩუქნიან და გამირულად, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ალკოჰოლურ სასმელებს სვამენ. მეკვლე აუცილებლად „კუჩხბენიერი“ უნდა იყოს, თორემ მასპინძელს თუ ამაში ეჭვი შეეპარა, ცოცხი და პარიკი არ ასცდება. თოვლის პაპას ბავშვებისთვის საჩუქრები და ტკბილეული მოაქვს. დასავლეთ საქართველოში ხისგან გამოთლილ ჩიჩილაკს დგამენ, რომელსაც მანდარინითა და სუროს ტოტებით რთავენ. ქართული საახალწლო სუფრა გოზინაყის, საცივისა და გოჭის გარეშე წარმოუდგენელია, თუმცა ისინი, ვინც მარხვას იცავს, ახალ წელს უფრო მოკრძალებულად ხვდებიან. შობის დღესასწაულს ქართველები 7 იანვარს აღნიშნავენ. საქართველოში არც „ძველი ახალი წლის“ (14 იანვარი) აღნიშვნა ავიწყდებათ.

აზერბაიჯანში თოვლის პაპას შახტა ბაბას ეძახიან, თოვლის გოგონას კი — გარ გიზის. ახალ წელს ოჯახის წევრები, ჩვეულებისამებრ, სახლში აღნიშნავენ, შეყვარებულები კი — რესტორანში. ახალი

日	一	二	三	四	五	六
1	2	3	4	5	6	7
元旦	初三	初四	初五	小寒	初七	腊八
8	9	10	11	12	13	14
初九	初十	十一	十二	十三	黑五	十五
15	16	17	18	19	20	21
十六	十七	十八	十九	廿十	大寒	廿二
22	23	24	25	26	27	28
小年	廿四	廿五	廿六	廿七	廿八	除夕
29	30	31				
春节	初二	初三				

日	一	二	三	四	五	六
			1	2	3	4
			初四	初五	初六	立春
5	6	7	8	9	10	11
初八	初九	初十	十一	十二	十三	十四
12	13	14	15	16	17	18
元宵	十六	情人	十八	十九	廿十	廿一
19	20	21	22	23	24	25
雨水	廿三	廿四	廿五	廿六	廿七	廿八
26	27	28	廿九	三十	二月	

日	一	二	三	四	五	六
			1	2	3	4
			初二	初三	初四	初五
5	6	7	8	9	10	11
初六	惊蛰	初八	妇女	初十	十一	十二
12	13	14	15	16	17	18
十三	十四	十五	十六	十七	十八	十九
19	20	21	22	23	24	25
二十	廿一	春分	廿三	廿四	廿五	廿六
26	27	28	29	30	31	
廿七	廿八	廿九	三月	初二	初三	

日	一	二	三	四	五	六
						1
						愚人
2	3	4	5	6	7	8
初五	初六	初七	清明	初九	初十	十一
9	10	11	12	13	14	15
十二	十三	十四	十五	十六	十七	十八
16	17	18	19	20	21	22
复活	廿十	廿一	廿二	谷雨	廿四	廿五
23	24	25	26	27	28	29
廿六	廿七	廿八	廿九	三十	四月	初二
30						初三

日	一	二	三	四	五	六
						1
						立夏
7	8	9	10	11	12	13
初十	十一	十二	十三	十四	十五	十六
14	15	16	17	18	19	20
母亲	十八	十九	廿十	廿一	廿二	廿三
21	22	23	24	25	26	27
小满	廿五	廿六	廿七	廿八	廿九	五月
28	29	30	31			
初二	初三	初四	端午			

日	一	二	三	四	五	六
						1
						儿童节
4	5	6	7	8	9	10
初九	初十	芒种	十二	十三	十四	十五
11	12	13	14	15	16	17
十六	十七	十八	十九	二十	廿一	廿二
18	19	20	21	22	23	24
父亲	廿四	廿五	夏至	廿七	廿八	廿九
25	26	27	28	29	30	
三十	六月	初二	初三	初四	初五	

日	一	二	三	四	五	六
						1
						初六
2	3	4	5	6	7	8
初七	初八	初九	初十	十一	小暑	十三
9	10	11	12	13	14	15
十四	十五	十六	十七	十八	十九	二十
16	17	18	19	20	21	22
廿一	廿二	廿三	廿四	廿五	廿六	廿七
23	24	25	26	27	28	29
大暑	廿九	七月	初二	初三	初四	初五
30	31					
初六	七夕					

日	一	二	三	四	五	六
						1
						初八
						初九
6	7	8	9	10	11	12
十三	十四	立秋	十六	十七	十八	十九
13	14	15	16	17	18	19
二十	廿一	廿二	廿三	廿四	廿五	廿六
20	21	22	23	24	25	26
廿七	廿八	廿九	处暑	闰七月	初二	初三
27	28	29	30	31		
初四	初五	初六	初七	初八		


日	一	二	三	四	五	六
						1
						初九
						初十
3	4	5	6	7	8	9
十一	十二	十三	十四	十五	白露	十七
10	11	12	13	14	15	16
十八	十九	二十	廿一	廿二	廿三	廿四
17	18	19	20	21	22	23
廿五	廿六	廿七	廿八	廿九	八月	秋分
24	25	26	27	28	29	30
初三	初四	初五	初六	初七	初八	初九

日	一	二	三	四	五	六
						1
						中秋
						十六
8	9	10	11	12	13	14
十七	十八	辛亥	二十	廿一	廿二	廿三
15	16	17	18	19	20	21
廿四	廿五	廿六	廿七	廿八	廿九	三十
22	23	24	25	26	27	28
九月	霜降	初三	初四	初五	初六	初七
29	30	31				
初八	重阳	初十				

# 2006

日	一	二	三	四	五	六
						1
						2
						十一
						十二
5	6	7	8	9	10	11
十五	十六	立冬	十八	十九	二十	廿一
12	13	14	15	16	17	18
廿二	廿三	廿四	廿五	廿六	廿七	廿八
19	20	21	22	23	24	25
廿九	三十	十月	小雪	感恩	初四	初五
26	27	28	29	30		
初六	初七	初八	初九	初十		

日	一	二	三	四	五	六
						1
						2
						十一
						十二
3	4	5	6	7	8	9
十三	十四	十五	十六	大雪	十八	十九
10	11	12	13	14	15	16
廿十	廿一	廿二	廿三	廿四	廿五	廿六
17	18	19	20	21	22	23
廿七	廿八	廿九	十一月	冬至	初二	初三
24	25	26	27	28	29	30
平安夜	圣诞	初七	初八	初九	初十	十一
31						十二



喜上梅梢



წელი — ნოვრუზ ბაირამი, მუსულმანური კალენდრის თანახმად, 21 მარტს დგება.

კენიაში ახალ წელს წყალზე ხვდებიან. კენიელები ამ დღეს მდინარეებში, ტბებში, ინდოეთის ოკეანეში ბანაობენ, ნავებით ცურავენ, მღერიან და მხიარულობენ.

სუდანში, თუკი ახალ წელს მდინარის ნაპირას შეხვდებით, ყველა სურვილი აგისრულდება.

00:30 საათზე ახალი წელი ირანში დგება, მაგრამ ქვეყანაში ახალი წლის დღესასწაულს 22 მარტს აღნიშნავენ. ამ დროს თოფის სროლის ხმა ისმის. ირანში შემორჩენილია უძველესი ტრადიცია – ახალი წლის წინა ღამით სახლში მთელი თიხის ჭურჭელი იცვლება. ძველ ჭურჭელს უბრალოდ ამტვრევენ. ამიტომ, როცა უნდათ თქვან, რომ ვიღაც ძალიან ღარიბია, ამბობენ, მის სახლში ორი წელია, ჭურჭელი არ გამოცვლილა.

1 იანვრის 01:00 საათზე ახალი წელი რუსეთში, ასევე აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დგება.

რუსეთში ახალი წლის აღნიშვნა 1700 წლიდან პეტრე პირველის ბრძანებით დაიწყო, მანამდე კი მის დადგომას 1 სექტემბერს აღნიშნავდნენ. უწინ ნაძვის ხის ნაცვლად სხვა ხეებს, ძირითადად, ალუბლისას, რთავდნენ. რუსები თვლიდნენ, რომ ხეებში კეთილი სულები სახლობენ, მათი მორთვით კი კეთილი სულების გულის მოგებას ცდილობდნენ. უწინ სათამაშოების ნაცვლად ხეებზე სხვადასხვა ხილის ნაყოფს ჰკიდებდნენ. მაგალითად, ვაშლი ნაყოფიერების სიმბოლო იყო, თხილი — ღვთიური განგების შეუცნობლობის, კვერცხი — ახალი სიცოცხლის, ჰარმონიისა და სრული კეთილდღეობის. რუსეთში ახალი წელი თოვლის პაპის, ანუ დედ მაროზისა და სნეგუროჩკას გარეშე წარმოუდგენელია. უწინ რუსები თვლიდნენ, რომ დედ მაროზს თავისი ჯოხით ავი სულების ადგილზე გაყინვა შეეძლო. რუს მამაკაცებს ერთი საინტერესო ტრადიციაც აქვთ – ახალ წელს აბანოში ხვდებიან. თუმცა მეორე დღის დილას სად გაიღვიძებენ, ეს უკვე სასმელის დოზაზეა დამოკიდებული. წელს წითელ მოედანზე ახალი წლის ღამეს ალკოჰოლური სასმელის მიღება აკრძალეს.

02:00 საათზე ახალ წელს ხვდება აღმოსავლეთ ევროპა, თურქეთი, ისრაელი, ფინეთი, ეგვიპტე, რუმინეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი, თურქეთი, სამხრეთ აფრიკა, ზიმბაბვე, უკრაინა, ბელორუსია, ესტონეთი, იორდანია, ლიტვა, ლატვია, სირია, ნამიბია, მოლდავეთი, მოზამბიკი, ზამბია.

ესტონეთში, ისევე როგორც ავსტრიასა და შოტლანდიაში, თვლიდნენ, რომ ახალი წლის ღამით საკვამურის მწმენდელთან შეხვედრა დიდი ბედნიერების მომტანი იყო. ამიტომ საკვამურის მწმენდლის ცილინდრი და შრომის იარაღები ამ ქვეყნებში ახალი წლის აქსესუარებია.

ფინეთში ზამთრის მთავარი დღესასწაული შობაა. მას 25 დეკემბერს აღნიშნავენ. შობის ღამეს ლაპლანდიიდან თოვლის ფინელი პაპა – ჯოლუპუკი ჩამოდის და კალათით საჩუქრებს არიგებს, ახალი წლის ღამეს კი ოჯახის წევრები კვლავ საახალწლო სუფრასთან იკრიბებიან და ცივ წყალში გამდნარი ცვილის ჩაგდებით მარჩიელობენ, როგორი იქნება მათთვის ახალი წელი.

ისრაელში ახალ წელს – რომ ხა-შანას – ტიშრის თვის (ხშირად ემთხვევა სექტემბერს) პირველ ორ დღეს აღნიშნავენ. ამ დღეებში ებრაელები ლოცულობენ. სუფრაზე აუცილებლად უნდა იყოს ორი

მრგვალი პური — ხალა. მომავალი წელი რომ ბედნიერი და მოსავლიანი რომ იყოს, ებრაელები ხალას ნატეხსა და ვაშლს თაფლში ანობენ. სუფრაზე აუცილებლად უნდა იდოს: თაფლი, ფინიკი, ბრონეული, ჭარხალი, სტაფილო და ვაშლი. ასევე თევზი, ოღონდ თავიანდად, რომ მისი პატრონი ყველა საქმის სათავეში იყოს და არა ბოლოში.

ბულგარეთში საახალწლო სუფრასთან ოჯახის წევრები და სტუმრები იკრიბებიან. ახალი წლის დადგომისას სამი წუთით ყველა სახლში სინათლეს აქრობენ. იმ დროს, როცა სტუმრები სიბნელეში რჩებიან, საიდუმლო კოცნის წუთებს უწოდებენ. ამ საიდუმლოს სიბნელე ინახავს.

საბერძნეთში სტუმრებს თან მოაქვთ ქვა, რომელსაც სახლის ზღურბლთან აგდებენ. თუ ქვა დიდი ზომისაა, ამბობენ: „ისეთივე მძიმე იყოს მომავალ წელს ამ ოჯახის შემოსავალი, როგორც ეს ქვაა“.

არის ასეთი ტრადიციაც: შუალამისას დიასახლისი გარეთ გადის და სახლის კედელზე ბრონეულს მიანარცხებს. თუ ბრონეულის მარცვლები მთელს ეზოში გაიბნა, ესე იგი მომავალი წელი ოჯახისთვის ილბიანი იქნება. საბერძნეთში ახალი წელი წმინდა ვასილის დღეა. მეორე დილას ბავშვებს იმედი აქვთ, რომ თავიანთ ჩექმებში წმინდანის მიერ მოტანილ საჩუქრებს იპოვიან.

რუმინეთში საახალწლო ღვეზელში პატარა სიურპრიზებს დებენ: ხურდა ფულს, ფაიფურის ფიგურებს, ბეჭდებსა და ცხარე წინაკას. ამიტომ ღვეზელი ფრთხილად უნდა მიირთვათ. თუ ვინმეს ღვეზელში წინაკა შეხვდება, ეს საერთო მხიარულებას გამოიწვევს. ახალ წელს თხის ტყავში გამოწყობილი ნიღბიანი კაცი აუცილებლად შეასრულებს თხის ცეკვას.

თურქეთში მუსულმანებს ახალი წლის აღნიშვნას არავინ უკრძალავს, თუმცა საახალწლო ნაძვის ხეს არავინ რთავს და არც თოვლის პაპას ელიან.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქში, იოჰანესბურგში, ახალი წელს მოსახლეობა ფანჯრებიდან სხვადასხვა ნივთებს ყრის — ბოთლებიდან დაწყებული, ავეჯით დამთავრებული.

03:00 საათზე ახალ წელს ბელგია, იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, გერმანია, პოლონეთი, უნგრეთი, შვედეთი, ავსტრია, შვეიცარია, ნიდერლანდები, ალჟირი, ნიგერია, დანია, ხორვატია, ჩეხეთი, ნორვეგია, კონგო, სლოვენია, სან-მარინო, ლიხტენშტეინი, ვატიკანი, ბოსნია-ჰერცეგოვინა, ანდორა, მონაკო, ლუქსემბურგი, ალბანეთი, კამერუნი, მალტა, ტუნისი, ბენინი, ნიგერია ხვდება.

ავსტრიელები თვლიან, რომ ახალი წლის პირველ დღეს აუცილებლად უნდა მიირთვან ღორის ხორცი, რაც ბედნიერებას მოუტანთ, პირშუშა — ჯანმრთელობას, მწვანე მუხუდო კი – ბევრ ფულს. ვენაში საახალწლოდ უშვებენ სპეციალურ მედალს, რომელზეც ღორზე შემჯდარი ბავშვია გამოსახული – ეს კი ბედნიერების სიმბოლოა. ავსტრიაში საჩუქრებს თვით ოქროს ცხენზე ამხედრებული იესო არიგებს.

გერმანიაში ასეთი ტრადიცია აქვთ: 31 დეკემბრის ღამეს გერმანელები სკამზე ადიან და ახალი წლის დადგომისთანავე ძირს ხტებიან. ხელში ხურდა ფული უჭირავთ, რომ ახალ წელს ფული არ მოაკლდეთ. მიირთმევენ თაფლში შენახულ სტაფილოს, რომელიც შემოდგომაზე სპეციალურად ამ დღისთვის ჩადეს. ეს მთელი წლის განმავლობაში ჯანმრთელობის გარანტიაა! გერმანელები თვლიან, რომ სანტა-კლაუსი ვირზე ამხედრებული მოდის, ამიტომ ბავშვები

# ਸੰਨ 2002 ਵਿੱਚ

ਪਾਤਸ਼ਾਹੀ	ਅਵਤਾਰ	ਗੁਰਗੱਦੀ	ਜੋਤੀ ਜੋਤ	ਮੱਸਿਆ	ਪੰਚਮੀਂ	ਸੰਗ੍ਰਾਂਦ	ਪੂਰਨਮਾਸ਼ੀ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਨਾਨਕ ਦੇਵ ਜੀ	19 ਨਵੰਬਰ	ਪ੍ਰਕਾਸ਼ ਤੋਂ	2 ਅਕਤੂਬਰ	13 ਜਨਵਰੀ	18 ਜਨਵਰੀ	14 ਜਨਵਰੀ	28 ਜਨਵਰੀ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਅੰਗਦ ਦੇਵ ਜੀ	13 ਮਈ	26 ਸਤੰਬਰ	17 ਅਪ੍ਰੈਲ	12 ਫਰਵਰੀ	17 ਫਰਵਰੀ	12 ਫਰਵਰੀ	27 ਫਰਵਰੀ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਅਮਰਦਾਸ ਜੀ	25 ਮਈ	13 ਅਪ੍ਰੈਲ	21 ਸਤੰਬਰ	13 ਮਾਰਚ	19 ਮਾਰਚ	14 ਮਾਰਚ	28 ਮਾਰਚ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਰਾਮਦਾਸ ਜੀ	23 ਅਕਤੂਬਰ	19 ਅਗਸਤ	9 ਸਤੰਬਰ	12 ਅਪ੍ਰੈਲ	18 ਅਪ੍ਰੈਲ	13 ਅਪ੍ਰੈਲ	27 ਅਪ੍ਰੈਲ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਅਰਜਨ ਦੇਵ ਜੀ	3 ਮਈ	8 ਸਤੰਬਰ	14 ਜੂਨ	12 ਮਈ	17 ਮਈ	14 ਮਈ	26 ਮਈ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਹਰਿਗੋਬਿੰਦ ਸਾਹਿਬ ਜੀ	25 ਜੂਨ	3 ਜੂਨ	18 ਅਪ੍ਰੈਲ	10 ਜੂਨ	15 ਜੂਨ	15 ਜੂਨ	24 ਜੂਨ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਹਰਿਰਾਏ ਜੀ	25 ਫਰਵਰੀ	10 ਅਪ੍ਰੈਲ	30 ਅਕਤੂਬਰ	10 ਜੁਲਾਈ	14 ਜੁਲਾਈ	16 ਜੁਲਾਈ	24 ਜੁਲਾਈ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਹਰਿਕ੍ਰਿਸ਼ਨ ਜੀ	2 ਅਗਸਤ	30 ਅਕਤੂਬਰ	25 ਅਪ੍ਰੈਲ	8 ਅਗਸਤ	13 ਅਗਸਤ	16 ਅਗਸਤ	22 ਅਗਸਤ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਤੇਗ ਬਹਾਦਰ ਜੀ	1 ਮਈ	25 ਅਪ੍ਰੈਲ	8 ਦਸੰਬਰ	7 ਸਤੰਬਰ	11 ਸਤੰਬਰ	16 ਸਤੰਬਰ	21 ਸਤੰਬਰ
ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਗੋਬਿੰਦ ਸਿੰਘ ਜੀ	21 ਜਨਵਰੀ	6 ਦਸੰਬਰ	9 ਨਵੰਬਰ	6 ਅਕਤੂਬਰ	10 ਅਕਤੂਬਰ	17 ਅਕਤੂਬਰ	21 ਅਕਤੂਬਰ
ਸ਼ਸਤਰ ਧਾਰਨ ਪਾਤਸ਼ਾਹੀ 6		19 ਜੁਲਾਈ		4 ਨਵੰਬਰ	9 ਨਵੰਬਰ	16 ਨਵੰਬਰ	19 ਨਵੰਬਰ
ਸ਼ੀ ਗੁਰੂ ਗ੍ਰੰਥ ਸਾਹਿਬ ਜੀ ਦਾ ਪਹਿਲਾ ਪ੍ਰਕਾਸ਼		7 ਸਤੰਬਰ		4 ਦਸੰਬਰ	8 ਦਸੰਬਰ	15 ਦਸੰਬਰ	19 ਦਸੰਬਰ
ਗੁਰਗੱਦੀ ਸ੍ਰੀ ਗੁਰੂ ਗ੍ਰੰਥ ਸਾਹਿਬ ਜੀ (ਨੰਦੇੜ)		6 ਨਵੰਬਰ					

ਦੀਲੀ ਨੂੰ ਮਾਗਿਦਾਭੇ ਸਾਮ੍ਹਿਕਰੇਬਿਸਤੀਸ ਤੇਫੇਭੇਬ, ਖੋਲੋ ਚੇਕੇਭੇਭੇ ਚੀ ਸਾਨੇਫਾ ਵੀਰੀਸ ਗਾਸਾਮਾਸਪੀਨੇਭੇਭੇਫਾਦ ਚਾਲਾਸ ਦੇਭੇਭੇ. ਸਾਮ੍ਹਿਕਰੇਭੇ ਗੇਰ-ਮਾਨੀਆਸਾ ਫਾ ਆਸਟਰੀਆਭੀ ਮੋਸਾਸੇਭੇਭੇਫਾ ਚੇਰੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਸੇਭੀਰਾਦ ਖੇਭੀਸ ਆ ਫਾਭੀਫੇਭੀ ਖੇਭੇਭੇਭੇ-ਗੋਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ.

ਸਾਫਰਾਨੇਭੇਭੇਭੇ ਆਲਾ ਨੇਫਲ ਯੁਨੀਨ 1 ਆਰੀਲ ਆਲੀਨੇਭੇਭੇਭੇਭੇ, ਮਾਗਰਾਮ 1564 ਨੇਫਲ ਸਾਫਰਾਨੇਭੇਭੇਭੇ ਮੇਫੇਭੇ, ਕਾਰਲ IX-ਮ, ਆਲੀ ਨੇਫਲ ਫਲੇਸਾਨਾਫਲੀ 1 ਆਰੀਲ ਗਾਫਾਭੇਭੇਭੇ. ਫਰਾਨੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਯੁਫੇਭੇਭੇਭੇ ਚੇਭੇ, ਰੋਗੋਰ ਆਫਰ ਯੁਨਫਾ ਆਲੀਨੇਭੇਭੇਭੇ ਆਲੀ ਨੇਫਲੀ 1 ਆਰੀਲ. ਚੀਨੀ ਚੇਭੇਭੇਭੇ, ਰੋਮ ਮੋ-ਫੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਫਾਰਫੇਭੇ. ਸਨੋਰੇਫ ਮਾਸ ਖੇਮਫੇਭੇ ਫੇਭੋਫਾ 1 ਆਰੀਲ ਮਾਫੇਭੇਭੇਭੇ-ਆਰੇਭੀਸ ਫਲੇ. ਸਾਫਰਾਨੇਭੇਭੇਭੇ ਫਰਾਨੇਭੇ ਚੋਫਲੀਸ ਖਾਖਾ — ਖੇਰ ਨੋਫਲੀ — ਭਾਭੇਭੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਸਾਮ੍ਹਿਕਰੇਭੇ ਚੇਕੇਭੇਭੇ ਫੋਭੇਭੇ. ਨਾਫੇਭੇ ਖੀਸ ਗੇਭੇਭੇਭੇ ਫਗਾਮੇਨ ਖੀਸ ਆ ਚੀਭੀਸ ਫੀਭੇਭੇਭੇ — ਸਾਨੇਭੇਭੇਭੇ.

ਮੇਭੀਰਯੁਫਲੀ ਕਾਫੀ, ਰੋਮੇਫਲਾਫ ਆਲਾ ਨੇਫਲ ਚੇਭੇਭੇਭੇ ਫਾ ਸਲੋਫਾਕੇਭੇਭੇ ਭਾਭੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਸਾਮ੍ਹਿਕਰੇਭੇ ਮੀਫੇਭੇ, ਫੇਭੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਮੀਕੇਭੇਭੇਭੇ.

ਯੁਨੇਭੇਭੇਭੇ ਆਲੀ ਨੇਫਲ ਫਾਫਗੋਮੀਸਫਾਨਾਫੇ ਯੁਸਫੇਭੇਭੇ, ਰੋਮ ਆਭੀ ਸੁਫੇਭੇਭੇ ਫਾਫਫਰੇਭੇਭੇ ਫਾ ਮੋਮਾਫਾਲੀ ਨੇਫਲੀ ਚੇਭੇਭੇਭੇ ਚੇਭੇ. ਆਮੀਸਾਫੇਭੇ ਸਾਭਾਫੇਭੇਭੇ ਸਾਸਫੇਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ. ਯੁਨੇਭੇਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ, ਰੋਮ ਸਾਫ-

ਭਾਲਨੋਲੋ ਸੁਫਰੀਸ ਕੇਰਫੇਭੇ ਮਾਗੀਯੁਰੀ ਫਾਲਾ ਆਫੇਭੇ: ਲੋਭੀਭੇ ਫਾ ਮੁਭੇਭੇਭੇ ਸੁਫਲੀਸਾ ਫਾ ਸੇਭੇਭੇਭੇ ਸੀਮਰੇਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ, ਵਾਭੇਭੇ — ਸੀਲਾਮਾਭੇਭੇ ਫਾ ਸੀਯੇਭੇਭੇਭੇ, ਚੇਭੇਭੇ ਯੁਭੇਭੇਭੇਭੇਭੇਭੇ ਫਾਫੀਫਰਾਫੇਭੇ, ਨੀਭੇਭੇ — ਫਾਫ-ਵਾਫੇਭੇਭੇਭੇਭੇ, ਚਾਫਲੀ ਕੀ ਫੇਭੇਭੇਭੇ ਫਾਫੀਫੇਭੇਭੇਭੇ. ਸਾਫਲਨੋਲੋ ਸੁਫਰਾਭੇ ਫਰੀਨੇਭੇਭੇ ਖੋਰਫੀ ਆ ਆਫੇਭੇ, ਰੋਮ ਭੇਫੇਭੇਭੇ ਆ ਗਾਫ-ਰੀਨਫੇਭੇ.

ਫਾਨੀਭੇਭੇ ਭਾਭੇਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇਭੇ ਸਾਫਾਮਾਭੇਭੇ ਨਾਫੇਭੇ ਖੇਭੇ, ਰੋਮਫੀਫਾਨਾਫ ਫੇਭੇਭੇ ਚੀਭੇਭੇਭੇ — ਫਰੋਫਲੀ — ਚੇਭੇਭੇਭੇ. ਸਾਫਲਨੋਲੋ ਸੁਫਰਾਭੇ ਫੀਸਾਫਲੀਸ ਸੀਯੁਭੇਭੇਭੇਭੇ ਭਰੀਨੇਭੇਭੇ ਫਾਫਾ ਗਾਮੋਫੇਭੇ. ਫਾਮੇਭੇ, ਫੇਭੇਭੇ, ਚੇਭੇਭੇ ਆਨ ਨੇਭੇਭੇ ਮੋਫਾਫੇਭੇਭੇਭੇ. ਚੇ ਫਰਾਫੀਫਾ ਫੇਭੇਭੇਭੇ ਮੇਫਾਫ ਗਾਸਾਫੇਭੇਭੇਭੇ ਗੋਗੋਨੇਭੇਭੇ ਮੋਸਨੋਨੋਫ — ਚੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ ਖੇਭੇਭੇਭੇ, ਮੋਮਾਫਾਲ ਨੇਫਲ ਫੇਭੇਭੇਭੇ ਚੇਭੇਭੇ. ਫਾਨਾਫੀਫੇ ਖੇਮਫੇਭੇਭੇਭੇ, ਯੁਭੇਭੇਭੇ, ਚੇਭੇਭੇਭੇ ਆਲੀ ਨੇਫਲੀ ਚੇਭੇਭੇਭੇ. ਆਫ ਚੇ ਆਰੀਸ ਫੇਭੇਭੇ!

ਭੋਲਾਨਫੀਫੇਭੇ ਭਾਭੇਭੇਭੇ ਆਲਾ ਨੇਫਲ ਨੇਮੀਨਫਾ ਨੀਕੋਲੋਭੀਸ ਮੋਸਫਲਾਸ ਚੇਭੇਭੇ. ਚੀਨੀ ਕਾਰਗਾਫ ਚੇਭੇਭੇਭੇ, ਰੋਮ ਨੀਕੋਲੋਭੀਸ ਫਾ ਮੀਸੀ ਮਸਾਫ-ਯੁਰੀਸ, ਖਾਭੀ ਖੀਫੀਸਾਫਾਨ, ਸਾਮ੍ਹਿਕਰੇਭੇ ਫਾਮੀਸਾਫੇਭੇਭੇ. ਸਾਫਲਨੋਲੋ ਸੁਫ-ਫਰਾਸ ਫੇਭੇਭੇਭੇਭੇ „ਭੋਨੀਫੀਕੀ“ ਆਭੇਭੇਭੇਭੇ.

ესპანელები ახალი წლის მობრძანებას ოჯახის წევრებთან ერთად აღნიშნავენ. ბავშვები ახალი წლის ღამით ფანჯარაზე ჰკიდებენ გრძელ წინდებს, რომლებიც მეორე დილას საჩუქრებით სავსე ხვდებათ. ძველი ტრადიციის თანახმად, ესპანელები 12 საათის შესრულებისას თორმეტ მარცვალ ყურძენს ჭამენ და თან სურვილებს იფიქრებენ.

ახალი წლის ღამით იტალიის ქუჩებში გავლა სახიფათოა. იტალიელები ძველ ავეჯს ფანჯრებიდან ყრიან – ასე იშორებენ ძველი წლის დარდს. იტალიაში, ძველი ტრადიციის თანახმად, საჩუქრებს მოხუცი ქალი – ბელფანა – არიგებს.

შვედეთში ასეთი ტრადიცია აქვთ: ისინი მეზობლის კართან ჭურჭელს ამტვრევენ. მასპინძელს ეს სულაც არ სწყინს, პირიქით, უხარია – რაც უფრო მეტი ნამტვრევი იქნება კართან, მით უფრო მეტი ფული ექნება საფულეში.

04:00 საათზე ახალი წელი დგება ნულოვან მერიდიანზე (გრინვიჩი), დიდ ბრიტანეთში, ირლანდიაში, მაროკოში, ისლანდიაში, კოტედი-უვარში, შოტლანდიაში, სიერა ლიონეში, განაში, გამბიაში, უელსში. ისლანდიელი ბავშვები ცდილობენ, ყოველთვის კარგად მოიქცნენ, რადგან თოვლის პაპამ მათ სახლში შეიძლება ნებისმიერ დროს შეიხედოს და თუ ვინმეს საქციელი არ მოეწონება, საჩუქრის ნაცვლად ჩექმაში კარტოფილს ჩაუგდება.

შოტლანდიაში ახალი წლის დღესასწაულს ჰოგმანი ჰქვია. მისი დადგომისთანავე კარს ფართოდ აღებენ, რომ ძველი წელი გაუშვან, ახალი კი შემოუშვან. შოტლანდიელები ახალი წლის ღამეს მეგობრებთან ერთი ნაჭერი ღვეზლით, ჭიქა ღვინითა და ნახშირის ნატეხით მიდიან. ასე დაუბედებენ ისინი მასპინძელს საჭმელს, სასმელსა და სიტბოს. შოტლანდიელები თვლიან, რომ ყველაზე კარგი მეკვლე შავთვალა, შავგვრემანი მამაკაცია. მას ნახშირის ნატეხი მოაქვს, რომ ოჯახს სიტბო არ მოაკლდეს. ამ ტრადიციას „ფერსთ ფუთინგს“ უწოდებენ. ახალ წელს კეთილ გნომებს არ ივინყებენ. მათი გამოსახულება არის სუფრაზეც და თეფშებზეც.

დიდ ბრიტანეთში „ახალი წლის შემოშვების“ – ძველიდან ახალ ცხოვრებაზე გადასვლის – ტრადიციაა გავრცელებული. როცა 12 საათზე საათი 12-ჯერ ჩამოკვრას იწყებს, ძველი წლის გასაშვებად სახლის უკანა კარს აღებენ. როცა მეთორმეტე ზარი გაისმის, წინა კარის გაღებით ახალ წელს შემოუშვებენ. დიდ ბრიტანეთში ბავშვები საჩუქრებს „ფაზერ ქრისმასისგან“, ანუ შობის პაპისგან ელიან. წერილს, რომელშიც თავიანთ სურვილებს წერენ, ბავშვები ცეცხლში აგდებენ. საკვამურიდან ამოსული კვამლი მას დანიშნულების ადგილას მიიტანს.

საახალწლო მისალოცი ბარათების ჩუქების ტრადიცია სწორედ ინგლისში დამკვიდრდა. პირველი საახალწლო ბარათი ლონდონში 1843 წელს დაიბეჭდა. ინგლისელი სანტა-კლაუსი, რა თქმა უნდა, ირმებშებმული მარხილით ჩამოდის. სანტას შემწვარი ინდაურითა და რომიანი პუდინგით უმასპინძლებიან.

უელსში ახალი წლის ღამით სტუმრებს თან ნახშირის ნატეხი მოაქვთ და ლუმელში ცეცხლში აგდებენ.

ირლანდიაში დიასახლისები ოჯახის თითოეული წევრისთვის „სიდ ქეიქს“ აცხობენ და პუდინგს ამზადებენ.

ახალ წელს 06:00 საათზე ხვდება სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთი ნაწილი, ბრაზილია, ურუგვაი.

ბრაზილიელები ახალ წელს, ნაძვის ხის ნაცვლად, პალმას ან ლელვის ხეს რთავენ.

09:00 საათზე ხვდებიან კანადისა და აშშ-ს აღმოსავლეთ, აგრეთვე სამხრეთ ამერიკის დასავლეთ ნაწილში (ვაშინგტონში, ნიუ-იორკში), კუბაში, პერუში, კოლომბიაში, იამაიკაზე, ჰაიტიში, პანამაში, ეკვადორში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ელექტროგირლანდა ნაძვის ხეზე პირველად თეთრი სახლის წინ 1895 წელს აინთო. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. ნიუ-იორკში კი ყველაზე დიდი ნაძვის ხე როკფელერ ცენტრის წინ დგას. ახალი წლის შესახვედრად ნიუ-იორკში ხალხი თაიმ სკვერზე იკრიბება. ამერიკის შეერთებულ შტატებში მაშინ, როცა ჰავაის კუნძულებზე საახალწლო მამხალეების ხმა ისმის, ქვეყნის დანარჩენ მოსახლეობას უკვე სძინავს.

ჰაიტიში მიაჩნიათ, რომ ახალი წელი ახალი სიცოცხლის დასაწყისია, ამიტომ ეს მოსახლეობის ყველაზე საყვარელი დღესასწაულია. ამ დღისთვის სახლში ყველაფერს ანესრიგებენ, ძველ ავეჯს ახლით ცვლიან, ერთმანეთს მიყენებულ წყენას პატიობენ.

ახალ წელს პანამაში დიდი ხმაურით ხვდებიან. მისი დადგომისთანავე ყველა ზარს ერთდროულად რეკავენ, ირთვება მანქანების სიგნალიზაცია.

ახალ წელს კუბაში ზარი მხოლოდ 11-ჯერ რეკავს. რადგან მეთორმეტე ზარი სწორედ ახალ წელს უწევს, საათს ასვენებენ, რომ დღესასწაული ყველასთან ერთად მშვიდად აღნიშნოს. მაშინ, როცა საათის ზარი რეკავს, კუბელები ყურძნის 12 მარცვალს ჭამენ, რომ თორმეტი თვის განმავლობაში ბედნიერად იცხოვრონ. კუბელები ახალ წლამდე სახლში ყველა ჭურჭელს ავსებენ და, როცა ახალი წელი დგება, წყალს ფანჯრიდან ღვრიან, რომ მთელი წელი ამ წყალივით სუფთა იყოს. ბავშვებისთვის კი ახალი წლის დღესასწაული მეფეების დღეა. მეფე-ჯადოქრებს, რომელთაც მათთვის საჩუქრები მოაქვთ, ბალთასარი, გასპარი და მელჩორი ჰქვიათ.

ეკვადორში ზუსტად შუალამისას თოჯინებს ცეცხლში წვავენ, რასაც თან ახლავს „ქვრივების ქვითინი“, რომლებიც თავიანთ „ცუდ ქმრებს“ დასტირიან. როგორც წესი, „ქვრივებს“ ქალის ფორმაში გადაცემული, პარიკიანი მამაკაცები ასახიერებენ. მათ, ვისაც უნდა, რომ მომავალ წელს იმოგზაუროს, სახლს ჩემოდნებით ხელში 12-ჯერ უნდა შემოურბინოს. მან, ვისაც გამდიდრება და დიდი სიყვარული სურს, ყვითელი საცვალის უნდა ჩაიცვას, წითელ საცვალს კი ბედნიერება მოაქვს.

15:00 საათზე, ყველაზე ბოლოს, ახალ წელს სამოას მოსახლეობა ხვდება, მაშინ როცა ოკეანის აღმოსავლეთ ნაწილში ახალი წლის მობრძანება ერთი დღითა და ერთი საათით ადრე აღნიშნეს.

ყველა ქვეყანაში ახალი წლის აღნიშვნის განსხვავებული ტრადიცია აქვთ, მაგრამ ახალ წელს ნებისმიერ ადგილას უკეთესი მომავლის იმედით ხვდებიან.

ყველა კეთილი სურვილი აგხდენოდეთ! გილოცავთ ახალ წელს!

LunarCal @ Beijing

2005年 正月小 乙酉

星期	Sun日	Mon一	Tue二	Wed三	Thu四	Fri五	Sat六
Feb 2005				9 初 一	10 初 二	11 初 三	12 初 四
	13 初 五	14 初 六	15 初 七	16 初 八	17 初 九	18 初 十	19 十 一
	20 十 二	21 十 三	22 十 四	23 十 五	24 十 六	25 十 七	26 十 八
	27 十 九	28 二 十					
Mar 2005			1 廿 一	2 廿 二	3 廿 三	4 廿 四	5 廿 五
	6 廿 六	7 廿 七	8 廿 八	9 廿 九			

## فبراير ٢٠٠٦

الجمعة	الخميس	الأربعاء	الثلاثاء	الاثنين	الأحد	السبت
٣	٢	١				
١٠	٩	٨	٧	٦	٥	٤
١٧	١٦	١٥	١٤	١٣	١٢	١١
٢٤	٢٣	٢٢	٢١	٢٠	١٩	١٨
			٢٨	٢٧	٢٦	٢٥

أنت وماجي والأكل الذ.

# axal i wel i Tbi l i sSi

ნოა ნოა:

DJ Compass-Vrubell & DJ Vanila (მოსკოვი / კლუბი "Gaudi-Arena") ბილეთის ფასი: 100 ლარი

პროფილი:

შოუ პროგრამა - ჯგუფი "პროფილი", ილუზიონისტი და აღმოსავლური ცეკვები. დასაწყისი: 01:00

იმერეთი:

გია ბურჯანაძე, გია როინიშვილი, გია აბესალაშვილი, რომან რცხილაძე, რუსუდან ბოლქვაძე, სოფიკო და ბორის ბედიები ("ნუცას სკოლა"), ქორეოგრაფიული ანსამბლი "ლაშარი", ანსამბლი "იმერეთი".

დასაწყისი: 01:00, ბილეთის ფასი: 100 ლარი (საახალწლო სუფრა. ბილეთების შექენა შეგიძლიათ რესტორან "იმერეთ"-ში)

ბაბილო:

"მოზილ ბლუზ ბენდი", რესტორან "ბაბილო"-ს ბენდი, სოლო მოცეკვავეები ანსამბლი "სამბა", "მეჯიქ ლაიფი"-ს მოცეკვავეები, გელა ფარჩუკიძე, ანსამბლი "სკერცო" და ოპერის სოლისტები, სამეჯლისო ცეკვები. საახალწლო სუფრა: 12 სახეობის ცივი კერძი, 4 სახეობის ცხელი კერძი, ტორტი, შამპანურის პირამიდა და ა. შ. სალამოს დასაწყისი: 01:00 დაკვეთა წინასწარ.

სპორტკაფე:

დათო სირბილაძე მეგობრებთან ერთად. დასაწყისი: 02:00 ბილეთის ფასი: 100 ლარი (საახალწლო სუფრა: სასმელი და ტკბილეული).

თავადური:

შოუ-ბალეტი, ქართული ცეკვების ანსამბლი. დასაწყისი: 01:00 ბილეთის ფასი: 50 ლარი (საახალწლო სუფრა: ქართული ტრადიციული სუფრა, ხილის ასორტი, ნამცხვრები, შამპანური. სურვილისამებრ სამარხო მენიუ).

მოსკოვი:

"ჯეოსტარი 2004", "ჯეოსტარი 2005", "ნუცას სკოლა", სალომე გასვიანი, რესტორან "მოსკოვის" ანსამბლი. დასაწყისი: 01:00

კაიზერ ბრაუ:

შოუ-პროგრამა, ცოცხალი მუსიკა, უამრავი სიურპრიზი და გათამაშებები. დასაწყისი: 22:30 ბოლო სტუმრამდე. ბილეთის ფასი: 26 დეკემბრის ჩათვლით - 100 ლარი, 27 დეკემბრიდან - 125 ლარი. ევროპული საახალწლო სუფრა (ლუდი უფასო).

მონოპოლი:

დავით გომართელის სალამო-კარნავალი, გათამაშებები, პრიზები, ნამყვანი: თემიკო ჭიჭინაძე. დასაწყისი: 02:00 ბილეთის ფასი: 120 ლარი (საახალწლო სუფრა )

თბილისური:

მუსიკა ცოცხალი შესრულებით. დასაწყისი 01:00, ბილეთის ფასი: 25-50 ლარი (ქართული ტრადიციული საახალწლო სუფრა).

დედა ზოია:


შოუ პროგრამა: მამუკა ლოლაშვილი, ანრი ჯოხაძე, ცუცა კაპანაძე, მაია კვიციანი. ბილეთის ფასი: 140 ლარი (საახალწლო სუფრა)

დუბლინი:

დასაწყისი: 21:00 მუსიკა: 21:00 - 04:00 შოუ-პროგრამა: 01:00 - 03:00, აღმოსავლური და ლათინური მუსიკა, საახალწლო სუფრა. ბილეთის ფასი - 70 ლარი

ნალი:





მუსიკა ცოცხალი შესრულებით და საინტერესო შოუ-პროგრამა. ბილეთის ფასი - 20 ლარი

ლა პაზ:  
დასაწყისი: 01:00, მუსიკა ცოცხალი შესრულებით, საახალწლო სუფრა. ფასი - 50 ლარი


მარკო პოლო:  
დასაწყისი: 23:30-დან 4:00-დე. ზურა მსხილაძე, ნოდარ ვარდანაშვილი, გია გარბერი და ლეონიდ ალპერტი. ბილეთის ფასი - 100 ლარი

შერატონ მეტეხი პალასი:  
სალამოს დასაწყისი: 01:00 სთ. ლილი ვასქესი და ლა სუპერსალსა (კუბა). ბილეთის ფასი - 250 ლარი

კლუბი "გვირაბი":  
სალამოს დასაწყისი: 20:00 სთ. DJ Vint (რუსეთი), ქაფი-შოუ, ფეიერვერკი. ბილეთის ფასი - 100 ლარი (არაყი და შამპანური უფასოდ). 1 იანვარი: სალამოს დასაწყისი: 20:00 სთ. DJ გიო ბაქანიძე (The Best of 2005), ქაფი-შოუ. ბილეთის ფასი - 50 ლარი. 2 იანვარი: დიდი სიურპრიზი. ბილეთის ფასი - 50 ლარი

# ТРИ ФОРМАТА новогодней вечеринки...

## light party ☐



## normal party ☐



## xxx party ☐



ზემოთ მოყვანილი პიქტოგრამები აღნიშნავს ახალი წლის შეხვედრის სხვადასხვა, მსოფლიოში აპრობირებულ მეთოდებს. ჩვენს შემთხვევაში, ამ საყოველთაოდ გავრცელებულ არჩევანს იმ ღონისძიებების სიაც დაემატა, რომლებზე დასწრებაც თბილისელებსა და ქალაქის სტუმრებს ახალი წლის ღამეს შეეძლოთ.

# sami saSobao z Rapar i anabeWdi saTvi s

daviT defi gogibedaSvili

---

სამობაო ზღაპარი, გნებავთ, მოთხრობა თუ, როგორც ახლა მოდაშია, ტექსტი, მსოფლიო ლიტერატურაში ძალზე ბევრია, უსასრულოდ ბევრი.

თითქმის არ არსებობს პროზაიკოსი ან პოეტი, რომელსაც ასეთი ლიტოპუსი არ შეექმნა.

მაგრამ მასალის ძიებისას ერთ უცნაურობას მივაგენი: სამი გენიალური მწერლის ურთიერთკავშირს, გაბნეულს დროსა და სივრცეში – ვაჟა-ფშაველას, ო'ჰენრისა და ანდერსენის.

ჯერ ვაჟა.

ლუკა პავლეს ძე რაზიკაშვილი (14.07.1861-27.07.1915) „შვლის ნუკრის ნაამბობისა“ და „აღუდა ქეთელაურის“ შემდეგ ოცნებობდა, შეეთხზა სამობაო მოთხრობა, სადაც შობის სიხარულს მხოლოდ ადამიანი არ განიცდიდა. ერთი ასეთი მოთხრობა გორის სემინარიაში სწავლისას უკვე ჰქონდა დაწერილი, სახელწოდებით, „ემმაკი“, რის გამოც მთელი ამბები ატყდა – რა შუაშია შობა და ემმაკი (პირი ქვისკენ მიქნია). თან საქმეც ისაა, რომ სწორედ სათაურის ქვეშ მიაწერა ავტორმა განმარტება – „სამობაო მოთხრობა“.

ტექსტმა იმ დროისათვის მაინცდამაინც დიდი მონონება არ დაიმსახურა, მაგრამ წლების შემდეგ გამოქვეყნდა შედეგური „სათაგური“, სწორედ ის, რაზეც ბუმბერაზი ოცნებობდა – სიუჟეტური ქარგა რომ ადამიანიდან ცხოველს გადასწვდენოდა, ანუ შობადღეს იმ წყეული სათაგურიდან თავგების განთავისუფლება.

რამდენადაც უცნაურად უნდა გვეჩვენოს, ეს სამობაო მოთხრობა ზაფხულშია დაწერილი – ივნისში (შექსპირის „შობის მეთორმეტე ლამის“ შექმნის თარიღიც ზაფხულში გამოდის, ოღონდ ივნისზე იქ ლაპარაკი არაა, ხელნაწერის ქვემოთ მინერილია „გაზაფხულსა და ზაფხულს შორის“).

ვაჟა კი თავის ძმას, ბაჩანას, ეუბნებოდა: „როგორც კაცი თოვლში ნაკვალევს სტოვებს, ამ მოთხრობის წყალობით ბავშვების მეოცნებე ფიქრებში დავტოვე მეც ჩემი ნაკვალევი“.

დამეთანხმებით, სიტყვა „ნაკვალევი“ სიტყვა „ანაბეჭდის“ მოსინონიმე ნათესავია, მაგრამ ეს დამთხვევათა მხოლოდ პირველი ნაწილია.

ახლა ო'ჰენრი.

უილიამ სიდნი პორტერი (11.09.1862-5.06.1910) – ამერიკელი ვირტუოზი ნოველისტი და უბადლო ოსტატი. საერთოდ არ აპირებდა მწერლობას, მუშაობდა ყველგან, სადაც ორი ცენტის შოვნა შეიძლებოდა. იყო საშინლად ცნობისმოყვარე და თანდაყოლილმა ახირებამ იგი ციხემდეც მიიყვანა. სამი წელი გაატარა ტექსასის შტატის ციხეში, სადაც წერას მიჰყო ხელი და ფსევდონიმად ო'ჰენრი დაირქვა. სატუსალოდან ჟურნალ „დეილი მირორსა“ და „ნეშენალ ესკვაიერში“ გზავნიდა მოთხრობებს.

ციხიდან უკვე ცნობილი, აღიარებული, მდიდარი და ყველასთვის საყვარელი და დიდი მწერალი გამოვიდა (ბედი არ გინდა?). სამობაო მოთხრობა „მოგვთა ძღვენი“ მარტივი სიუჟეტური ქარგით (საათის, სამაჯურის, თმებისა და სავარცხლის ამბავი) ყოველ ამერიკულ ოჯახში ნაძვის ხესთან ერთად იდო.

ციხიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ო'ჰენრი თავის მეგობარს სწერს: „ჯიმ, ძვირფასო, არ დაიჯერებ, მაგრამ სამუშაოდ მთელს ამერიკაში უკეთეს ადგილს ვერ ვიპოვიდი, ვიდრე ჩემი ეს უბადრუკი საკანია. იმდენი ადამიანი გავიცანი, არც კი ვიცი, ამდენ ისტორიას ერთად როგორ მოვუყარო თავი. ახლა პაპანაქება სიცხება, ხომ იცი, ივნისში როგორ იცის ხოლმე და ერთი უცნაური სამობაო მოთხრობა დავამთავრე, „მოგვთა ძღვენი“ ჰქვია. მომიკითხე მეუღლე დელლა.“

P.S. ღმერთია მონამე, არ ვაპირებდი ლიტერატურაში ჩემი ანაბეჭდის დატოვებას, ისიც საკმარისია, შერიფს რომ ათივე თითისა ჩავაბარე“.

ანაბეჭდი!

სიტყვა „ანაბეჭდი“ აქაც! შემთხვევითი მართლაც არაფერია.

და ისევ ივნისი. როგორც ვაჟასთან, აქაც ივნისი.

ჰო, მართლა, ჯიმი და დელლა „მოგვთა ძღვენის“ გმირებს დაერქვა.

ბოლოს კი მესამე – ანდერსენი, ჰანს-ქრისტიან ანდერსენი (2.04.1805-4.08.1875).

უკვე ცნობილმა დანიელმა მწერალმა და სახელგანთქმულმა ფილანთროპმა, თავის სიცოცხლეშივე რომ კოპენჰაგენის საგანმანათლებლო საბჭომ დაწყებითი კლასის სასწავლო პროგრამაში მისი ზღაპრები შეიტანა, საახალწლოდ გამოაქვეყნა საშობაო მოთხრობა „გოგონა ასანთით“. სულისშემძვრელი ზღაპარია, პატარა, ობოლი გოგონა ასანთის ბოლო ღერით როგორ ითბობს ყინვაში ხელებს და ქუჩაშივე ჩაეძინება, გაიყინება და... მის სულს უფალი შობაღამეს ზეცაში აიყვანს.

ერთმა უმანკო მოთხრობამ იმ ღამეს დანიას შოკი დაათოვა.

ანდერსენი კი ამბობდა: „რა ვქნა, ივნისი იყო, როცა მოთხრობას ვწერდი, სიცხე, აუტანელი სიცხე და ალბათ მან იმოქმედა. ვეცადე, ჩემი მოთხრობა სიყვარულის ანარეკლად დარჩენილიყო თეთრ ფურცელზე“.

ივნისი, ბატონებო! აქაც ივნისი და სიტყვა „ანარეკლი“, სიტყვა „ანაბეჭდის“ კიდევ ერთი ჰიპოსტასი. სასწაულია, ნამდვილი სასწაული და შობაღამეს განა რამეა გასაკვირი?

გილოცავთ.



last christmas...

# saSobao z Rapr ebi

Taz o mWedliZe

ახალი წლის დღეებში, განსაკუთრებით, თუ თოვლიცაა, ისეთი გრძობა მიჩნდება, რომ ყოველდღიურობის წესები სადღაც ქრება, სამყარო და საზოგადოება ნამდვილ სახეს იბრუნებს. საინტერესოა, ტექნიკური დეტალები რომ მოვაგვაროთ, შეიძლება თუ არა მუდმივად საახალწლო განწყობის შენარჩუნება. მაგალითად, მოვიმარაგეთ გოზინაყი, თოვლის ბაბუა საჩუქრებით, ნაძვის ხე, ხელოვნური თოვლი და ა.შ. ერთხელ მითხრეს, მოსკოვში ერთი კლუბია, სადაც ყოველწლიურად 12 საათზე ყველა წესის დაცვით ახალ წელს ხვდებიან.

ისე, კლუბი რად უნდა, მე თვითონ მიცდია ყოველგვარი კლუბის გარეშე. ხანდახან გამომდის კიდეც. რაც ამ საკითხის სერიოზული შესწავლა დავიწყე, აღმოვაჩინე, რომ არსებობდნენ საზოგადოებები ან დიდი ჯგუფები, სადაც მუდმივად საახალწლო განწყობა იყო.

ჩრდილოამერიკელ ინდიელებს ერთი უცნაური ჩვეულება – **Potlatch** – ჰქონდათ, რაც ალბათ საშუალებას აძლევდათ, მუდმივად საახალწლო მდგომარეობაში ეცხოვრათ (ინდიელები კონკრეტულ თარიღს, 1 იანვარს, არ აღნიშნავდნენ, არც ჩურჩხელებსა და ნაძვის ხეს იყენებდნენ, მაგრამ ალბათ არც სჭირდებოდათ). ერთი სოფლიდან მეორეში პერმანენტულად მიედინებოდა ძვირფასი საჩუქრების ნაკადი. თამაშის წესების მიხედვით, ყოველი სოფელი ვალდებული იყო, მიღებულზე მეტი ძველი გაეგზავნა. ეს „საჩუქრების ესკალაცია“ მთავრდებოდა იმ „ბედნიერ“ სოფელში, რომელსაც საჩუქრების დამატება აღარ შეეძლო. მოსახლეობა წვავდა თავის ქონებასა და საცხოვრებლებს – ამ სიმბოლური აქტით მთელს თავის საკუთრებას გასცემდა. ყოველ ბაჭი ამტკიცებდა, რომ ეს ჩვეულება იყო ინდიელების ეკონომიკის მამოძრავებელი.

ბაჭი, რომელიც 1935 წელს ფრანგი მემარცხენე ინტელექტუალების მოძრაობის, „კონტრშეტევის“ (**“Contre-Attaque”**), ჩამოყალიბების ინიციატორი იყო, მეცნიერების სხვადასხვა დარგში ბევრ ძალიან უცნაურ აზრს გამოთქვამდა, მაგრამ შესაბამისი სფეროების სპეციალისტები მის იდეებს ყოველთვის დიდი ყურადღებით ეკიდებოდნენ. 1952 წელს იგი საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერიც გახდა.

ბაჭის ეკონომიკური თეორიის მიხედვით, ეკონომიკური განვითარების პირველადი მოტივი მატერიალური ფასეულობების განადგურებაა და არა მათი შექმნა და წარმოება. ერთი შეხედვით, ეს იდეა მისაღები უნდა იყოს ჩვენი ეროვნული ეკონომიკის მამებისთვის, მაგრამ „მამების“ პოზიციისგან განსხვავებით, პირველადი მოტივი საკუთარის განადგურება ყოფილა და არა სახელმწიფოს ან სხვების ფასეულობების განადგურება და საკუთარის შექმნა. ბაჭის ჰიპოთეზა ემპირიულად დასტურდება ზოგიერთი პრიმიტიული საზოგადოების ჩვეულებებით (მაგალითად, ინდიელების **Potlatch**). შემდგომ სტადიებზე ეკონომიკური აზროვნება სხვა მიმართულებით განვითარდა, მაგრამ გადმონაშთები შეიმჩნევა, მაგალითად, საახალწლო ან სხვა მსგავს დღესასწაულებზე (საახალწლო საჩუქრების გაცვლა; იარაღის ბათქაბუთქი შეიძლება საკუთარი სიმდიდრის გა-

ნადგურების სიმბოლოდ მივიღოთ – თუ ძალიან მოვინდომებთ).

ჩვენს დროში შეიმჩნევა მოძრაობები, რომლებიც მსგავსი პრინციპების აღორძინებას ცდილობენ.

1953 წელს პარიზში შექმნილი ლეტრისტული ინტერნაციონალის „ეკონომიკური პროგრამა“ ითვალისწინებდა შრომის თანდათანობით მექანიზაციას და მისი თამაშით შეცვლას, ეკონომიკა კი ვნებით უნდა შეცვლილიყო. ეს პროგრამა ინდიელების ადათებს ეფუძნებოდა. ლეტრისტების მთავარ ჟურნალს **Potlatch** ერქვა.

ლეტრისტების „ქალაქების საკრალური გეოგრაფია“ (ფსიქოგეოგრაფია) ქალაქელი ადამიანის ცხოვრების წესის რადიკალური დეკონსტრუქციისკენ იყო მიმართული.

„ნებისმიერი შრომა არის პოლიციური ფუნქციების შესრულება. თანამედროვე საზოგადოება იყოფა ლეტრისტებად და ჩამშვებებად. ბევრი ჩვენი თანამებრძოლი დაპატიმრებულია ქურდობისთვის. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ ადამიანების დასჯის გამო, ვინც ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა შრომის აბსოლუტური უსარგებლობა“ (ლეტრისტული ინტერნაციონალის მანიფესტი, 1953 წ.).

ლეტრისტები დადასტურების მემკვიდრეები იყვნენ. დადაიზმი მოითხოვდა „ყველა სახის შრომის მექანიზაციის საშუალებით თანდათანობით სრული უმუშევრობის შემოღებას. მხოლოდ უმუშევრობა მისცემს ინდივიდს ჭეშმარიტი არსებობის შეგრძნების შესაძლებლობას“ (მანიფესტი – „რა არის და რა მიზნებს ისახავს დადაიზმი“).

დადაიზმის დამაარსებელი ტრისტან ცარა წერდა: „ამერიკამ პასუხი უნდა აგოს ჩვენი დროის სამარცხვინო დაღის – შრომის ფეტვიზების – გამო. ეს იდიოტური იდეოლოგია დაფუძნებულია მატერიალური პროგრესისკენ მისწრაფებაზე და უტოპიის, პოეზიის მიმართ სიძულვილზე. მე მოვალე ვარ, დავუპირისპირდე ამ გავლენას ყველაზე ძალადობრივი ნაბიჯით – იდეით და ყველაზე შემოქმედებითი შრომით – უსაქმურობით“.

ამ პერიოდში უკვე რეალური ჩანდა ტექნიკური პროგრესის საშუალებით ადამიანების შრომისგან მასობრივი გათავისუფლება. ამ პროცესის შედეგად ხალხი მთლიანად შემოქმედებაზე უნდა გადართულიყო, მაგრამ მათ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს.

1930 წლისთვის ცარა სიურრეალისტებს შეუერთდა, რომლებიც თანდათანობით ორთოდოქსული სტალინიზმის პოზიციებზე გადავიდნენ. თანამედროვე რადიკალი ანარქისტი ხაკიმ-ბეი წერს, რომ სიურრეალისტები თავიანთი არაცნობიერის გამოტანით სხვებზე ბატონობას ცდილობდნენ და ამით დაემსგავსნენ მარკიზ დე სადს, რომელსაც თავისუფლება მხოლოდ ზრდასრული თეთრკანიანი მამაკაცებისთვის უნდოდა, რომ მათ უფრო ადვილად ეწამებინათ ქალები და ბავშვები.



ლექტრისტიკებმა სიურრეალიზმთან ბრძოლითა და დადაიზმის პრინციპების აღორძინებით დაიწყეს.

1958 წელს ლექტრისტიკული ინტერნაციონალი სიტუაციონისტიურ ინტერნაციონალად (კულტურული ავანგარდის მუშაკთა გაერთიანება) გარდაიქმნა, რომელიც პარიზის „1968 წლის მაისის მოვლენების“ (ახლა მორცხვად ასე უწოდებენ 1968 წლის „ფრანგულ რევოლუციას“) მთავარი ინიციატორი გახდა. სენ-ჟიუსტის ფრაზა – „ბედნიერება ევროპაში ახალი სიტყვაა“ – სიტუაციონისტიკა და მათმა ლიდერმა, გი დებორმა, „მაისის მოვლენების“ დევიზად აქციეს.

სიტუაციონისტიკა უკვე შეამჩნიეს, რომ შრომის მექანიზაციის საშუალებით განთავისუფლებისა და ბედნიერების პროგრამების რეალობაში შემოსვლა სანინალმდეგო შედეგებს იწვევდა.

„ტექნიკური მოწყობილობები, რომელთა საშუალებით შრომა აუცილებელი აღარ არის, ინარჩუნებენ შრომას, როგორც საქონელს. საზოგადოების მიერ დახარჯული შრომის (ანუ დროის) რაოდენობა რომ არ შემცირდეს, იქმნება ახალი სამუშაო ადგილები. იზრდება მომსახურება და საქონლის გადამანაწილებელი არმია. დითირამბები ახალ პროდუქტებს! ასე მობილიზდება ძალები უსარგებლო შრომითი პროცესის ორგანიზებისთვის, რასაც იწვევს ახალ ნაწარმზე ხელოვნური მოთხოვნილება“.

გი დებორმა თავისი მთავარი წიგნი „სპექტაკლის საზოგადოება“ ზუმფარის ქალაქის ყდით გამოსცა. მისი თაროზე დადება შეუძლებელი იყო სხვა წიგნების დახვევის გარეშე. დებორი ფიქრობდა, რომ ყველა დანარჩენი წიგნი (განსაკუთრებით, მენეჯმენტის სახელმძღვანელოები) უსარგებლო ხდებოდა. მაგრამ ისტორია სხვაგვარად წარიმართა. საგამომცემლო მენეჯმენტის მცდელობებით, კარგა ხნის მივიწყებული „სპექტაკლის საზოგადოება“ ბოლო ხანებში ისევ ბესტსელერი გახდა.

სხვათა შორის, აქტიური სიტუაციონისტი იყო „ყველაზე არამუსიკალური ბენდის“, „Sex Pistols“-ის, პროდიუსერი მალკოლმ მაკლარენი. მეგავარსკვლავად გახდომამდე Pistols-ების ვოკალისტი, ჯონი როტენის, ანკეტის სოციალური სტატუსის გრაფაში წერია – უმუშევარი მენაგვე. მართალია, როტენის სტატუსი მთლიანად ეთანხმება სიტუაციონისტიკის შეხედულებებს, მაგრამ ბევრი მენაგვე მილიონერად გახდომის შემდეგ უკვე თამაშის სხვა წესებს ირჩევს.

დებორის მიერ ნაწინასწარმეტყველებმა „გონების თვითგამორეცხვის“ ფენომენმა 60-70-იანების ახალგაზრდული კონტრმოძრაობების სისტემაში თითქმის სრულად და ხავერდოვნად გამოიწვია ინტეგრირება.

დადაისტიკები მოითხოვდნენ საყოველთაო უმუშევრობასა და გაუყალბებელ ცხოვრებას. სიტუაციონისტიკები, ძირითადად, პირველ მოთხოვნასთან ასოცირდებოდნენ. 1968 წლის 27 მაისს საფრანგეთში ხელფასების 10%-იანი ზრდის შემდეგ ისინი ყველას დაავიწყდა.

ჰიპებმა აქცენტი მეორე მოთხოვნაზე გადაიტანეს. მათ სოციალური ლიბერალიზმის, პაციფიზმის, შემწყნარებლობის, დემოკრატიის საშუალებით თვითრეალიზაცია სურდათ და სხვებსაც ამისკენ მოუწოდებდნენ. მშობლებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი პირობითობებისგან განთავისუფლებას ცხოვრების წესით ცდილობდნენ და არ იზიარებდნენ მემარცხენე პარტიების მკაცრ დისციპლინას. ჰიპები „ერთგანზომილებიანი სამყაროს“ უარყოფას ჩაცმის ეგზო-

ტიკურ სტილში, თავისუფალ სექსუალურ ცხოვრებაში, მუსიკასა და ნარკოტიკებში ხედავდნენ და არა ორგანიზებულ პოლიტიკაში.

ჰიპური სტილის კომერციალიზებამ მოკლე ხანში ადვილად მოახერხა მათი მოძრაობის დეზორიენტირება და სიტუაციონისტიკების ნაწინასწარმეტყველები „გონების თვითგამორეცხვა“. ჰიპური „კულტურული პროდუქცია“ კარიკატურულად სქემატური და ცელოფანში შეფუთული სახით მასობრივი მოხმარების საქონელია. დღეს ყოფილი ჰიპებიც ამ საქონელს სისტემისგან ყიდულობენ.

60-იანების კონტრკულტურელების მნიშვნელოვანი ნაწილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უარყოფასა და ბუნებასთან დაბრუნებას ქადაგებდა. მათი აზრით, „ეკოტოპია“, რომელშიც არ არსებობენ მანქანები, ადამიანური ურთიერთობები კი ეგალიტარულია და არაფორმალურ ჯგუფებში მიმდინარეობს, სულ მალე უნდა დამდგარიყო. დღეისათვის ასეთი „ვედსტოკური სამუზეუმო ექსპონატები“ მხოლოდ „მარტოხელა კოვბოების“ სახით შემორჩნენ.

მეორე ნაწილი კი ლიბერტარიანული პრინციპების განხორციელების საუკეთესო საშუალებად ტექნოლოგიურ პროგრესს თვლიდა. საინფორმაციო რევოლუციის წინასწარმეტყველის, მარშალ მაკლუენის თეორიის მიხედვით, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების – ტელეკომუნიკაციებისა და კომპიუტერული ტექნიკის – განვითარება აუცილებლად გამოიწვევდა ე.წ. „გლობალური სოფლის“ წარმოქმნას. მაკლუენის ნაწინასწარმეტყველები ელექტრონული აგორა ძალიან ჰგავს ინტერნეტს. მისი აზრით, ამ ვირტუალურ ადგილას ყველა თავისუფლად გამოხატავდა აზრებს ცენზურის შიშის გარეშე. ამას უნდა გამოეწვია დიდი ბიზნესისა და სახელმწიფოს მონოპოლიური ძალაუფლების შეწყვეტა და ინდივიდუალური თავისუფლების გაძლიერება. ნაწილობრივ ეს ასეცაა, მაგრამ კარგად ორგანიზებული public relations-ის ტექნოლოგიების საშუალებით ინტერნეტი „გონების გამორეცხვის“ კარგი იარაღიცაა. ზოგ ქვეყანაში კი ხელისუფლებას დახვეწილი ტექნოლოგიებიც არ სჭირდება. მაგალითად სინგაპურში, მთავრობა, რომელიც თვითონ ავითარებს ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელს, ყველანაირად ცდილობს, მისი საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის იდეოლოგიურ კონტროლს. თუმცა ეს საკმაოდ უხეში მეთოდია და მისი მეშვეობით „საახალწლო მდგომარეობის“ ხანგრძლივად დაბლოკვა შეუძლებელია.

ტექნოლოგიის საშუალებით ადამიანის გათავისუფლებამ (ძირითადად, შრომისგან და ესე იგი ყველაფრისგან), რაც ადრე უტოპიად ჩანდა, XX საუკუნის დასაწყისში რეალური კონტურები მიიღო. 30-იან წლებში ერის ფრომი წერდა: „ჩვენს სამომხმარებლო კულტურაში ახალი ოცნება გაჩნდა: თუ ჩვენ ტექნოლოგიური პროგრესის გზით სვლას განვაგრძობთ, საბოლოოდ ყოველი სურვილი გაჩენისთანავე დაკმაყოფილდება. ტექნიკა დიადი დედის სახეს იღებს, რომელიც ყოველ სურვილს უსრულებს თავის შვილებს და ძილისპირულს უმღერის (რადიოთი და ტელევიზიით – თ.მ.). ადამიანი ემოციონალურად ახალშობილის მდგომარეობაში გადადის, რომელსაც სჯერა, რომ რძე დედის მკერდში არასოდეს დაშრება, მას კი არანაირი გადანწყვეტილების მიღება არ მოეთხოვება“.

ასეთი უნდა ყოფილიყო ახალი ტექნოკრატული, მატრიარქალური რელიგია. სხვათა შორის, მატრიარქატის თეორიის გამომგონებელი ბაჰოფენი ენგელსის უსაყვარლესი ავტორი იყო. ეს არცაა გასაკვირი – სოციალიზმის საფუძველი მატრიარქალური პრინციპია. საყოველთაო ძმობის უტოპიური იდეა დედისეულ საწყისს ეფუძნება. ბაჰოფენის აზრით, რადგან დედა ზრუნავს შვილებზე, მას არა მარტო საკუთარი თავის, არამედ ყველა ადამიანის სიყვარული და

მათზე მზრუნველობა შეუძლია.

დასავლეთში რეალურად არსებობს საზოგადოება, სადაც დედის როლი ტექნიკამ აიღო თავის თავზე. თანამედროვე ჰედონისტური ცივილიზაცია დედა-ტექნიკისგან ჭირვეული ბავშვივით ითხოვს ახალი და ახალი სურვილების შესრულებას.

სამწუხაროდ, ბაჰოფენის ჰიპოთეზები მეცნიერულად არ დადასტურდა. ქალები ამ ახალ, „მატრიარქალურ“ საზოგადოებაში საკმაოდ უცნაურად იქცევიან. კამილა პალია, პოსტფემინიზმის ლიდერი, ამბობს, რომ ცივილიზაცია ქალების ხელში რომ დარჩენილიყო, დღემდე ჩალის ქოხებში ვიცხოვრებდით. საჩუქრებიც ხომ თოვლის ბაბუას მოაქვს და არა თოვლის ბებიას. ბატარაა თუ დავუჯერებთ, ახალი სურვილები და მათი დაკმაყოფილება ალბათ კაცებისთვის დამახასიათებელმა განადგურების მოთხოვნისგან გამოიწვია.


საინტერესოა, რომ კაცების მცდელობებით შექმნილი ჰედონისტური ცივილიზაციის მთავარი სიმბოლო და მიზანი – კომფორტი, რომელიც ყოფითი პრობლემების მოგვარებისკენაა მიმართული, ტრადიციულად, ქალურ სფეროს ეკუთვნის. ყოფისა და ელემენტარული მოთხოვნების დაკმაყოფილების მაქსიმალური ტექნიკაცია, პირველ რიგში, ქალის შრომას ამსუბუქებს.

1889 წელს საფრანგეთის დიდი რევოლუციის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ მსოფლიო გამოფენაზე კაცობრიობის უდიდესი მიღწევების ცენტრში ქალის ტანსაცმლის მოდების ჩვენება აღმოჩნდა. დაახლოებით ამავე დროს გამოვიდა ემილ ზოლას რომანი „ქალური ბედნიერება“, რომელიც უახლეს სავაჭრო ნოვაციას – ქალის ტანსაცმლის უნივერსალს – ეძღვნებოდა.

მაგრამ ეს იდილია მოულოდნელად და „უმადურად“ დაანგრია ფემინიზმის მეორე ტალღამ (პირველის მოთხოვნები მაინც გასაგები იყო კაცებისთვის – ქალთა საარჩევნო უფლებები). ყველაფერი, მთელი ეს „უცნაურობა“ 60-იან წლებში დაიწყო (უფრო სწორად, მაშინ დაიწყო ყველაფრის დასასრული). 1962 წელს გამოქვეყნებულმა ბეტი ფრიდმანის „ქალის საიდუმლოებამ“ (და არა სიმონა დე ბოვუარის „მეორე სქესმა“) ამერიკაში ნამდვილი ფემინისტური რევოლუცია გამოიწვია. ამ წიგნმა ეჭვქვეშ დააყენა ცალმხრივი შეხედულება ე.წ. ქალურ ბედნიერებაზე. ეს ბედნიერება ამერიკაში საკმარისზე მეტი იყო – საშუალო კლასის წარმომადგენელი უმუშევარი დიასახლისების ცხოვრება უფრო საამური იყო, ვიდრე „ტრადიციული ქალური ოცნებების“ მაქსიმალური რეალიზაცია.

„ქალის საიდუმლოება“ მონყენილი ამერიკელი დიასახლისების პროტესტს გამოთქვამდა და ქალებისთვის სოციალურ-კულტურული რეალიზაციის შესაძლებლობას მოითხოვდა. რაშიც კაცები ბიოლოგიას ხედავდნენ, ახალმა ფემინისტებმა იდეოლოგია დაინახეს. ჰეტეროსექსუალობა დადანიშნულდა ქალური ეროტიზმის ხელოვნურ კონსტრუირებაში, რაც მხოლოდ მამაკაცურ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ბევრმა ქალმა გადაწყვიტა, რომ სექსუალური გათავისუფლება მხოლოდ კაცებისთვის იყო მომგებიანი. კეიტ მილეთი წიგნში – „სექსი, როგორც პოლიტიკა“ – აცხადებდა, რომ მამაკაცის სიყვარული ქალის მიმართ კაცების მოგონილი რომანტიკული მითია. ამ წიგნს „New-York Times“-მა პირველად მისი არსებობის მანძილზე ზედიზედ ორი რეცენზია მიუძღვნა.

მამაკაცური და ქალური როლების ტრადიციული განაწილება თანამედროვე დასავლურ საზოგადოებაში ბუნებრივად აღარ აღიქმება. რევოლუციების მიზანი – არარეპრესიული კულტურის შექმნა – თითქოს განხორციელდა: ქალებიც და კაცებიც დედა-ტექნიკის უზ-



რუნველ შვილებად იქცნენ.

მონმარების შეუზღუდავ თავისუფლებას ცხოვრება უნდა ექცია მუდმივ საახალწლო ზღაპრად, სადაც ყველა სურვილი სრულდება. ამერიკულ სკოლებში აღარ მოქმედებს ბურჟუაზიული ვიქტორიანული აღზრდის სისტემა. ბავშვებს ცოდვის ჩადენის უფლებას აძლევენ (პირდაპირი აზრით, მათ პრეზერვატივებსაც ურიგებენ). მაგრამ ამ შემთხვევაში უფროსები არა მზრუნველი მამა/დედა-ღმერთის, არამედ მაცდუნებელი გველის როლში გამოდიან. შეზღუდვების გაუქმების მიზანი „სამოთხიდან“ ბავშვების სასწრაფოდ განდევნაა და არა სასათბურე პირობებში მათი ყოველგვარი სიამოვნებით უზრუნველყოფა.

კონტრკულტურის მთავარი წინამორბედი ჰერბერტ მარკუზე ასეთ სიტუაციას რეპრესიულ დესუბლიმაციას უწოდებს. ეროსი ცივილიზაციას აღარ უპირისპირდება. „არარეპრესიულ“, შემწყნარებლურ საზოგადოებაში სურვილების ტოტალური დაკმაყოფილება იგივეა, რაც ყოველგვარი სურვილის გაქრობა. მარკუზეს ჰედონისტს ნამდვილად ვერ უწოდებ, მისი ლიბერტენობის მთავარი პრინციპი თითქოს აბსოლუტურად ანტილიბერტენული „დიადი უარყოფაა“. მარკუზესგან განსხვავებით, ჰედონისტს კარგად განვითარებული ზომიერების გრძნობა აქვს. ჰედონისტური მასა მშვენივრად ეგუება მარკუზეს აღწერილ „ტოტალურ გაუცხოებას“, „რეპრესიულ ტოლერანტობას“, „ერთგანზომილებიანობას“.

კლასიკური ბურჟუაზიულობა, რომლისთვისაც რაციონალური მეურნეობა ერთიანი მსოფლმხედველობის ეთიკა და სული იყო, წარსულს ჩაბარდა. დღეს ის ვინროპროფესიონალურ სფეროდ იქცა, ისევე როგორც გართობა. ამ მოვლენას მენეჯერების რეკოლუცია დაერქვა. ხელოვნება და გართობაც ასევე მენეჯერებმა ჩაიბარეს.

მენეჯმენტი + ტექნოლოგიები დღეს მატრიარქალური საზოგადოების მზრუნველი დედაა, რომელიც შვილებს მუდმივად საახალწლო საჩუქრებით ანებივრებს, მაგრამ ახალი წელი 1 იანვარსაც არ დგება. ამერიკელი, ჩინელი ან ჰოლანდიელი ინვესტორების მოზიდვამ ჩვენთანაც უნდა უზრუნველყოს ეს „საახალწლო ზღაპარი“, თეორიულად – ყველასთვის, პრაქტიკულად – „რჩეულთათვის“.

ასეთი წარმატებული ექსპერიმენტის მაგალითი აღწერილია კურტ ვონეგუტის რომანში – „ტიტანელი სირინოზები“. უცხოვლანეტელი, რომელიც რობოტი აღმოჩნდება, ჰყვება, რომ მის პლანეტაზე ადამიანებმა გადაწყვიტეს, ფიზიკური შრომა მექანიზმებისთვის ჩაებარებინათ. მანქანებს ეს საქმე ბევრად უკეთესად გამოუვიდათ. შემდეგ მათ აზროვნებაც ჩააბარეს. რობოტებმა ესეც დიდი წარმატებით შეასრულეს. ბოლოს ადამიანებმა მოწყენილობისგან ერთმანეთის განადგურება დაიწყეს, მაგრამ მალე ესეც დაეზარათ და ეს საქმეც რობოტებს მიანდეს. მათ ამ მისიასაც დიდი წარმატებით გაართვეს თავი და მალე პლანეტაზე არც ერთი ცოცხალი ადამიანი აღარ დარჩა.

ასეთი უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ზომიერი, ტკბილი ცხოვრების მოყვარულები სჯობს, ახალი წლის დღეების დამთავრებისთანავე სამსახურებს დაუბრუნდნენ, მუდმივი ახალი წლის რისკიანი მდგომარეობა კი კონტრკულტურშიკებს ჩააბარონ. მაგრამ მთელს მსოფლიოში კონტრკულტურშიკების „მენეჯერებად ნახევრად დაშლის პერიოდი“ თანდათან მცირდება. ჩვენ ამ მხრივ აშკარად ვუსწრებთ განვითარებულ ქვეყნებს, ჩვენთან ყოველი ახლად დაბადებული პატარა კონტრკულტურშიკი შინაგანად დიდი მენეჯერია.







კონკრეტული თარიღი კონკრეტული  
**coming soon**  
<http://kofi.ge>



Precious Thing  
feat Dee Dee Bridgewater



Dee Dee:  
They can go away  
Isn't it strange you always leaving things  
Never mind I know this rule is not a whole  
I hope I made you feel less alone  
Think of me while you roam



Ray Charles:  
It is no strange  
But it's more, more than just a night of fame  
There are things I believe should never be told, girl no  
But you're the only one I want to hold  
Cause it can get off the cold



Dee Dee:  
Precious thing  
You know I love you  
You're such a wonderful thing  
You make me dizzy  
whispering in my ear  
Send my love to the next, somewhere



Ray Charles:  
Ain't it funny, right  
I'm always losing things  
But you're like me you've known roaming  
I hope I made you feel less alone  
Think of me as you roam





Both:  
Precious thing  
You know I love you  
You're such a wonderful thing  
You make me dizzy whispering in my ear  
Feel my love, till the next, somewhere





Dee Dee:  
Say no strength of freedom  
Is still as much yours as my thing  
I know promises can be hard to keep  
The price I pay to let, oh baby  
Was just to steal to steal my love from thee

Both:  
Oh, precious thing  
You know I love you  
You're such a wonderful thing  
Girl, you make me dizzy whispering in my ear  
You my love, till the next, somewhere





# vladi mi r sor oki ni massive attack

z a z a b u r W u l a z e



სოროკინი ის ბრენდია, რომლის სახელითაც გამოსული ყოველი ახალი წიგნი ასეულ ათასიანი ტირაჟით იყიდება. მისი სახელი თითქმის ყოველთვის ხმაურთანაა დაკავშირებული. მის ნაწარმოებებში მუდამ ჩადებულია ბომბი – არა დაყოვნებული მოქმედების ყუმბარა, არამედ ბომბი, რომელიც ფინალში აუცილებლად ფეთქდება. დამწერის სუნი, რომელიც თითქოს პირველივე ფურცლებიდან იგრძნობა, ფინალისკენ კიდევ უფრო მძაფრდება. „ცისფერი ქონი“ მილიონზე მეტი ტირაჟით გაიყიდა და დღემდე იყიდება მარტო რუსეთში. არადა ეს რომანი, როგორც თითქმის ყველა ევროპულ, ისე იაპონურ და ჩინურ ენებზეა თარგმნილი. სხვას რომ თავი გაავანებოთ, ამ წიგნს აღშფოთებულმა მკითხველმა აუტოდაფეც კი მოუწყო წითელ მოედანზე. „ცისფერი ქონი“ დღემდე ცხოველი განხილვის საგანია იმავე რუსეთში. ლიბრეტოზე – „როზენტალის შვილები“ – ლაპარაკიც ზედმეტია, მას საგანგებოდ მოსკოვის დუმაც კი განიხილავდა რამდენიმე დღის განმავლობაში. შეიძლება სოროკინის წიგნებში მართლაც დიდი დოზითა და შემანუხებელი სკრუპულოზურობითაა მოცემული და აღწერილი ძალადობა, სისხლის ფერი, ნედლი ხორცის, სპერმისა და განავლის სუნი, მაგრამ სათანადოდ თუ ჩაუკვირდებით, ისეთს ვერაფერს აღმოვაჩინებთ, რაც ჩვენს გარშემო დაკრისტალბულ ფანტომებში არ ირეკლება. ანუ ძნელად თუ ვპოვებთ რამე ისეთს, რაც ჩვენს გვერდით და ჩვენშივე არაა. სოროკინის წიგნების ყდის დიზაინი ცალკე საუბრის თემაა. შეიძლება გულჩვილ მკითხველს სოროკინის პროზაში ის აშინებს, რომ აქ კონცენტრირებულია ძალადობა და მოურიდებლადაა გაშიშვლებულ-ამოტრიალებული ადამიანი – თავისი გულისამრევად ჰიპერბოლიზებული მანკიერი მხარეებით. თუმცა სათქმელია, რომ იმავე მკითხველს, ალბათ სწორედ ეს პაროქსიზმი და massive attack იზიდავს ამ, არა თითქმის გამონოვლილ, არამედ ცხოვრების წვენებით გაყვლილი პროზაში. მოკლედ, მკითხველი ყვირის, ძალი ყეფს, ქარავანი კი მიდის... ხოლო სოროკინი წერს. წერს და, მაშასადამე, არსებობს.

ცხოვრება მიბჯენით გასროლა – ჩვენ ტყვიებით გვისვრიან... მეც მისროლეს, და ამიტომ, მე ვარსებობ, ვცხოვრობ. აქედან გამომდინარე, მიჭირს პასუხის გაცემა კითხვაზე, მიყვარს თუ არა ცხოვრება. მიჭირს იმდენად, რამდენადაც მე არ მაქვს სხვა ალტერნატივა – მე ვცხოვრობ. ვთქვათ, ერთი თვით გარდაცვალების და ცხოვრების იქიდან შეფასების საშუალება რომ მქონდეს, მაშინ

მეცოდინებოდა, მიყვარს თუ არა ცხოვრება. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ ადამი და ედემში ცხოვრობთ, სადაც თქვენს გარდა, მხოლოდ ევა იმყოფება. რა პასუხს გასცემდით შეკითხვაზე, გიყვართ თუ არა ევა?

სხვებისგან განსხვავებით, სოროკინმა კარგად იცის თავისი ფასი, შეიძლება სხვაზე უკეთესადაც, არ უყვარს იაფფასიანი თავმდაბლობა, კარგად ესმის, რომ დღეს-დღეისობით წიგნი, პროვოკაციის, მკითხველზე მასიური შეტევის გარეშე, უაზრობაა, და, ამას გარდა, თავისი როლითაც კმაყოფილია. ამიტომ შეკითხვაზე – „რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში“, პირდაპირ პასუხობს:

მე მაკმაყოფილებს ჩემი როლი ამ ცხოვრებაში. ამიტომ, შევცვლიდი არა ცხოვრებას, არამედ ჩემს ხასიათს. ხასიათს, რომელიც მალიზიანებს. მაგალითად, მალიზიანებს ჩემი არათანმიმდევრულობა, ნდობა, არა კერძოდ ვინმეს მიმართ, არამედ ის, რომ ზედმეტად მიმნდობი ვარ, და კიდევ – შიში. მორიგ წიგნზე მუშაობის დამთავრებისთანავე რაღაც პარანოია მენწყება. სულ მგონია, რომ რაღაც გამომჩნა. მიუხედავად იმისა, რომ მესმის, როგორც კი წიგნი გამოვა, მთელი ეს შიშები ნაჭუჭივით მომცილდება... მაგრამ ეს ჩემი ხასიათია. მე ეს არ მომწონს და მალიზიანებს.

სოროკინის შემოქმედება უხეშად შეიძლება ორ პერიოდად გავყოთ. „მარინას ოცდამეათე სიყვარული“, გენიალური „რიგი“ და რომანი „რომანი“, რომელიც გასული საუკუნის ოთხმოცდანი წლების ბოლოსაა დაწერილი, და მთელი მისი მომდევნო პროზა. სოროკინი დაიბადა და გაიზარდა გროტესკის საზოგადოებაში. „ეს კარნავალი კი არა, გროტესკის მკაცრი თეატრი იყო“. ის საზოგადოება ძირისძირამდე ძალადობით იყო გაყვლილი. მწერალი ამას გრძნობდა როგორც სტიქიას, ამით სავსე იყო ოჯახიც, საბავშვო ბაღიც და ქტრონოტოპოსიც (ლიტერატურათმცოდნეობაში მ. ბახტინის მიერ შემოტანალი ტერმინი) – დრო და სივრცე მის გარშემო. „მარინას ოცდამეათე სიყვარული“ მოგვითხრობს ქალზე, რომელიც იმით გადარჩება, რომ ერთ-ერთი ქარხნის ბრიგადირი შეუყვარდება, თვითონაც იმავე ქარხანაში დაიწყებს მუშაობას, და სულ მალე შრომის დამრტყმელი გახდება. ფინალი გაზეთ „პრავდადან“ ამოღებული ამონარიდებითაა „შეკერილი“. „რიგი“ მთლიანად დიალოგით დაწერილი ტექსტია. საბჭოთა პერიოდიდან გადმომხტარი ირონიული მოთხრობა. ცოცხალი რიგი, რომელშიც ხალხი დგას, მაგრამ არ იცის

რის გამო, კერძოდ, რა უნდა იყიდონ. თითქოს იუგოსლავური ფეხსაცმელი, რომელიც რუხია თუ ყავისფერი, ან კოსტიუმი, ან... და ასე – დაუსრულებლად. რიგს არც თავი უჩანს, არც ბოლო. დიალოგი სადღაც რიგის შუაში მიმდინარეობს. „რომანი“ – ესაა ერთდროულად სქელი, ცხიმოვანი და ძალიან სადა, თითქმის გამჭვირვალე ფერებითა და თითქოს XIX საუკუნის მეორე ნახევრის რუსული პროზიდან ნასესხები საუკეთესო ნახატებით, ფრაზოლოგიით, მელოდიკით, ფრაგმენტებითა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სახე-ობრაზებით“ მოგვირისტებული ტილო-მაქმანი, თავბრუდამხვევი კონსტრუქცია: სიმფონიური ვარიაციები პიანინოსა და ორკესტრისათვის. ძნელია „რომანის“ კითხვა დაიწყო და, სანამ ბოლომდე არ ჩაიკითხავ, თავი აწიო. ფინალი, რომელიც დაახლოებით 50 გვერდზეა გაშლილი, ხან ორგანულად მოგეჩვენებათ, ხან – ჩავარდნად, ხან ერთადერთ მართებულად, ხან – მწერლის იაღლიშად, და ა.შ., და აშ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს ფინალი მუდამ სახეს იცვლის, სარკეებიანი დარბაზივითაა, თითქოს ცოცხალი, წიგნზე მიბმული სულიერი არსებაა... უფრო უკეთ, რომელიღაც სასიცოცხლოდ აუცილებელი ორგანო, რომლის ფეთქვასაც კი გრძნობ.

რომანზე „რომანი“ მუშაობისას ერთგვარი მედიუმი ვიყავი – თითქოს რალაცაზე ვიყავი მიერთებული და ჩემგან რალაც მოდიოდა. ტექსტზე მუშაობა მაშინ ჩემთვის შამანობის, ჯადოქრობის ხასიათს ატარებდა. ვთქვით ასე, მაშინ მე ბოლო ასწლეულის პოზიტიურ ლიტერატურას და ნაგავს ერთმანეთს ვაშორებდი. მიხდოდა, მათ შორის გზა გამეყვანა. ეს ტიტანური შრომა იყო, რადგან საჭირო იყო ძლიერი ესთეტიური ბომბები, რომ ეს ყველაფერი ამეფეთქებინა. ასე რომ, ყველა ჩემი წიგნის ფინალი იდეოლოგიურად ნაწინასწარმეტყველები მქონდა. წინასწარ ვიცოდი, რომ ფინალში აუცილებლად იქნებოდა აფეთქება, მაგრამ რა ფორმის ან სიძლიერის ან როგორ აფეთქდებოდა ბომბი, როგორ და საით გაფრინდებოდნენ ნაკუნები, როგორი სოკო, ბოლი ან ხანძარი იქნებოდა, ყველაფერი ეს მაგიდასთან წყდებოდა. ახლა ტრილოგიაზე დავამთავრე მუშაობა – *Путь Бро, Лед, 23000* – (შინაარსიის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ და ჩემს ტრილოგიას, როგორც ტილოს, ისე შევხედავთ, ვფიქრობ, ის ცისფერში გარდამავალი მუქი წითელია. თუმცა დღეს ჩემი საყვარელი ფერი მწვანეა – მთელი თავისი გამებითა და ნახევარტონებით.), აქ აფეთქებაა არა ტექსტის ან ესთეტიკის, არამედ უკვე იდეოლოგიის დონეზე. ასე რომ, მე შეიძლება ნარატიულ და ესთეტიკურ დონეზე კიდევ ვხვდებოდე, როგორი აფეთქება იქნება, მაგრამ როგორი იქნება ის იდეოლოგიურ დონეზე, წარმოდგენა არა მაქვს, და არც ვმარჩიელობ. ამიტომაც ვანსხვავებ ამ ორ პერიოდს ერთმანეთისგან. ეს კიდევ იმაზეც მეტყველებს, რომ ცხოვრება იცვლება და მასთან ერთად მეც ვიცვლები. ამიტომ მე დღეს აღარ მაინტერესებს ისეთი კონსტრუქციების აგება, როგორიცაა „რომანი“. და კიდევ, დღეს მე იმ მხარეებისა და მიდამოებისკენ მივდივარ, სადაც ცოცხალი ხორცი და საკვები მეგულება გონებისთვის. ეს საკვები მე მიზიდავს.

სისხლის, ნეღლი ხორცის, სპერმის, განავლისა და დამწვრის სუნის გამო, რომლითაც გაჟღენთელია სოროკინის პროზა (არადა, მისი განუყრელი წიგნებია: ბიბლია, „ომი და მშვიდობა“, „ძმები კარამაზოვები“, თანამედროვეებიდან ელისი), შეიძლება მკითხველმა იფიქროს, რომ ის კაცთმოძულე მწერალია. არადა სოროკინს შეიძლება სხვაზე მეტადაც კი უყვარს ადამიანი, უყვარს და აშინებს.

ყველაზე უფრო ადამიანების მეშინია. ისინი ჯერ კიდევ ვერ მიხ-



ვდნენ, რომ ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან. ისინი ჯერ კიდევ მზად არიან ერთმანეთის დასახოცად და მოსატყუებლად. მე ეს მაშინებს და შოკში მაგდება. იმ ადამიანსაც კი, ვისთან ერთადაც კაფეში ზიხარ და საუბრობ, ამჩნევ, რომ თანდათან ენერგეტიკულ ვამპირად იქცევა და, ენერჯის გარდა, მზადაა, მთელი სასიცოცხლო წვენიც გამოგწოვოს. მიკვირს ხოლმე, რა არის ეს საუბარი მისთვის, ნუთუ აძლევს რამე ისეთს, რაც მას უკეთესს ან უფრო მდიდარს გახდის-მეთქი? ატომებიდან დანყებული ცხოველებამდე, ყველა და ყველაფერი სამოთხეში ცხოვრობს, ადამიანის გარდა. კიდევ მეტი, სინამდვილეში ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ ბოლომდე ადამიანები. ადამიანში არის რალაც დაუსრულებლობა, რაც მე მაშინებს. ამით იმის თქმა კი არ მინდა, რომ პირველადი ცოდვის შემდეგ ჩვენ განწირულნი ვართ, მაგრამ სრულყოფილებამდე, ანუ ადამიანურობამდე, ჩვენ ძალიან გრძელი გზის გავლა მოგვინევს.

**ჩვენ ყველა ფულს ვშოულობთ ან, ვცდილობთ, ვიშოვოთ. ამას ვერსად გავექცევით. იმისთვის, რომ ოჯახი და ავადმყოფი მშობლები არჩინოს, ხანდახან დასავლეთში მიდის, ხან მასტერ-კლასების ჩასატარებლად, ხან თავისი ახალი წიგნის პრეზენტაციაზე. რუსეთში არ უნდა ამის კეთება, პირველი იმიტომ, რომ ცოტას იხდიან, და მეორე, ამბობს, რომ არ ეხერხება პუბლიკასთან ურთიერთობა.**

მე დაკვირვება უფრო მიყვარს, ვიდრე კონტაქტში შესვლა. თან, წერა უფრო მეხერხება, ვიდრე ლაპარაკი. ხოლო როცა მაინც მიწევს სიტყვით გამოსვლა ან რამე ამის მსგავსი, ყოველთვის ვფიქრობ, ღმერთო, რა იდიოტი ვარ-მეთქი. და, მიუხედავად იმისა, რომ ფული მჭირდება, მაინც წიგნზე მუშაობისას, ვცდილობ, საბაზრო ეკონომიკაზე არ ვიფიქრო. მირჩევნია ჩემთვის ვწერო. ჩემი პროზის პირველი მკითხველი მე თვითონ ვარ. ეს ჩემთვის მაქსიმალური სიამოვნებაა. თითქოს საკუთარ თავს კინოს ვუჩვენებ. ამ დროს ისეთი გრძნობა მაქვს, ვითომ ცარიელ დარბაზში მარტო ვზივარ და დიდ ეკრანს ვუყურებ. ამ სიამოვნებას ვერაფერს შევადარებ. საბაზრო ეკონომიკა როგორღაც გვერდში მომყვება. და მე ეს ძალიან მახარებს. ამას წინ შევეცადე, პელეგინის ახალი წიგნი („Шлем ужаса“) წამეკითხა, რომელიც მან შეკვეთით დაწერა. სამწუხაროდ, ეს აღმოჩნდა პირველი წიგნი ჩემს ცხოვრებაში, რომელიც ბოლომდე ვერ წავიკითხე. ძალიან ვუთანაგრძნობ ვიქტორს. საკუთარ თავს კი ვუსურვებდი, მისი ბედი არ გამეზიარებინა.



1



2



3



4

1,2 ჰერმან ნიჩის პერფომანსი  
3,4 ოლეგ კულიკის პერფომანსი

**სოლომონ ვოლკოვი**  
„შოსტაკოვიჩი და სტალინი: შემოქმედი და მეფე“

ასეთი საინტერესო წიგნი პირადად მე კარგა ხანია, არ წამიკითხავს. სოლომონ ვოლკოვი არ გახსოვთ? „ბროდსკისთან დიალოგების“ ავტორი, მისი წიგნი „გოეთესა და ეკერმანის საუბრებს“ რომ შეადარებს?! წიგნი გენიალურ რუს კომპოზიტორ შოსტაკოვიჩზე კია, მაგრამ ვოლკოვი, შოსტაკოვიჩის მაგალითზე, ტირანისა (სტალინი) და შემოქმედის (პასტერნაკი, ახმატოვა, ზო-შჩენკო, მაიაკოვსკი, ბულგაკოვი, მანდელშტამი და სხვ.) დიალოგზე, თანაცხოვრებაზე მოგვითხრობს. ერთი მხრივ, „შემოქმედი და მეფე“ ანალიტიკური წიგნია, მეორე მხრივ კი – ისტორიული, სადაც ბულგაკოვისა და სტალინის (ან პასტერნაკისა და სტალინის) სატელეფონო საუბრით დაწყებული, მაიაკოვსკის თვითმკვლელობის დეტალებით გაგრძელებული და ზოშჩენკოს გაგიჟებით დამთავრებული, დაუფარავად, თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ, კიდევ ერთხელ, კიდევ უფრო მკვეთრად ვიგებთ, თუ რა კომმარად აქცია სტალინმა ამ ხალხის ცხოვრება – ჯილდოებს გადასახლება ენაცვლებოდა, დახვრეტებს კვლავ ჯილდოები... ასე, მაგალითად, შოსტაკოვიჩი საბჭოურ რეალობაში უმაღლესი სტალინური პრემიის ლაურეატი რამდენჯერმე გახლდათ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ შოსტაკოვიჩი მშვიდად უნდა ყოფილიყო...

წაიკითხეთ ეს უაღრესად საინტერესო წიგნი და თქვენ შეიტყობთ უნიკალურ ფაქტებს „სტალინის გენიალური მონების“ შესახებ... წიგნი არა მხოლოდ შოსტაკოვიჩის, სტალინის ბიოგრაფიაცაა.



**ნინო ჯიბლაძე**  
„სიყვარული ამერიკაში“  
რომანი

აი, კიდევ ერთი მწერალი ქალბატონის მშვენიერი რომანი – ავი ენები რომ ამბობენ, საქართველოში კაცები უფრო მეტს წერენ, ვიდრე ქალებიო. აჰა, ეგეც თქვენ!

არ გაინტერესებთ, რა მოუვა ამერიკის შეერთებულ შტატებში სამუშაოდ გამგზავრებულ ქართველ გოგონას, კაი სიმპათიურ (ასევე ქართველ), ოღონდ მასზე ასაკით ოდნავ უფროს ჯეელს რომ გადაეყრება და თან ინერტულ სატრფოზეც რომ ღელავს – ორ ცეცხლს შორის მყოფი – თბილისიდან ერთნადადებიან იმეილებს რომ უგზავნის?!

ოჰ, ეს თბილისელი ბიჭები და ეს უცხოეთში გამგზავრებული, გასხვანაირებული ქართველი კაცები მაინც რანაირები არიან, რა!

გოგო ამერიკაში წავიდა სამოღვაწეოდ და თავგზა არ აუბნიეს? ერთ საღამოში წაიკითხავთ – კაი ფრანგული ფილმივით რომანია.

„სიყვარული ამერიკაში“ ნინო ჯიბლაძის მეორე წიგნია. ეს წიგნი თუ დროზე გაიყიდება, მალე მესამესაც დაწერს. ასე რომ, იჩქარეთ.



**გაბრიელ გარსია მარკესი**  
„მოგონებები ჩემი ცხოვრების მწუხარე კახპების შესახებ“  
რომანი


მარკესის მთლად ახალი რომანი!  
ოღონდ რუსულ ენაზე! (აბა ესპანურს არ ვსწავლობთ და!)  
კაცი ოთხმოცდაათი წლის ხდება და ბორდელში მიდის (მთელი ცხოვრება ბორდელში დადიოდა), საკუთარი დაბადების დღისთვის საჩუქარს – ქალწულს – ითხოვს... მოჰყავთ კიდევ მისთვის ქალწული, თუმცა ბერიკაცი (რომელიც სულაც არ გრძნობს თავს ბერიკაცად) ვერაფერს შვება... ქალწული უყვარდება... მოკლედ, წაიკითხეთ ეს წიგნი და კიდევ ერთხელ გაოგნდით მარკესის გენიალობით – როგორ ჰყვება ეს კაცი ასე დამაჯერებლად ასეთ დაუჯერებელ ამბებს?!



ნესგან კვინიკაძის ახალი კრებული

# Herself

პროზა / PROSE



„ნესგან კვინიკაძის გამოგებულმა“  
ნიგნავის გამოგება ახალი სიგნავით





# ახალი გამოცემა



**წერილი დედას**

**იკითხეთ წიგნის მაღაზიებში**

**გამომცემლობა "სიესტა"**

ავტორი: ზაზა ბურჭულაძე  
რედაქტორი: ნანიკო ხაზარაძე  
დიზაინერი: ნიკა კაჩაროვი

## EX LIBRIS – XX saukune

g i g a z e d a n i a

x u l i o k o r t a s a r i s " 6 2 " a s a w y o b i m o d e l i

დრო — 24 დეკემბერი, ღამის ათი საათი. ადგილი — პარიზი. რომანის მთავარი გმირი მიშელ ბიუტორის ახლახან ნაყიდი წიგნით ხელში შედის რესტორანში, რომლის სახელია „პოლიდორი“, უკვეთავს ღვინოს, სახელად, „სილვანერას“ და ესმის, მის უკან მჯდომი კლიენტი როგორ მოითხოვს კერძს, **château saignant**-ს. ასე იწყება ერთ-ერთი ყველაზე სრულყოფილი რომანი, რომელიც ოდესმე წამიკითხავს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო, რომ შობა, რომელსაც აღწერს კორტასარი, არატიპურია – ის არაა სიყვარულის დღესასწაული. პირიქით, სწორედ ამ დღეს, როდესაც ყველა სახლშია, განსაკუთრებულად მწვავედ გრძნობს მკითხველი, რომ მთავარი გმირი მარტოა. ეს მარტობა არ გამორიცხავს ადამიანთა წრის არსებობას, რომელსაც ხუანი (პროტაგონისტის სახელია) ეკუთვნის. პირიქით, კორტასარის ყველა რომანში, მათ შორის „62-შიც“, ჩვენ შევხვდებით მეგობართა ვიწრო წრეს, რომელიც ათასგვარი აბსურდული პროექტითაა დაკავებული. მაგრამ, მიუხედავად თავისი მემარცხენე სიმპათიებისა, კორტასარი შორსაა სოციალისტური რეალიზმის იდეალებისგან, რომელთა მიხედვითაც აუცილებელია პიროვნების კოლექტივში ჩართვა. მგონი, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ განსხვავება ჯგუფურსა და ინდივიდუალურს შორის კორტასარისთვის თამაშსა და სერიოზულობას შორის გადის, ანუ, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, კორტასარის გმირები ჯგუფში სულ თამაშობენ, სიკვდილ-სიცოცხლის საკითხებს კი მარტოდმარტო ხვდებიან. სხვაგვარად ალბათ შეუძლებელიცაა.

რომანს სრულყოფილი შეიძლება ვუწოდოთ იმიტომ, რომ არც ერთი ის დეტალი, რომელიც მე დასაწყისში ჩამოვთვალე, არაა შემთხვევითი. რესტორანს ჰქვია „პოლიდორი“ – სახელი ბაირონის მეგობრისა, რომელსაც ეკუთვნის პირველი ლიტერატურული ტექსტი ვამპირის შესახებ, ღვინოს – „სილვანერა“, რაც ძალიან ჰგავს „ტრანსსილვანიას“, ვამპირების ტრადიციულ სამშობლოს („სილვა“ ლათინურად ტყეს ნიშნავს). **Château saignant** სიტყვასიტყვით „სისხლიანი კომპია“, მაგრამ, ცხადია, რესტორანში კომპებს არ ითხოვენ – უბრალოდ, ასე უწოდებენ სისხლიან როსტბიფს ფრანგულ ენაზე. მთავარი გმირი ტყუილად არ შედის რესტორანში ბიუტორის (თანამედროვე ფრანგი ლიტერატორია) წიგნით ხელში – იქ ის წიგნს სწორედ იმ ადგილას გადაშლის, სადაც ნახსენებია ფრანსუა რენე დე შატობრიანი, ფრანგი რომანტიკოსი მწერალი. კერძს, რომელზეც გვქონდა ლაპარაკი, ამ უკანასკნელთან უშუალო კავშირი აქვს: უბრალოდ, შატობრიანი ელჩად მუშაობდა ინგლისში, სადაც ჯამუშობდა კიდევ. იმისთვის, რომ მის წვეულებებზე საიდუმლოებების მცოდნე ხალხი მისულიყო, მან აიყვანა საუკეთესო მზარეული და სწორედ ამ მზარეულის (უფრო სწორად კი, მისი ბატონის) პატივსაცემად დაერქვა როსტბიფს „შატო სენან“ – ასე გამოითქმის ეს ფრანგული სახელი. მაგრამ, როგორც რომანის განმავლობაში შევიტყობთ, სწორედ კომპთან დაკავშირებული ასოციაციები („შატო“ ფრანგულად, გარდა იმისა, რომ „შატობრიანის“ შემოკლებული ვარიანტია, კომპსაც ნიშნავს) არის განმსაზღვრელი ამ ადგილის გასაგებად: კომპში იყო ჩამწყვდეული უნგრელი ერშებეტ ბატონი, რომელსაც მეტსახელად „სისხლიანი“ უწოდეს.

ეს იმიტომ, რომ ის ქალწულთა სისხლში იღებდა აბაზანებს, რათა ახალგაზრდობა შეენარჩუნებინა. სხვათა შორის, ტრანსსილვანია, რომელიც ახლა რუმინეთის ნაწილია, იმ დროს (მე-16 და მე-17 საუკუნეებში) უნგრეთის სამეფოში შედიოდა, რაც კიდევ ერთხელ უკავშირებს ამ დეტალებს ვამპირიზმის თემას. ერთი ლეგენდის მიხედვით, ბატორის გრაფ დრაკულასთან ნათესაური კავშირიც კი მიეწერება.

რომანის პირველი წაკითხვისას ყოველივე ამას, ცხადია, ვერ მივხვდით. მაგრამ ის, რომ მისი ერთ-ერთი მთავარი თემა ვამპირიზმია, ამ მინიშნებების გარეშეც გასაგები იყო.

რასაც რომანის დასაწყისში აქვს ადგილი, არის რამდენიმე თემისა თუ მოტივის გადაკვეთა, დამთხვევა, რომელიც მთავარ გმირში (და მკითხველში, რომანის მეორე წაკითხვისას) იწვევს ეპიფანიის განცდას („გასხივოსნება“, „გამონათება“ – ტერმინი ახალგაზრდა ჯოისმა შემოიტანა ლიტერატურაში). ასეთი გადაკვეთა-დამთხვევის შესახებ მილან კუნდერაც ლაპარაკობს რომან „ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეში“ (რომლის საფუძველზე გადაღებული ფილმიც აუცილებლად გექნებათ ნანახი; რომანი შეუდარებლად უფრო კარგია). სხვათა შორის, არგენტინელმა კორტასარმა და ჩეხმა კუნდერამ ერთსა და იმავე დღეს მიიღეს საფრანგეთის მოქალაქეობა – ნამდვილი მწერლისთვის ემიგრაცია, როგორც ჩანს, ბედისწერასავითაა. აქვე დავამატებ, რომ ხულო კორტასარმა არგენტინა 37 წლის ასაკში დატოვა, რის შემდეგაც ევროპაში, უმეტესწილად, პარიზში ცხოვრობდა. წელიწადში ექვს თვეს მუშაობდა თარჯიმნად იუნესკოში, სადაც რამდენიმე ენიდან რამდენიმე სხვა ენაზე თარგმნიდა და ამით საკმარის ფულს აგროვებდა იმისთვის, რომ წლის დანარჩენი ექვსი თვე ლიტერატურისთვის დაეთმო.

აღარ გავაგრძელებ ამ რომანის შინაარსის შესახებ წერას, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მისი რუსული ვერსია, შესრულებული ვინმე ე.მ. ლისენკოს მიერ, აღიარებულია მთარგმნელობითი ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშად. და კიდევ ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ – „62. ასაწყობი მოდელი“ იყიდება თბილისის თითქმის ყველა წიგნის მაღაზიაში. ჰოდა, იყიდეთ ეს წიგნი, შედით რესტორანში, სახელად, „თოხლები“, შეუკვეთეთ ლუდი „მესტია“ და უკნიდან რომ გაიგებთ შეძახილს, „ერთი, გენაცვალე, ოცდაათი ხინკალი მომიტანეო“, იქნებ თქვენც მიხვდეთ რამეს.

არაა აუცილებელი, ამისთვის შობას დაუცადოთ.



# qar Tul i moder ni z mi 1910-1930

XX საუკუნის 10-20-იან წლებში თბილისი თანადროული ევროპული ავანგარდული ხელოვნების შესატყვისი, თავისებურ კულტურულ ცენტრად იქცა. ქართული გარემო მზად იყო თანამედროვე ევროპული ხელოვნების სიახლეთა მისაღებად და გასაზიარებლად. ამის საფუძველს კი XIX საუკუნეში ქართულ საზოგადოებაში მიმდინარე შემოქმედებითი პროცესები იძლეოდა.

მსოფლიო ომის დამთავრებისა და ცარიზმის დამხობის შემდეგ, ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობამდე, თბილისს რუსეთს თავდაღწეულმა მრავალმა პოეტმა, მხატვარმა, მსახიობმა თუ მუსიკოსმა შეაფარა თავი. ცხადია, მათი არჩევანი შემთხვევითი არ იყო. უკეთესი პოლიტიკური გარემოსა და ეკონომიკური პირობების გარდა, საქართველოში მათ დაძაბული და სავსე ინტელექტუალური ცხოვრება ეგულეობდათ.

თბილისის ლიტერატურულ წრეებში, სალონებში, არტისტულ კაფეებში, რომელთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით „ფანტასტიკური დუქანი“, „ქიმერიონი“, „არგონავტების ნავი“, „ფარშევანგის კუდი“ და „იმედი“ სარგებლობდა, ავანგარდული ხელოვნების საკითხები იხილებოდა. აქ პოეტები და მხატვრები ლექსებსა და მოხსენებებს კითხულობდნენ, მოდერნისტული ხელოვნების უკიდურეს მიმდინ-

petre ocxeli





petr e ocxel i

*mply*

არეობებზე მწვავედ კამათობდნენ.


სწორედ ამ პერიოდის მხატვრულ ცხოვრებაზე წერდა გრიგოლ რობაქიძე: „ტიფლისი ცხოვრობს სამყაროს ესთეტიკური აღქმით. ასეთი იყო იგი წარსულში, ამგვარია იგი დღესაც. შესაძლებელია ბევრი სახელის ჩამოთვლა... ყველა მათგანს აერთიანებს ხელოვნება. სხვადასხვა ხალხთა, სხვადასხვა კულტურათა ადამიანები – ძმები ხელოვნებაში... ჩვენ გვჯერა ამ ახალი ინტერნაციონალის. აქ, ტიფლისში, უნდა დაედოს საფუძველი მის შენობას“.


ოცხელის, კაკაბაძის, ზდანევიჩის, გუდიაშვილის, გამრეკელის, ახვლედიანის, მაღალაშვილის, ქიქოძის, სიდამონ-ერისთავის, ფიროს-მანაშვილის, ვარლამიშვილის, თოიძის, ბილანიშვილისა და სხვა გამოჩენილი ქართველი ავანგარდისტების ნამუშევრები წარმოდგენილია 2005 წლის 29 დეკემბრიდან 2006 წლის 9 მარტამდე თბილისის ისტორიის მუზეუმში (ქარვასლა) გამოფენაზე – „ქართული მოდერნიზმი 1910 - 1930“.

სურათები შერჩეული და თავმოყრილია შ. ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმისა და საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფონდებიდან, ასევე კერძო კოლექციებიდან.

პროექტის ავტორები თბილისის გოეთეს ინსტიტუტი, მაია ციციშვილი, ნინო ჭოლოშვილი.


i r a k l i g a m r e k e l i





petre oceli

irakli gamrekele



ვულოცავთ ჟურნალ ანაბეჭდს დაბადების დღეს, 27 იანვარს



**ინტერკონტინენტალი**  
**INTERCONTINENTAL**  
ტურ ოპერატორი • TOUR OPERATOR





ინტერკონტინენტალი  
**INTERCONTINENTAL**  
ტურ ოპერატორი • TOUR OPERATOR



# rezina

saSobao z Rapar i

gi gi guledani



MASTERMIND says:

karoche

MASTERMIND says:

:))

MASTERMIND says:

xa-xa-xa

MASTERMIND says:

karoche ikida axali jinsebi

MASTERMIND says:

:))

MASTERMIND says:

hoda es xdeba meore dges me zinkam ro mitxra ro mankanidan ro daminaxa,

MASTERMIND says:

karoche sadgac saxinkleshi mivdiodit me, levana, sandrika da gzashi dareka da dagvecia

MASTERMIND says:

:)

MASTERMIND says:

hoda mokled camogvkva

MASTERMIND says:

da magidaze ido im jinsis moxeuli iarliki rezinit

MASTERMIND says:

hoda mere daurekes qalebma sadxar

MASTERMIND says:

egenic movidnen

MASTERMIND says:

da me amdros zinkaze zaan ise var, is ro mitxra

MASTERMIND says:

mankanidan bazari.

MASTERMIND says:

:)

SUSANA says:

ho

MASTERMIND says:

da ro gaichita

MASTERMIND says:

metki, RATOM ichiteba saxinnkleshic, roca vabshe sxva dvijenja momkavs. ratom prosta.

MASTERMIND says:

ar sheizleba ise gavaketo ro ertad ar vimozraot?

MASTERMIND says:

da am iarlikis rezina txeli, txeli nachris gadmovicure majaze

MASTERMIND says:

da eseti samajurivit gamovida

MASTERMIND says:

da metki ai roca es samajuri momdzvreba tavisit

MASTERMIND says:

ese igi kvelaferi damtavrda.

MASTERMIND says:

da carmoidgine ori tve miketia lamis

MASTERMIND says:

pirvelad cuncikam mkitxa, gamatbobeltan visxedit da

MASTERMIND says:

ragac iset pontshi xaro

MASTERMIND says:

erti tvenaxevis cin

MASTERMIND says:

da mere es ra pontshi giketiao

MASTERMIND says:

ara tu iseti ramea ar mitxrao

MASTERMIND says:

da metki ara, getkvi

MASTERMIND says:

metki

MASTERMIND says:

es aris karoche ragac.. problema, seriozuli, romelic ai es roca tavisit modzvreba mashin ukve agar ikneba. metki gaige?

MASTERMIND says:

gasagebiao

MASTERMIND says:

:)

MASTERMIND says:

da mere erti sami kviris cin

MASTERMIND says:

samzareuloshi vzivart me zinka da sandrika

MASTERMIND says:

da zinka meubneba es rapontshi giketiao?

MASTERMIND says:

raariso

MASTERMIND says:

:)

MASTERMIND says:

da es magrad momconda tan, ragacnairi rezina iko.

MASTERMIND says:

ise me xo saertod araferi miketia arsad

MASTERMIND says:

hoda

MASTERMIND says:

es ro mkitxa

MASTERMIND says:  
sandrikam kaio eget ragaceebis ar ekixebiano ra

MASTERMIND says:  
ragac pontshi uketia iasniao xo..

MASTERMIND says:  
metki tan roca chemzea metki laparaki, me xo ise arafeeri miketia metki

MASTERMIND says:  
da hoo

MASTERMIND says:  
anu ragac pontshi ariso xo

MASTERMIND says:  
metki - xo.

MASTERMIND says:  
da mere

MASTERMIND says:  
nu im rezinit vbanaobdi medzina da kvelafeeri

MASTERMIND says:  
da

MASTERMIND says:  
exla svanetshi ro vikavi

MASTERMIND says:  
dilit ro vicvandi batinkebs

MASTERMIND says:  
davinaxe dzirs gdia. etkoba sqel rolings ro vixdidi mashin akva xels

SUSANA says:  
:)

MASTERMIND says:  
da metki tavidan pirveli reakcia iko - eee, momdzvra

MASTERMIND says:  
da mere metki, rapontia es dzalit gadagdebaa metki

MASTERMIND says:  
da ara „momdzvra“

MASTERMIND says:  
da avige da chamovicvi isev xelze, tan cota metanagreba ro metki „momdzvraa“ tu „dzalit gadagdeba“ ra..

MASTERMIND says:  
echvebshi var, magram nu davitove

MASTERMIND says:  
metki xo modzvrebba kide roca ikneba odesme

MASTERMIND says:  
:)

MASTERMIND says:  
xoda xo gavikete

MASTERMIND says:  
da chavedi abazana sadacaa, ficrulia

MASTERMIND says:  
gavixade celzevit, davibane, gavimshrale pirsaxocit da

SUSANA says:  
**da mogzvra**

MASTERMIND says:  
da

MASTERMIND says:  
davixede da agar mak xelze

SUSANA says:  
**mdaa**

MASTERMIND says:  
azze xar, xut cutshi isev gaqra

SUSANA says:  
**vot eto da**

SUSANA says:  
**game over**

MASTERMIND says:  
da metki nu yasnia albat

MASTERMIND says:  
exla ak ro gavixade gamzvra

MASTERMIND says:  
da davucke dzebna

MASTERMIND says:  
da am dros bidzachems ragac chirdeboda abazanashi

MASTERMIND says:  
mikakunebs ro “droze gamo ragaca maqvs asagebi”

MASTERMIND says:  
:)

MASTERMIND says:  
da me iataks vatvaliereb „exlave erti cutiii“

MASTERMIND says:  
da imenna ver vipove ra

MASTERMIND says:  
:))

SUSANA says:  
:)

MASTERMIND says:  
da gamovedi bolos

MASTERMIND says:  
da metki nu voo blya

MASTERMIND says:  
:)

MASTERMIND says:  
cool.

MASTERMIND says:  
„miistika“

MASTERMIND says:  
magram eto esho ne vso

MASTERMIND says:  
:))

SUSANA says:  
**xa-xa-xa**

MASTERMIND says:  
xa-xa-xa

SUSANA says:  
**ti menya pugaesh mastermind**

MASTERMIND says:  
koroche im dges sagamos chamovida dedachemic ra

MASTERMIND says:  
daglili, gatishuli

MASTERMIND says:  
da momca erti banani

MASTERMIND says:  
ro me kelexis sachmels ver vekarebodi ra

MASTERMIND says:  
imitom ki ara ro kelexis sachmelia

MASTERMIND says:  
prosto ugemuri iko

MASTERMIND says:  
da vijeki chaize, puri, sulguni, vashli

MASTERMIND says:  
ra qali var prosta?

MASTERMIND says:  
:))

SUSANA says:  
**mshvenieria**

MASTERMIND says:

hoda  
MASTERMIND says:  
momca banani, mol - chameo ra  
MASTERMIND says:  
da imcutas armindoda da shevakvexe balishis kvesh metki ro  
gavigvidzeb shevcham  
MASTERMIND says:  
da diit  
MASTERMIND says:  
gavigvidze  
MASTERMIND says:  
vchame es banani chems zanduk-sacolze  
MASTERMIND says:  
)  
MASTERMIND says:  
loginshi  
SUSANA says:  
)  
MASTERMIND says:  
hooda  
MASTERMIND says:  
gadavixare ro iatakze davdo es qerqi  
MASTERMIND says:  
magali zandukia  
MASTERMIND says:  
razec mdzinavs  
MASTERMIND says:  
)  
MASTERMIND says:  
da unda davdo da – „eeee“  
SUSANA says:  
**da zirs rezinka gdia**  
MASTERMIND says:  
„rezinkaaa...“  
SUSANA says:  
)  
MASTERMIND says:  
xa-xa-xa  
SUSANA says:  
**und?**  
SUSANA says:  
**vzial**  
SUSANA says:  
**nadel?**  
MASTERMIND says:  
da imenna ro ar sheimchnev movlenis mtel mnishvnelovanebas  
MASTERMIND says:  
da  
MASTERMIND says:  
metki, nu aha, xo vambobdi albat rolingshi charcha da mere ak ro  
gavixade amovarda  
MASTERMIND says:  
anu logikurad iset adgilebshi xdeba  
MASTERMIND says:  
ro mosula ro martali ikos  
MASTERMIND says:  
sadic rolngs ixdi ik ichiteba ra  
MASTERMIND says:  
)  
MASTERMIND says:  
da davde es qerqi gverdit

MASTERMIND says:  
ogond iatakamde ver vcvdebi  
MASTERMIND says:  
da mezareba chamosvla ro avigo  
MASTERMIND says:  
da metki idos  
MASTERMIND says:  
da  
MASTERMIND says:  
roca avdgebi gaviketeb raxan gamochnda  
MASTERMIND says:  
da gamoiara  
MASTERMIND says:  
)  
MASTERMIND says:  
xa-xa-xa  
MASTERMIND says:  
shemoiara rezinkam  
SUSANA says:  
**xaaaxa-xa-xa-aaa**  
SUSANA says:  
)  
SUSANA says:  
**slushai**  
SUSANA says:  
**ti shas with or without rezinka?**  
MASTERMIND says:  
hoda damavtarebine  
MASTERMIND says:  
da getkvi  
MASTERMIND says:  
vcevar da velodebi mze ro amovides  
MASTERMIND says:  
ro galgves cota garshemo. magra cioda.  
MASTERMIND says:  
)  
MASTERMIND says:  
da shemovida dedachemi  
MASTERMIND says:  
„rogor gedzina“ rame  
MASTERMIND says:  
vilaparaket sakaifod ragaca da gasvlisas, amas gavitano  
MASTERMIND says:  
da qerqi caigo  
MASTERMIND says:  
da me ro avdeki gamaxsenda rezinka, ogond qerqi ro mikonda mashin ar  
gamxsenebia  
MASTERMIND says:  
da metki ui rezinka sadaa  
MASTERMIND says:  
da araa rezinka.  
SUSANA says:  
)  
MASTERMIND says:  
metki ahaaa, albat dedachemma caigo  
MASTERMIND says:  
posledni shans. imito ro gamova mashin ro dedachemma gadaagdo  
MASTERMIND says:  
da morcheba es bazari ragacnairad, lamazad.  
MASTERMIND says:  
)

MASTERMIND says:  
da ro chavedi dedachems veubnebi

MASTERMIND says:  
qerqi ro gadaagde metki

MASTERMIND says:  
rezinka ido metki imis gverdit

MASTERMIND says:  
da egec caakole metki?

MASTERMIND says:  
da sanam dedachemi mipasuxebis me vukureb saxeshi ro gainteresebs ras itkvis ra

MASTERMIND says:  
dedachemi kide meubneba zaan chotkad, bez kapli somnenia

MASTERMIND says:  
“ara, ik namdvilad araferi kofila qerqis garda, imitom rom maxsovs davakvirdi kide rame xom ar iko gadasagdebi.”

MASTERMIND says:  
da metki “anu, aseti patara rezinka ar kofila?”

MASTERMIND says:  
“ara, rezina dakarge?”

MASTERMIND says:  
da metki, ara araferi, prosto cvrili rezina iko da maxsovda ro qerqtan egdo metki..

MASTERMIND says:  
da movrchit amaze.

MASTERMIND says:  
imis mere chemo kargoo.. rogorc shen ar ginaxavs is rezina ise meee

MASTERMIND says:  
xa-xa-xa

MASTERMIND says:  
:))

SUSANA says:  
:)

SUSANA says:  
**eto tak stranno**

MASTERMIND says:  
ne govori mama

MASTERMIND says:  
xo magari ambavia?

SUSANA says:  
:)

SUSANA says:  
**zan maagri**

MASTERMIND says:  
ara, magram itogshi daikarga ra. anu momzvra.

MASTERMIND says:  
magaze xo nagdad ver itkvi ro

MASTERMIND says:  
„zalit movizre“

MASTERMIND says:  
:)

SUSANA says:  
**vera**

SUSANA says:  
**ver itkvi**

SUSANA says:  
**magram exa naxe**

MASTERMIND says:  
hoda, znachit vsio ok.

SUSANA says:  
**ragaca momenti gkonda, roca sheizlboda rom agegho**

SUSANA says:  
**da dagezara**

MASTERMIND says:  
mere?

SUSANA says:  
**ya eto rasmatrivaiu kak**

SUSANA says:  
**nu ti nemnojko sam pomog ei (rezinke)**

MASTERMIND says:  
xa-xa-xa

SUSANA says:  
:)

SUSANA says:  
**zinka-rezinka**

MASTERMIND says:  
ese calkbad sxva mxares ro ikurebi da - „bzz“ - ro ujikeb chumad ara?

MASTERMIND says:  
xa-xa-xa

SUSANA says:  
**ahaa**

SUSANA says:  
:))

MASTERMIND says:  
karoche xo magari ragaceebi xdeba mama

MASTERMIND says:  
tkvi.

SUSANA says:  
**magari**

MASTERMIND says:  
realshi.

MASTERMIND says:  
:))

SUSANA says:  
**iseti shegrzneba makvs**

SUSANA says:  
**rom svaneti eto pryam zakoldovanni les**

SUSANA says:  
:))

MASTERMIND says:  
brb ra

MASTERMIND says:  
shefi perekurze medzaxis :)

SUSANA says:  
**mec cota xani unda avdge**

SUSANA says:  
**have u nice time**

SUSANA says:  
:))

MASTERMIND says:  
:)

MASTERMIND says:  
you too..

# qal aq ebi

gi ga z edani a

ქალი და ქალაქი — ვითომ შემთხვევით ჰგავს ერთმანეთს ეს ორი სიტყვა? და თუ არა, მაშინ რა აქვთ მათ საერთო? პირველი: როგორც ქალი, ისე ქალაქი მხოლოდ ფრაგმენტულად შეიძლება გაიცნოს. შეუძლებელია, ქალსა და ქალაქს, თუ ისინი ამ სახელებს საერთოდ იმსახურებენ, „მოხარშულს“ იცნობდე. ეს მხოლოდ უალრესად პრიმიტიული არსებების – სოფლებისა და მამაკაცების – ხვედრია. ქალ/აქ/ებისგან მუდამ უნდა ელოდე რაღაც სიურპრიზს, თუნდაც ამბოხს (როგორც ეს მოხდა ერთ-ერთ უნაღდეს ქალაქში 1789, 1848, 1968 და 2005 წლებში) ან ღალატს (წლებისა და ადგილების დასახელებას ნუ მომთხოვთ).

მინდა, ჩემი სტილი შეესატყვისებოდეს საგანს, რომელზედაც ვწერ. ამიტომაც ფრაგმენტული სტილი ავირჩიე.

კიდევ იმიტომაც, რომ უცნაურ სიტუაციაში ვარ – ერთსა და იმავე დროს ამოლაგებისა და ჩალაგების პროცესში. ვალაგებ: ბერლინიდან ახალდაბრუნებული და კიოლნში გასამგზავრებლად გამზადებული.

პრუსტთან მთავარი გმირის მოგონებები დამალულია ჩაიში ჩანობილი ნამცხვრის გემოში. როგორც კი წლების შემდეგ ამ გემოს შემთხვევით კიდევ ერთხელ შეიგრძნობს, თვალწინ მთელი ბავშვობა დაუდგება. ჩემი ბერლინული გამოცდილება ალბათ სადღაცაა შენახული, მაგრამ სად?

ბერლინში ჩასვლისთანავე თვალში მომხვდა დიდი ქათქათა პლაკატი, საიდანაც ორ მამაკაცს შორის სათნოდ იმზირებოდა უცნობი მსახიობი ქალის სახე. სასტუმროს ოთახში შესვლისთანავე ტელევიზორზე მოთავსებული ჟურნალის გარეკანზე იმავე ქალის სახე დავინახე. ქერა, მწვანეთვალეა, ელფის მსგავსი დიანა კრიუგერი – გერმანული წარმოშობის მოდელი, რომელიც ახლა მსახიობობს და რომელსაც „ტროაში“ შეუსრულებია მშვენიერი ელენეს როლი. ფილმი არ მინახავს, მაგრამ ჟურნალში ეწერა, რომ დიანა არჩიეს ჯულია რობერტსაც და, მგონი, კეტრინ ზეტა-ჯონსსაც. არ მიკვირს. თუ ყურადღებით წავიკითხავთ, ვნახავთ, რომ ევროპულ-ამერიკულ რომანში თეთრ და ქერა ქალებს ერთმნიშვნელოვნად ანიჭებენ უპირატესობას: ვალტერ სკოტის „აივენპო“, მაინ რიდის „უთავო მხედარი“, ფენიმორ კუპერის „უკანასკნელი მოპიკანი“ – იმ წიგნებს ვასახელებ, რომლებიც ბავშვობაში გვაქვს წაკითხული და რომლებიც ისე ახდენენ ჩვენზე გავლენას, რომ ამას ვერც კი ვამჩნევთ – ყველგან მთავარ (მამრობითი სქესის) გმირს აქვს არჩევანი თეთრსა და შავგვრემან ქალებს შორის. ის ყოველთვის ქერა ქალებს ამჯობინებს, რითაც არა უბრალოდ საკუთარ გემოვნებას მიჰყვება, არამედ საკუთარი კულტურის ნორმებს, რაც მას საშუალებას არ აძლევს, სხვა რასის (დასახელებულ შემთხვევებში, ებრაელი და ინდიელი) ქალები აირჩიოს.

დიანა და არა ფრედი. რობერტ გრეივსს (იყო ასეთი ძალიან კარგი პოეტი და მითოლოგიის სპეციალისტი) აქვს ლექსი:

Thus will despair  
In ecstasy of nightmare  
Fetch you a devil-woman through the air,  
To slide below the sweated sheet  
And kiss your lips in answer to your prayer  
And lock her hands with yours and your feet with her feet.

Yet why does she  
Come never as longed-for beauty  
Slender and cool, with limbs lovely to see  
(The bedside candle guttering high)  
And toss her head so the thick curls fall free  
Of halo'd breast, firm belly and long slender thigh?

Why with hot face,  
With paunched and uddered carcase,  
Sudden and greedily does she embrace,  
Gulping away your soul, she lies so close,  
Fathering you with brats of her own race?

ლექსის სათაურია „სუკუბი“. რომაული მითოლოგიის მიხედვით, ეს იყო არსება, რომელიც მამაკაცებს სიზმარში ეცხადებოდა, სქესობრივ კავშირს ამყარებდა მათთან და ამით ენერგიას ართმევდა. ვარაუდობენ, რომ აქედან მოდის რუსული სიტყვა „სუკა“. სიტყვასიტყვით თარგმნას არ ვაპირებ, მაგრამ მოკლედ გრეივისს ამას ამბობს: რატომ არისო, რომ მაშინაც კი, როდესაც სასონარკვეთილს, სიზმარში სუკუბი გვეწვევა, ისეთი არაა, როგორი ქალიც გვინდაო? ის ხომ მაინც შეიძლებოდა, სიზმარში მიგველო ის, რასაც რეალობაში ვერ ვწვდებითო?

ეჰ, რობერტ, რობერტ! სიზმარში რომ მოსულიყო შენთან დიანა კრიუგერი (დიანა და არა ფრედი!), საერთოდ მოგინდებოდა გამოლვიძება? ხოლო ფრედი კრიუგერი თუ მოვიდა, კი მოგინდებოდა, მაგრამ ვერ მოახერხებ. „ტაკავა c'est la vie“, როგორც ჩვენი რუსი მეგობრები ამობდნენ.

სად შეიძლება დამალო ფოთოლი ყველაზე საიმედოდ? ცხადია, ტყეში. სად ვერ შეგამჩნევს ვერავინ? ცხადია, დიდ ქალაქში. არა უდაბნოში, არც მთებში, სადაც ჯერ კიდევ არავის დაუდგამს ფეხი, და არც ზღვაზე მზის ამოსვლისას – მხოლოდ მეტროპოლისში. სადაც ქუჩაზე ასობით საკუთარი საქმით დაკავებული ადამიანი მოძრაობს ფაციფუცით, შეიძლება შეუმჩნეველი დარჩე. დიდი ბედნიერებაა, თუ ამ დროს შენ თვითონ სხვა არაფერი გაქვს გასაკეთებელი და მხოლოდ ქალაქის რიტმის მიხედვით მოძრაობ. აქ შენზე არავინ გამოიწევს გადასაკონცხად და არ გკითხავს, სად დაიკარგე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. არც იმის უნდა გეშინოდეს, რომ მეორე დღეს ვინმე დაგირეკავს და გეტყვის, რომ სამარშრუტო ტაქსიდან დაგინახა, ოღონდ გადმოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ გაახსენდი და აინტერესებს, სად დაიკარგე უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. დიდი და უცხო ქალაქი, სა-



დაც სრულიად ანონიმური შეიძლება იყო.

როლი და ფუნქცია.

ბერლინში ავტობუსის ყველა გაჩერებაზე გამოკრული იყო პლაკატი, ზედ კი – პირს ბროსნანი პისტოლეტით ხელში. შაბათს, 3 დეკემბერს, ერთ-ერთმა გერმანულმა სატელევიზიო არხმა აჩვენა ჯეიმს ბონდის უკანასკნელი ფილმი “მოკვდი სხვა დღეს” (ფილმი სულ სამიოდე წლისაა და მისი ტელევიზიით ჩვენება ევროპაში დიდი ამბავია. აქედან – ამდენი რეკლამა). ფილმში ბონდის არჩევანი ძალიან არაკლასიკურია – ის უპირატესობას შავკანიან ქალს (ჰოლი ბერი) ანიჭებს. მე თუ მკითხავთ, სულ ტყუილად. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში მისი “კარგი ნაშები” თითქმის ყოველთვის ქერათმიანები იყვნენ. რა არის ეს, ევროპულ-ამერიკული გემოვნების რადიკალური ცვლილება? არც ასე მარტივადაა საქმე. ბონდზე ხომ ამ უკანასკნელ ფილმში თავად თეთრი ქალი ამბობს უარს [ფილმზე ცოტათი ადრე გაჩნდა ანეკდოტი: ბონდი შედის ბარში, სადაც ლამაზ ქალს უახლოვდება და ჩვეული აპლომბით ეუბნება: “Bond. James Bond.” ქალი პასუხობს: “OFF. FUCK OFF”]. მართალია, ეს ამ ქალისთვის ცუდად დამთავრდება, მაგრამ თუ მე-19 საუკუნის რომანებში ქალს მხოლოდ ირჩევდნენ, მას ახლა თავად შეუძლია აირჩიოს. საკითხავია, მოსწონს თუ არა მას ეს ახალი

“არჩევანის მომენტი სიგიჟეა”, – წერდა მე-19 საუკუნის ერთი თეოლოგი. იგულისხმება – ნამდვილი არჩევანის წინაშე მაშინ დგახარ, როდესაც შეუძლებელია გამოთვლა, როდესაც აუცილებელია, რომ გადაწყვეტილება მიიღო იმის შესახებ, თუ რომელ გზას დაადგები, ოღონდ არ იცი, თუ სად მიჰყავხარ ამ გზებს.

რაც უნდა უცნაური იყოს, ბერლინში, განსხვავებით ჰამბურგისა და ამსტერდამისაგან, არ არსებობს სპეციალური „ნითელ-შუქოვანი“ კვარტალი. ამიტომაც ლამეული გასეირნებისას ორანიენბურგზე, სადაც ყველაზე ხშირია ქალები, რომლებიც, სულისა არ იყოს ცნობილი ლექსიდან, მსუბუქ სამოსელს ატარებენ, ჩემი მზერა ქერათმიან („ნამ ხიმია ბლანდინოკ პადარილა“) ჰელგაზე შეჩერდა. რაც უფრო მსუბუქია სამოსელი, მით უფრო მსუბუქია ქცევა. და ყოფა.

საერთოდ, ქალებისა და ქალაქების გარდა, კიდევ ორი რამ მაინტერესებს: წიგნები და ტკბილეულობა. ბერლინში ჩასვლის პირველსავე დღეს 16 წიგნი ვიყიდე და მივხვდი, რომ უნდა დამემუხრუჭებინა (საბოლოოდ, 42 ცალი ჩამოვიტანე). ტკბილეუ-



ლობისთვის კი ვცდილობდი, თავი ამერიდებინა, მაგრამ რა უნდა ქნა ქალაქში, სადაც ყველგან საშობაო ბაზრობებია და ყიდიან კარტოფილის ფორმის მარციპანსა და შოკოლადში ამოვლებულ ბანანებს?

თანამედროვე ქალაქის მთავარი მახასიათებელი ნიშანი — მისი ყველა კუთხე-კუნჭული შენგან ფულს ითხოვს. თბილისში საქმე ჯერ კიდევ ისეა, რომ შენ უნდა მონახო ის ადგილები, სადაც ფულის დახარჯვა შეგიძლია და გინდა. ბერლინში (ნიუ-იორკში, პარიზში) ასეთი ადგილები თვითონ გეძებენ.

უკანა გზაზე თვითმფრინავში უაღრესად გულისხმიერ ახალგაზრდასთან ერთად მომინია მგზავრობა. მთელი გზა იმის დამტკიცებას მოანდომა, რომ, კაროჩე, ჩვენი გაგება სხვა რამეა, თბილისში რომ ჩახვალ და უბანში მეზობელი მოგესალმება, ბრატ, სულ სხვანაირი ტეპლო აქვს ამას. და სპრავედლივოსტიც სხვანაირია – არსებობს ავტორიტეტი და პოლიციაში კი არ მივბის ყველა, როგორც ნასედკა. მოკლედ, ქართული ქურდული მენტალიტეტი მაინცდამაინც ბერლინში უნდა შეინახონ. მე გულში მადლობა

გადავუხადე მერაბიშვილს შავ სამყაროსთან ბრძოლისათვის, მაგრამ მერე გამახსენდა და ოქრუაშვილსაც გადავუხადე მადლობა; მაგრამ მერე გამახსენდა და ბარამიძესაც გადავუხადე მადლობა. გამიკვირდა, რომ ამდენი შინაგან საქმეთა მინისტრის გვარი საერთოდ მახსოვს. და მადლობა გადავუხადე ბილობილს – სულ ორი კვირაა ვსვამ (იმ მიზნით, რომ ნაკითხული ავტორების, ნაცნობი ქალებისა და მოვლილი ქუჩების სახელები არ დამავიწყდეს და უფრო კონცენტრირებულად შემეძლოს მათზე ფიქრი) და ისეთი რალაცები მახსენდება, რაც, მგონი, არც არასოდეს მცოდნია. რისი პრუსტი და რომელი ჩაიში ჩანობილი ნამცხვარი – ბერლინი ჩემს მეხსიერებაში სწორედ ბილობილის საშუალებით დარჩება. ალბათ იმიტომ, რომ მისი დაღვევა იქ გატარებული ერთი კვირის განმავლობაში სულ მავიწყებოდა.

ძველბერძნულად *hê polis*, ლათინურად *urbs*, ფრანგულად *la ville* (ან *la cité*), გერმანულად *die Stadt* — ყველა ეს სიტყვა „ქალაქს“ ნიშნავს და მდებდრობითი სქესისაა.

წავედი ახლა მე კიოლნში...





---

**SELECTED TEA SINCE 1823**



Christmas decoration. This is not a toy.  
Keep away from fire.  
Décoration de Noël. Ceci n'est pas un  
jouet. Tenir éloigné du feu.

Decoración de Navidad. Esto no es un  
juguete. Mantener alejado del fuego.  
Weihnachtsschmuck. Kein Spielzeug.  
Von Feuer fernhalten.



979587 GOOSE



habitat

HABITAT LONDON E1 5LP
















# FREITAG<sup>®</sup>

SINCE '93



[WWW.FREITAG.CH](http://WWW.FREITAG.CH)

# bedi swer a

i one ei senhuti

როცა პატარა ვიყავი დედაჩემი სულ მეუბნებოდა რომ დადებითი ადამიანი ვყოფილიყავი. ის ამბობდა: “შვილო, ადამიანებს კარგად უნდა მოექცე, რადგან ისინი ამას იმსახურებენ”.

მან მითხრა, რომ თუ ოდესმე ქალი მეყოლებოდა, მას წესიერად უნდა მოექცეოდი, მისთვის სასიამოვნო სიტყვები უნდა მეთქვა, კარგი საჩუქრები უნდა მეყიდა. “არასდროს დაარტყა ქალს”, მეუბნებოდა დედაჩემი. ჩემი აზრით, ეს დედაჩემისთვის მართლაც მნიშვნელოვანი იყო, რადგან მამა მას ზოგჯერ მართლაც ძალიან უდიერად ექცეოდა ხოლმე. ხის მორების 48 საათიანი გადაზიდვის შემდეგ, მამა ბრუნდებოდა ხოლმე ასმეერთე ტრასიდან და იჯდა მისაღებში თვალდახუჭული, Jack Pepsi-ს ბოთლით ხელში. აი ამ დროს ის ზოგჯერ მართლაც ძალიან ღიზიანდებოდა ხოლმე. ალბათ, ამის გამო იყო ერთხელ, ღამით, ატირებული დედაჩემი რომ მოვიდა ჩემთან და მითხრა: “შვილო, არასდროს არ გაეკარო სატვირთო მანქანებს, ხომ კარგად გესმის?”

მე მინდოდა რომ დედაჩემს აღარ ეტირა. ამიტომ, მე მას ვუთხარი, რომ მე ერთ მშვენიერ დღეს „ძიზაინერი“ გავხდებოდი. ქალაქში მცხოვრები ფერმკრთალი „ძიზაინერებიდან“ ერთ-ერთი.







მე კარგად ხატვაც შემიძლო. ვხატავდი მთებს, გრუზავიკებს და დედაჩემსაც, როცა ის არ მამონებდა. მერე ნავედი სკოლაში და ვისნავლე ყველაფერი ფერებზე, ფორმებზე და ასოებზე. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს მე პირობა დავარღვიე. ღმერთო და დედიკო მაპატიეთ.

დღემდე, ქალაქში ყოფნისას თავიდან ვერ ვიგდებდი გრუზავიკებს. გაჩხერვაც ვცადე, დალევაც და ჩაყლაპვაც, მაგრამ სულ ტყუილად. მთელი ჩემი „ძიზინერი“ მეგობრები ჟურნალებზე, არქიტექტურაზე და ეგეთ რამეებზე ლაპარაკობდნენ. და მე, მე კიდე თვალი მიშტერდებოდა ხრომის ბრწყინვალეობაზე, შავ რეზინაზე და ტენტებზე დაკრულ ნიშნებზე.


მაპატიე დედა, რომ გრუზავიკები ვერ გადავადე. მე ვდგავარ თქვენს წინაშე და, როგორც მენერა, ჩემი ჭუჭყიანი ხელებით სატვირთო მანქანებს ვეხები. ყოველ დღე, ცხრიდან ხუთამდე მე მათ ტენტებს ვანაკუნებ, ვრეცხავ და ვკერავ.

მე, ყველა ჩემი „ძიზინერი“ მეგობრისთვის, ამ დედაძალ გრუზავიკებს ინდივიდუალურ, გადამუშავებულ სამგზავრო ჩანთებად ვაქცევ.





# bz i ki 01



=====

stingeri (aka bziki) - aris multimedia lanceri (istribitelis tipis), romelic media specTrSi gadaadgildeba. amis gamo, stingeri (aka bziki) monacvleobit chndeba jurnalebSi, gazeTebSi, internetSi da ase Semdeeg..

stingeris marTva SeuZlia nebismiers, vinc 10X10 formatze vizualurad daafiqsirebs sakuTar emociur mdgomareobas. koncefcia aucilebeli ar aris.  
namushevrebi shegidzliat gamogzavnot misamartze zveraboy@googlemail.com  
xomaldebi icvleba yovel axal nomerze.

=====

000148-000149 ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი

000150-000151 თეა ჯორჯაძე untitled sculpture


000152-000153 გიო სუმბაძე B-oykot

000154-000155 კაროლინ ლავუა Tlllamo

000156-000157 ოდრი ბარტის analysis love



Tim Hawkinson, *Signature*, Whitney Museum of American Art, New York, February 11 - May 29, 2005




Jonas Mekas, *Fragments of Paradise*, Maya Stendhal Gallery, New York, March 3 - April 30, 2005



Thomas Demand, *Clearing*, Venice Biennale, June 2 - November 7, 2003



Isa Genzken, *New Work*, David Zwirner, New York, Feb 10 - Mar 5, 2005
























# mARTemARTics

gogi axalkaci

მათემატიკა, სწორად აღქმის შემთხვევაში, ასახავს არა მარტო ჭეშმარიტებას, არამედ შეუდარებელ მშვენიერებასაც.

ბერტრან რასელი

## შესავლის ნაცვლად

ჩვენს ნელთალრიცხვამდე 300 წელს ევკლიდემ თავის პირველ ნიგნში საფუძველი ჩაუყარა მათემატიკურ დისციპლინას ნეტილების, სწორი ხაზებისა და წრეების შესახებ. ევკლიდეს გეომეტრია, სწორედ ის, რომელიც საშუალო სკოლებში ისწავლება, სულ რამდენიმე, მარტივი განსაზღვრებით იწყება:

- 1.წერტილი – არის ის, რისი ნაწილებად დაყოფაც შეუძლებელია.
- 2.ხაზი (წრფე) – არის სიგრძე სივრცის გარეშე.
- 3.ზედაპირი – არის ის, რასაც აქვს მხოლოდ სიგრძე და სივრცე. მეთერთმეტე ნიგნში, ევკლიდემ დაამატა:
- 4.მოცულობითი ფიგურა – არის ის, რასაც აქვს სიგრძე, სივრცე და სიმაღლე.


სრულყოფილი, მონესრიგებული, და სიმეტრიული სამყაროს არსებობის თეორია ისტორიულად პლატონს უკავშირდება, რომლისთვისაც „რეალური“ სამყარო უზენაესი არსების მიერ შექმნილი იდეალური, სწორხაზოვანი ფორმებისგან შედგებოდა. ამის საპირისპიროდ, სამყარო, რომელშიც ჩვენ რეალურად ვცხოვრობთ, პლატონის თანახმად, ბევრად უფრო არასრულყოფილია, დემიურგულმა არსებამ შექმნა და ეს სამყარო, „რეალურის“ მხოლოდ უხეში, არასიმეტრიული ანარეკლია. იმავე პლატონის აზრით, „რეალური“ სამყაროს „ხილვა“ ადამიანისთვის მხოლოდ მყისიერად და ამასთან, მხოლოდ გონების მეშვეობითაა შესაძლებელი. ანუ, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, ჯერ კიდევ პლატონს ესმოდა, რომ კლასიკური გეომეტრია (რომლის პრინციპებიც მოგვიანებით ევკლიდემ ჩამოაყალიბა) უსარგებლოა იმ სამყაროს აღსაწერად, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

კაცობრიობა (მცირედი გამონაკლისის გარდა) შეპყრობილია სიმეტრიის იდეით. რომანული არქიტექტურა მთლიანად კლასიკური გეომეტრიის ფორმებზეა აგებული. უფრო თანამედროვე მაგალითებს შორისაა საფრანგეთის მეფეების სასახლეები, გერმანიისა და იტალიის ფაშისტური არქიტექტურა და პრაქტიკულად ნებისმიერი თანამედროვე ცათამბჯენი. თუმცა ბუნებაში, ევკლიდური ფორმების სრულყოფილი, გლუვი ხაზები არ არსებობს. დედამიწა, რომელიც კოსმოსური თანამგზავრიდან გადაღებულ ფოტოზე, ლურჯ სფეროს ჰგავს, მისი ხელოვნური მოდელისგან (გლობუსისგან) განსხვავებით სულაც არაა იდეალურად მრგვალი – სინამდვილეში, დედამიწა, წარმოსახვითი პოლუსების მიდამოებში ოდნავ შეჭყლეთილია. სიგლუვეზე საუბარი კი საერთოდ აბსურდულია, დედამიწის ზედაპირი ათასგვარი ხეობებით, ღრმულებითა და მთებითაა დაღარული – სხვაობა დედამიწის ზედაპირის ყველაზე მაღალ და დაბალ წერტილებს შორის თითქმის 20 კილომეტრია.

ხელოვნური კონსტრუქციების შემადგენელი სწორი ხაზებიც კი არ არის იდეალურად სწორი. სარკის ზედაპირი, რომელიც ახლოსაა აბსოლუტურ სიგლუვესთან, სინამდვილეში ტალღოვანია. ისევე როგორც დედამიწის შემთხვევაში, აქაც, მოჩვენებით სიგლუვეს მხოლოდ და მხოლოდ დაკვირვების მასშტაბი განაპირობებს. მასშტაბის ზრდის შემთხვევაში ჩანს, რომ სწორი ხაზი რეალურად ტეხილია. განვადგინოთ მსჯელობა – ტეხილის შემადგენელი ხაზებიც არ არის სწორი. შესაბამისად, მიღებული სტრუქტურა კიდევ უფრო გართულდება. ანალოგიური მსჯელობის გაგრძელება პრაქტიკულად უსასრულოდ შეიძლება და თითოეულ ნაბიჯზე ტეხილი სულ უფრო და უფრო ფანტასმაგორიული ხდება. საბოლოოდ (თუმცა, ბოლო, უსასრულობის განსაზღვრებიდან გამომდინარე არ არსებობს), მიღებული ობიექტი, რომელიც კოხის ტეხილის სახელითაა ცნობილი, საერთოდ აღარ გავს საწყის ხაზს, სამაგიეროდ ბევრად უფრო ახლოსაა მის „რეალურ“ ფორმასთან.

თუმცა, ეს ტეხილიც „არასრულყოფილია“ – ის, თავისთავად, ზედმეტად სიმეტრიულია და პლატონის „რეალურ“ სამყაროს უფრო მიეკუთვნება. პრობლემის არსი პარადოქსია – კოხის სტრუქტურა

კოხის ტეხილი




ხაზის „ჭეშმარიტი ბუნების“ აღსაწერად გამოუსადეგია, ვინაიდან ევკლიდური გეომეტრიის ფორმებით (სწორი ხაზები) იგება.


ევკლიდური გეომეტრიის გამოყენებას ბუნებრივი ობიექტების შესწავლისას უფრო საინტერესო, განზომილებით პარადოქსებამდე მივყავართ. კლასიკურ გეომეტრიაში წერტილი 0 განზომილებიანია, წრფის განზომილება 1-ის ტოლია, ფიგურის (სამკუთხედი, ოთხკუთხედი, ა.შ) – 2-ის, სხეულის (კონუსი, პირამიდა, ...) – 3-ის. თუმცა, აღმოჩნდა, რომ არსებობს ობიექტები, რომლებისთვისაც ევკლიდური განზომილებები „არ მუშაობს“.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაგალითი დიდი ბრიტანეთის სანაპირო ზოლის სიგრძის დადგენას უკავშირდება. ის ფაქტი, რომ ეს ინფორმაცია პრაქტიკულად ყველა გეოგრაფიულ ატლასშია მოყვანილი, არაფერს ნიშნავს. მარტივი ლოგიკური მსჯელობით მტკიცდება, რომ რეალურად სანაპირო ზოლის სიგრძე პრაქტიკულად უსასრულოა:

წარმოიდგინეთ, რომ ზღვის პირას იმყოფებით და მეტრიანი სახაზა-








ვით ცდილობთ სანაპიროს მონაკვეთის სიგრძის გაზომვას. ცხადია, თქვენი სახაზავი უსარგებლოა თითოეული ქვის ყველა ღრმულისა და შვერილის გასაზომად. ერთკილომეტრიანი სახაზავის შემთხვევაში მცირე დეტალების იგნორირების ხარისხი კიდევ უფრო იზრდება და შედეგიც განსხვავებულია. რაც უფრო მცირე ზომისაა თქვენი სახაზავი მით მეტი დეტალის გაზომვა ხდება შესაძლებელი და შესაბამისად, მით მეტია მიღებული შედეგი. მაგრამ არის თუ არა ის უსასრულო? გაყევით სანაპიროს. ადრე თუ გვიან მდინარეს მიადგებით. აუყევით მდინარის მარჯვენა (გნებავთ, მარცხენა) ნაპირს, სანამ მოპირდაპირე მხარეს აღმოჩნდებით – სანაპირო ზოლი უწყვეტი უნდა იყოს. მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ გზად მდინარის ყველა შენაკადის სანაპირო ზოლის სიგრძის შესწავლა მოგიწევთ. ნაკლებად სავარაუდოა როდესმე მეორე ნაპირზე აღმოჩნდეთ. მაგრამ თუ ამას მაინც მოახერხებთ, მაშინ აიღეთ სახაზავი, რომელიც მიკრონის სიზუსტით ზომავს და თავიდან სცადეთ. როგორ ფიქრობთ რამდენი დრო დაგჭირდებათ? უსასრულო. შესაბამისად, გამოდის, რომ ბრიტანეთის სანაპირო ზოლის სიგრძე უსასრულობისკენ მიისწრაფის მაშინ, როცა ფართობი სასრულია. ეს 2-განზომილებიანი სივრცის პარადოქსია.



ახლა „აიღეთ“ ხე და გაზომეთ მისი მოცულობა. ეს არ არის რთული. შეგიძლიათ არქიმედეს ნაბაძვით ხე პირამდე ავსებულ დიდ აბაზანაში მოათავსოთ და ნახოთ – რა მოცულობის წყალი გადმოიღვრება. რაც შეეხება ზედაპირის ფართობს? ალბათ აღარ გაგიკვირდებათ – ის პრაქტიკულად უსასრულოა (არ დაგავინწყდეთ – აუცილებლად გაზომეთ ყველა ფოთლის ყველა ფორა და ღრმული). ეს უკვე 3-განზომილებიანი პარადოქსია.

იდეალური ბუნებრივი ფრაქტალები: თოვლის ფიფქი და გვიმრა განზომილება, ევკლიდური გეომეტრიის ობიექტებისგან განსხვავებით, გამოისახება არა მთელი რიცხვებით (0; 1; 2; 3), არამედ ნილადებით (მაგ.: 1.5; 2.8 და ა.შ.). ფრაქტალური გეომეტრია იდეალური მათემატიკური ინსტრუმენტი აღმოჩნდა იმ ობიექტების აღსაწერად, რომლებიც კლასიკური გეომეტრიის ფარგლებში არ თავსდებოდა. ამასთან, ფრაქტალები, ფაქტობრივად, მათემატიკური განტოლებების ვიზუალიზებას წარმოადგენენ და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი ფრაქტალური სტრუქტურისთვის შესაძლოა შეიქმნას შესაბამისი განტოლება, რაც ამ სტრუქტურის მათემატიკური შესწავლის საშუალებას იძლევა.

მათემატიკის კლასიკად აღიარებული ამოცანა ბრიტანეთის სანაპირო ზოლის სიგრძის შესახებ, 1967 წელს, ფრანგმა მათემატიკოსმა ბენუა მანდელბროტმა ჩამოაყალიბა თავის ნაშრომში, რომელსაც პირდაპირ ასე ჰქვია – „რა სიგრძისაა ბრიტანეთის სანაპირო ზოლი?“. მანდელბროტი ცხადია არ იყო პირველი, ვინც კლასიკური გეომეტრიისა და ბუნებრივი ობიექტების „არათავსებადობა“ შეამჩნია. კოხის ტეხილი XX საუკუნის დასაწყისში შეიქმნა, თუმცა ანალოგიურ სტრუქტურებზე მათემატიკოსები XIX საუკუნიდან მუშაობდნენ.



მანდელბროტის სიმრავლე



სერპინსკის გამოხშირვა

თუმცა, მანდელბროტი აღმოჩნდა პირველი, ვინც მიხვდა, რომ ბუნებრივი ობიექტების ქაოტურ ფორმებში გარკვეული სისტემა არსებობს. მანდელბროტმა აღმოაჩინა, რომ ბუნებრივი ფორმები ე.წ. თვითმსგავსებას (selfsimilarity) ეფუძნება: ხის ყოველი ტოტი მთლიან ხეს ჩამოგავს, კლდის შემადგენელი ლოდები მთლიან კლდეებს და ა.შ.

1975 წელს გამოცემულ „ბუნების ფრაქტალურ გეომეტრიაში“ მანდელბროტმა პრაქტიკულად ახალი მათემატიკური დისციპლინა ჩამოაყალიბა. ტერმინი „ფრაქტალი“, რომელიც ლათინური „fractus“ (დატეხილი, დანანევრებული) —დან წარმოიშვა, ენციკლოპედიური განმარტებით ნიშნავს გეომეტრიულ ფიგურას, რომელიც შედგება ნაწილებისგან და ამასთან თითოეული ნაწილი (გარკვეულ ხარისხამდე მაინც) მთლიანი ფიგურის შემცირებული ასლია. იმავე მანდელბროტმა დაამტკიცა, რომ ფრაქტალური სტრუქტურების

დას გამომდინარე, ნებისმიერი ფრაქტალური სტრუქტურისთვის შესაძლოა შეიქმნას შესაბამისი განტოლება, რაც ამ სტრუქტურის მათემატიკური შესწავლის საშუალებას იძლევა.

30-წლიანი ისტორიის განმავლობაში ფრაქტალები პრაქტიკულად ყველა საბუნებისმეტყველო სამეცნიერო დისციპლინის არსენალში აღმოჩნდა. მანდელბროტის თეორია მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე ფიზიკაში, ბიოლოგიაში, გეოლოგიაში, ეკონომიკაში. თუმცა, შესაძლოა ყველაზე საინტერესო ფრაქტალებისა და ხელოვნების შერწყმა აღმოჩნდა – ფრაქტალური სტრუქტურების თავისებურმა სილამაზემ კომპიუტერული ART-ის სრულიად ახალი სახეობა წარმოშვა – ინტერნეტი სავსეა საიტებით, რომლებზეც განთავსებული სპეციალური პროგრამები – Fractal Generator-ები – ნებისმიერ მსურველს საშუალებას აძლევს მისი გემოვნების შესაბამისი ფანტასმაგორიული, მათემატიკური სტრუქტურები შექმნას. მათემატიკა და ხელოვნება? რატომაც არა. ბოლოსდაბოლოს მუსიკის თანამედროვე თეორია იმ პითაგორას ეკუთვნის, რომელმაც

# ambavi morfi ani papi r o s i s a

davi T kovz i r i Ze

ეს ამბავი როდის მოხდა, ნამდვილად არ მახსოვს, მაგრამ რომ მოხდა, ფაქტია. მოხდა საქართველოსა და ოსეთის საზღვარზე, მთიან ადგილას, ქართველი ბანდიტ-მორფინისტებისა და ოსი დილერების საბარტერო წერტილში.

არაფრით გამორჩეული ორი თბილისელი ნარკომანი დანიშნულ დროს დანიშნულ ადგილას დაერჭო. ოსი მოძმის მოლოდინში ბიჭებმა იქვე გაჩერებული მანქანა და შიგ მჯდომი მღვდელი (!) შენიშნეს – ვერ იყო კარგ ფერზე. მალე ჯიგარიც გამოჩნდა, ფულები აკრიფა და ნახევარ საათში გადავალ-გადმოვალო, – დაიბარა.

ცოტა შეაგვიანდა. თუმცა პუნქტუალურობას ვინ ჩივის, საშინელი ამბავი მოიტანა – მარტო ამის (მღვდლის) “ფაქტი” მაქვს, თქვენსას ერთ საათში ჩაგახუტებთო.

რა გაძლებს ერთ საათს?

– ჩემი ძმა, – დაედევნა ერთ-ერთი ანაფორიანს, რომელიც ძალიან სწრაფად მირბოდა მანქანისკენ, – ერთი წუთით, რა.

– რაშია საქმე?

– გაუმარჯოს, – ხელი ჩამოართვეს (ასეთ ადგილებში ყველა თანასწორია), – ერთი სათხოვარი გვაქვს: თუ ჩემი ძმა ხარ, ცოტა გადმოგვიყარე, აზრზე მოვალთ, ცოტა ვიბაზროთ, ამ დროს ის ნაბოზარიც დაბრუნდება და უკან დაგიბრუნებთ ყველაფერს.

მღვდელი ჩაფიქრდა. პაუზა მაგრად გაიწელა და ბიჭიც ანერვიულდა: – დაჟე ზახოდით მეტს მოგცემთ, ტო. პაუზა კიდევ ცოტა ხანს გაგრძელდა და აი, ასე მოულოდნელად დამთავრდა:

**– რომ გაიმაზოს, შვილო ჩემო?**

\*\*\*

ეს ამბავი იმიტომ არ მომიყოლია, რომ სასაცილოა ან კიდევ ცხარე ცრემლებით სატირალი. უბრალოდ, ნარკოტიკების მოყვარულ სპორტსმენებზე უნდა ვწერო და შეგამზადეთ – „უარესებიც ხდებას“ ამბავში.

სპორტულ სამყაროში, განსაკუთრებით, ფეხბურთში, ყველაზე გავრცელებული ნარკოტიკები მარიხუანა და კოკაინია. გაგიკვირდებთ, მაგრამ პირველის ყველაზე სტაჟიანი და ინტენსიური მომხმარებელი გახლავთ ფრანგი თავტვლიპინა მეკარე ფაბიენ ბარტეზი.

ფეხბურთისგან თავისუფალ დროს მსოფლიო ჩემპიონი ფაბიენი თურმე გამუდმებით ექაჩება “მორფიან პაპიროსებს” და მერე განცხრომით ნებივრობს თავის უზარმაზარ აუზში. ვისთან ერთად? თუ გავითვალისწინებთ, რომ მისი თანამეცხედრე მსოფლიო მოდის ბერმუხა, მზეთუნახავი ლინდა ევანჯელისტა იყო, მაშინ ძალიან გაგიკვირდება, რომ დაბოლილი ბარტეზი საკუთარ დელფინებთან ერთად ჭყუმპალაობს (კიდევ კარგი, პირანიები არ იტაცებს). თან გაიძახის, რომ პლანს ტყუილად კი არ ანიავებს, რელიგიური თვითდამკვიდრებისთვის იყენებს – ბუდიზმი იმდენად ფილოსოფიური მიმდინარეობაა, ფხიზელი ვერაფერს გაუუგებ, ტვინს სანვავი უნდა მივანოდო.

შეიძლება, მარიხუანა მართლაც ეხმარება “მანჩესტერ იუნაიტედის” ყოფილ მეკარეს ბუდას კაცთმოყვარე იდეების აღქმაში, მაგრამ კარიერაში რომ ბევრჯერ შეუშალა ხელი, ესეც ნათელია. განსაკუთრებით ეს ბოლო ხანებში გახდა თვალშისაცემი – ეტყობა, ხანშიშესულ მეკარეს მარიხუანა ადვილად ერევა და ისე ცანცარებს და ისეთ გოლებს უშვებს, უკვე აფრიკის ყველაზე მიყრუებულ სოფლებშიც დასცინიან.

საინტერესო რამ შეემთხვათ ცუდლუტ ფაბიენსა და მის კოლეგას 1996 წელს. ბარტეზი ევროპის ჩემპიონატზე სათამაშოდ ემზადებოდა, როცა საყვარელი გართობის შესახებ გაუბაზრდა და ოთხთვიანი დისკვალიფიკაცია მიიღო. შესაბამისად, ძირითად შემადგენლობაში ად-

გილი ერგო ბრგე ზანგს, ბერნარ ლამას. ამაზე კარგი საჩუქარი რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ დახეთ ცალტვინა ბერნარს, რა ჩაიდინა – ჰოლანდიელებთან (აბა სხვასთან ვისთან მოუვიდოდა) ამხანაგური მატჩის წინ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი გასახდელში შევიდა ბოლო დარიგებების მისაცემად და ხელში შერჩა უადგილოდ მოხითხითე მეკარე, რომელიც მომენტალურად გაუყენა კუდიგორის გზას.

როდესაც ფეხბურთისა და ამ სენის გადაკვეთაზე ლაპარაკი, შეუძლებელია, დიეგო მარადონა არ ამოგიტივტივდეს მესხიერებაში. სამეფო ტახტიდან პელეს ჩამოჩებელმა კაცმა ნარკომანულ კარიერაშიც დაახლოებით იგივე სიმალეები დაიპყრო, რაც ბურთის დევნისას. ამას წინათ პლანეტის სხვადასხვა ნარკოლოგიურების ხშირმა ვიზიტორმა აღიარა, კოკაინით 1982 წლიდან მოყოლებული ვი-ლიზიანებ სასუნთქ გზებზე.

ეს ის დროა, როცა დიეგომ ევროპაში, “ბარსელონაში” დაიწყო თამაში. მერე იყო “ნაპოლი”, სოფლის გუნდი, რომელსაც მარადონამ იტალიის ჩემპიონატი და უეფას თასი მოაგებინა, თუმცა 1991 წელს არგენტინელის მორფინისტობის ამბავი ბომბივით გასკდა: დოპ-ინგ-ტესტზე სისხლში დიდი რაოდენობით კოკაინი აღმოუჩინეს. ამ ამბავს მალე ძალიან საინტერესო კუდიც მიემა – იტალიაში აღარავის ეეჭვებოდა, რომ “ნაპოლის” კაპიტანსა და გმირს საქონლით კოზა-ნოსტრას კენწერო ამარაგებდა.

შედეგი – თხუთმეტოვიანი დისკვალიფიკაცია, რომლის შემდეგაც დიეგო აღარასდროს ყოფილა ის ძველი, ზღაპრული ბიჭი. სხვათა შორის, მას შემდეგ მარადონამ რამდენჯერმე სცადა გადაგდება. სახლში იკეტებოდა, საზიზღარ დეპრესიაში იტანჯებოდა ფარდებ-ჩამოშვებულ ოთახებში, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

თუმცა იყო მსოფლიოს 1994 წლის პირველობა, სადაც მარადონამ, ოდნავ მოსუქებულმა ბიძაკაცმა, ჩვეული სიდიადით დაიწყო სას-ნაულების კეთება, მაგრამ ორი თამაშის მერე კვლავ შეამონმეს და ამჯერად ეფედრინზე ჩაავლეს. მორიგი ერთი წელიწადი უფეხბურ-თოდ – ამაზე დიდი ტრაგედია რა უნდა ყოფილიყო 34 წლის კაცისთვის, რომელსაც ასე არაადამიანურად უყვარდა ბურთთან ურთიერ-თობა.



ამის მერე იგი გამუდმებით ებრძოდა კოკაინს, რამდენჯერმე იწვა ნარკოლოგიურში, წლები გაატარა თავის ძმაკაც ფიდელ კასტროსთან კუბაზე, სადაც უფრო დიდ დროს უთმობდა სექსუალურ კუბელ ბოზებსა და კოკაინს. ერთი-ორჯერ ძალიან ცუდადაც გახდა და ძლიერს მოაბრუნეს. მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდნენ მისი ოჯახის წევრები, რომ ასე ვეღარ გაგრძელებოდა. დღეს ღიეგო უკვე ჯანზეა.

სხვათა შორის, ცელქობით მარტო ფეხბურთელები არ არიან დაკავებულნი – უკვე რამდენიმე სახელოვანი მწვრთნელი აღმოჩნდა “სტა-ჟიანი მორფინისტი”. ამ მხრივ აშკარა ლიდერია გერმანელი კრისტოფ დაუმი, თანამედროვეობის ერთ-ერთი უნიჭიერესი სპეციალისტი, რომელსაც კოკაინის ყნოსვა ჯერ დააბრალებს, მერე კი დაუმტკიცეს კიდეც.

ამბავი ასე განვითარდა – ეჭვმიტანილ დაუმს მოსთხოვეს ანალიზის აღება თმის ღერიდან, რაზეც უმწვრთნელო გერმანიის ნაკრების თავკაცობის ყველაზე რეალური კანდიდატი უჩვეულო სიკეკლუციტ დასთანხმდა. დაუმის მეგობარი, ყოფილი ფეხბურთელი ვილიამ ჰარტივი (სწორედ მან გაავრცელა მწვრთნელისა და კოკაინის რომანის ამბავი) და ნაშა, უცნაური სახელითა და ეროვნებით – ოია ასია იემკე, დღესაც დარწმუნებულნი არიან, რომ იმ მომენტში კრისტოფი კოკაინის კაიფში იყო.

საბოლოოდ, ექსპერტიზამ დადებითი შედეგი აჩვენა, რის გამოც დაუმმა უმუშევრის სტატუსი აირტყა და საერთოდ გერმანიის დატოვებაც მოუწია. სანამ ის ამერიკას აფარებდა თავს, სამშობლოში გამოუთვალეს, რომ 1999 წლიდან 2000 წლის ბოლომდე ნახევარ კილოგრამზე მეტი კოკაინი “გადაამუშავა” და ეს სიამოვნება 75 ათასი მარკა დაუჯდა.


ფეხბურთთან ცუდად რომ არ გამოგვივიდეს, სხვა სპორტის ერთი წარმომადგენელი მაინც გავიხსენოთ. მაგალითად, კალათბურთელი დენის როდმანი, კარმენ ელექტრასა და მადონას ყოფილი ქმარი, რომელიც კაიფისგან ისე აიჭრა, რომ ჟურნალისტებს უთხრა, ხვალ მესამე ცოლი მომყავსო და “ქორწილში” თვითონ მივიდა თეთრი კაბით.



# 25 იანვრამდე

ფოტო  
კონკურსი

# Ge



# გეოცელს

# 3

თვე

- სანახარდო სუფილ მუშაობები
- მუშაობები
- მუშაობები!

## ბადავილ სანამ მართა

და გაემთავრება MMS-ით

ნომერი 5555

# 30 იანვრის 30 გამაჩვენებელი დაჯილდოვება



+



+

"ანაბაქვი"-ს  
ნომერი  
გამართა

+

გამართა  
სანამ მართა

კვირის სანამ მართა სანამ მართა გაემთავრება:  
კონკურსის "ანაბაქვი" და კვირის "ანაბაქვი"

ყველაზე მეტი გამართავის სანამ მართა მუშაობით  
თქვენი კონკურსის ProFoto სანამ მართა (მუშაობით 6)


ფანი 1 დანი



[www.geocell.ge](http://www.geocell.ge)

# The Man From Utopia FZ

z a z a b u r W u l a z e



„არასოდეს მქონია სურვილი, როკი დამეკრა, მინდოდა სერიოზული მუსიკა დამეწერა და საკონცერტო დარბაზებში შემეს-

რ უ ლ ე ბ ი ნ ა . მაგრამ ცხადი იყო, მას არავინ მოუსმენდა, ამიტომ გადავწყვიტე ჯგუფი შემეკრიბა და დამეკრა როკი.“ (ფრენკ ზაპა)

სტილის დადგენა, რომელშიც ფრენკ ზაპა (Frank Vincent Zappa) (მასში იყო სიცილიური, ბერძნული, არაბული და ფრანგული სისხლი) მუშაობდა, პრაქტიკულად შეუძლებელია. გიჟური მუსიკალური ძიებებით ზაპამ როკ-ენ-როლის მითოლოგიურ ბაღში საკუთარი თავი ისე ჩაგრაგნა, რომ ამ გრაგნილის გახსნა თითქმის შეუძლებელია. ის იყო სერიოზული

კომპოზიტორი – ფიუჟენის პიონერი, და პოპფიგურა, რომელიც ცდილობდა მასის მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა (თუმცა, მუდამ ინარჩუნებდა განსაკუთრებული იუმორის გრძნობას). კონფორმისტი და საზოგადოებრივი სიმშვიდის დამრღვევი, წარმატებული და შეშლილი ბიზნესმენი, ბურჟუაზიის დაუძინებელი მტერი და თვითირონიული სოციალური სატირიკოსი. მონაწილეობდა აშშ-ს კონგრესის სხდომაში, თავმჯდომარეობდა დასავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო კომისიას და სტადიონებზე გამოსვლისას, სიგარეტით პირში, გრძელ ტაბურეტზე შემომჯდარი, დაღლილი ხმით ესაღმებოდა ათასობით თავყანისმცემელს: „გამარჯობათ, ღორებო!“ ზაპას არ ერიდებოდა ავტორიტეტების. 1981 წელს ზაპას მიწვევით 86 წლის ცნობილმა რუსმა პიანისტმა, დირიჟორმა და მუსიკის თეორეტიკოსმა ნიკოლაი სლომინსკიმ როკ-კონცერტზე თავისი საფორტეპიანო კონცერტი ელექტროპიანინოზე როკის თანხლებით შეასრულა.

ზაპა უკრავს თითქმის ყველა ინსტრუმენტზე, ბავშვობიდან უსმენს სხვადასხვა მუსიკას (მისი საყვარელი კომპოზიტორები არიან ბელა ბარტოკი, იგორ სტრავინსკი და ედგარ ვარეზი, რომლის ქერივსაც ზაპა სიცოცხლის ბოლომდე ეხმარება), და ზოგადად, მრავალმხრივ განათლებული ადამიანია. მისი ნაწარმოებების სტილისტიკა უამრავი ჟანრის, ეპოქის, კულტურისა და მიმდინარეობის კონგლომერატს წარმოადგენს, მაგრამ ამ ყველაფრის მთავარი ლერძი მაინც თანამედროვე ავანგარდული კლასიკური მუსიკაა, კერძოდ – „ახალი ვენური სკოლა“. ზაპას მუსიკის დიდი ნაწილი 1922 წელს არნოლდ შონბერგის მიერ შექმნილი დოდეკაფონიის იდეის განვითარებაა, ერთგვარი ლოგიკური და „ტექნიკური“ გაგრძელება ელექტრონული მუსიკის საშუალებებით.

1967 წელს მისი ჯგუფის – Mothers Of Invention – მეორე ალბომი, Absolutely Free ამერიკელებს შოკავს – განსაკუთრებით ცინიკური Brown Shoes Don't Make It da Plastic People. მომდევნო ჩანაწერი, We're Only In It For The Money, The Beatles-ის საკულტო ალბომის Sgt. Pepper's Lonely Hearts Club Band-ის პაროდიაა. ბიტლებს მოსწონთ. იმავე წელს ზაპა კიდევ ორ ალბომს წერს: Lumpy Gravy – საორკესტრო პიესების ახლებურ შეფასება, და Cruisin' With Ruben And The Jets – 50-იანი წლების საყვარელი სინგლების ზაპასეული რემიქები. მალე Mothers Of Invention ახალი ალბომის ჩანაწერას









ინყებს სახელწოდებით **Uncle Meat**, რომელიც თავიდან ჩაფიქრებულია როგორც ფილმის საუნდტრეკი, მაგრამ საბოლოოდ ფილმს არ იღებენ. თუმცა ეს ორდისკიანი ფირფიტა დღემდე ერთ-ერთ წარმატებულ ალბომად და იმის ნათელ მაგალითად ითვლება, თუ როგორს ხედავდა ზაპა ფიუჟენ ჯაზისა და როკის ნაზავს.

უცნაური, ფეთქებადი, ავანგარდული, გროტესკული, უხამსი, დადაისტი ზაპა ხშირად ცვლის სტილს და მას, როგორც წესი, უკვე ახალი აღმოჩენებით უბრუნდება. სტილები, ეპოქები, მიმდინარეობები და რიტმები მის მუსიკაში სინთეზირებულია, ხან განცალკევებული. ჰიპერბოლიზებული და გაღუნული სახეები – ჩვენი ეპოქის კარიკატურულ, გესლიან, სასაცილო და საშიშ პაროდიას ქმნიან. ზაპა უკრავს ყველაფერს: ფსიქოდელიიდან დაწყებული დადაისტიურ თავისუფალ ფორმამდე, ხშირად სატირისტული ტექსტებით.

1968 წლიდან, ზაპასა და მისი პროდიუსერის ჰერბ კონენის ჩამწერ სტუდიებში (**Straight** და **Bizarre Records**) მუსიკას წერენ ამერიკის ყველაზე „უცნაური“ შემსრულებლები – ჯგუფი **GTO (Girls Together Outrageously)**, ქუჩის მომღერალი „ველური ფიშერი“ (**Wild Man Fisher**), ელის კუპერი და „კაპიტანი ხარის გული“ (**Captain Beefheart**). ამ უკანასკნელის ალბომი **Trout Replica** დღემდე ზაპას პროდიუსერული ხელოვნების ეტალონად ითვლება.

პორნოგრაფიული ფილმის გადაღებისთვის ზაპას სასამართლო ათდღიან (და სამწლიან პირობით) პატიმრობას უსჯის. ზაპას პარტნიორ გოგონას უფრო ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება. ზაპა სასწრაფოდ წერს სიმღერას **Memories Of El Monte** და დუ-ბოპ ჯგუფისგან (**The Penguins**) აღებული ჰონორარით გოგონა ციხიდან გამოყავს.

1970 წელს **Mothers Of Invention** იშლება. ზაპა წერს მუსიკას ფილმისთვის **200 Motels** და თავის პირველ სოლო ალბომს **Hot Rats**. ალბომის ჩანერაში მონაწილეობენ **Captain Beefheart**, ჟან-ლიუკ პონტი და დონ ჰარისი. მუსიკალურ პრესაში ეს გამოცემა დიდ რეზონანსს იწვევს, რამდენიმე ჟურნალი მას წლის საუკეთესო ალბომადაც ასახელებს. ამის მერე იწერება **Waka Jawaka** და **Chunga's Revenge**. მალე **Mothers Of Invention** ისევ იკრიბება და ორ ახალ ალბომს უშვებს: **Live At The Fillmore East** და **Just Another Band From L.A.** კრიტიკოსებს არ მოსწონთ და ზაპას ჯგუფს საკუთარი თავის პაროდირებაში ადანაშაულებენ. ზაპა ყურადღებას არ აქცევს კრიტიკას. თუმცა 1971 წელს ფილმორ-ისტში კონცერტზე, სადაც მასთან ერთად ჯონ ლენონი და იოკო ონო გამოდიან, წარმოთქვამს სიტყვას, რომლის დედააზრიც შემდეგია: „სწორია, რომ კრეტინები კრეტინებისთვის კრეტინების მუსიკაზე რეცენზიას აკეთებენ“. ამავე კონცერტზე ზაპა და ლენონი პირველად ასრულებენ კომპოზიციებს, რომლებიც მოგვიანებით ლენონის ალბომში **Sometime In New York City** შევა. ალბომის ჩანერაში ზაპაც მონაწილეობს. იმავე წელს შვეიცარიულ კაზინო „მონტრეში“ ხანძრის დროს იწვება ჯგუფის მთელი აპარატურა (ამ მოვლენას **Deep Purple** თავისი კომპოზიციით **Smoke On The Water** უკვდავყოფს).

ბეთჰოვენისა და სტრავინსკის მსგავსად, ზაპაც განვითარების რამდენიმე პერიოდს გადის. ზაპას თავის ჯგუფში მიწვეული მუსიკოსების ნიჭის აღმოჩენისა და განვითარების საოცარი უნარი აქვს. მისი ხელიდან გამოდიან ისეთი სუპერვარსკვლავები, როგორებიც არიან ელის კუპერი და **Captain Beefheart**, ტერი ბოზიო და ჯორჯ დიუკი, ჟან-ლიუკ პონტი და რუთ ანდერვუდი. ზაპას მუსიკას დირიჟორობენ ზუბინ მეთა, პიერ ბულე და კენტ ნაგანო.

1973 წლის ალბომი **Apostrophe** მაშინდელ გამოცემებში ზაპას

ყველაზე მაღალტირიაჟიან ალბომად ითვლება. ამ მომენტიდან მისი ყოველი ალბომი კრიტიკოსების მიერ როგორც „ღირსშესანიშნავი“ ინათლება, მიუხედავად იმისა, რომ მისი მუსიკის ტექსტები ყოველთვის ცხოველი განსჯის საგანია. ინგლისში, სამეფო „ალბერტ-ჰოლში“, კონცერტი „უხამსი პროგრამის“ გამო იშლება. სპეციალისტების აზრით, ზაპას მაშინდელი მუსიკა – ბუგისა და ჰარდ-როკის ელემენტების დიდი დოზის მიუხედავად, – ბრიტანული არტ-როკ ჯგუფების ორიენტირად იქცა

ზაპაზე უამრავი წიგნია დაწერილი. აქედან ერთი – თავის მიერ, რომელიც ასე იწყება: „**მე არ მინდა წიგნის წერა, მაგრამ მაინც ვკიდებ ამ საქმეს ხელს იმიტომ, რომ Piter Occhiogrosso მზადაა დამეხმაროს. პიტერი მწერალია. მას უყვარს წიგნები. ის კითხულობს კიდევ მათ. ვფიქრობ, კარგია, რომ წიგნები ჯერ კიდევ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე კითხვისას ყოველთვის მეძინება... ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ ვაპირებ წიგნის დაწერას ისაა, რომ სხვადასხვა ენაზე ძალიან მომრავლდა ვითომ ჩემზე დაწერილი იდიოტური წიგნები. ხომ უნდა იყოს ერთი ნამდვილი! თუმცა ნუ მიიღებთ მას, როგორც ნამდვილ ამბავს. ესაა დროის გასაყვანად დაწერილი წიგნი – სხვა არაფრისთვის“.**

1977 წელს ზაპა საკუთარ ჩამწერ სტუდიას Zappa Records (ან უბრალოდ Zappa) აარსებს, საბოლოოდ ამბობს უარს ჯგუფის სახელწოდებაზე Mothers Of Invention და აქედან მოყოლებული ყველა მის კოლექტივს მხოლოდ Zappa ჰქვია. მაშინვე ზაპა წარმოჩნდება როგორც არანაყოფის ოსტატი და ეთნიკური მუსიკის შესანიშნავი სტილისტი: ზაპა მორიგ პაროდიულ ალბომს წერს KC And The Sunshine Band-ის Shake Your Body-ზე – Sheik Yerbouti. კომპოზიცია Jewish Princess ნაციონალურ სკანდალს იწვევს, Dancin' Fool კი, საერთაშორისო დისკო-ჰიტად იქცევა. დიდი პოპულარობით სარგებლობს მისი სამფირფიტაინი ალბომი Joe's Garage, სამმოქმედებიანი როკ-ოპერა, ჰიტ-სინგლით Catholic Girls..


**„არასოდეს მქონია სურვილი, ვინმეს გიჟი ვგონებოდი, მაგრამ ყოველთვის მოიძებნებოდნენ ადამიანები, ვინც მე გიჟად მთვლიდა“.**

თავისი სიდარბაისლით ცნობილმა ერთხელ სასტუმროს ნომერში ქუჩის ბოზი მიიყვანა, რომელსაც ვაგინაში წვერის საპარსი ასაქაფებელი აბი შეუდო. და როცა ქაფმა „ამოფრქვევა“ დაიწყო, ბავშვივით აღტაცებულმა ზაპამ „პატარა ვულკანი“ დაარქვა.

ბოდიში ტრაფარეტისთვის, მაგრამ მისი სახელი ლამის მითიურია – რას აღარ მიაწერენ ზაპას. ვინ იცის, აქედან რა გამონაგონია და რა – არა. ამბობენ, რომ ერთ-ერთ კონცერტის დროს ელის კუპერი მამლებს ახრჩობდა, ხოლო ზაპამ საკუთარი განავალი შეჭამა თუ სცენაზე განავლით ხელში დარბოდაო. თუმცა თვითონ მოგვიანებით უარყოფს ამ ფაქტს. ოღონდ მისთვის ჩვეული იუმორითა და ორაზროვნებით ამბატებს: **„მერწმუნეთ, სცენაზე არასოდეს მიჭამია ძლერი. და თუ მაინცდამაინც ძლერის ჭამაზე მიდგა საქმე, ამის სურვილი ერთადერთხელ გამიჩნდა, ისიც ჩრდილოეთ კაროლინაში, კერძოდ – ფეიტვლიში, Holliday Inn-ის ბუფეტში“.**

70-იანი წლების ბოლოს და 80-იანების დასაწყისში ზაპას ჯგუფში რეგულარულად უკრავს ედრიან ბელიუ (ადრე King Krimson-ის გიტარისტი) და ჯაზ-როკის დრამერი ტერი ბოზიო. 1981-ში ზაპა უშვებს სამფირფიტაინი ალბომების სერიას Shut Up'N'Play Yer Guitar, რომლის შექმნაც მხოლოდ ფოსტიტაა შესაძლებელი. ერთი წლის შემდეგ კი – ფირფიტას Ship Too Late To Save A Drowning Witch. სინგლი Valley Girl, რომელსაც ზაპას 14 წლის ქალიშვილი Moon Unit Zappa ასრულებს, ნაციონალური ჰიტი ხდება. ალბომი „მამიკოს გოგოებსა“ და შოუ-ბიზნესზე პაროდიაა. რამდენიმე აღმფოთებული მენეჯერი და ანტერპრენერი ზაპას სასამართლოშიც კი უჩივის დიფამაციისთვის (ვისიმე სახელის გასატეხი ცნობების – ნამდვილისა თუ მოგონილის – გამოქვეყნება პრესაში).

საბჭოთა კავშირში ხუთჯერ იყო, როგორც ბიზნესმენი და არა მუსიკოსი. ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რატომ სტუმრობს ის საბჭოთა კავშირს როგორც საქმოსანი, ზაპა პასუხობს: **„მე მაინტერესებს საბჭოთა კულტურა, და მე მინდა, რომ საერთაშორისო ურთიერთობები მტკიცდებოდნენ და ვითარდებოდნენ. ვფიქრობ, ჩვენს ქვეყნებს შორის თბილი ურთიერთობების დამყარება საქმიანი კონტაქტებით უფროა შესაძლებელი, ვიდრე სამთავრობო დონეზე. რაც**





**გამოგვადგება. ეს არაა მისი ფუნქცია. მუსიკა მუსიკა უნდა იყოს, საქმე – საქმე. ჩემი მოღვაწეობის ამ მხარეებს ერთმანეთში არ ვურევ“.**

1984 წელი ზაპასთვის ერთ-ერთი ყველაზე ნაყოფიერია: გამოდის ალბომი Francesco Zappa – ამერიკის კონგრესის სანოტო არქივში ნაპოვნი, XVIII საუკუნის კომპოზიტორის ფრანჩესკო ზაპას მუსიკა; იწერება Them Or Us – მისი ერთ-ერთი საუკეთესო ჩანაწერი; ცნობილი ფრანგი დირიჟორი და კომპოზიტორი პიერ ბულე ზაპას მუსიკის საორკესტრო ვერსიას აკეთებს; ბროდვეის „აიდას“ პაროდიას – ალბომს Thing-Fish კრიტიკოსები რასისტულად ნათლავენ, თუმცა აღნიშნავენ ჰარმონიისა და რიტმის სფეროში გაკეთებულ აღმოჩენებს.

1991 წელს ზაპა ზრდილობიან, თუმცა მტკიცე უარს ამბობს ვაცლავ ჰაველის წინადადებაზე. ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტი მუსიკოსს ქვეყნის კულტურის სამინისტროში კონსულტანტის პოსტს სთავაზობს. იმავე წელს ზაპა ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე აკეთებს განაცხადს, რის გამოც ლანძღვა-გინებით სავსე წერილებს აყრიან და ფიზიკური განადგურებით ემუქრებიან. ნოემბერში ამერიკის წამყვანი გამოცემები ზაპას ისტორიულ მნიშვნელობას აღიარებენ, New York Times ზაპას როკის ყველაზე სრულყოფილ კერპად და კლასიკოსად ასახელებს და მუსიკის განვითარებაში დიუკ ელინგტონს უთანაბრებს. იმავე დღეებში ზაპას ქალიშვილი Moon Unit ოფიციალურად აცხადებს, რომ მამას პროსტატის კიბო აქვს.

**„რამდენიმე წლის წინ ჩემს ფასეულობათა სისტემაში გიტარას მეცხრე ადგილი ეკავა. ახლა იმავე სისტემაში უფრო დაბალი ადგილი ვეღარ მომიძებნია. წელიწადზე მეტია გიტარისთვის ხელი არ დამიკარებია“.**

**შეეხება ჩემს ანაზღაურებას ამ დახმარებისთვის, ის სრულიად უმნიშვნელოა. ეს ფული იმაზეც კი არ მყოფნის, რომ თვითმფრინავის ბილეთი ვიყიდო... თუმცა მე მაქვს მოსკოვში ჩამოსაფრენი ბილეთის ფული. სამაგიეროდ მე არ მყავს მაიმუნი... ლამა... და მე არ მძინავს კამერაში, როგორც მაიკლ ჯექსონს“.**

ზაპას გაუთავებლად აკრიტიკებენ და ლანძღავენ, მაგრამ როცა სჭირდებათ, დახმარებისთვის სწორედ მას მიმართავენ, და ისიც ივინყებს მუსიკას, იცვამს კოსტიუმს, იკეთებს ჰალსტუხს და ირგებს შეშლილი ბიზნესმენისა და აშშ-სა და საბჭოთა კავშირის შორის მშვიდობის ელჩის ნიღაბს. **„ვფიქრობ, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობების გასამყარებლად მუსიკა არ**

1992 წელს თავის უკანასკნელ კონცერტს (ალბომი Yellow Shark), რომელსაც ვენის, ბერლინისა და ფრანკფურტის ფილარმონიებში Ensemble Modern ასრულებს, ზაპა მხოლოდ როგორც მსენელი ესწრება.

1993 წლის მაისში ზაპა ქიმიოთერაპიის კურსს გადის, მაგრამ უშედეგოდ. 4 დეკემბერს დიდი მუსიკოსი და ფილოსოფოსი, მოუსვენარი ცინიკოსი და საზოგადოების სხეულში შერჭობილი ხიჭვი – ფრენკ ზაპა კვდება. დღეს მისი ყველა ალბომი ციფრულ ფორმატშია გამოცემული, დაბეჭდილია აქამდე გამოუქვეყნებელი სინგლების უამრავი კრებული, შედგენილია მისი შემოქმედების ათეულობით ანთოლოგია, დაწერილია უამრავი ბიოგრაფია და მისი მუსიკისა და პოეზიის მრავალტომიანი კვლევები.



საქართველო-ღვინის აკადემია



თამადა



# (or wel i wadSi ) er Txel fl or enci aSi

geTi maWavar i ani

10. Однако то, что о святой стране  
Я мог скопить, в душе оберегая,  
Предметом песни воспослужит мне.  
Алигьери Данте, Божественная комедия  
РАЙ, ПЕСНЬ ПЕРВАЯ  
Перевод: М. Лозинский

Nasce, Natale, Rinascimento - დაბადება, შობა, აღორძინება - ამ სიტყვებს ხშირად შეხვდებით იტალიაში, განსაკუთრებით ფლორენციაში და მით უმეტეს შობის მოლოდინში.

შობას ფლორენციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფლორენცია რენესანსის-Rinascimento-ს სამშობლოა. და შესაბამისად, ჯოტოს, დანტეს, სავონარ ოლას, მედიჩების, მაკიაველის, ბრუნელესკის, მიქელანჯელოს, ბოტიჩელის ქალაქია.

Ufficis გალერეა, სანდრო ბოტიჩელი “ვენერას დაბადება”.

აკადემიის გალერეა, მიქელანჯელო დავითი.

ორი მშვენიერი ფიგურა შორეულ შუასაუკუნეებში ახალი ეპოქის სიმბოლოდ იქცა. დასრულდა გოთური სპირიტუალიზმის ხანა და დაიწყო ადამიანური ვნებების ერა.

forteca და basso, Kkerol foiermani კატალინა”.


ფლორენცია ძველებურად ახალი სიმბოლოებისა და სახელების დაბადების ადგილია, უკვე მეხუთედ. თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბიენალე – ასე უწოდებენ გრანდიოზულ შეკრებას, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ ფლორენციის ისედაც ტურისტებით გადაჭედებულ ქუჩებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან ჩამოსული მხატვრებით, მოქანდაკეებით და მედია-არტისტებით ავსებს.

წელს ბიენალეს 72 ქვეყნიდან 768 ხელოვანი ესტუმრა და მათი ნამუშევრები რამდენიმე კატეგორიად განაწილდა: ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, შერეული მედიები, ინსტალაციები, ფოტოგრაფია და ციფრული ხელოვნება.

შესაძლოა ვინმემ იკითხოს – რატომ ფლორენცია, ყველაზე ისტორიული ადგილი ხელოვნებაში და არა რომელიმე მეგაპოლისი, ცათამბჯენებითა და შუშის ესთეტიკით?..

მაგრამ ფლორენციაში ხვდები, რომ ქალაქი დღესაც თანამედროვეა, ისევე როგორც საუკუნეების წინ. 2005 წლის დეკემბრის ფლორენციაში ყველაზე პოპულარული სამუშაო სიბრტყე, ტილოსა ან კედლის ნაცვლად, ქუჩებში მიმოფანტული ძროხის ფიგურები იყო...

ბიენალე გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ერთად ეროვნებათა შორის დიალოგის მონაწილეა. ბიენალეს იდეოლო-



გიას თანამედროვე პრობლემები განაპირობებს. ნამუშევართა დიდი ნაწილი ტერორიზმის, რელიგიური შეუწყნარებლობისა და ემიგრანტების თემატიკას ეთმობა. ერთ-ერთი ყველაზე თვალშისაცემი ექსპონატი შვეიცარიელი დანიელა დე მადალენას "ტ"ს ჩჰრისტიმას ტიმე" – იარაღიანი და ნიღბიანი მოცეკვავე სანტაკ-ლაუსები იყო. შვეიცარიელ არტისტს შერეული მედიებისა და ინსტალაციების კატეგორიაში პირველი პრემია გადაეცა.

უფიცის ან პიტის გალერეაში, სანტა კროჩეს ან სანტა მარია დელ ფიორეს ფრესკებზე ემოციებისა და ვნებების მთელი სამყაროა – მიქელანჯელოს ქვებთან მეტროლი მონების მოუთოკავი ენერგია, ჯვარცმული იესოს ადამიანური განცდები და ღვთისმშობლის ჩუმი სევდა. ფორტეცა დე ბასოში, ბიენალეზე, ახალი სახეები, ახალი ტიპილები გამოჩნდა. აღმოსავლეთი და დასავლეთი, ისლამი და ქრისტიანობა, ჩადრში გახვეული და გაშიშვლებული ქალები, პატარა კამიკაძის ცრემლიანი თვალები... გლობალური პრობლემების გვერდით, საინტერესო ინტერპრეტაციებითა და მხიარული სახელწოდებებით, მასკულტურის მონინალმდეგეებიც იპყრობდნენ ყურადღებას – *The New Year Burger*, *Mac Donna 11*...

ლინასციმენტო-ს სამშობლოში ახალი ტექნოლოგიებიც გამოჩნდა. ფერწერისა და სკულპტურის გვერდით ახალმა მედიებმა და ინსტალაციებმა მოიპოვეს ადგილი. სახელწოდებებშიც ახალი ტერმინოლოგია დამკვიდრდა:—*Digital Chat*, *Low Times*.

88. Отсюда чуждый луч назад бежит,  
Как цвет, отосланный обратно в око  
Стеклом, когда за ним свинец укрыт

Алигьери Данте, Божественная комедия  
РАЙ, ПЕСНЬ ВТОРАЯ

ბიენალეზე მოხვედრამდე ფლორენციის ქუჩებში გავლა არც კი მიცდია, დრო ცოტა იყო, ფლორენციას და მის უძველეს ბინადრებს კი დიდი დრო, ენერგია და ემოცია მიაქვთ. და მაინც, აქ ყველაფრის დასაწყისი და დასასრული მიქელანჯელოა. მედიჩების კაპელა სან ლორენცოს ტაძარში – აბსტრაქციის ვიზუალიზაცია: "დღე და ღამე, აისი და დაისი. მამაკაცურ-ქალური სანყისების დაუვინყარი პლასტიკა. მერე იყო აკადემიის გალერეა, როცა ხელოვნების სახელმძღვანელოში ამოჩემებული ფიგურები ცოცხლდება და მარმარილოს გიგანტების ენერგიას ხალხის მასასთან ერთად სადღაც მიჰყავხარ, უზარმაზარი დარბაზის რომელიმე კუთხეში, სუნთქვის მოსანესიგებლად, მზერის მიმართულების შესაცვლელად. და მერე თავიდან უბრუნდები "აჯანყებულ მონებს" და "დავითთან" ჩერდები და ისევ...

ბიენალეზე ...სკულპტურას ცალკე ნომინაცია ეთმობოდა. ბევრი იყო ძიება – ახალი ფორმები, მასალები, ფერები, იდეები. იყო სივრცის ახლებური ათვისების მცდელობა. მაგრამ ექსპოზიციიდან გამოსულს მაინც მიქელანჯელოს ალუზიები გიბრუნდება..

ფლორენცია მედიჩების – დიდი მეცენატების, არქიტექტორებისა და პოლიტიკოსების ქალაქია. თითქმის ყოველი შენობა, ყოველი ნივთი მათთან არის დაკავშირებული – მედიჩების სასახლე, მედიჩების კაპელა... ბიენალეს მთავარი პრიზი – *Lorenzo il Magnifico*- ლორენცო მედიჩის სახელს ატარებს.

მედიჩების ტრადიციების გამგრძელებლებს აფასებენ. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისი განსხვავებული ექსპრესიებისა და შთაბეჭდილებების (*Impression*) ეპოქაა. ახლა დიზაინერთა (თანამედროვე მხატვართა) შთაგონების საგნებიც განსხვავებულია

და მწარმოებლებიც (ძველი არქიტექტორებიც) სხვა მასშტაბებით აზროვნებენ. წელს ლორენცო დიდებულის პრესტიჟული ჯილდო *Harley-Davidson*-ს გადაეცა – მოტოციკლეტების წარმოების სფეროში გამოჩენილი ტალანტისა და ცხოვრების ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე გამოხატულების უწყვეტი ტექნოლოგიური განვითარებისათვის.

და მაინც, ფლორენცია კათოლიკური სამყაროს ცენტრია. აქ შეუძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს ვატიკანი, პაპი. ბიენალეს ექსპონატთა შორის მრავლად იყო ტრადიციული რელიგიური ესთეტიკით შექმნილი ნამუშევრები, მათ შორის იოანე პავლე II -ს პორტეტები. *Lorenzo il Magnifico*-ს საპატიო ჯილდო „წარსულის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენისათვის გაღებული ღვანლისთვის“ ვატიკანის მუზეუმის ლაბორატორიას გადაეცა.

ფლორენცია დიდი სახელების ქალაქია. ცნობილ მხატვრებს მესუთე ბიენალეც მასპინძინძლობდა. *Lorenzo il Magnifico*-ს საპატიო ჯილდო ქრისტოსა და ჟან-კლოდს და რიჩარდ ანუშკევიჩს გადაეცათ „შემოქმედებით კარიერაში დიდი მიღწევებისათვის“.

ბიენალე დასრულდა, დაჯილდოვების ცერემონიალიც გაიმართა, პრიზებიც დარიგდა, იდეები და ნოვაციები გაიცავლა. ახალი ფიგურებიც გამოჩნდა, ალბათ მომავლის მიმართულებებიც გამოიკვეთა. ჩემს მესხიერებას ერთი არტისტი შემორჩა, უცნაური, საკუთარი თავის ქალის რენტგენოგრაფის ქვეშ ფეხმორთხმით მჯდომი, უამრავ პატარა ფერად ფურცლებს შორის. ერთი პატარა ფურცელი მეც შემხვდა, თქვენც გინანილებთ (ჩემეული თარგმანით). ვფიქრობ, თუ ბიენალეს ვიზუალურმა ტალღებმა მთელი სიმძლავრით ვერ მოაღწია თქვენამდე, ეს პატარა ტექსტუალური ნაკადი საკმარისი იქნება ამ დღეების ღრმა წვდომისათვის:

stabilur obis drekadi fiqsacia

ჩემი ნაწარმოები საოცარი ნამუშევარია, რადგან ავადმყოფ ადამიანს ეკუთვნის, რომლის რეალური მდგომარეობა ხელოვნებაზე ფიქრის საშუალებას არ უნდა იძლეოდეს. მედიცინის სამყარო საოცრებაა, ტვინის ტრავმით, რომელიც მე გადავიტანე, 100 ადამიანიდან 96 იღუპება და მხოლოდ 4 ცოცხლობს, თუმცა მხოლოდ კლინიკის პირობებში.

ჩემი ხელოვნებით მინდა გითხრათ ადამიანებს — ნებისმიერი განსაცდელის ჟამს არასოდეს დანებდეთ! გმადლობთ, თქვენი ჟერომ პერსონი... ..

7. Но предо мной видение предстало  
И к созерцанию так меня влекло,  
Что речь забылась и не прозвучала...

Алигьери Данте, Божественная комедия  
РАЙ, ПЕСНЬ ТРЕТЬЯ



P.S. ნოსტალგიით შეპყრობილი, ყველა ქართველის მსგავსად, ფლორენციის ხელოვნების საერთაშორისო ბიენალეზე, მეც მშობლიური კვალის ძიებას შევუდექი და აღმოვაჩინე. წარსულში მონაწილე მხატვართა სიაში ორი ქართული გვარი ამოვიკითხე – მედეა კეიღა და გიორგი ხუბუნაშვილი. და ცნობისმოყვარეობა – თუ პატივმოყვარეობადაოკებულმა საქართველოს კულტურულ სივრცეში მათი მოღვაწეობის კვლევა სამშობლოში დაბრუნებამდე გადავდე.






0000312

32 ნაჭი



022



# art kavkasia 2005

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების თანამედროვე ხელოვნების წარმომადგენელთა მორიგი, რიგით მეორე პროექტი შედგა...

საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა (მხოლოდ ექსპერტებით წარმოდგენილი), თურქეთი, საბერძნეთი, აშშ, საფრანგეთი, იტალია — ეს იმ ქვეყნების ჩამონათვლია, რომელთა წარმომადგენლებმაც ოქტომბრის დასაწყისში თავი სავაჭრო ცენტრ „ჯი-თი-სი“-ში, „ბამბის რიგებში“, „ხელოვნების ნაციონალურ ცენტრში“ მოიყარეს და საზოგადოებას „არტ კავკასია-2005“-ის საკმაოდ საინტერესო სანახაობა შესთავაზეს.


„თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების საერთაშორისო კონვენციის“ მონაწილეები, ხუთი დღის განმავლობაში 5-დან 9 ოქტომბრამდე, შეეცადნენ ვიზუალური ხელოვნების ექსპოსთვის, აქტუალური ხელოვნების პროექტების პრეზენტაციები ჩაენაცვლებინათ და თანაც,

საერთაშორისო კონფერენცია – „სტერეოტიპებს მიღმა“ მოეწყოთ. სხვათა შორის, ამ ბოლო აქციამ საკმაოდ საინტერესო და ცხარე დისკუსიაში ჩაიარა. თუმცა კავკასიის რეგიონში თანამეროვე არტ-ბაზარი, სწორედ ასეთი დისკუსიების და აზრთა გაცვლის შემდეგ თუ ჩამოყალიბდება.

„არტ კავკასია-2005“-ის ამ სამი ძირითადი შემადგენელი ნაწილის გარდა, პროექტის ფარგლებში კიდევ ერთი საინტერესო ნამონყების მომსწრენი გავხდით - „ჯი-თი-სი“-ში პირველი საერთაშორისო არტ-ჟურნალის – „ლუპი“ პრეზენტაცია შედგა. ჟურნალში სამხრეთ კავკასიის წარმომადგენელთა გარდა, უცხოელი ექსპერტებისა და კრიტიკოსების მასალება განთავსებული...

...ახლა, არტ კავკასიის ოფისში შედარებით სიმშვიდეა. თუ არ ჩავთვლით იმ საქმიან ფუსფუსს, რაც „არტ კავკასია — 2006“-ის მოსამზადებელ პერიოდს უკავშირდება და კიდევ იმ სიურპრიზებს, რომელსაც არტ კავკასიის ბორდი, მთელი წლის განმავლობაში გპირდებათ.

Art Caucasus 2005



პატარა SAN GU KO-ს დიდი პროექტები

SAN GU KO FILM STUDIO თავისი ექსტეზიანი არსებობის მანძილზე უკვე 10 მოკლემეტრაჟიან ფილმს ითვლის. სამომავლო გეგმების არასრული ჩამონათვალი კი ასეთია: გიო მგელაძის, გიორგი მასხარაშვილის, ანიკო ქავთარაძის, ზაზა კოლელიშვილის და etc. ფილმები.

მოსკოვში მცხოვრები ქართველი რეჟისორის ვანო ბურდულის ახალი ფილმი, რომელიც კორტასარის "გრაფიტის" მიხედვითაა გადაღებული, უკვე მონტაჟის პროცესშია. ფილმი (სამუშაო სახელწოდებით "ჯერ კიდევ არაფერი არ წაშლილა") კინოფიზიკა, ქრონომეტრაჟი – 20 წუთი.

რეჟისორი: ვანო ბურდული  
სცენარის ავტორი: ვანო ბურდული  
ოპერატორი: გოგა დევედარიანი  
მხატვარი: კოტე ტატიშვილი  
მთავარ როლებში: ნანკა კალატოზიშვილი, გიორგი ნაკაშიძე

+++

დიტო ცინცაძის ქართულ-გერმანული წარმოების ფილმს კი (სამუშაო სახელწოდებით "ერთი კაცი საელჩოდან") დასრულებამდე მხოლოდ გახმოვანება აღა უკლია და მისი ნახვა სავარაუდოდ მარტში იქნება შესაძლებელი. მანამდე კი, მხოლოდ "ანაბეჭდის" მკითხველისთვის, ფოტორეპორტაჟი გადასაღები მოედნიდან.

რეჟისორი: დიტო ცინცაძე  
სცენარის ავტორი: დიტო ცინცაძე, ზაზა რუსაძე  
ოპერატორი: ბენედიქტ ნოინ ფელსი  
მთავარ როლებში: ლიკა მარტინოვა, ბურგარტ კლაუსნერი

to be continued





# qar Tvel i bar di s avTo Sar vaZi s al bomi gamoce mi s Tvi s sponso r s el odeba

l a S a g a b u n i a



ქართული ჩანაწერები

ქართველი მომღერლისა და ბარდის, ავთო შარვაძის, ჯერ არგამოსული კომპაქტ-დისკი, რომელსაც სტუდია „ქართული ჩანაწერები“ მალე გამოსცემს, უიშვიათესი ჩანაწერია. მას თავად ავტორი ველარ მოესწრო. სამწუხაროდ, ავთო შარვაძე წელს, ზაფხულში, გარდაიცვალა. ალბომი უკვე მზადაა გამოსაცემად. ამ ალბომამდე მომღერლის აუდიოჩანაწერი, პრაქტიკულად, არ არსებობდა.

ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ პოპულარულია ქალაქური სიმღერა, რომელიც ყოველთვის მრავალხმიანია. ქალაქური სიმღერა და მისი ერთგვარი „ნათესავი“ – ქართული ბარდ-მუსიკა – თავდაპირველად მომღერალ ოჯახებში ჩაისახა. ჩვენი თანამედროვე მუსიკისთვის უცხო არ არის ერთხმიანი ბარდ-მუსიკა, რომელსაც მხოლოდ ქართული, გამორჩეული ხელწერა აქვს და ავთო შარვაძეც გიტარის ქვეშ სწორედ ამ მუსიკალური ხასიათის სიმღერებს მღეროდა. მის ქმნილებებს ბევრი სხვა ცნობილი ქართველი მუსიკოსიც ასრულებდა. სტუდია „ქართულმა ჩანაწერებმა“ მოახერხა, ჩაენერა უნიკალური ალბომი, სადაც ავთო შარვაძე თავად ასრულებს საკუთარ სიმღერებს.

**გიორგი ასანიშვილი („ქართული ჩანაწერები“):** „ბატონი ავთო შარვაძე ჩვენი მეგობრის მამა გახლდათ. მას მთელი თბილისი იცნობდა როგორც საუკეთესო სიმღერების ავტორს, თუმცა ის ჩვენთვის უფრო ახლობელი ადამიანი იყო. სიმღერების ჩანერის იდეა დაახლოებით 3 წლის წინ გაგვიჩნდა და საქმეს შევუდექით. გადავწყვიტეთ, რომ თავად ბატონი ავთო საკუთარ სიმღერებს ყველაზე უკეთ შეასრულებდა, მათ შინაარსს უფრო კარგად გადმოსცემდა. მუსიკალური არანჟირება, გაორკესტრება და ე. წ. „სტრინგების“ დადება იმთავითვე გამოვრიცხეთ. ბარდის სიმღერებს ასეთი რამ არ უხდება, ამიტომ მთელი ალბომი მხოლოდ გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით არის ჩანერილი, ანუ როგორც დაინერა, ზუსტად იმავე ფორმით შესრულდა. მომღერალი სტუდიაში მოდიოდა და თავის ემოციებს დებდა სიმღერებში. ეს ალბომი უნიკალურია რამდენიმე მიზეზის გამო: პირველ რიგში, ის მომღერლის ერთადერთი ჩანაწერია. მანამდე მისი სიმღერები არავის ჩაუწერია. მეორეც, ალბომი არ არის „შეურაცხყოფილი“ არანჟირებებით. ის ზუსტად ისეთია, როგორიც უნდა იყოს – ბატონი ავთო უკრავს გიტარაზე და თავად მღერის.

დისკს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვიწერდით. ბატონი ავთო სტუდიაში ასე ადვილად „შემოსატყუებელი“ კაცი არ იყო. ძალიან თავისუფალი პიროვნება გახლდათ და რომ ვიბარებდით, ხან მოდიოდა, ხანაც – არა. ზოგჯერ კი ისეთ მდგომარეობაში იყო, ვერ ვწერდით და ამიტომ ეს პროცესი დიდხანს გაინელა. სამწუხაროდ, დღემდე სპონსორს ველოდებით, რომ მომღერლის ოჯახმა დისკიდან კუთვნილი ანაზღაურება მიიღოს და ჩვენც მოვახერხოთ მისი გამოცემა. კომპანია ალბომიდან დიდ ფინანსურ მოგებას ნამდვილად არ ელის. დიდი სურვილი გვაქვს, კომპაქტ-დისკი გამოვიდეს. ჩვენმა

შვილებმა და შვილიშვილებმა უნდა იამაყონ, რომ ასეთი მომღერალი გვყავდა. ეს თუ არ მოხდა, ავთო შარვაძის შემოქმედება დაიფანტება და მერე შეიძლება, ისინი ხალხური სიმღერები ეგონოთ. ალბომი ყველანაირად მზადაა გამოსაცემად, უბრალოდ, სპონსორს ველოდებით, რომ დისკიც გამოვცეთ და კლიპიც გადავიღოთ. ისე გადავიღოთ, როგორც ავთო შარვაძის ღირსებას ეკადრება. იმედი გვაქვს, საქართველოში კიდევ დარჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ასეთი მუსიკის დაფინანსებას ითავებენ“.

**გიორგი გაჩეჩილაძე (რადიო „უცნობი FM“-ის ხელმძღვანელი):** „ეს უნიჭიერესი და ულამაზესი ადამიანი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, მედიაში არავის არაფერი უთქვამს, რაც ჩვენთვის ძალიან მტკივნეულია. ამ ალბომის გამოცემით დიდი სურვილი გვაქვს, გავიხსენოთ და დავაფასოთ ავთო შარვაძე, როგორც მას და მის შემოქმედებას ეკადრება. ეს არის ჩვენს სტუდიაში გაკეთებული მისი უკანასკნელი ჩანაწერები. რაც შეგვეძლო, ძალი და ღონე არ დავიშურეთ, რომ ღირსეული ჩანაწერი გაკეთებულიყო. ჩვენი რადიოს აზრით, ალბომი ქართული შემოქმედების ერთ-ერთი შედეგია. ბედნიერი ადამიანი ვარ და, საერთოდ, ყველანი ბედნიერები ვართ, რომ შევძელით, ავთო შარვაძის სიცოცხლის ბოლოს მისი შემოქმედება ჩაგვეწერა. სამწუხაროდ, მანამდე არავის გახსენებია, ეს ადამიანი ჩვენ გვერდით რომ ცხოვრობდა. მალე ქართველი მსმენელი აუცილებლად მოისმენს ამ ალბომს და შემოქმედის უმესანიშნავეს სიმღერებს“.

ალბომში შესულია ავთო შარვაძის 15 საუკეთესო სიმღერა, რომელთაც ის გამორჩეული გრძნობით ასრულებს. სიმღერა „გიორგობისთვეში“ მომღერალი ხან ტირის, ხანაც იცინის. ვისაც ერთხელ მანაც მოუსმენია ავთო შარვაძისთვის, ალბათ დამეთანხმება, ჩვენს სცენაზე იშვიათია ისეთი შემსრულებელი, რომელსაც ასე ემოციურად, ზოგჯერ ზედმეტად ემოციურად, შეუძლია სიმღერა. სევდიანი სიმღერების გვერდით, ზოგიერთ მათგანში მომღერალი ხშირად ხუმრობს კიდევ. ალბომში მისი ბევრი ჰიტი, ყველასთვის ცნობილი სიმღერებიც ჟღერს, თუნდაც: „ნითელფეხება მტრედებო“, „ახალი წლის ღამე“, „შემოდგომა“, „მიყვარხარ, თამუნია“ და სხვა.

ავთო შარვაძის ალბომი ნამდვილად კარგი საჩუქარი იქნება მათთვის, ვისაც ქართული ქალაქური სიმღერა და ბარდ-მუსიკა მოსწონს. ვფიქრობ, ის არ არის განკუთვნილი მხოლოდ კონკრეტული თაობისთვის. მას ახალი თაობაც სიამოვნებით მოუსმენს.



# AWORD

დროს  
გასაკეთო  
ინვესტიციას

მცხეთის ქ. 19/21

ტელ.: +995 32 25-18-63

+995 32 25-18-63

ფაქსი: +995 32 25-18-64

ელ-ფოსტა: [aword@aword.ge](mailto:aword@aword.ge)



საინვესტიციო კომპანია

1. სად ხვდებით ხოლმე ახალ წელს?

2. 31 დეკემბერი ვერ წარმოგიდგინია...

3. თუ გაქვთ რაიმე რიტუალი, რომელსაც ყოველ ახალ წელს და ბედობაზე ასრულებთ?

4. განვლილ წელს მე...

5. 2006 წელს ვაპირებ...



ნინო ქორიძე



მიშა მესხი

1. სახლში
2. ოჯახის და მეგობრების გარეშე.
3. Мы с девочками идем в баню და ბედობაზე ირკა კავილაძესთან.
4. გავიზარდე?) რალაც ჩემს თავს ვერ ვცნობ :))) (как не странно)
5. გამდიდრება :
6. მექნება.
7. იყო რა :)
8. ბევრ ადგილას მეგობრებთან ერთად. მაგრა.
9. ხლაპუშკები.
10. ნაძვის ხე.
11. სანტა კლაუსი.
12. 31 დეკემბერი.
13. არ მახსოვს.
14. მძიმე.
15. პიონერთა სასახლე, მთავრობის სახლი.
16. იყოს სადაც არის.
17. ჩხუბის გარეშე

1. სადაც დამეწევა
2. ნაძვის ხის გარეშე
3. რიტანტალი მაქვს
4. ვიყავი ყარაბაღში
5. ГУЛЯТЬ
6. 2001 წლის ახალი წლის ღამე, როდესაც ნინო ორდენიძემ გაიმარჯვა მალაიზიაში. რთულმხიარულმოგზაურგიჟურქუდულ-გაუჩერებელგანელილ
8. კოსმოსში
- კოსმოსასთან ერთად
- კოსმიურად
9. მაცუნები
10. ბუბლიკი და კადილაკი
11. ასლან ბაბუ
12. 29 თებერვალი
13. ....
14. ჩემი ახალი წლის პირველი დილა იწყება 1 აპრილს
15. პარლამენტში
16. მე ვტოვებ
17. ვრავალჟამურის (სტილი დაცულია)

6. ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წლის ღამე მქონდა...

8. ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს, ახალ წელს გავატარებდი სად? ვისთან ერთად? როგორ?

10. ნაძვის ხე, თუ ჩიჩილაკი?

12. 31 დეკემბერი, თუ 14 იანვარი?

14. როგორია ხოლმე თქვენთვის ახალი წლის პირველი დილა(ანუ პირველი იანვარი)?

16. 31 დეკემბრის ნაცვლად, ახალ წელს, რომელი თვის, რომელ რიცხვში გადაიტანდით?

7. ერთი სიტყვით დაახასიათეთ განვლილი წელი?

9. თუ გიქმნით რაიმე დისკომფორტს ახალ წელს?

11. თოვლის პაპა, თუ სანტა კლაუსი?

13. ახალი წლის ღამის საუნდტრეკი თქვენთვის...

15. ბავშვობაში სად დადიოდით ხოლმე ახალი წლის ზეიმზე?

17. რის გარეშეა თქვენთვის წარმოუდგენელი ქართული ახალი წელი?





ლევან დობორჯგინიძე

1. ოჯახში
2. ნატვრის გარეშე
3. არა
4. არასოდეს დავივინყებ
5. მუშაობას
6. ბავშობაში
7. თავგადასავლიანი
8. გემზე.
- მეგობრებთან
- გემრიელად
9. სხვების სიმთვრალე
10. ორივე
11. პაპა
12. 31 დეკემბერი.
13. ...
14. ბუნდოვანი
15. თეატრში
16. დავტოვებდი
17. ღვინის გარეშე




სალომე ხელაშვილი

1. 12 საათს ტრადიციულად სახლში და მერე გააჩნია განწყობას
2. საჩუქრების გარეშე
3. ...არა
4. მიმიჩნიეს საქართველოში ყველაზე ლამაზ ქალად
5. არ ვგეგმავ წინასწარ. ყველაფერ კარგს
6. ვერ გამოვარჩევ...ყველა
7. ჩემთვის წარმატებული
8. აზიაში
- .....
- ჩემთვის საუკეთესოდ
9. ვერაფერი
10. ნაძვის ხე
11. პაპა კლაუსი
12. ორივე ერთნაირად
13. ყოველ წელს სხვადასხვა
14. გადასარევი. ძირითადად ძილში ვატარებ
15. არსად
16. არ შევცვლიდი
17. ჩემს გარეშე.)



ლიკა ლაბაძე

1. ჯერ სახლში და შემდეგ მეგობრებთან ერთად
2. ჩემი დაბადების დღეს და 35გრაფუსით თბილისში
3. ახალ წელს 12 საათზე ღამით აუცილებლად მეტირება.ბედობაზე უკვე ოპერაში რეპეტიციები მაქვს ასე, რომ მთელი წელი სპექტაკლები მეხედება.
4. ვემშვიდობები და ვაბარებ წარსულს
5. 2006 წელში გადავივიარ(ისე როგორც ყოველ წელს) ახალი იმედებით,მოლოდინით გავაკეთო მაქსიმალურად მეტი რაც შემიძლია,რასაც მინდა მივალწიო, ვიცხოვრო მაქსიმალურად სწორად და სასიამოვნოდ სხვებისთვის და ჩემთვის
6. როდესაც პატარამ პირველად გავაანალიზე „ვითომ“ თოვლის პაპას არსებობა და მთელი ღამე მოლოდინში გატარებულს დილის 7–ზე უიმედოდ ჩამეძინა, დილას კი მაინც ის საჩუქარი დამხვდა ბალიშის ქვეშ რომელზეც მთელი არსებით ვოცნებობდი
7. ბევრად გავიზარდე ვიდრე შარშან და დიდი სათვალის ტარებას შევეჩვიე
8. ახალ წელს მართლა რომ არსებობდეს სანტა-კლაუსთან გავატარებდი და ყველა პატარას თავის სურვილს ავუსრულებდი
9. არაფერი
10. ნაძვის ხე
11. საქართველოში თოვლის პაპა, სხვაგან სანტა
12. მაინც 31 დეკემბერი, ალბათ შეჩვეული ვარ
13. .MARRY CHRISTMAS
14. ვიღვიძებ საღამოს, მტკივა თავი და ძალიან დაღლილი ვარ, ვულოცავ ყველას ვინც გამახსენდება
15. მეთვითონ გამოვდიოდი ბასტი-ბუბუს საახალწლო კონცერტებზე
16. ალბათ არცერთ დღეს,დავტოვებდი 31 დეკემბერს
17. საპრეზიდენტო მილოცვის და ბევრი გართობის გარეშე






ქეთუთა ალექსი-მესხიშვილი





ტუსია ბერიძე



1. ადრე სხვადასხვა ქალაქებში. წელს რამოდენიმე ახლო მეგობართან სახლში მყოფდროდ.
2. რომ რამე შეიცვალოს
3. ისედაც იმხელა რიტუალია ახალი წელი ჩემი დახმარება არ ჭირდება.
4. მე გადავწყვიტე, რომ არ მოვკვდებოდი.
5. ტრანსცენდენტული მედიტაციის გასინჯვას. გავიგე ლინჩი აკეთებს.
6. ყველაზე დასამახსოვრებელი ახალი წლის ღამე მქონდა ნიუ-ორლეანში, რომელიც ენერგიით თბილისს გავს და სანამ ჩაიძირებოდა ერთ ადგილას ვიყავით **MORGUE** ერქვა და ნახმარი კუბო ედგათ და ყველაზე **dark** ოლონდ საცეკვაო მუსიკას უკრავდნენ.
7. light
8. მექსიკაში ვინც ეხლა ავად არის წყნარად
9. აქ იციან დროსტარების ორგანიზაცია.
10. ჩიჩილაკი
11. სანტა კლაუსი ეს დღეები ანტიდეპრესანტებს სვამს "ალარავის სჯერა ჩემიო", ისე რომ სანტას დაუჭერდი მხარს.
12. ორივე
13. George Michael "Freedom", Elton John "Daniel", Shinead Oconor "Nothing compares to you", Gang Gang Dance
14. ცუდი
15. არ მახსოვს
16. არ გადავიტანდი
17. სიყვარულის

1. სადაც მომიწევს. ყოველთვის სადმე სახლში ვხვდები, თბილისში მშობლებთან. თბილისის გარეთ მეგობრებთან.წელს მემგონი პირველად მომიწევს დაწესებულებაში შეხვედრა... ბერლინის სახალხო თეატრში ლეპტოპის წინ.
2. წამომიდგენია :) ყველაფერი. არაფრის მოლოდინი არ მაქვს
3. ჩემი საკუთარი არა.რასაც მთელი ცხოვრება ვუყურებ, იმას ვასრულებ მეც
4. ისევე როგორც ყოველ წელს... კიდევ უფრო დიდი გოგო გავხდები)
5. გეგმები დღიდან დღემდეც კი არა მაქვს
6. არ მახსენდება, ესეიგი არაფრით არ გამოირჩევა. ყველა ერთნაირია. არაფერი არ იცვლება ირგვლივ. არაფერი არ ჩერდება და არ ჩქარდება, შეიძლება მარტო რაც იზრდება დრო ჩქარდება შენთვის, ან სამწუხაროდ ადამიანები გაკლდება ან გემატება. კიდევ უფრო საგიჟეთი ხდება სამყარო და კიდევ უფრო აღარ გაქვს მომავლის იმედი. და ალბათ ამის გამო ცოტა რკინის ადამიანი ხდები, ცოტა შეუღწვეველი და უხეში, მაგრამ მეორეს მხრივ კარგია იმისთვის რომ მომავალში არ ხედავდე გამოსავალს და ამ წამს მოასწრო ყველაფერი ის რაც გსურს შენთვის და სხვებისთვის.
7. ....
8. ....
9. დაბადების დღესავით თარიღია ცოტა. ცუდ ხასიათზე ვარ ხოლმე და ყველა მეცოდება. განსაკუთრებით ისინი ვინც ცდილობენ რომ ამ ჩვეულებრივი დღიდან ზეიმი შექმნან. ძირითადად ფიასკოა. წელს მე უნდა ვიყო ამ როლში. ამიტომ შევეცდები რაც შეიძლება სა-

- პირისპირო განწყობა შევექმნა, იქნებ მართლა ზეიმი გამოვიდეს.
10. ნაძვის ხე.
11. სანტა კლაუსი.
12. 14 იანვარს თბილისში ვიქნები და საშინლად მიხარია.
13. შევარდნაძის ხმა და მრავალჯამიერი.
14. ცარიელი.
15. არსად, სახლში ვხვდებოდი და მემგონი ძალიან მაგარი იყო. მაშინ ჯერ კიდევ საჩუქრები იდო ხოლმე ნაძვის ხის წინ. თუმცა მაშინაც მეტირებოდა ხოლმე.
16. არც ერთ. რა მნიშვნელობა აქვს...
17. ჩემი თბილისის სახლის და ოჯახის...



20.06%



**5** იანვრიდან ერთი თვის განმავლობაში ყველა მოქალაქეს ეძლევა უანსი ბაზისბანკში

გახსნილ ანაბარზე მიიღოს საოცრად მაღალი სარგებელი - წლიური **20,06%**

**ბაზისბანკის საახალწლო აქციაში მონაწილეობენ მხოლოდ:**

- 5 იანვრიდან ერთი თვის განმავლობაში გახსნილი ანაბარები.
- ანაბარები, რომელთა მოცულობაც ტოლია 1000 (ერთი ათასი) აშშ დოლარის, 2000 (ორი ათასი) ლარის, 1000 (ერთი ათასი) ევროს.
- ანაბარები, რომელთა ხანგრძლივობაც არის 12 თვე.

**ბაზისბანკი გილოცავთ შობა-ახალ წელს და გისურვებთ წარმატებებს!**

